14
951

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

10

ოქტომბერი

1951

მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამერვე

4945

10

Тбилисский Филиал
Библиотека
И-ЛЭД при ЦК ВКП (б)

ოქტომბერი

19 სახელგამი 51
თბილისი

შინაარსი

	გვ.
მიხეილ ორაგველიძე — მეგობრობა, გაგრძელება	3
ალექსანდრე აბაშელი — სამი ლექსი	30
ვიქტორ გაბესკირია — დილა კოლმეურნეობაში, ფოთლები, ლექსები	30
სოლომონ თავაძე — ფოლადი, რომანი, გაგრძელება	34
ზურაბ ლორთქიფანიძე — მშვიდობა, ლექსი	71
აკაკი ბელიაშვილი — ოქროს ჩარდახი, რომანი, გაგრძელება	72
ვახტანგ გორგანელი — ორი ლექსი	91
დავით გაძრაძე — გმირთა სისხლით, გაგრძელება	93
ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედება: — აკაკი გეწაძე — ორი ლექსი; ვახტანგ გოგოლაშვილი — ჩვენ გვიყვარს ჩვენი დიდი სამშობლო; ხემიდ ხალვაში — ორი ლექსი; მედეა კახიძე — მშენებელი-ინჟინერი; გიორგი გიგაური — ორი ლექსი; ალ. ბეგაშვილი — ჩვენ გვაქვს ატომზე უფრო ძლიერი	109 — 113
აკაკი გოცირიძე — დაჭრილი მწყემსი, მოთხრობა	114
საბჭოთა ოსეთის პოეტები: — რევაზ ასაევი — ბათუმი; ივანე ცხოვრებოვი — პუშკინი; კავკაზაგი — მშვიდობის სიმღერა, თარგმანი კალე გობოხიძისა	124
უილიამ შექსპირი — სონეტები, თარგმანი ინგლისურიდან გივი გაჩეჩილაძისა	124
—	
ლ. გორგილაძე — ქართველი სამოციანელები და მუშათა მოძრაობა, წერილი	130
ჰ. ხუნდაძე — ნასესხები სიტყვების მართლწერისათვის, წერილი	139
—	
სიმონ არველაძე — ოთარ ჭელიძე „კომუნიზმის ჯარისკაცები" ბიბლიოგრაფია	142
ბ. შეგუკე — დიმიტრი გულია „კამაჭიჭი", ბიბლიოგრაფია	145
შოთა ძიძიგური — ალ. ნეიმანი „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, ბიბლიოგრაფია	147
აკ. თოფურია — ა. ს. მაკარენკო „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი", ბიბლიოგრაფია	150
მ. ჯიხჯველაშვილი — აკ. ჩავლეიშვილი „კორეელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის", ბიბლიოგრაფია	153
ალექსი მინდაძე — საოჯახო სამკურნალო წიგნი, ბიბლიოგრაფია	156
ახალი წიგნები	გარეკანის მე-3 გვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ჭილაია

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ. № 3-23-42.

Комбинат печати Управления по делам полиграфической промышленности, издательств и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси. ул. Марджанишвили № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ორაგველიძე
სოციალისტური შრომის გმირი

მეგობრობა*

★

9

ახალი თავმჯდომარე რაიონიდან მეორე დღეს დაბრუნდა. სახლში არ მისულა, პირდაპირ კოლმეურნეობის კანტორაში მივიდა. იმ ღამით თვალი არ მოუხუჭავს. სახე გაფითრებული ჰქონდა, გაწითლებული თვალები ღრმად ჩაჯდომოდნენ. წუხანდელს აქეთ გადატანილ მღელვარებას ისეთი დაღი დაემჩნია მის სახეზე, მთელ მის იერზე, კაცს ეგონებოდა, ამ ადამიანს რაღაც დიდი მწუხარება გადაუტანიაო.

არ ელოდა თავმჯდომარედ თუ აირჩევდნენ. „ასე უცებ, მოულოდნელად... რატომ მაინცდამაინც მე?“ მეათეჯერ ეკითხებოდა თავისთავს.

სოფელში ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეგნატეს მალე გაათავისუფლებდნენ თავმჯდომარეობიდან. სანდროს აზრით ეგნატეს ადგილზე ხალხი პარტორგანიზაციის მდივანს — შალვა ჩაჩავას, ან ექვთიმე გოგოლაძეს აირჩევდა.

„რას ვიფიქრებდი, მე თუ ამირჩევდნენ, ასეთ დიდ საქმეს მომანდობდნენ“. ერთის მხრივ, სწუხდა და ეშინოდა, ვაი თუ ვერ გავართვა თავი და ვერ გაუძღვე ამოდენა კოლმეურნეობასო, მეორეს მხრივ, უხაროდა, რომ ხალხმა ერთხმად, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

„მენდნენ, სჯერათ, რომ სირცხვილს არ ვაჭმევ, თავს არ დავზოგავ. არა, არა, გავამართლებ მათ ნდობას. სულ მალე, ორ-სამ წელიწადში რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა რიგში ჩავდგებით. გამოვისყიდით დანაშაულს. როგორა თქვა დავითმა? მარტო ეგნატეს, ზედობანიძეს, აქვსენტი მაძღარაძეს და იაგორა ფერშალს როდი მიუძღვისო დანაშაული. ჰო, ჩვენ ყველას მიგვიძღვის დანაშაული, ეს უნდა იცოდეს თითოეულმა კოლმეურნემ და მაშინ სხვაგვარად იმუშავებენ. ასი ხელი უნდა გამოვიბათ ახლა. არც დღე უნდა იყოს ჩვენთვის და არც ღამე. მხოლოდ თავდაუზოგავი შრომით შეგვიძლია მოვიბანოთ ჩვენს თავზე ჩვენს მიერვე მოცხებული ჩირქი. ასეთი მდივნის ხელში არ შეიძლება იყო ჩამორჩენილი. იგი არავის მისცემს ამის ნებას“.

იმ ღამეს, კრება დამთავრდა თუ არა, მდივანი და სანდრო ერთად გავიდნენ სკოლიდან. დავითს რაიკომში ეჩქარებოდა. იგი არავის გამომშვიდობებია. მანქანა კიბესთან დაუხვდა. სწრაფად გააღო უკანა კარი, მობრძანდითო, უთხრა სანდროს ისე უბრალოდ, ისე შინაურულად, თითქოს სიყრმის მეგობრები ყოფილიყვნენ, თითქოს არა ერთხელ მსხდარიყვნენ ერთად ამ მანქანაში, არა ერთი კრება ჩაეტარებიოთ, არა ერთხელ გაეტეხოთ პური, წოლილიყვნენ ერთ ჭერქვეშ, ჰქონოდათ ერთი ფიქრი, სიხარული, თუ მწუხარება.

სანდრო ჩაჯდა მანქანაში, მას ეგონა რომ დავითი, როგორც ეს სხვა მდივნებს სჩვეოდათ, მემანქანის გვერდით დაჯდებოდა, მაგრამ იგი სანდროს გვერდით მოთავსდა, თავით მანქანის კედელს მიეყრდნო და მანქანა დაიძრა თუ არა, მაშინვე ჩასთვლიმა.

მემანქანეს ფრთხილად მიჰყავდა მანქანა, ყოველ მის მოძრაობაში, მის გამოხედვაში იგრძნობოდა, როგორ უფრთხილდებოდა იგი დავითს. სანდროს მხოლოდ ახლა, მდივნის გაფითრებულ სახის დანახვაზე მოაგონდა, რომ იგი მთელი დღის უჭმელ-უსმელი იყო.

გათენებისას ამოვიდა იგი მოცვნარში. დალამებამდე პლანტაციებში დადიოდა, შემდეგ — კრება; ახლა თორმეტი საათი ხდება და მას არ მოუსვენია,

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9.

ლუკმა არ ჩაუდვია პირში. „როგორ ვერ მოვიფიქრეთ, როგორ ვერ მივხვდით, რომ სადილით მაინც გავმასპინძლებრდით“... თვალს არ აშორებდა მდივნის გამხდარ, დაქანცულ სახეს.

„ძნელია, ლექტორის სკამიდან რაიკომის მდივნის სკამზე გადაჯდომა, — ფიქრობდა სანდრო, — მაგრამ ეტყობა ამ კაცს სიძნელე არ შეაშინებს... მას არ სძინავს, თვლემს და თან ფიქრობს. საფიქრალი ბევრი აქვს. არა მარტო ჩვენი კოლმეურნეობა ჩამორჩება რაიონში. რაიონი კი დიდია; ორმოცი კოლმეურნეობა“:

სანდროს ეგონა, რაიკომის მდივანი სახლში წავიდოდა, მას სასტუმროში გაისტუმრებდა და დილისათვის დაიბარებდა. მაგრამ მანქანა რაიკომის შენიბის წინ შედგა.

მდივანი სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან, ასევე სწრაფად აირბინა ქვის განიერი კიბე. მას უცდიდნენ. დავითმა იცოდა ეს. ელექტრონის ძლიერი შუქით განათებულ მოსაცდელ ოთახში თავშეყრილები ფეხზე ადგომით შეხვდნენ მას.

დავითი ყველას სათითაოდ მიესალმა, ეტყობოდა ყველას იცნობდა. აქ იყვნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, აგრონომები, მტს-ის დირექტორი, ინჟინერი, საბჭოთა მეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის დირექტორები. „როდის მოასწრო ყველას გაცნობა? ის ხომ ერთი თვეა, რაც ჩვენთან მუშაობს?“ გაიფიქრა სანდრომ. მან დაინახა, რომ დამხვდურთა სახეზე ღიმილმა გადაირბინა მდივნის დანახვისას. ასეთ ღიმილს ახლობელი და საყვარელი ადამიანის დანახვა იწვევს ხოლმე.

„იგი უყვართ. ასე უცებ?“ და სანდროს ახარებდა ეს. „ასეთი არ შეიძლება არ გიყვარდეს, პატივს არ სცემდე. მას ჯერ თითქმის არაფერი გაუკეთებია კოლმეურნეობისათვის. თითქმის არ ვიცნობთ, და რა ახლობელი გახდა იგი ჩემთვის“.

აქ იყვნენ მთელ რაიონში ცნობილი თავმჯდომარეები ესტატე ჭანუყვაძე და სილოვან ქანთარია. სილოვანი მარტო ციტრუსებს ყიდდა ნახევარი მილიონისას, ესტატეს კოლმეურნეობა იმდენ ჩაის ფოთოლს კრეფდა, რომ სპეციალურად მისი კოლმეურნეობისათვის სახელმწიფომ ჩაის ფაბრიკა ააშენა. და ესტატე მას თავის ფაბრიკას ეძახდა.

მთელ რაიონში იცნობდნენ ესტატეს და სილოვანს. უყვარდათ, პატივს სცემდნენ, იმათგან მაგალითს იღებდნენ და ჭკუას კითხავდნენ. ისინი პირველნი იწყებდნენ რაიონში ჩაის ფოთლის კრეფას, ყველაზე ადრე ასრულებდნენ ფოთლის ჩაბარების გეგმას. ყველაზე მეტ ფოთოლს აბარებდნენ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით. ყოველ წლიურად იზრდება ჩაისა და ციტრუსების მათი ფართობები. მათ მილიონერებს ეძახდნენ. დაინახავდა ვინმე ესტატეს, ან სილოვანს, იტყოდა: შეხედეთ მილიონერი მოდისო. მიესალმებოდა ვინმე, მილიონერს გაუმარჯოსო.

რაიონის საამაყო ადამიანები იყო ორივე თავმჯდომარე. თუ რაიონში სტუმრები, ან მოძმე რესპუბლიკის დელეგატები ჩამოვიდოდნენ, სილოვანის, ან ესტატეს კოლმეურნეობაში მიჰყავდათ. ყველგან მათი სახელი ისმოდა.

დიდი „ბრძოლა“ და მეგობრობა ჰქონდა ამ ორ თავმჯდომარეს. ბრძოლა პირველობისათვის. მეგობრობა საერთო საქმისათვის. მათ შეჯიბრებაში ჰყავდათ ერთმანეთი გამოწვეული, მაგრამ თუ რაიმე გაუჭირდებოდათ, ერთმანეთისათვის არაფერს დაზოგავდნენ და დაიშურებდნენ.

წინანდელ მდივანს ამ ორი მილიონერი კოლმეურნეობის სახელით გაქონდა თავი. „რა ვუყოთ, ღარიბი კოლმეურნეობები თუ მყავს აქა-იქო, სამაგიეროდ მილიონერებს შეხედეთ. რომელ რაიონს ნახავთ, რომ ორი მილიონერი კოლმეურნეობა ჰყავდეს. ესტატე ჭანუყვაძესა და სილოვან ქანთარიასთანა თავმჯდომარეები ბარე ორი არ იქნებაო მთელს კავშირში“. მდივანი გადაყოლილი იყო ამ ორ თავმჯდომარეზე, თავს ევლებოდა, არაფერს აკლებდა, მინერალურ სასუქებს პირველ რიგში მათ აძლევდა. მანქანა-იარაღებს ხომ ნუ იტყვით. „ქვეყანა ამ კოლმეურნეობებში მოდის. აქ დაინახავს ხალხი, თორემ სხვას რომ მივცეთ ეანგი შეჭამსო“.

„დავითმა კი თავის მუშაობის პირველ დღიდანვე ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს მიაქცია ყურადღება. ისინი გახდნენ დღე და ღამ მისი საფიქრალი და საზრუნავი. ამ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს და აგრონომებს ნახავთ უფრო ხშირად რაიკომში, თუ მიწგანში.

ისინი მარაგდებიან ახლა პირველ რიგში ყველაფრით. ასე რომ ემუშავა იმ ოჯახაშენებულ მდივანს, ახლა ორი კი არა, ხუთი კოლმეურნეობა გვეყოლებოდა მილიონერი!“ თითქმის ხმამაღლა დაასრულა თავისი ფიქრი სანდრომ და გამოერკვა.

დავითი ესტატესა და სილოვანის წინ იდგა.

— ისევ ესტატეა წინ, სილოვან? როგორ ურიგდები ამ ამბავს? — უთხრა დავითმა სილოვანს ღიმილით. მის სახეზე უძილობისა და დაღლილობის ნატამალი აღარ იყო ახლა. თვალებგაბრწყინებული შეჰყურებდა იგი თანამოსაუბრეებს.

— მაისში და ივნისში იგი ყოველთვის წინაა, ამხანაგო დავით, — ამაყად უპასუხა სილოვანმა და დაუმატა: — რასაკვირველია, კლიმატური პირობების გამო, მაგრამ ივლისში და აგვისტოში მწვერვალებითაც ვეღარ მეწევა ხოლმე.

— ვნახოთ, ვნახოთ, სილოვან ჩემო, — წარმოთქვა ამაყად ესტატემ, — ყველა ივლისი და აგვისტო ერთნაირი როდია.

— წლევანდელი თვეები არ უნდა დაემსგავსოს არც ერთ გასულ თვეებს, ამხანაგებო, — უთხრა რაიკომის მდივანმა ესტატეს და სილოვანს და მისმა მომღიმარმა სახემ სერიოზული გამომეტყველება მიიღო. — ეს არ უნდა დავივიწყოთ არც ერთი წუთით.

— მე არასოდეს არ ვუჩიოდი თავს გულმავიწყობას, ამხანაგო დავით, — ესტატეს სახეზედაც გაჰქრა ღიმილი, — პირობას გაძლევთ ივლისში და აგვისტოშიც არ გავუშვებ წინ სილოვანს. დიახ, სილოვან ჩემო.

— ყოჩაღ, ესტატე. მაგარ პირობას აძლევ მდივანს. — მოუწონა სიტყვა სილოვანმა ესტატეს, — მაშასადამე, წლევანდელი ჩვენი შეჯიბრება...

— დიდი შეჯიბრება იქნება, სილოვან ჩემო.

გამხდარი და დაბალი, ულვაშებაპრეხილი ესტატე გამომწვევად იდგა მეგობრის წინ. ჯმუხი და მოძრაობაში ტლანქი სილოვანი, დაცინვით მოჭუტული თვალებით დაჰყურებდა ზევიდან ესტატეს.

მდივანმა სწრაფად შეხედა ორივეს:

— როგორა თქვი, ესტატე, დიდი შეჯიბრება?

— დიდი შეჯიბრება, ამხანაგო დავით და ყოველგვარი კლიმატური პირობების გარეშე.

— ძალიან კარგი. — უფრო გამოცოცხლდა მდივანი. მაგრამ უცებ შუბლი შეიკრა. — ერთი მითხარით, რატომაა წესად შემოღებული, რომ მოწინავე — მოწინავეს იწვევს სოციალისტურ შეჯიბრებაში, ძლიერი — ძლიერს?

— ძლიერი — ძლიერს, აბა სუსტთან და ჩამორჩენილთან რა ვაჟკაცობაა შეჯიბრება?! — გაიკვირვა ესტატემ.

— მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს ეს სუსტი და ჩამორჩენილი რომ ადგეს და გამოგიწვიოს.

— მე?!

— უარს ეტყვი? — მდივანმა სანდროს გადახედა.

სანდრო შეკრთა. მას ეგონა, რომ იგი დაავიწყდა მდივანს, მაგრამ იგრძნო, მთელი ამ ლაპარაკის დროს დავითს ახსოვდა იგი, მისი კოლმეურნეობა. „უნდა რომ მე გამოვიწვიო, ესტატე,—გაიფიქრა ძრწოლით და გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. არა, ეს შეუძლებელია. ვის, ესტატეს შევეტოლო? კატა ლომს?“

— იცნობდეთ, ამხანაგებო, მოცვნარის კოლმეურნეობის ახალი თავმჯდომარე.

მოესმა სანდროს რაიკომის მდივნის ხმა.

— ოჰო, ეგნატე შესცვალეთ? — გაეხარდა ესტატეს.

— ახლა კი ეშველება მოცვნარს. — კვერი დაუკრა სილოვანმა, — მას მე კოლმეურნეობას კი არა, რგოლსაც არ ჩავაბარებდი. როგორ ითმენდით აქამდე ასეთ კაცს? — ჰკითხა სანდროს და პასუხს არ დაუცადა: — თავმჯდომარე რომ ყოლოდა მოცვნარს, ახლა მაგისთანა კოლმეურნეობა მეორე არ იქნებოდა საქართველოში.

— შენ ასე ფიქრობ? — ჰკითხა მდივანმა სილოვანს.

— არც ერთ კოლმეურნეობას არ აქვს ისეთი მიწები და პლანტაციები, როგორც მოცვნარს.

— დიდი შესაძლებლობა აქვთ სწორედ. — ჩამოართვა სიტყვა იქვე მდგომმა კატისციხის აგრონომმა ისიდორე ქარდავამ. იგი აქამდე არ იღებდა მონაწილეობას საუბარში.

— შესაძლებლობა ეს ერთია, ამხანაგო ისიდორე, — მოიხედა მისკენ მდივანმა. იგი კმაყოფილი იყო, რომ ასეთი

აზრისა იყვნენ მოცვნარის კოლმეურნეობაზე.

— არც ხალხი ყავთ ცუდი. მუშაობა კი იციან, თუ გაუძღვები.

— აი, ასეთმა ხალხმა რომ გამოგიწვიოს შეჯიბრებაში, ესტატე? — მიმართა დავითმა ესტატეს და თან სანდროს შეხედა. — რას იტყვიო, — ეკითხებოდნენ მისი თვალები.

სანდრო დაიბნა, არ იცოდა, რა ეპასუხნა. ესტატეს კი არა, მას შეჰყურებდა ყველა მოლოდინით. ერთი წამი ერთ საათად მოეჩვენა, მაგრამ აი, ესტატემ გამოიყვანა იგი უხერხულ მდგომარეობიდან. მან დაინახა, რომ სანდროს გამბედაობა არ ყოფნიდა ეკადრებია მისთვის, ასეთ სახელმოხვეჭილ თავმჯდომარისათვის შეჯიბრებაში გამოწვევა. კმაყოფილება იგრძნო, მფარველური ღიმილით შეხედა.

— ასეთ თავმჯდომარეს მე თვით გამოვიწვევდი, — უთხრა მდივანს და ხელი გაუწოდა სანდროს. — დაკარი ხელი, სანდრო ჩემო.

მდივანი, სილოვანი, ისიდორე ქარდავა და ყველა, ვინც კი იყო ოთახში, ყველა სანდროს შეჰყურებდა, მაგრამ ყველაზე მეტი მოლოდინით დავითი მოელოდა, თუ რას იზამდა ახალი თავმჯდომარე. „თუ დაჰკრავს ხელს, მისვან დადგება თავმჯდომარე“, ფიქრობდა მდივანი და თან დარწმუნებული იყო, მიიღებდა გამოწვევას სანდრო, და აი ასწია მან ხელი და დაჰკრა ესტატეს გამოწვდილ, გამხდარსა და პატარა ხელს.

ესტატემ არ გაუშვა სანდროს ხელი ხელიდან. გამამხნევებლად და მოწონებით შეჰყურებდა ელექტრონის შუქით განათებულ მის გაფითრებულ და შემკრთალ სახეს. მაგრამ უთხრა არა დამამშვიდებელი სიტყვა.

— აბა, სანდრო ჩემო, შენ იცი ჩემი ხასიათი: შეღავათს არაფერში მოგცემ, გიწვევ როგორც თანასწორი თანასწორს.

— მართალია ჩამორჩენილები ვართ, მაგრამ შეღავათს მაინც არ მოვითხოვთ. სოციალისტურმა შეჯიბრებამ შეღავათი არ იცის.

— მაშ, შეთანხმდით? — შეხედა მდივანმა ორივეს.

— ხელშეკრულებას ჩემთან გავაფორმებთ, სანდრო ჩემო, — უთხრა ესტატემ სანდროს, — ჩამოდით, როცა გენებოთ, ნუ დაიგვიანებთ. საქმეს დაგვიანება არ უყვარს. — მიუბრუნდა სილოვანს. — აბა, სილოვან ჩემო, ახლა მეტი ძალით მიგულვე, და ყველგვარ კლიმატური პირობების გარეშე გაიცინა.

გაეცინა სილოვანსაც, მდივანსაც. ყველა იღიმებოდა, ყველას ახარებდა ეს სახელდახელო გამოწვევა. ორი დიდი კოლმეურნეობის, ერთი მოწინავის და სახელგანთქმულის, მეორის კი ჩამორჩენილის, მაგრამ ისეთის, რომელსაც შეეძლო ხვალ მოწინავისათვისაც გაესწრო.

კაბინეტიდან ტელეფონის ზარის ხმა მოისმა. დავითი კაბინეტში შევიდა და კარი მიიხურა. გამოძახების მოლოდინში მოსაცდელ ოთახში მყოფნი ზოგი კედლის გასწვრივ, ზოგი კუთხეში სკამებზე და სავარძელში დასხდნენ. მხოლოდ სილოვანი და ესტატე დარჩნენ ფეხზე.

სანდრო ფიქრობდა, რომ მდივანი პირველად ესტატეს, ან სილოვანს გამოიძახებდა. მათ იციან, და ამიტომ არ დაჯდნენო. არ გამართლდა მისი ფიქრი. არ გასულა სამი წუთი, რომ გაიღო კაბინეტის კარი და მდივანმა ის შეიპატიჟა. თითქოს არ ჯერაო სანდროს, გაკვირვებული იდგა შუა ოთახში. მეო, ეკითხებოდნენ მისი თვალები მდივანს.

— მობრძანდით! — უთხრა მეორედ დავითმა.

წინათ უამრავი, საჭირო და არა საჭირო სურათებით მორთული კაბინეტი, ახლა სადად გამოიყურებოდა. გაეტანათ ზედმეტი რაც კი იყო. ვრცელ ოთახში დიდი საწერი მაგიდა იდგა, მას მოდგმული ჰქონდა ლურჯი ფერის მაუდგადაფარებული გრძელი მაგიდა. ერთ კუთხეში წიგნების კარადა იდგა, მეორეში რადიორეპროდუქტორი. გრძელი მაგიდის გასწვრივ ვენური სკამები იყო ჩამწკრივებული.

ფანჯრები ღია იყო.

დავითი ფანჯარასთან შედგა და სანდროც იქით გაემართა.

— სანდრო,—მიმართა მდივანმა თავმჯდომარეს, სანამ იგი მასთან მოვიდოდა, არ შეუხედავს მისთვის. დაფიქრებული და მშვიდი იყო მისი სახე. ასეთი სახე აქვს ადამიანს, რომელმაც რაღაც კარგი და საჭირო საქმე გააკეთა და გასული დღით კმაყოფილია.—ჩვენი საუბარი, რომლისთვისაც ამ შუალამეზე აქ წამოგიყვანე, ძლიერ შეამოკლა ესტატეს გამოწვევამ. შეეჯიბრო მის კოლმე-

ურნეობას, ეს იმას ნიშნავს, წარმართო საქმე ისე, რომ თუ ვერ გაუსწრებ, დაეწიო მაინც. — გაჩუმდა წამით, პაპიროსის კოლოფი ამოიღო, გახსნა და ჯერ სანდროს გაუწოდა, მერე თვითონ ამოიღო და მოუკიდა. ღრმად შეისუნთქა კვამლი. — მე ძლიერ მოკლედ ვილაპარაკე ამაღამ კრებაზე, სალაპარაკო კი ბევრი იყო. მაგრამ არ მინდოდა ჩემი პირველი მოსვლა კოლმეურნეობაში დამეწყო საყვედურით. მარტო თავმჯდომარეს, ილიკო ზედობანიძეს, აქვსენტი მაძღარაძეს და იაგორა ფერშალს როდი მიუძღვის დანაშაული კოლმეურნეობის ამ მდგომარეობამდე მიყვანაში.

— ჩვენ ყველას მიგვიძღვის დანაშაული, ამხანაგო დავით.

— ამ დანაშაულის გამოსყიდვა არც ისე იოლი საქმეა. ეს უნდა იცოდეს თითოეულმა კოლმეურნემ, კირილე ავჟანდაძიდან აგრაფინამდე, რა გვარია იგი?

— ბედენიძე!

— აგრაფინა ბედენიძე! — გაიმეორა დავითმა, — განა შეიძლება კოლმეურნის სახელს ატარებდეს ის ქალი, რომელიც კვირაში შვიდ დღეს ბაზარში აღამებს? ასეთები არა ერთი და ორი გყავთ. ადვილი საქმე არ არის მათი აღზრდა და გარდაქმნა.

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, ისინი ნამდვილი კოლმეურნენი რომ გახდნენ.

დავითს მოეწონა მისი დამაჯერებელი და მტკიცე კილო.

— ჰო, საფერშლო პუნქტი უნდა დაიკეტოს. იაგორა ფერშალს პასუხისგებაში მივცემთ. სოფელში ექიმს გამოვგზავნით... როგორ და რითი, საიდან იწყებთ მუშაობას?

სანდროსათვის მოულოდნელი იყო ასე უცებ ეს კითხვა. მაინც არ დაიბნა:

— ჯერ მეურნეობა არ ჩამიბარებია, ამხანაგო დავით.

— ნუ დავუცდით მეურნეობის ჩაბარებას. მე კომისიას ხვალვე გამოვგზავნი. ჩამოვა რაიმიწგანი, ამხანაგი გრიშა ჭანიშვილი და კიდევ ორი-სამი კაცი. მაგრამ სანამ კომისია მოათავებს მუშაობას რას გააკეთებთ?

— ყოველი საქმის წარმატება, ადამიანებზე, კადრებზეა დამოკიდებული. აქედან უნდა დავიწყო, ამხანაგო დავით უნდა შევცვალო ზოგიერთი ბრიგადირი. მგონი, ხალხი ცოტა სხვაგვარად უნდა განაწილდეს. უნდა გადაისინჯოს საწარმოო გეგმები.

— აი, აი, სწორედ აქედან უნდა დაიწყოთ, — შესძახა მდივანმა, დაჯდა. — აბა, დაჯექით. მომიყევით დაწვრილებით, როგორ აპირებთ ყველაფერ ამის გაკეთებას.

ღამის ორი საათი იყო, სანდრო რომ მდივნის კაბინეტიდან გავიდა. იმ ღამეს იქ დარჩა, სოფელში არ დაბრუნებულა. დილით მიწადმოქმედების განყოფილების გამგე უნდა ენახა. შემდეგ ჯანმრთელობის განყოფილებაში უნდა შეევლო იაგორა ფერშლის მოხსნისა და მოცვნარში ექიმის დანიშვნის შესახებ. ამას მთელი დღე მოანდომა და სოფელში მხოლოდ საღამოს დაბრუნდა.

მოსვლისთანავე გამგეობის კრება მოიწვია. სანამ გამგეობის წევრები შეიკრიბებოდნენ, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი მთელი დღის განმავლობაში მოფიქრებულ და დაზუსტებულ საწარმოო ბრიგადათა გადახალისების გეგმას, მერე პარტორგანიზაციის მდივანს, შალვა ჩაჩავას, გააცნო.

შალვამ მოუწონა.

— აი, შრომის ორგანიზაცია ამას ჰქვია. — უთხრა შალვამ. — შენ ერთმა მოიფიქრე ეს?

— არა, მდივანთან ერთად.

— შესანიშნავია. რაც შეეხება გეგმას. შენ ადრეც ამბობდი, რომ ჩვენ მეტი შესაძლებლობა გვაქვს... კარგად იწყებ, სანდრო. — მხარზე ხელი დააჯდო თავმჯდომარეს შალვამ. — სულით და გულით გისურვებ წარმატებას.

შემდეგ სანდრომ მოუთხრო, რომ ესტატე ჭანუყვაძემ გამოიწვია სოციალისტურ შეჯიბრებაში.

— და შენ მიიღე გამოწვევა?! — გაოცდა შალვა.

— შენ როგორ ფიქრობ?

— ეს ხომ სიგიჟეა, სანდრო, გამოიწვიო ყველაზე მოწინავე, ყველაზე ძლიერი კოლმეურნეობა მთელს...

— მოწინავეს უნდა გაუტოლდე აბა, სუსტსა და ჩამორჩენილს...

— ხო მაგრამ...

— ჩვენ დღესა ვართ, შალვა, სუსტი და ჩამორჩენილი, ხვალ ჩვენ ჩვენს თავს არ ვემგვანებით.

— ეს „ხვალ“ ჯერ არ გათენებულა, სანდრო, — უთხრა შალვამ თავმჯდომარეს.

— ესტატეს ეს გამოწვევა დააჩქარებს მის გათენებას.

— მართლაც რომ დააჩქარებს, სანდრო. — უცებ გამოცოცხლდა შალვა. ვერ ფარავდა თავის აღტაცებას. მას უკვე აღარ ყოფნიდა მოთმინება გამგეობის წევრების შეკრებამდე. — წადი, წვერი გაიპარსე, დღეს ჩვენი კოლმეურნეობის ახალი დღეა. ასე ვერ შევხვდებით ამ დღეს. უნდა მილაგდეს ოთახიც. არც გარეგნულად უნდა ჰგავდეს დღევანდელი ჩვენი კრება წინა კრებებს.

წვერის გაპარსვა არ იკმარა სანდრომ, ხელპირი დაიბანა იქვე საპარიკმახეროში, ქამარი უფრო მაგრა შემოიჭირა წელზე. ხალათი გულდასმით გაისწორა...

...და აი, კანტორისაკენ ისე წამოვიდა, თითქოს აქ დღესასწაულს უნდა დაესწროსო. ოთახში რომ შემოვიდა, ვერ იცნო იგი. ისე პრიალებდა გარეცხილი იატაკი, ბრწყინავდა გაწმენდილი ფანჯრის მინები. გაკრიალებული იყო მუდამ დამტვერილი, და პაპიროსის ნამწვავებით გაბინძურებული მაგიდა. კარადაზე გულდასმით დაელაგებიათ წიგნები და გაზეთები. „როგორ მოახერხეს ასე უცებ?“ კოლმეურნეობის მდივანი გოგონა თამარა ჩხაიძე და დამლაგებელი ქალი, სქელი, დაბალი წითური სახის ასმათი კვაჭაძე ისე შეჰყურებდნენ ზღურბლზე შემდგარ თავმჯდომარეს, თითქოს ეუბნებოდნენ, ოღონდ შენ იმუშავე, როგორც წესია და ჩვენ ხომ ხედავ ერთ წუთში რა გავაკეთეთ, სირცხვილს არ გაჭმევთო.

თითქმის ყველანი მოსულიყვნენ, გამგეობის წევრები, ბრიგადირები. აქ იყო კირილე, არჩილი, ევტეხი, ნესტორი. სანდროს მოეჩვენა, რომ ყველა გამოცვლილიყო, ყველას საქმიანი, მკაცრი, მაგარი ამავე დროს საზეიმო შეხედულება ჰქონდა.

მიხვდა, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ისინი ამ პირველ კრებას. პლანტაციიდან პირდაპირ აქ რომ არ მოსულიყვნენ, უსათუოდ საგარეო ტანსაცმელში გამოეწყობოდნენ, გაიპარსებოდნენ, დაიბანდნენ და დაივარცხნიდნენ.

მისი ყურადღება ყველაზე უფრო ევტეხიმ მიიპყრო. მოხუცი ბავშვივით გაბრწყინვებული იჯდა. „აი, მე სამოცდაათი წლის მოხუცი გამგეობის წევრი ვარ. მთელი სოფლისათვის საჭირო კაცი. ჭკუასა და აზრს მკითხავენ. სახელმწიფო საქმის მონაწილე ვარ“, ამბობდა მისი სახე, გამოხედვა, ყოველი მისი მოძრაობა.

ევტეხის გვერდით ნესტორი იჯდა. იგი აღელვებული იყო. არასოდეს არ ყოფილა არაფერში არჩეული. არც ერთ კრებაზე, არც ერთ სუფრაზე არ უთქვამს სიტყვა. ახლა იგი გამგეობის წევრი იყო. როგორ არ ცდილობდა დამშვიდებულიყო, არ შეემჩნიათ, რომ ღელავდა და მაინც ვერ ახერხებდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია: „დაე, დაინახონ. რა სირცხვილია, რომ ვღელავდე. სოფლის თავკაცებში ამირჩიეს, საქვეყნო საქმე მომანდეს. მოდი და ნუ აღელდები“. მისი ისედაც ელვარე ცალი თვალი ცეცხლს ყრიდა. მარტო ამით შეატყობდა, ვინც ნესტორს იცნობდა, რა ხდებოდა მის გულში დღეს.

სხვებს არ დაკვირვებია სანდრო. „ყველა ერთს განიცდის: მათ მიანდვეს დიდი საქმე და ღირსეულად უნდა გაუძღვნენ მას“. გაიფიქრა სანდრომ და მაგიდას მიუჯდა. იგი თვითონ ისე ღელავდა, რომ სალამის მიცემა დაავიწყდა კრებისათვის. გაწითლდა, უხერხულად ჩაახველა და ამ დროს ილიკოს დამცინავად მოქცეულ სახეს შეასწრო თვალი. იგი გამომწვევად შეჰყურებდა: დაჯექით და მართეთ ჩვენი აშენებული და დაწყობილი საქმეო.

სანდროს არ სწყენია. კარგად იცნობდა ილიკოს. იცოდა, რომ იგი ბუნებით არ იყო ბოროტი ადამიანი. გაახსენდა რაიკომის მდივნის სიტყვა „ასეთები არა ერთი და ორი გყავთ. ადვილი საქმე არ არის მათი გარდაქმნა“. „ჰო, ძნელია ილიკოს გარდაქმნა, მაგრამ უნდა შევძლოთ“.

— დაჯექით, ამხანაგებო. — მიმართა სანდრომ ოთახში თავშეყრილებს. ქუდი მოიხადა და კარადაზე შემოდო. მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს.

„როდის იყო, რომ ქუდს იხდიდნენ აქ?“ ილიკომ განგებ ყველას დასანახად შეისწორა ქუდი. შემომხედეთ, მე არ ვიხდი, რა საჭიროა ასეთი ცერემონიაო“. მაგრამ მას არავინ მიაქცია ყურადღება. გულზე ეცა ეს. გადასწყვიტა გაეკეთებია ყველაფერი საწინააღმდეგო იმისა, რასაც აქ იტყოდნენ და დაადგენდნენ.

დღის წესრიგის პირველ საკითხად თავმჯდომარის მოხსენება იდგა,

კოლმეურნეობის ამოცანების შესახებ. ამ მოხსენებაში შედიოდა შრომის ორგანიზაციის, გეგმების გადასინჯვისა და ესტატე ჭანუყვაძის მიერ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის საკითხები.

მოხსენება ძირითადში მოწონებული იქნა, ერთხმად დაუჭირეს მხარი ესტატე ჭანუყვაძის კოლმეურნეობა „ბოლშევიკთან“ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმას.

— რას იტყვით, ხალხო, ჰა? ესტატესთან შეჯიბრება ას წილ ძალას შეგვმატებს. წინათ შრომა მხოლოდ ყაძახის საქმედ იყო მიჩნეული. გაჭირვებული შრომობდა. დალხინებულს ფეხიფეხზე ჰქონდა გადადებული. ასე არ იყო, კირილე, ჰა? ნაკაშიძის ხელში თოხი და წალდი ვის უნახავს. ახლა შრომა სახელია, ვაჟკაცობაა. ხომ ასეა, ჰა? — შეხედა ევტეხიმ დამსწრეთ. — ჰოდა, მოცვნარი ვაჟკაცობაში არასოდეს არ ჩამოუვარდება სხვა სოფელს. ლელო ყოველთვის ჩვენი იყო. მარულაში ჩვენი ცხენი იყო პირველი. ჭიდაობაში და ცეკვა-თამაშში ჩვენ ვიყავით და ჩვენ, ჰა? ახლა რა წაგვახდენს. „ბოლშევიკი“ იმიტომ შეიქნა პირველი კოლმეურნეობა რაიონში, რომ კარგად იმუშავეს. მე პირადად და ჩემთან ერთად ჩემი ოჯახიც პირობას ვდებთ ორჯერ მეტი გავაკეთოთ დღეიდან. შენ რას იტყვი, კირილე ჰა? — მოიფარა ყურზე ხელი და შეხედა კირილეს.

— მე, ნენა იმასვე ვიტყვი, რაც შენ თქვი. ამაზე უკეთესს სიტყვას რას იტყვის კაცი? — გაჩუმდა, კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, ყოყმანობდა. გრძნობდა, რომ ყველა მას შეჰყურებდა. ხედავდნენ, რომ კიდევ ჰქონდა რაღაც სათქმელი კირილეს და ამიტომ არ შეეძლო არ ეთქვა. — ნენა, ის რაც ჩვენმა ახალმა თავმჯდომარემ აქ ილაპარაკა, თუ განვახორციელეთ, მალე დავდგებით ფეხზე. რომ განვახორციელებთ, ამაში ეჭვი არ მეპარება. არ შეიძლება შრომის ასეთი ორგანიზაციით არ მოხდეს ის დიდი გარდატეხა, რაც სანდრომ დაგვისახა. მხოლოდ ერთ რამეში ვერ დაგიჭერ, ნენა, მხარს. არ ვარ მომხრე მეექვსე ბრიგადის ბრიგადირის, ივანე ჩხარტიშვილის მოხსნის. ივანე ჩხარტიშვილი, ილიკო ზედობანიძე არ არის, ნენა. ივანეზე ვინ იტყვის, ვერ გაართვა ბრიგადას თავიო. რა ქნას ბრიგადირმა, თუ მისი ბრიგადის წევრების ორმოცი პროცენტი იაგორა ფერშლის ცნობებით თავს ვერიდებს მუშაობას. რამდენჯერ დაუყენა, ივანემ იაგორა ფერშლის საკითხი გამგეობის კრებაზე, მაგრამ ვინ მიაქცია ყურადღება. მე წინადადება შემომაქვს, დატოვებული იქნეს ივანე ბრიგადირად.

— თუ ივანეს ტოვებთ, მე რას მერჩით, მეგობრებო? — წამოდგა ილიკო ზედობანიძე. — მართალია მე არ დამიყენებია იაგორა ფერშლის საკითხი გამგეობაზე, მაგრამ... არა, ვინც დააყენა, რა გააკეთა? ვინ დაუჯერა? გამგეობაზე თუ არ მითქვამს, იაგორა ფერშალი ღუპავს ჩემს ბრიგადას მეთქი, გულში ხომ გამრვლია, მაღლა ღმერთია მოწმე, რომ ბევრჯერ მიფიქრია ამაზე. შადროვეთ მეზობლებო, ნუ გადამაყენებთ. მომეცით გამოსაცდელად ორი-სამი თვე და თავი არ მედგას მხრებზე, თუ არ გასახელოთ, — ილიკომ იცოდა, რომ მას არავინ დატოვებდა ბრიგადირად, ნახევარი საათის წინ იგი მოხსნილი იქნა ბრიგადირობიდან და მის მაგივრად არჩილ სირაძე აირჩიეს, მაგრამ მაინც ლაპარაკობდა. თუ არ მოვიგებ, რას წავაგებ ამ ჩემი სიტყვითო, ფიქრობდა გულში.

— ხელს ნუ გვიშლი, ზედობანიძე, — შეაწყვეტია სიტყვა ილიკოს თავმჯდომარემ, — შენი საკითხი გადაჭრილია. შეგიძლია წახვიდე სახლში.

— წადი, ნენა. ივსიხის თოხი, წალდი და ცელი მოაპირვიე. ამეღამ სახლში ამომიტანე, კოპიტის სატარეები მაქვს. გაგიკეთებ ტარებს და ხვალიდან ამოგვიდექი გვერდში. ეს იქნება შენთვის ყველაზე კარგი გამოცდა. შენზეა დამოკიდებული შენი სიკეთე, თუ ივარგებ, შენს კარგზე თვალს არავინ დახუჭავს.

ილიკო წამოდგა.

— მაგდებთ, მეზობლებო? ისე წახდა ილიკო ზედობანიძეს საქმე, რომ კრებაზედაც არ გინდათ დაისწროთ? თქვენი ნება იყოს, მაგრამ ეს დავიმსახურე მე კოლმეურნეობის წინაშე? ძვირფასი მადლობა მომიხსენებია ყველასათვის, — თქვა ეს, შეტრიალდა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

— სანდრო, მე მინდა სიტყვა! — ასწია ხელი არჩილმა.

— გისმენთ, არჩილ.

არჩილი აღელვებული და გაფითრებული იყო. შავი, ხუჭუჭი თმები შუბლზე დაყროდა. საყელო გაღეღილი ჰქონდა და მაღალ, ლამაზ კისერზე დაბერილი ძარღვები მოუჩანდა.

— მე თქვენ ამირჩიეთ ყველაზე დიდ და ყველაზე ჩამორჩენილ ბრიგადის ბრიგადირად... — საყელო შეიკრა. — მე ყველაფერს გავაკეთებ რომ ეს ნდობა გავამართლო. მაგრამ მე არ შემიძლია ბრიგადა ჩავიბარო კომისიისა და სათანადო აქტის გარეშე.

— სამართლიანი მოთხოვნაა! — ბანი მისცა არჩილს ნესტორ კერესელიძემ. — ჩვენს ბრიგადაში სამოც შრომისუნარიან მუშახელიდან მხოლოდ ორმოცდაათი გამოდის სამუშაოდ. უნდა დაიწეროს ეს აქტში და პასუხი მოვთხოვოთ შრომის დეზერტირებს.

— აი, სწორედ ამაზე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო, — განაგრძო არჩილმა. — იაგორა ფერშალს ეგნატეზე ნაკლები ზიანი არ მოუყენებია ჩვენთვის. ჩვენ იმიტომ ჩამოვრჩით, რომ მუშახელი არ გვყოფნის. მას იაგორა ფერშალი გვართმევს. თქვენ ყველა იცნობთ შალიკო ბედენიძეს ცოლს, აგრაფინას. რომელ ვაჟკაცს არ მოიტოვებს მუშაობაში, მაგრამ რას აკეთებს იგი კოლმეურნეობაში? აგრაფინა ჩვენი ბრიგადის წევრია და ამ წელიწადს კაპიკის ფასი არაფერი გაუკეთებია ბრიგადაში. რომ კითხო, სულ ავადაა. თუ იაგორა ფერშალს ქათამს მიუყვანს, პლევრიტი აქვსო მისცემს ცობას, თუ ინდოურს მიუყვანს — ტვინის ანთება აქვსო და ეს ტვინის ანთებიანი და პლევრიტიანი ქალი ორ-სამ ფუთიან ტომარას მოიკიდებს ზურგზე და ჰაიდა, გადასცურავს ზღვას და ფოთის ბაზარზე ამოყოფს თავს. ნინუცის იშიასი ჭირს, აგრაფინას ფილტვი ტკივა, თუ ტვინი. ვერც ფილტვში ჩახედავ ამ ქალებს და ვერც ტვინში. რას იზამ, უნდა დაუჯერო იაგორა ფერშლის ცნობას. იაგორა ფერშალს რომ კითხო, ჩვენს სოფელში ხალხი ნახევარზე მეტი ავადაა. აფთიაქის გამგე კი გაიძახის, მანეთის წამალი არ იყიდება, გეგმას ვერ ვასრულებ, აფთიაქს დამიხურავენო.

— ამხანაგებო, იაგორა ფერშლის მოხსნის და პასუხისგებაში მიცემის განკარგულება მე უკვე ჩამოვიტანე, — მიმართა თავმჯდომარემ ბრიგადირებს და გამგეობის წევრებს.

— მართალს ამბობ, თუ გიყვარდეს? — თვალები გაუბრწყინდა ევტიხის.

— ეგ კარგი საქმე გაგაკეთებია, ნენა. — მოუწონა კირილემ.

— ამხანაგებო, ეგ საქმე რაიკომის მდივანმა გააკეთა. მისი დახმარებით მოცვნარს ამ ერთ კვირაში საექიმო პუნქტი ექნება. ექიმი, მედიცინის და...

— რა ეშველებათ აწი ნინუცისა და აგრაფინას? — წამოიძახა ბრიგადირმა მარო ჩხაიძემ. ამ სამოცდახუთ წელს მიღწეულ ქალს ისე აეფაკლა შრომისა და მწუხარებისაგან განაოჭებული სახე, რომ გეგონებოდათ, ათი-თხუთმეტი წლით გაახალგაზრდავდაო. მან ახალგაზრდობა სიქვრივეში და გაჭირვებაში გაატარა. თვითონ ზრდიდა თავის და ძმის ობლებს. არავინ ყავდა გულშემატკივარი და ხელის გამმართავი. კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პირველ დღიდან გახდა იგი მისი აქტიური წევრი. კოლმეურნეობა შეიქნა მისი ჭირისუფალი. აქ გაიმართა წელში. აქ დააღწია თავი ქვრივ-ოხრობას და არ დაიშურა მთელი თავისი ნიჭი და უნარი საზოგადო საქმისათვის. იგი მალე მერგოლურად აირჩიეს, შემდეგ ბრიგადირად. მისი ბრიგადა ერთადერთ ძლიერ ბრიგადად ითვლებოდა.

ერთად-ერთი ბრიგადა, სადაც იაგორა ფერშლის ცნობით ვერ სარგებლობდნენ, ეს მაროს ბრიგადა იყო. ხშირად იაგორა ფერშლის ცნობით მისულ ქალს თვითონ გასინჯავდა და საჯაროდ ამხელდა, რომ არაფერი ტკიოდა. ამიტომ, რაც დრო გადიოდა, მაროს ბრიგადის წევრები სულ უფრო ნაკლებად მოდიოდნენ იაგორა ფერშლის ცნობით. ვერც იაგორა ფერშალი ბედავდა მაროს ბრიგადის წევრისათვის ავადმყოფობის ცნობის მიცემას.

იაგორა ფერშლის მოხსნის ამბავმა ფრთები შეასხა არჩილს.

— სანდრომ წელან წინადადება შემოიტანა, — განაგრძო მან, — ჩემი ბრიგადიდან ხუთი მკრეფავი ქალი გადაყვანილი იქნას მარო ჩხაიძის ბრიგადაში. მართალია, მაროს ბრიგადის ქალები ვერ აუდიან კარგ მოვლილ პლანტაციის ფოთლის კრეფას. ასეთი ბრიგადა მართლაც ღირსია დახმარების, მაგრამ მე ხვალ-ზეგ ჩემი პლანტაცია უნდა მქონდეს ისეთ მდგომარეობაში, როგორც დღეს მეოთხე ბრიგა-

დის პლანტაციაა. ვინ მომეხმარება მაშინ მე ფოთლის კრეფაში? შემოვდივარ გამგეობის წინაშე თხოვნით: ვინაიდან დღეიდან იაგორა ფერშლის ცნობებით მთელს კოლმეურნეობას და კერძოდ მეოთხე ბრიგადას არც ერთი მუშახელი არ მოაკლდება, ამიტომ არ იქნას ჩემი ბრიგადიდან ქალები გადაყვანილი.

— ვერ დააკმაყოფილებს გამგეობა შენს თხოვნას, არჩილ, — შეაწყვეტინა არჩილს სანდრომ, — შენი პლანტაცია, პლანტაციას რომ დაემსგავსოს, ამას დრო უნდა. მეოთხე ბრიგადის ფოთოლი კი არ იცდის. გარდა ამისა ჩვენ ის ხუთი ქალი დროებით კი არ გადაგვყავს, არამედ მუდმივად.

— რატომ? — შეხედა გამომწვევად არჩილმა თავმჯდომარეს და სქელი წარბები შეყარა..

— იმიტომ, რომ შენ ორმოცდათხუთმეტი მუშახელითაც გააკეთებ შენს საქმეს.

— მე წინააღმდეგი ვარ.

— გამგეობა კი მხარს უჭერს, ნენა, სანდროს წინადადებას, — სწრაფად მობრუნდა კირილე არჩილისაკენ. — ნუ გავიწყდება, ნენა, რომ დღეიდან სანდროს სისტემაზე გადავდივართ.

არჩილის თხოვნა კომისიის გამოყოფისა და ბრიგადის აქტით გადაბარების შესახებ დააკმაყოფილეს. ხუთი მკრეფავი ქალის დატოვებაზე კი უარი ეთქვა.

გადაწყდა, გამგეობის დადგენილება ხვალვე გაეტანათ განსახილველად საერთო კრებაზე.

10

ნინუცის სიბრაზისაგან სახე გალურჯებოდა. ისე იყო გაწიწმატებული, რომ მისი განუყრელი კეჟერა ფხალის ფოთლით თავის წაკვრაც კი დავიწყებოდა. ეზოდან გამოსულიყო, შუა გზაზე იდგა და პლანტაციაში მიმავალ ქალებს გაკაპასებული ეწიწინებოდა:

— უიმე, ხალხო, ჩვენს უბედურ დღეს. ეს რას შევესწარით. რა გაიგონეს ჩემმა დასაფსებმა ყურებმა. არა, ტყუილი იქნება, მაგას როგორ დავიჯერებ, მაგრამ მოდი და ნუ დაიჯერებ, გამგეობაზე განუცხადებია ჩვენს ახალ თავმჯდომარეს წუხელ.

— რა იყო, ნინუცი, რა მოხდა? — შედგნენ ნინუცის გარშემო შეგროვილ ხალხთან ელენე და მისი ამხანაგები: ტატიანა, ნინო და მაშო.

— რავა რა მოხდა, ჩემო ელენე, ჩემო კალმით დახატულო გოგუცუნავ, არ გაგიგონია, შვილო? უიმე, უიმე ჩემს თავს, ნეტა მეც არ გამეგონა და მოვმკვდარიყავი, — გაბმით შეჰკივლა ნინუცამ და ორივე ხელი სქელ ბარძაყებზე შემოიკრა.

— რას შვრები, ნინუცი, მაგ იშიასიან ბარძაყზე ეგრე რომ ირტყამ ხელს, თავს რად იკლავ, ბეჩა... — შესძახა მოჩვენებითი გულისტკივილით ტატიანამ, თავი ვერ შეიკავა, სიცილი წასკდა.

— უიმე, თავი რაღად მინდა აწი, მე უბედურს, ცოცხალი. უი, ჩვენს მოსწრებას, ვაი ჩვენს დღეს. რა გვეშველება, როგორ ამოვარდნილა სოფელი, როგორ დაღუპულა კოლმეურნეობა.

— რა მოხდა ასეთი, აღარ იტყვი, შე ქალო? — შეშფოთებით ჰკითხა ნინომ და თვალი ჩაუკრა ამხანაგებს. მან იცოდა, რას უცხადებდა ნინუცი ქალებს. ელენემ, ტატიანამ და მაშომაც იცოდნენ, მაგრამ თავი ისე ეჭირად, თითქოს არაფერი გაეგონოთ.

— რავა რა მოხდა, რაიკომს ჩვენი იაგორა ფერშალი, ჩვენი ამშენებელი და უკვდავების წამალი მოუხსნია გუშინ. უიმე, გამაკავეთ ვინცხამ, თორემ ზღვაში გადავარდები, თავს დავიღრჩობ ამ უთენია.

— მართლა ზღვაში გადასავარდნად გაგხდომია საქმე, ნინუცი ბატონო, — გაიცინა მაშომ, — დაიკიდე ახლა კალათი წელზე და წამობრძანდი პლანტაციაში.

— ეს არ უკმარებიათ, ხალხო, იმ უბედური მოხუცისათვის, — ისე განაგრძო ნინუცამ, თითქოს მაშოს ნათქვამი არ გაუგონიაო. — პასუხისგებაში აძლევენ თურმე.

— შენ, შენ არ გაძლევენ პასუხისგებაში, წლიდან-წლამდე მის ყალბ ცნობებს რომ აფარებდი თავს? — გაისმა ქალებში ვიღაცის ბრაზით სავსე ხმა.

— შეხედეთ, ქალებო, ფხალის ფოთლით თავის წაკვრა გადავიწყებია, იაგორა ფერშლის უბედურების გამო, — ახლა სხვა მხრიდან შეესმა ნინუცის დამცინავი ხმა.

— მაგას არც იშიასი ჰქონებია მისდღეში და არც თავი ასტკივებია. შეხედეთ, რავა საკალანდო ღორივით აქვს კისერი გასივებული.

— ვინ დაგაუთოვებს ახლა, ნინუცი ბატონო?

— ვინ დაგიწერს შრომადღეებს?

— როგორ ერთბაშად მოგჭამა ჭირი ეგნატემ და იაგორა ფერშალმა.

სეტყვასავით დააყარეს აქეთ-იქიდან ქალებმა.

ნინუცის ენა ჩაუვარდა. გაფითრებული და შეშინებული იდგა. უცებ წელზე ხელი შემოიდო.

— რას მერჩით, ქალებო? — ამოიკვნესა სასოწარკვეთით. — ისე იყოს თქვენი მტერი, რავაც მე ვარ. უგუნებოდ რკინაც შეიქნება, ადამიანი კი არა. თქვენც ინატრებთ ერთ დროს, იაგორა ფერშალს, — თქვა ეს და სახლისაკენ შეტრიალდა. ალმართს აყვა. წელმოწყვეტილივით მიათრევდა ტანს.

— შეხედეთ, შეხედეთ, ქალებო...

— ხელი მოკიდეთ, ვერ ხედავთ როგორ მიიზლაზნება?

— მალე ჩამოყრის მაგ ქონს პლანტაციაში.

— გული რომ გაუსივდება, მაშინ შეხედეთ ქალბატონს.

მიაყარეს ქალებმა და ამ შეძახილებში ნინომ სოფელში გავრცელებული სიმღერა წამოიწყო.

„ნინუცი, ჩემო გიჟო, ნინუცი,
შენს ეგნატეს, შენს ეგნატეს თუ უცდი...“

ნინუცემ ნაბიჯს აუჩქარა. ალაგეზე გადაალაჯა და ძუნძრუხით მოუსვა ოდისაკენ.

„ალარ მოვა, ალარ მოვა, ნუ უცდი“.

განთიადის წმინდა ჰაერში ზარივით წკრიალებდა ნინოს ხმა და ნინუცის ეგონა, იგი მთელ ქვეყანაზე ისმოდა. შერცხვა, თავი მოეჭრა. ასე აშკარად, პირში არასოდეს არ უკადრებიათ მეზობლებს ასეთი სიტყვები. ეგნატეს ხათრითა და რიდით. ახლა? იაგორა ფერშალი მაინც შერჩენოდა. ჩაეშალა გეგმა. ამ განთიადისას იმიტომ გამოვიდა გზაზე, რომ უნდოდა აეყოლებია სოფელი და იაგორა ფერშლის დატოვება ეთხოვებია რაიონისათვის. „რა უჭკუოდ მოვიქეცი, აგრაფინა და კატო უნდა ამეყოლებია და მე კი, ელენეს, ტატიანას, ნინოსა და მაშოს შევუცადე. იმ გოგოებს ერთხელაც არ დასჭირებიათ იაგორა ფერშალი და რატომ შეაწუხებდათ მისი მოხსნა. კი არ შეაწუხებდათ, გაახარებდათ, ალარ გაუცდებათ არავინ ბრიგადაში.

11

აქვსენტი აივანზე გამოვიდა. ნინუცი კიბეზე ჩამომჯდარიყო, კვლავ მოისმოდა შორიდან ნინოსა და მისი ამხანაგების სიმღერის ხმა. ნინუცის ტყვიასავით ხვდებოდა გულში ყოველი სიტყვა. ხელები მუხლებზე შემოეწყო და გაქვავებულივით ერთ წერტილს მისჩერებოდა. არც კარის ჭრიალი გაუგია, არც აქვსენტის ჩახველება.

— ნინუცი, რა იყო ჩემო სიცოცხლე, უგუნებოდ ხომ არა ხარ? — შესძახა შეშინებულმა აქვსენტიმ ცოლს.

ნინუცემ ხმა არ გასცა. აქვსენტი გვერდზე მოუჯდა.

— არ მეტყვი, რა დაგემართა, ჭირიმე, ადამიანის ფერი არ გადევს ქალს.

— გამოეთხოვე აწი ჩემს ფერსა და ხორცს. კოლმეურნეობის ქალებმა მიბრძანეს, დაიკიდე წელზე კალათი და პლანტაციაში წამობრძანდიო. ჰმ,—გაიცინა მწარედ ნინუცემ და ლოყაზე მსუბუქად შემოიკრა ხელი. — ეგნატეს გაუბედურება არ გვეყოფოდა, რომ იაგორა ფერშალი ზედ არ მიეყოლებიათ? მკაცრად შეხედა ქმარს, — ახლა იმას ვეცადოთ, ახალ თავმჯდომარეს დავუახლოვდეთ და ჩვენსკენ მოვწიოთ.

— რაფერ მერე, ნინუცი?

— რაფერ და გაანძრიე ეგ გამხმარი ტვინი და მოიფიქრე რამე, თორემ შეიძლება ეგნატეს და იაგორა ფერშალს ჩვენც მიგვაყოლონ ზედ. ხომ იცი სოფელში არავის ვახატივართ გულზე.

— მთელი ქვეყნის ჭკუა შენთვის მოუცია ღმერთს, ჩემო ნინუცი. ჩვენ ჩვენ თავს უნდა მოვუაროთ, ჩვენი ოჯახი დავიცვათ. კოლმეურნეობა და თავმჯდომარე იმდენად არის ჩვენთვის საჭირო, რამდენადაც რაიმეს გამოვგლეჯთ მათ, თორემ წინ წყალი და უკან მეწყერი. — აქვსენტი წამით ჩაფიქრებული იჯდა. მერე გაუბედავად შეხედა ნინუცის. — ნინუცი, ვაი თუ იმ შემომატებულ მიწაზე შეგვედავა ახალი

თავმჯდომარე. არ სჯობია, სანამ ძალით დაგვაბრუნებინებენ, ჩვენ თვითონ გადავწოთ პალოები?

— ის დღე არ გაუთენდეს სანდრო მეგრელიძეს, სანამ ჩემი ხელით არ გადავწიო პალოები, — შეუტია ნინუციმ ძეუღლეს, — რამ წაგახდინა შე გლახაკო, რამ შეგაშინა ასე? სანდრო მეგრელიძე კაცია, ქვა კი არ არის. ჩემს პურმარილს, ჩემს გაღიმებულ გულს ვისთვის არ მოუტეხია კისერი, ლუკაია გლახის შვილს რომ არ მოსტეხოს. მე მომანდე ახალი თავმჯდომარის მოთვინიერება. შენ კი წადი, შენს ახალ ბრიგადირთან, ცხვირმოუხოცავ არჩილიასთან და ხალხის დასანახავად გამოიღე ხელი. ამოუდექი გვერდში კირილეს და ევტეხის და, რაც არ გაგიკეთებია, ის გააკეთე ახლა.

ნინუციმ სწრაფად გაუმზადა სადილი აქვსენტის, ჩაულაგა სასაგზლე აბგაში და მხარზე გადაკიდა. აქვსენტიმ სამზადის ლაფარიდან თოხი გამოიღო და პლანტაციაში გასწია.

12

თეთრად გათენებულიყო. უხვად ეფრქვია ცვარი მიწას, ივნისის მზიანი დილა თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. ცვარი ბრწყინავდა ჩაის ბუჩქებზე, მანდარინისა და ფორთოხლის კრიალა ფოთლებზე, სიმინდის ფერად-ფერად ფოჩებზე, ბალახზე, გზებზე, ღობეებზე.

ტოტებში ფრინველების ჟრიამული ისმოდა. ჩხართვი და შაშვი ტკბილად გალობდნენ. ერთი რომ შეჩერდებოდა, მეორე შეუხმობდა, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გალობაში.

შუკებში საქონლის ბღავილი ისმოდა, გზებზე — ურმების ჭრიალი. აქაიქ კანტი-კუნტად ყეფდნენ ძაღლები და ყველა ამ ხმებს მერგოლურების ძახილი ფარავდა. ისინი თავიანთი რგოლის წევრებს უხმობდნენ პლანტაციაში.

შავი ზღვიდან ნელი ნიავი ჰქროდა. ისეთი ამინდი იდგა, მკვდარს მოანდომებდა გარჯას. თითქმის მთელი სოფელი გასულიყო სამუშაოდ. მხოლოდ იაგორა ფერშლის მუდმივი პაციენტები დარჩენილიყვნენ სოფელში. ათამდე ქალსა და კაცს მოეყარა თავი საფერშლო პუნქტის წინ და იაგორას ელოდებოდნენ. ეტყობოდათ, არ იცოდნენ იაგორას ამბავი და ეკვირვებოდათ, რად იგვიანებდა ფერშალი. ამ დროს ის ყოველთვის მოსული იყო.

უკმაყოფილო „ავადმყოფები“ კვნესა-წუხილით გასცქეროდნენ სოფლის გზას.

ყველაზე მეტად საწყალი არისტო ბედენიძეს ცოლი აგრაფინა. ჭირვეულობდა.

არისტო ერთი პატიოსანი და შრომისმოყვარე კოლმეურნე იყო. კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან იგი ერთგულად მუშაობდა ბრიგადაში. სავსე ოჯახი ჰქონდა, მაგრამ საწყალს იმიტომ ეძახდნენ, რომ ენა ებორკებოდა და როცა რაიმე უნდოდა ეთქვა, ერთ საათს სიტყვას-სიტყვაზე ვერ მოაბამდა. სამაგიეროდ ცოლი ჰყავდა ისეთი, რომ ქვეყნის სალაპარაკოს ერთ წუთში იტყოდა. ოჯახის უფროსად და ბატონ-პატრონად თვითონ მოჰქონდა თავი. ქმარს მის დაუკითხავად მეზობლისათვის ერთი ოყა სიმინდის მიცემის ნება არ ჰქონდა.

აგრაფინას გადასახადის ამკრეფი გაფრთხილებული ყავდა, ოჯახში მე ვარ უფროსი, ჩემს გლახა ქმარს არაფერი ეკითხება, ამიტომ გადასახადისათვის მე მომმართეთ. ამას მიტომ აკეთებდა, რომ პატიოსანი არისტო გადასახადის ამკრეფს პირველ მოსვლისთანავე პირნათლად ჩაუთვლიდა მასზე დაწერილ ფულს. აგრაფინა კი ასჯერ მოიყვანდა, ნაწილ-ნაწილად ისტუმრებდა და სანამ მთლიანად გაისტუმრებდა, სიცოცხლეს გაუმწარებდა.

იგი წელიწადში ორ თვეს არ მუშაობდა კოლმეურნეობაში. ბაზარ-ბაზარ დადიოდა. თავისი გასაყიდი რომ შემოელეოდა, მეზობლებისაგან ყიდულობდა ლიმონს, ფორთოხალს, მანდარინს და სხვა სურსათს. სოფელში თითქმის მუქთად შეძენილს, ბაზარზე მამასისხლად ყიდდა.

მას ფოთის ბაზარზე ყველა იცნობდა. ბევრი მუშტარი ყავდა, რადგან ყოველთვის სხვებზე უკეთესი საქონელი მას ჰქონდა. ისე გაალამაზებდა თავის საქონელს, ადამიანს კი არა, ეშმაკს შეაცდენდა და აყიდვინებდა.

ერთ კვირა დილას ფოთისკენ მიმავალი კოლმეურნეები ყველა უკან გამობრუნდნენ. კაპარჭინის გრძელი ხიდი

ჩანგრეულიყო და ადიდებულ მდინარეზე ვერ გასულიყვნენ.

თავს მოიკლავდა აგრაფინა, და კვირა დღეს როგორ გააცდენდა. რა წამოიყვანდა უკან, შუა გზაზე მისულს. მანამ იწრიალა და იტრიალა, სანამ გამოსავალს არ მიაგნო: სადღაც მებაიდეები მოძებნა, მწიფე ზღმარტლი, ფელამუში, შუშხუნა მაჭარი, ყველი და თაფლი ბაიდაში ჩააწყო, ზღვით გასცურა და ფოთის ბაზარში ამოყო თავი.

სოფელში ამ ამბის ჩამომტანები იმასაც ამბობდნენ, რომ თითქოს აგრაფინას დიდი უსიამოვნება შეემთხვა მებაიდე ბიჭებთან ზღვაზეო. მაგრამ აგრაფინა არაფრად აგდებდა ამ ამბავს.

ერთი სიკვდილი გაათავა ამის გაგონებაზე არისტომ.

— ნუ მოო... მჭერ... ი ქა...ლო თა... ვ...ი სახ...ლშ...ი იყ...ავი, კო...ლე... ქტ...ივში იმუშავე სხვე...ებსა...ვით, მე დღე და ღაამ...ეეს გა...ვათე...ნებ და არაა...ფერს მო...გა...კლე...ბ.

გაავებულმა აგრაფინამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ქმარს მიტოვებითაც კი დაემუქრა. შეშინდა არისტო. რა ეშველებოდა ექვსი შვილის პატრონს მართლაც რომ შეეტოვებია ბავშვები ხელში და დაეგდო ოჯახი ცოლს. ამიტომ იყო, რომ თავზე აჯდა გათავხედებული ქალი და, რასაც უნდოდა, იმას აკეთებინებდა ქმარს.

— მანამდე მჭადი არ ჭამეთ, არც შენ და არც შენმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სანამ მე ჩაის ფოთლის კრეფაში კირილე ავეანდაძის გომბიო გოგოს არ ამოუდგე გვერდში, — ეტყოდა არისტოს აგრაფინა.

აგრაფინას მუდამ ახალ-ახალი და თან მოურჩენელი ავადმყოფობების ცნობა მოჰქონდა თავმჯდომარესთან. და ამ საბუთებით დაუსჯელი დაფრინავდა. იაგორას ამაგს იგი ღირსეულად აფასებდა. ბაზრიდან ისე არ დაბრუნდებოდა, რომ მისთვის რაიმე არ ჩამოეტანა, ხან წინდები, ხან ჭრელი ყელსახვევი, პაპიროსები. ჭყინტი ყველი ჩურჩხელები, ხილი და წიწილები მუდამ გამოულეველი ჰქონდა მისთვის.

აგრაფინა თადარიგიანი ქალი იყო. მოახლოვდებოდა თუ არა „ავადმყოფობის“ ვადის გასვლის დრო, მაშინვე მიადგებოდა იაგორას და ახალ ცნობას გამოართმევდა. იმ დღესვე თავმჯდომარეს ჩააბარებდა. თან ზედ საყვედურს დააყოლებდა: მომკლა ეს ავადმყოფი ქალი ამდენ კომისიებში გატარებამ და ცნობების თრევამ.

აგრაფინამ წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ცნობის ვადის გასვლას გუმანით გრძნობდა. დღესაც სწორედ ახალი ცნობის ასაღებად იყო მოსული იაგორა ფერშალთან. ის კი არ იცოდა; თუ რა უბედური დღე გაუთენდა მის მწყალობელს. ჯერ ხახევარ სოფელს არ ჰქონდა იაგორა ფერშლის მოხსნის ამბავი გაგებული.

იაგორა მიუხედავად თავისი მოხუცებულობისა, აფთარივით გაავებული ამოვარდა საფერშლო პუნქტის აივანზე. არავისთვის შეუხედავს, სამუშაო ოთახში შეიჭრა და კარი მიიჯახუნა.

აივანზე შეყრილმა ქალებმა ერთმანეთს გადახედეს გაკვირვებით. რა დამართნია ჩვენს იაგორა ფერშალსო. ერთხანს ვერავინ ბედავდა მასთან შესვლას, მაგრამ აგრაფინას რა შეაჩერებდა, მან პირველმა შეაღო კარი.

— იაგორას სიცოცხლე და სიხარული.

იაგორა სწრაფად მობრუნდა მისკენ.

— ისე გაიხარა თქვენმა ოჯახმა, როგორც მე ვარ გახარებული.

— საწყენი ხომ არაფერი შეგემთხვა, იაგორა ბატონო?

— ჰმ, მასხარად მიგდებ, თუ როგორაა შენი საქმე? — შეუყვირა კარებში გაჩერებულ აგრაფინას იაგორამ. — კაცს დანა პირს არ მიხსნის, დავიქეცი...

— რა დაგემართა, შე კაცო, ასეთი, რა ამბავია ჩვენს თავზე? — შეჰკივლა აგრაფინამ.

— თქვენს თავზე კი არა, ჩემს თავზე! — შეხედა კარებთან მომდგარ ქალებს იაგორამ. — დამაქციეთ, მოხუცებულობა მომიშხამეთ, თქვენი გულისათვის დაჭერას ძიპირებენ...

— რა მოხდა ასეთი?!

— რაცხა ფარსაგი არ უნდა იყოს.

— გაგვაგებინე, იაგორა.

გაისმა ქალების შეშინებული შეძახილები.

— რა მოხდა და მომხსნეს ცრუ ცნობების გაცემისათვის. რა მიქენით, თქვე ეშმაკის ფეხებო. გამაბრიყვეთ, თავი შემაცოდეთ. ტკბილი სიტყვებით და მოსაკითხებით თავი მომიქონეთ. რა გეჭირთ, თქვე გაზულუქებულო დედაკაცებო. თქვენ კანში არ ეტევით,

თქვენ წაახდინეთ კოლმეურნეობის საქმე, თქვენ დაგვღუპეთ მე და ეგნატე.

საფერშლო პუნქტის გვერდით აფთიაქი იყო. იაგორას ყვირილის გაგონებაზე აფთიაქის გამგემ ფარნაოზ კობალაძემ ჯერ თავი გამოჰყო კარებიდან, მიიხედ-მოიხედა, სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაჰკრა. კმაყოფილებით შეიფშვნიტა ხელები და მერე გარეთ გამოვიდა. რამდენიმე ნახტომით საფერშლო პუნქტის აივანზე გაჩნდა და ქალებს ამოუდგა უკან.

— აბა, რა გეგონა, იაგორას ჭირიმე, — შეუსისინა ისედაც გულზე ცეცხლმოდებულ მოხუცს ფარნაოზმა, — ქრთამები შეგრჩებოდა თუ? ამ ჩათქვირებულ ქალებში რომ ხუნტრუცობდი, კარგს რომ გაჭმევდნენ, კარგს რომ გასმევდნენ, ტკბილ სიტყვას გეუბნებოდნენ, ტკბილად რომ გიღიმოდნენ და მე სიცოცხლეს მიმწარებდი. კინაღამ მიაკეტიე ჩემი აფთიაქი, ამისათვის პასუხს არ მოგთხოვდნენ? — გაარღვია ქალების წრე და წინ აეჯგიმა მიწისფერდადებულ ფერშალს. — შემომხედე კარგად, ვერ მიცანი? პროვიზორი ფარნაოზ კობალაძე გახლავარ. მე მიპირებდი გაფუჭებას, მაგრამ შენ წაგახდინეს. ცნობებს რომ აგზავნიდი ჯანმრთელობის განყოფილებაში, ნახევარი მოცვნარი ავად არისო, რას ფიქრობდი, თუ იცი? მე კარგი დღე დამადგებოდა, შენი ავადმყოფები ერთ წვეთ წამალს რომ არ ყიდულობდნენ. საყვედური საყვედურზე მომდიოდა — მოცვნარში ამდენი ავადმყოფებია და რატომ გეგმას არ ასრულებო. ამას, ამ ქაჯს წამალს დაალევიებს კაცი? — შეხედა სახე გალაქლაქებულ აგრაფინას, — დღეში ერთ ლიტრ ცოლიკაურს სვამს და ერთ ქვაბ ღომს ჭამს. შენ ნახევარზე მეტი ასეთი ავადმყოფები გყავდა. გეყო, იაგორას ჭირიმე, რაც სიყალბითა და ტყუილებით იარე. ვაცხონე მისი მამის სული, ვინც მოგხსნა და პასუხისგებაში გიპირებს მიცემას, — თქვა ეს და შემობრუნდა ფარნაოზი, ქალებს მამლაყინწასავით გადახედა, თქვენც დაგისხათ თავსლაფი, ამბობდა მისი მედიდური სახე.

— მართალი ხარ, ფარნაოზ ბატონო, — კიბეზე დააწია სიტყვა იაგორამ ფარმაცევტს. — ჩემი სიცოცხლე სულელურად გავატარე და ახლა ჭკუას რა მომიმატებდა ამ ეშმაკის სულების ხელში, — ამოიკვნესა მწარედ და კვლავ აენთო:—რას შემომჩერებიხართ, თქვენ გასაწყვეტებო? შეუტია ქალებს. — იქნებ კიდევ მოელით ჩემგან ცნობას. ახლავე დაგიწერთ: თოხი და ბარი მიეცით ხელში, ან ტყეში გარეკეთ და ეკალ-ბარდები ამოაძირკვიეთ-მეთქი... მომწყდით თავიდან, თორემ თავებს გაგიტეხთ! — ჯოხს წამოავლო ხელი.

დაფრთხნენ ქალები, წივილ-კივილით ჩაირბინეს კიბე და სირბილით დაეშვნენ სოფლის შარაგზაზე.

13

„ჩვენს ჩამორჩენილ ბრიგადას დახმარების მაგივრად ხუთი ქალი წაართვეს, — ფიქრობდა კრებიდან სახლში მიმავალი არჩილი. — იმიტომ, რომ შენ ორმოცდათხუთმეტი მუშახელითაც გააკეთებ შენ საქმესო. რომ ვერ გავაკეთო? მაშინ რა პასუხი გავცე ხალხს? იმას ხომ არ ვიტყვი, ხუთი მუშახელი წამართვა თავმჯდომარემ და ამიტომ ვერ გავუძეხი ბრიგადას მეთქი. კირილემაც რომ დაუჭირა სანდროს მხარი! ნუ გავიწყდება, რომ სანარდო სისტემაზე გადავდივართო, — შეჩერდა არჩილი, შეკრული სახე გაეშალა. — მართლაც სულ სხვა მუშაობას გაშლის სანარდო სისტემა. ეცოდინება რა წევრს, რასაც გააკეთებს, იმის მიხედვით დაეწერება შრომადღე, მაშინ გამოიღებს ხელს. თუ ყველა გამოვიდა, ჩემი ბრიგადის წევრები მოვერევით საქმეს“.

არჩილი ძილის წინ კვლავ იმ ხუთ ქალზე ფიქრობდა, მაგრამ ახლა უკვე თითონ ამართლებდა თავმჯდომარესა და გამგეობის გადაწყვეტილებას. „მართლაც, რა უნდა უქნას მარო ჩხაიძემ ზღვა ფოთოლს. მეც ასე მოვიქცეოდი სანდროს ადგილზე“.

შუაღამე გადასული იყო. სოფელს ეძინა. არჩილი გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე აივანზე იძინებდა. პირაღმა იწვა ახლა ლოგინზე და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეჰყურებდა. რული არ ეკარებოდა მის თვალს.

„მაშასადამე, მე შევცდი დღეს, ბრიგადირად არჩევის დღესვე. არ შეცდა სანდრო, არ შეცდა კირილე, ევტეხი, ნესტორი... ვერ მივხვდი იმას, რასაც

ისინი მიხვდნენ. რა ბრიგადირი გამოვა ჩემგან? იქნებ უარი ვთქვა ბრიგადირობაზე სანამ გვიან არაა. კირილე ან ნესტორი უნდა იყოს ბრიგადირი. აი ისინი უნდა აერჩიათ და არა მე. როგორ უნდა ვუხელმძღვანელო მე მათ. ჩემზე მეტი იციან, ჩემზე მეტი გამოცდილება აქვთ. მე მარტო ჩემს ბრიგადაზე ვფიქრობ, ისინი კი—მთელ კოლმეურნეობაზე. მათ შვილიშვილად ვეკუთვნი და მე უნდა ვუხელმძღვანელო".

მთვარე დასცქეროდა, ევკალიპტის ფოთლის წვრილი ჩრდილები ერთიმეორეში ირეოდნენ მის ბალიშზე, საბანზე, მის დაფიქრებულ სახეზე. არ ხედავდა მთვარეს, არ ესმოდა ფოთლების ყრუ შრიალი.

„რა ვუყოთ მერე, მე ხომ მათ ამირჩიეს, კირილემ, ევტეხიმ, ნესტორმა. ამაზე კი არ უნდა ვფიქრობდე მე ახლა, არამედ იმაზე, თუ რითი დავიწყო, რა უნდა გავაკეთო პირველ რიგში... ხვალვე უნდა მივიღო ზომა, რომ უკლებლივ ორმოცდათხუთმეტი წევრი ყველა გამოვიდეს სამუშაოდ. როგორ, გამოვიყვანო, ნინუცი, კატო, აგრაფინა? ხვალ მე თვითონ წავალ მათთან. ჯერ არ ვიცი, როგორ, მაგრამ მე მათ ვაიძულებ..."

ოთახიდან დედის კვნესა შემოესმა.

„ორი წელიწადია არ ამდგარა დედა, — ტკივილით გაიფიქრა არჩილმა,— სანამ იგი ფეხზე იდგა და რგოლს ხელმძღვანელობდა, ერთი დღე არ გაუცდენიათ კატოს და აგრაფინას. კარგი ხელმძღვანელის ხელში ისინი ისევ ძველებურად იმუშავებენ... წელსაც წაგიყვან, დედა, წყალტუბოში და ადგები... მე ვიცი ადგები, დედა".

დედის ავადმყოფობა მოსვენებას არ აძლევდა არჩილს. იგი იყო მისი დედა, მამა, და, ძმა. მამა არ ახსოვდა, სამი წლისა დაობლდა და დედამ ისე გაზარდა, რომ ერთი დღე არ უგრძნობინებია შვილისათვის უმამობა. მეუღლის სიკვდილის შემდეგ ერთი ფიქრი ჰქონდა მას: არაფერი მოკლებოდა არჩილს, არავის დაეჩაგრა, თავის ტოლებს არ ჩამორჩენოდა. ამისათვის იგი წელგაუმართავ შრომაში ალამებდა დღეებს. კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე არც ერთ სამუშაოს არ ერიდებოდა. ყიდდა შეშას, ბარავდა ქირაზე ვენახს, თხრიდა ჭაობიან ყანებში წყლის საწრეტ თხრილებს და ამ მძიმე შრომამ თავისი კვალი დაუტოვა — ქარებმა დაუხუთა ფეხები.

მთელი ღამე არ უძინია არჩილს. რიყრაჟი დგებოდა, ეზოდან [illegible] გავიდა და პლანტაციისაკენ გაემართა.

„ნაკვეთში დავხვდები ხალხს. ასე ყოველდღე ყველაზე ადრე ავდგები, რომ სხვებმა ჩემს მაგალითს მიბაძონ".

მტრედისფრად ლივლივებდა ცისკიდური. ხან ერთგან ჩაქრებოდა ვარსკვლავი, ხან მეორეგან. გარეთ დატოვებული საქონელი მობუზული იდგა ჭიშკრებთან. სიწყნარეს ღორების ღრუტუნი არღვევდა. ასე ადრე ჯერ არ წასულა სამუშაოდ არჩილი.

„მთელ სოფელს სძინავს. რა იქნება, რომ ამ დროს დგებოდეს ყველა. რამდენი რამის გაკეთება შეიძლება გათენებამდე. ოცი თოხი მთელ ჰექტარს გათოხნის, სანამ თეთრად გათენდებოდეს. მთელი ბრიგადა ამ დროს უნდა მოდიოდეს სამუშაოდ".

ნაისრალი გადასჭრა და ფერდობს ჩაჰყვა. ეს ადგილი ამ ზამთარს გაკაფეს. შავად ზიმზიმებდა ამოძერკვილი მუხის, ცეცხლით გარუჯული ფესვები. ნახევარი ფერდობი გადაბარული იყო და მანდარინი იყო ჩაყრილი.

„რაც გაზაფხულზე ვერ დავრგეთ, შემოდგომაზე უნდა დავრგოთ. ჩაის და ციტრუსის ახალი ფართობის გაშენების გეგმა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევასრულოთ".

გაიარა ფერდობი. ციოდა. ნამისაგან დაუსველდა შარვალი, ხალათის ტოტები. თოხი იღლიაში ჰქონდა ამოდებული და ისე მაგრა მიეკრა გვერდზე, თითქოს მას შეეძლო გაეთბო.

„ამ დროს კი არა, შეიძლება უფრო ადრე ადგეს კოლმეურნე, თუ კი მისი ნაშრომი სხვას არ დაეწერება. ახალი წიგნაკები უნდა დაურიგო ყველას პირველ რიგში. ყოველდღიურად უნდა ჩატარდეს ნამუშევარის აღრიცხვა".

ზევიდან შემოუარა ბორცვს და შედგა. ზღვასავით ლივლივებდა ბინდბუნდში პლანტაცია... მაგრამ არჩილის ყურადღება ამან კი არ მიიპყრო: ჩაის ბუჩქზე დახრილ ელენეს ორი კალათი დაეკიდა წელზე და ფოთოლს კრეფდა. მარჯვენა ხელით მოკრეფილს მარჯვენა კალათში ყრიდა, მარცხენათი მარცხენაში.

გაოცებული იდგა არჩილი და თვალს არ აშორებდა სურათს: „რამ მოიყვანა

ასე უთენია, მარტოდმარტო მთელს პლანტაციაში... ორი ხელით კრეფს, ორით!".

სწრაფად გასწია ელენესაკენ. შორიახლო შედგა.

ჩვეულებრივი სისწრაფით კრეფდა ელენე მარჯვენა ხელით, მაგრამ მარცხენათი, როგორც კი წაეტანებოდა ფოთოლს, მარჯვენა უბორკდებოდა. ერთი ხელი მეორეს უშლიდა. არ ნერვიულობდა, დინჯად, აუღელვებლად კრეფდა, ისე იყო გართული თავის საქმით, რომ არაფერს ხედავდა გარშემო, არაფერს გრძნობდა. სახე ხან შეეჭმუხნებოდა, ხან თვალებში ნათელი ღიმილი გაუელვებდა, გაეშლებოდა შუბლი.

„მოვკრეფ, მოვკრეფ ორივე ხელით! — წაიჩურჩულა სიხარულით. — ერთი კვირის, ერთი თვის შემდეგ ისევე მოვკრეფ მარცხენა ხელით, როგორც მარჯვენათი ვკრეფ!"

— ელენე! — ჩურჩულით წარმოსთქვა არჩილმა მისთვის საყვარელი სახელი.

შეკრთა ელენე. არ ელოდა ამ დროს არჩილს აქ. იდგა ბუჩქებში აქეთ-იქით წელზე კალათებდაკიდული, დაფრთხალი შველივით შემართული და როგორღაც მხიარულად გაოცებული. ცვარისაგან დასველებული ჩითის კაბა მკლავებზე და თეძოებზე შემოკვროდა.

— რას აკეთებ, ელენე? რამ მოგიყვანა აქ ამ დროს?!

— რამ მომიყვანა? გაიმეორა ელენემ დაფიქრებით, — როგორ გითხრა, არჩილ? ჩვენი პლანტაცია ახლაა ასე... მაგრამ როცა ფერს დაიდებს, ბუჩქი ბუჩქს დაემსგავსება და ზღვასავით წამოვა ფოთოლი,—გაჩუმდა, შეხედა არჩილს, — შენ არ გიფიქრია, არჩილ, რატომ ვკრეფთ ჩვენ მხოლოდ მარჯვენა ხელით? — არ დაუცადა არჩილის პასუხს, თითქოს იცოდა, რომ არჩილი არ დაფიქრებულა ამაზე და განაგრძო; — ხომ ეჩვევიან მარცხენა ხელით წერას, ჭამას. პატარაობისას მე სუფსაში ერთი ხარაზი ვნახე. იგი ცალხელა იყო და მარცხენა ხელით კერავდა წუღას.

ბინდი შეთხელდა.

ელენეს ხელები ისე ჩაეჭიდა აქეთ-იქით კალათებისათვის, თითქოს დოინჯი შემოუყრიაო. ისე სჩანდა ერთი შეხედვით. იმიტომ ჰქონდა კალათებისათვის ხელი ჩაკიდებული, რომ მღელვარება დაეფარა. თვითონვე არ იცოდა, რატომ თრთოდა, იმის გამო, რომ პირველად იდგა მარტოთ-მარტო პირისპირ არჩილთან და ხედავდა დაუფარავი აღტაცებით მიპყრობილ [illegible] — თვალებს, თუ იმიტომ, რომ ახლა, როცა ამ სიტყვებს ეუბნებოდა არჩილს, მთელი სიცხადით წარმოიდგინა, რას ნიშნავდა ორი ხელით კრეფა.

— ელენე... თუ მართლა შესაძლებელია ორი ხელით კრეფა... იცი, რა სასწაულს მოახდენს ეს?

— ჰო, არჩილ, ყველამ რომ ორი ხელით მოკრიფოს... მე არ მჯეროდა. ასე ადრე იმიტომ მოვედი, რათა მეცადნა...

— მერე?

— არც ისე ძნელია, როგორც მე მეგონა. აბა, უყურე, არჩილ, — ბუჩქზე დაიხარა. მოსწყვიტა ერთი დუყი, შემდეგ მეორე, მესამე. მოეცარა ხელი. — სასაცილო ვარ არა, არჩილ? შევეჩვევი, სულ მალე შევეჩვევი. აი, შენ ნახავ, არჩილ. მერე ტატიანას, მაშოს და ნინოსაც ვასწავლი...

— ელენე! — შესძახა არჩილმა და მისწვდა მის ხელებს, მკერდზე მიიკრა სველი, ცივი, გამხდარი და პატარა.

ისე სცემდა მისი გული, ელენეს ეგონა ეს-ეს არის მკერდს გაანგრევსო და შეშინებული მიეკრა ზედ, რომ დაეფარა, არ გასკდომოდა მკერდი, მაგრამ ახლა ორი გულის ბაგა-ბუგი გაიგონა და იგრძნო, როგორ ეცლებოდა ფეხიდან მიწა, აი, ახლა წავიქცევიო გაუელვა თავში, მაგრამ ამ დროს არჩილმა ორივე ხელები მოხვია. იგი ფეთქავდა მის მკლავებში ცვარისაგან დასველებული, მაგრამ მაინც თბილი, მკვრივი, მორჩილი და სუსტი.

უცებ სულ ახლოს ცხენის ფლოქვების თქარუნი ავარდა. შეფრთხიალდა ელენე, ელვის სისწრაფით დაუსხლტა არჩილს მკლავებიდან და უკან მიეფარა შემკრთალი და შეშინებული. ბრიგადის გაქაფული ცხენი ზედ არჩილის წინ ყალყზე შემართა ილიკომ და დაქვეითდა.

— ჩემი ძვირფასი გამარჯვება, ელენეს და არჩილს! — უტიფარი ღიმილით მიესალმა ილიკო, ელენესა და არჩილს და ალვირი კისერზე გადაუგდო ცხენს, პლანტაციაში მიუშვა...

— რას ჩადიხარ? დაიჭირე ცხენი! — შესძახა არჩილმა.

იმდენად მკაცრი და მბრძანებლური იყო მისი კილო, რომ ილიკო სახტად

Библиотека

დარჩა ერთხანს, მერე შებრუნდა და აღვირში სწვდა ცხენსა, რომელიც ფეხებით თელავდა ნორჩ დუყებს.

— ხელი შეგიშალეთ მგონი. — გესლიანად ჩაიცინა არჩილის ქცევით გაბოროტებულმა ზედობანიძემ და თან მუშტი შემოკრა ყბაში ცხენს, რომელმაც თავი გაართვა და კვლავ წაეტანა ჩაის ბუჩქს. — სახლში ვიყავი შენთან, არჩილ. დედამ მითხრა პლანტაციაში წავიდაო, — ელენეს გადახედა, — ვიფიქრე, ამ დროს პლანტაციაში რამ წაიყვანა მეთქი, მაგრამ სიყვარული განთიადისას კი არა, შუალამისას წამოაგდებს კაცს. — არჩილის შეკრულ შუბლს რომ შეხედა, შეშინდა, — აბა, რაა, საქმე რომ გიყვარს და იცი, იმიტომ ჩაგაბარეს ბრიგადა, მაგრამ შე რად მღუპავთ? რატომ ვარდებით ჩემი ცოლშვილის ცოდვაში? მე, ბიძია, მამაშენზე უკეთესი შემწე არავინ მყავდა მთელ სოფელში და შენ რად მადგამ ფეხს? თუ მამას ვეცოდებოდი და ხელს მიმართავდა გაჭირვებულს და ღარიბ-ღატაკს, შენ რას მერჩი, ან სანდროს რა უნდა ჩემთან? ბრიგადირობა კი ჩამომართვით და რაღა გინდათ კიდევ?

— მოკლეთ თქვი, რა გინდა, ილიკო. სალაპარაკოდ მოხვედი ამ დილით აქ, თუ სამუშაოდ.

— დილა სადაა ჯერ, მუშაობას დღის სინათლეზე იწყებს ადამიანი, შენ თუ ამ დროს უპირებ ხალხს გამოყვანას, დავღუპულვართ და ესაა. ამ დროს რა არის კარგი, ბიძიავ, იცი? კი გცოდნიათ და ამიტომ მოსულხართ. ბედი გქონია, არჩილ, ქვაზე დაგასახლებს დედამისის შვილი. ორი კალათი რად დაგიკიდია, ცავ? — მიუბრუნდა ელენეს.

ელენემ ზიზღით შეხედა, მერე ზურგი შეაქცია. ფერდობს აჰყვა და ცალი კალათის მოხსნას შეუდგა.

— მომიკვდეს თავი, — შეიცხადა ილიკომ. — რა უთხარი საწყენი? ორი კალათი რად დაგიკიდია მეთქი. ჯერ არ მინახავს, ორი კალათი რომ დაეკიდოს ადამიანს ჩაის საკრეფად და გავკვირდი კაცი.

— შენ მალე ბევრს ნახავ აქ გასაკვირველს, — ცივად უთხრა არჩილმა, — ახლა შენი სათქმელი მორჩი. მერე წადი სახლში, თოხის მოსატანად და მისვლა და დაბრუნება ერთი იყოს.

— სანამ მე ჩემს საქმეს არ გამოვარკვევ, თოხს კი არა, ლუკმას ვერ მოვკიდებ ხელს. კომისია რომ შეუდგენია იმ ჩემი ცოდვით სავსე თავმჯდომარეს და აქტით გადაგაბაროსო ბრიგადა, რომ უთქვამს, შენ ბიძავ, სიტყვა ვერ შემაწიე. ჩემს და შენს შორის აქტი რა საჭიროა? რა უნდა თუ იცი იმ კაცს ჩემგან?

— კომისია მე თვითონ მოვითხოვე, — შეაწყვეტია არჩილმა.

— შენ გამომჭერი ყელი? — აენთო უცებ ილიკო. — მოკვდეს ილიკო ზედობანიძე, თუ შენ კომისიას შეუშინდეს. თუ მაგრე წავიდა საქმე, აწი მე მიყურეთ. რაში მომთხოვენ პასუხს? იმაში, რომ პლანტაცია დროზე ვერ გავათოხნიე და გადავაბარვიე? — აღვირს ხელი შეუშვა, — უქმური ადგილი გვაქვს, ხახევარზე მეტი ხალხი ავადაა. ზოგს აციებს, ზოგს ნაღველმა გადაუარა, ზოგი სისხლნაკლებია და ზოგი ტვინნაკლები. ზოგსაც ტვინი აწუხებს და არ იცის, რა გააკეთოს, რითი ავნოს ადამიანს.

— ჭკუით ილაპარაკე, ილიკო.

— ჭკუით რა მალაპარაკებს, ბიძავ, სამარეს მითხრით კაცს და ჭკუას მკითხავთ?... იქნებ წიგნაკები რომ დავკარგე, ამით მიპირებ წახდენას. დავკარგე, ხომ არ გადამიყრია. ამისათვის ჩამომახრჩობენ? ან რა საჭიროა წიგნაკები. ვინც არ დაკარგა იმის ბრიგადის წევრებს რა უწერიათ შიგ. მე თუ მკითხავთ, სულ არ არის საჭირო წიგნაკი. დიახ, არ არის საჭირო. ანგარიში ყველა წევრს აქვს გახსნილი, ტაბელს მიიტან და იქ გაატარებს მოანგარიშე, მორჩა და გათავდა.

— ასე რომ ფიქრობდით შენ და შენი თავმჯდომარე, იმიტომ წაიყვანეთ კარგად საქმე.

— ვნახოთ, თქვენ როგორ წაიყვანთ, ბიძავ.

— რატომ. ხომ ხედავ, ჯერ კარგად არც გათენებულა და თითქმის ყველა გამოსულია სამუშაოდ.

ბრიგადის წევრების უმრავლესობამ წუხელვე გაიგო არჩილის ბრიგადირად არჩევის ამბავი და ამ დილით ზოგი ისეთი წევრიც კი გამოსულიყო პლანტაციაში, რომელიც ავადმყოფობის ცნობას აფარებდა თავს.

გული გაუსივდა ილიკოს, პლანტაციას რომ გადახედა. ამდენი კაცი და ქალი და ისიც ამ დროს, ჯერ არ უნახავს თავის ბრიგადაში.

— ასე მიხდით სიკეთეს? — შესძახა შან ხალხს და მაშინვე არჩილს მიუბრუნდა. — ნუ გიხარია, ეს დღესაა, შენ მაშინ დაიტრაბახე, ხვალაც რომ ამდენი ხალხი მოგივიდეს. მაშ, კომისია დაძინიშნე? აბა, მე და აბა შენ, თუ მაგრეა საქმე. — მოახტა ცხენს და ზედ მიეჭრა არჩილს. — ზედობანიძე ისე არ წამხდარა შენისთანა ღლაპს, რომ შეუშინდეს, შე ყაზილარო.

— ილიკო... მაგ შენ ჭაღარას უმადლოდე, — მისწვდა აღვირში შეურაცხყოფისაგან გაფითრებული არჩილი, ძლივს იკავებდა თავს. — ჩამოდი, ცხენიდან!

არჩილის სახის დანახვაზე შიშმა აიტანა ილიკო. მაშინვე გადმოხტა ძირს.

— გეყო ამ ცხენით ჯირითი, ილიკო. იგი კულტივატორში უნდა ებას ახლა. წაიყვანე ახლავე ბოსელში.

ილიკო ხმაამოუღებლივ ჩაჰყვა აღმართს და ცხენი თან გაიყოლა, ისე მიეფარა ფერდობს, უკან არ მოუხედავს.

სალამოს ადრე შეაწყვეტია არჩილმა ბრიგადას მუშაობა და კრება პლანტაციაში მოიწვია. ილაპარაკა ბრიგადის ამოცანების შესახებ და დასახა მუშაობის კონკრეტული გეგმა.

— ეს ყველაფერი კარგია, არჩილ, მაგრამ „ავადმყოფების“ გამოყვანას, რა გზით აპირებ? — ჰკითხა ტატიანამ, როცა არჩილმა სიტყვა დაასრულა.

— შინაგანაწესის საფუძველზე ჩვენ მათ გავაფრთხილებთ.

— გაფრთხილება გასჭრის კატოზე და აგრაფინაზე?

— არ გასჭრის და საყვედურს გამოვუცხადებთ.

— რა ეშველება ნინუცის, თუ საყვედური გამოვუცხადეთ. აღარ დაეძინება ჯავრისაგან, — გაიცინა ნინომ.

— ჩვენ გვაქვს უფრო დიდი სასჯელიც, ამხანაგებო. გაიცხვა, კოლმეურნეობიდან გარიცხვა.

— მაგ კი მართლა დაუფრთხობთ ძილს, — მოიწონა ევტიხიმ. — რას იტყვი, კირილე ჰა? მათ კოლმეურნეების ყველა უპირატესობით ისარგებლონ და კოლმეურნეობაში ფრჩხილი-ფრჩხილზე არ დაკრან, რად გვინდა ასეთი წევრები, ჰა?

— არ გვინდა, ნენა. არც გვეყოლება დღეიდან მაგისთანა წევრი. ამ საქმეს ეშველება, მაგრამ არა მარტო შინაგანაწესი უშველის. უნდა გავუხსნათ ჭკუა იმ ხალხს, ჩავახედოთ თავის საქციელში. ეს მარტო ბრიგადირის საქმე როდია, ნენა. შენ ტატიანა, ალიონზე რომ გარბიხარ პლანტაციაში, ამ დროს კი, აგრაფინა და კატო ბაზარში მიეშურებიან დატვირთულები, რატომ არაფერს ეტყვი, ნენა? იქნებ შენი საქმე არ არის ეს, შენ არ გეკითხება?

— სწორედ რომ ჩვენი საქმეა.

— ჩვენ გვეკითხება, აბა ვის ეკითხება.

— მის სამუშაოს მე ვაკეთებ. ამ დროს ის ბაზარში ჯიბეს ისქელებს. ორივე კი კოლმეურნის უფლებითა და უპირატესობით ვსარგებლობთ. ჩვენი საქმე არაა, მაშ რა ჯანაბაა?

ერთხმად ალაპარაკდა ქალი და კაცი.

— ჰო და თუ ჩვენი საქმეა და ჩვენ გვეკითხება, ნენა, ნუ დავუცდით სანამ გამგეობა გაფრთხილებას მისცემდეს, ან საყვედურს გამოუცხადებდეს მათ: ჩვენ მოვუაროთ ჩვენ საქმეს.

„თუ ასე ყველა საქმეში გამოიღებენ ხელს, არ გამიჭირდება“, — ფიქრობდა არჩილი და ღიმილით და ოცნებით შეჰყურებდა თავის წევრებს.

— ვის გინდათ კიდევ სიტყვა, ამხანაგებო?

— მე მინდა, — შეანათა ცალი თვალი ნესტორმა. — მე მგონი ახლა მთავარი ყურადღება პლანტაციის გათოხნას და სასუქის შეტანას უნდა მივაქციოთ. შემოღობვა დაიცდის.

— დაიცდის, შეიძლება მკრეფავებსაც წავართვათ რამდენიმე ქალი და თოხს მოვკიდოთ ყველამ ხელი. გვალვამ მაგრა მოიკიდა ფეხი. წვიმას პირი არ უჩანს, მიწის გაფხვიერება დიდ შეღავათს მისცემს ბუჩქს. გვალვის დროს სიმინდს სამ-ოთხჯერ ვაძლევდით თოხს. „კარგი თოხი-წვიმააო“, იტყოდა ცხონებული მამაჩემი.

— ეგ ხომ წიგნშიაც წერია, — წამოყო თავი ელენემ. — მე ჩემი თვალით წავიკითხე. მე ჩემი რგოლიდან ორ ქალს გაძლევ, არჩილ. — მიმართა ელენემ არჩილს.

— მე ერთს.

— მე სამს.

— ორს.

წამოდგნენ მერგოლურები:

— რა გვაქვს იმდენი საკრეფი.

— რას გვაძლევს გვალვისაგან შეწუხებული და ბარდით დაფარული ბუჩქი.

სოფელს ეძინა, შარაგზაზე პლანტაციიდან მომავალი არჩილის ბრიგადის წევრების სიმღერა რომ გაისმა. ატყდა ძაღლების ყეფა, გაისმა კარების ჭრიალი.

— ვინ არიან?

— მეშვიდე ბრიგადაა?!

— ზედობანიძის ბრიგადას ამ დრომდე პლანტაციაში რა უნდოდა?

— ზედობანიძის ბრიგადა კი არა, არჩილ სირაძის ბრიგადაა იგი ახლა.

ისმოდა სახლის აივანზე გამოსული მეზობლების გადალაპარაკება. ელენე და არჩილი ერთად მოდიოდნენ. ისინი არ მღეროდნენ. ესმოდათ, როგორ იღებოდა სახლის კარები, ჭიშკრები. ესმოდათ სიტყვები:

— ყოჩაღ სირაძე!

— ახლა კი ამუშავდება მეშვიდე ბრიგადა.

— არჩილ, — ხელი მოკიდა ელენემ არჩილს, — რა იქნება, რომ აი ასე ყოველთვის ყველაზე გვიან ბრუნდებოდეს ჩვენი ბრიგადა პლანტაციიდან, — თქვა და შეხედა არჩილს, სიბნელეში ვერ დაინახა არჩილის სახე, მაგრამ იგრძნო, რომ ამასვე ფიქრობდა ახლა იგი და ჩუმი ხმით დაუმატა: — რომ ყველაზე ადრე გამოვდიოდეთ სამუშაოდ. ჩვენ ვაღვიძებდეთ სოფელს...

— რომ ამბობდნენ, — განაგრძო არჩილმა, — ადექით, მეშვიდე ბრიგადა წავიდაო. სალამოს კი: ადრეა, ჯერ მეშვიდე ბრიგადას არ შეუწყვეტია მუშაობაო.

მათ ერთმანეთს ჩასჭიდეს ხელი და ახლა იგრძნეს, რომ ჩამორჩენოდნენ წევრებს. ორივემ აუჩქარა ნაბიჯს.

მიდიოდნენ ჩუმად, ბედნიერნი, აღელვებულნი და ოცნებაში წასულნი.

14

ივლისის თბილი სალამო იყო. ზეზე წითლად ეშვებოდა ზღვაში და მისი წყნარი ზედაპირი ისე აელაპლაპებია, გეგონებოდათ ცეცხლი უკიდიაო მთელ ზღვას.

სოფელში ყოველ მხრიდან შემოდიოდნენ პლანტაციებიდან დაბრუნებული კოლმეურნეები. შორეულ ნაკვეთებიდან საბარგო მანქანები მოჰქროდნენ. მანქანებში ქალებთან და მამაკაცებთან ერთად მოზრდილებიც ისხდნენ. სკოლა თითქმის ყოველდღე ეხმარებოდა კოლმეურნეობას ჩაის ფოთლის კრეფაში. ყველა სკოლაში გამოცდები დამთავრებული იყო და ჩაის ფოთლის საკრეფად, მოწაფეებთან ერთად, მასწავლებლებიც გამოდიოდნენ.

სანარდო სისტემის შემოღებამ დიდი შრომა გაშალა. ვისაც კი ხელის განძრევა შეეძლო, ერთ საათს არ ატარებდა უქმად. გამგეობაში მოდიოდნენ მოხუცები, კაცები და ქალები, რომლებიც შრომის უნარის დაკარგვის გამო დიდი ხანი იყო აღარ მუშაობდნენ კოლმეურნეობაში და ახლა სამუშაოს თხოულობდნენ.

სამუშაო ყელამდე იყო.

იაგორას მოხსნის მესამე დღესვე ჩამოვიდა რაიონიდან ექიმი, მაგრამ მას ავადმყოფობის ცნობისათვის არავინ აკითხავდა. თითქმის ყველა, ვინც რაიმე მიზეზით თავს არიდებდა კოლმეურნეობას, მხარში ამოუდგა თანასოფლელებს და წესიერად და პატიოსნად მუშაობდნენ. მხოლოდ ილიკოს, ნინუცის, კატოს და აგრაფინას არ ეშველათ არაფერი. არც რჩევა-დარიგებამ და არც სასჯელმა არ გასჭრა.

— რა გინდათ ჩემგან, მინიმუმი გამომუშავებული მაქვს, ასოცი შრომადღე ჩემისთანა სნეულ ადამიანს კი არა, ზოგიერთ ჯანმრთელს არ ექნება გაკეთებული. — ეუბნებოდა კატო კვაჭაძე დაზეპირებულ სიტყვებს ყველას.

კატოს სახლში კოლმეურნეობას აბრეშუმის ჭიის თესლის საინკუბატორო კამერა ჰქონდა გახსნილი. იქვე ცხოვრობდა მეაბრეშუმე აგრონომი. იგი ნაცვლად ერთი გრამი თესლისა, ორ გრამს აძლევდა ერთგულ დიასახლისს და ერთს კი უწერდა.

კატო დღე და ღამ აბრეშუმს დასტრიალებდა თავს და როგორც კოლმეურნეები ამბობდნენ, წელიწადი ისე გაივლიდა, პლანტაციას ახლო არ ჩაუვლიდა.

სანამ ჭიას უვლიდა მთელი დღეები თუთის ხიდან ხეზე გადადიოდა, ქაჯივით მოექცეოდა წვერზე, რაც გინდა მაღალი ხე ყოფილიყო, ისე ჩამოჩეხავდა ტოტებს, ისე გაატიტვლებდა მთელ ხეს, რომ იმავე წელიწადს ხმებოდა ძირიანად.

ჩაბარებდა პარკს, შეასრულებდა შრომადღეების მინიმუმს და მერე თავის საკარმიდამოში ტრიალებდა. ნინუცისავით მასაც ყოველთვის თავი წაკრული ჰქონდა და ხან რას იტკივებდა და ხან კიდევ რას.

ილიკო ზედობანიძემ იმ დღიდან, რაც არჩილს ბრიგადა გადაებარა, კოლმეურნეობაში მუშაობას თავი მიანება და სახლში ჩაიკეტა. გადაბარების აქტზე ხელი არ მოაწერა. არაფერში არ თვლიდა თავს დამნაშავედ და ყველაფერს ეგნატეს და იაგორა ფერშალს აბრალებდა. კომისიის წევრების ერთი ნაწილი მის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვდნენ, მაგრამ თავმჯდომარე წინააღმდეგი წავიდა.

„დასასჯელი ის იყო, ვინც ილიკო ბრიგადირად დანიშნა, — ამბობდა სანდრო, — ილიკო რომ ვერ უხელმძღვანელებდა ბრიგადას, ამას ბავშვებიც მიხვდებიან. ერთი შეცდომა მისი ბრიგადირად არჩევა იყო. მეორე მისი პასუხისგებაში მიცემა იქნება. ვინც დასასჯელი იყო, დაისაჯა. პარტიიდან გარიცხეს ეგნატე. იაგორას კი მუშაობა აუკრძალეს და ერთი წლით პირობითი სასჯელი მისცეს. ილიკომ ერთგული და თავდადებული შრომით უნდა გამოისყიდოს თავისი დანაშაული“.

რამდენი არ ეცადა სანდრო, ილიკო სამუშაოდ გამოეყვანა, არაფერი გაუვიდა.

„ჩემი მუშაობა თუ გინდათ, ასე არ გამწირავდით. ბრიგადირობიდან მოხსნა არ მაკმარეთ, კომისია დამინიშნეთ და აქტი შემიყენეთ. გაციმბირებას მიპირებდით, მაგრამ თურმე იმ ოჯახაშენებულ რაიკომის მდივანს ვუხსნივარ. ღღეის შემდეგ ჩემს ჭიშკარზე არავინ დაიძახოთ, მე თქვენი წევრი არ ვარ. კატისციხის კოლმეურნეობაში გადადივარ, იქ უნდა დავსახლდე ჩემი ოჯახით, იქ იციან შრომისა და პატიოსნების დაფასება. მალე გაიგონებთ ჩემს სახელს“. იმეორებდა ერთ და იგივეს ილიკო, მაგრამ არც კატისციხეში მიდიოდა და არც თავის ოჯახში აკეთებდა რაიმეს.

არ გასჭრა რჩევა-დარიგებამ, კეთილმა სიტყვამ, კეთილმა სურვილმა და გამგეობა იძულებული გახდა ჯერ სასჯელის პირველი ზომისათვის მიეცართა — ილიკო გააფრთხილეს. არც ამან გასჭრა და არც საყვედურის გამოცხადებამ.

უკანასკნელად იგი პარტორგანიზაციის მდივანმა შალვა ჩიჩავამ ინახულა სახლში.

— ბავშვების და მეუღლის ცოდვას მაინც როგორ უძლებ, თუ სხვა არაფრის დარდი გაქვს? მთელი სოფელი შენზე ლაპარაკობს, ქვეყანას გამოეთიშე, დაგლახდი ყაზახი, დაძაბუნდი, სანამდე უნდა იყო ასე? შეხედე, ამბაკო ქარჩავას, იმაზე უქნარა მეორე არ გვყავდა კოლმეურნეობაში. ახლა ორ შრომადღეს აკეთებს დღეში. ათი ფუთი სიმინდი მივეცით ავანსად, ამ შემოდგომაზე სახლს გადავუხურავთ. შეხედე, როგორ წელში გამართული დადის; როგორ გამოცოცხლდა, მთელი დღე ცოლიან-შვილიანად ნაკვეთში ტრიალებს. მის პლანტაციას ავი თვალი ვერ შეხედავს. სამოც კილოგრამ პირველ ხარისხის ფოთოლს კრეფენ დღეში. არა გრცხვენია კაცს, ამბაკო ქარჩავამ გაჯობოს.

თავჩაღუნული უსმენდა ილიკო. ჯიუტად შეკრულ შუბლზე ხელისგულს ისვამდა.

— არ ვიმუშავებ, შიმშილით მოვკვდები და თქვენთან არ მოვალ, დაფურთხებულს არ ავლოკავ. რას შემომიჩნდით. სანამ სული მიდგია დამაყენეთ ჩემს ჯარგვალში, — ამოილუღლუღა ბოლოს.

— არ დაგაყენებთ, ილიკო, — უთხრა მშვიდად შალვამ, — თუ ხვალ სამუშაოდ არ გამოსულხარ, ზეგ შენ საკითხს საერთო კრებაზე გავიტანთ და საჯაროდ გაგკიცხავთ. იცი, რას ნიშნავს გაკიცხვა?

იმ ღამეს ძილი არ მიკარებია ილიკოს თვალებს. შამფურივით ტრიალებდა ლოგინში.

„საჯაროდ გაგკიცხავთო. იცით, რას ნიშნავს გაკიცხვა? როგორ არ ვიცი. ეს მაკლია მე ახლა? მეც იმ გზაზე დავდგე, რა გზაზედაც აქვსენტი მაძღარაძე დადგა?“

აქვსენტის რომ მითვისებული მიწა ჩამოუჭრეს, ნინუცომ კოლმეურნეობაში მუშაობას თავი დაანებებია. იგი ოთხჯერ გამოიძახეს გამგეობის კრებაზე, ოთხი სასჯელი მისცეს, და თავისი მაინც არ დაიშალა. შემდეგ კოლმეურნეობიდან გარიცხეს.

„აქვსენტის დღე მომელის მეც. გამ-

რიცხავენ. საკარმიდამო ფართობს გამინახევრებენ და რაღა დამრჩენია მერე ამ ქვეყნად“?

ტანში გააჟრჟოლა. სიცივემ აიტანა.

ყველას ეძინა ჯარგვალში. ჭრაქი ხრჩოლავდა კუთხეში. წამოდგა. ცეცხლს შეუკეთა და კერას მიუჯდა. ერთხანს გაქვავებულივით იჯდა და ცეცხლს ჩასცქეროდა.

„იმ ჩემი ცოდვით სავსეებს ახალი შინაგანაწესი რომ შეუმუშავებიათ, იქ თურმე წერია,—შეირხნენ მისი გამშრალი ტუჩები, — პირველი გაფრთხილება, — მოხარა მარჯვენა ხელის ნეკი, — მეორე საყვედური,—მიაყოლა შემდეგი თითი, — მესამე გაკიცხვა საერთო კრებაზე, მეოთხე ჯარიმა ხუთი მრომადღით, მეხუთე გარიცხვა... — თავი ასწია, კედელს მიაჩერდა, თავის ჩრდილს შეხედა და ხმამაღლა დაუმატა: — სიკვდილი! — შეაშინა თავისმა სიტყვამ: — რაო, სიკვდილიო? სიკვდილი მე, ექვსი შვილის პატრონს? — ფეხზე წამოიჭრა: — არა, ილიკო ზედობანიძევ, არ გაქვს სიკვდილის უფლება. — ისე ხმამაღლა შესძახა, რომ ცოლი და ბავშვები წივილ-სხრიალით წამოცვივდნენ ლოგინიდან.

— რა ამბავია, რა მოხდა? — შეჰკივლა დესპინემ ცეცხლის პირას საცვლების ამარა აყუდებულ ქმარს. — ილიკო, ილიკო, რამ გაგაშტერა, ნუ გადამირიე ბავშვები, ნუ დამიწყვიტე შიშით. ხმა ამოიღე, შე ჩემი ცოდვით სავსევ, ენა ხომ არ ჩაყლაპე?

— არა მაქვს სიკვდილის უფლება, დესპინე, არა...

— რაო, კაცო, სიკვდილის უფლებაო? — შეიცხადა დესპინემ და ლოყებზე შემოიკრა ხელები, — დიდუ, მიშველეთ, გადამერია ქმარი.

— გადავირიე, გადავირიე, დესპინე და რატომ აქამდე ვერ დაინახე გარიცხვას რომ მიპირებენ კოლმეურნეობიდან, რამ ჩაგიგდო ენა? რამ დაგიფსო თვალი, რატომ ჯოხი არ დამარტყი თავში, რომ აქამდე მივიყვანე საქმე? ორი სასჯელი გამომიტანეს, კიდევ ორი დარჩა და ჰაიდა, ილიკო ზედობანიძე, დამსვამენ ქონიან ნიჩაბზე და აღგვილი ვარ მერე ქვეყნის პირიდან. არა, დესპინე, ვინც კოლმეურნეობაში არაა დღეს, ის არც ამ ქვეყნადაა. რას მომშტერებიხარ, შე ქალო? მითხარი რამე, თორემ ამომხდა სული.

— რა გითხრა, ილიკო, — შეანათა ცრემლიანი თვალები დესპინემ. — კი არ გადარეულხარ, ჭკუაზე მოსულხარ. მიმხვდარხარ შენს სიგლახეს. — ციებისაგან გაყვითლებული ხელი თავზე დაადო, თვალებში ჩახედა და მისმა სახემ უცებ ისეთი მკაცრი და ბრძანებლური გამომეტყველება მიიღო, რომ ილიკოს ფერი წაუვიდა. — შეხედე ამათ. — უჩვენა შიშველ-ტიტველ ბავშვებზე. ისინი ტახტზე ჩამომჯდარიყვნენ და შიშით შეჰყურებდნენ დედამამას. მათი გამხდარი სახე და ნაღვლიანი თვალები ისე აშკარად, ისე გულწრფელად გამოხატავდნენ მათ მწარე ცხოვრებას, რომ ქვას აატირებდა. — აი, სანამდე მიიყვანე ოჯახი... იმათ რომ არ გაგიცხონ, მე თვითონ... — ხმა ჩაუწყდა დესპინეს, ტუჩები გაუშრა, ერთბაშად მოწყდა და ხელები მოკვეთილივით ჩამოეყარა.

— დესპინე. — ამოიკვნესა ილიკომ და ხელი მოკიდა ცოლს.

— დედა!

— დედიკო, რა დაგემართა?

წამოიშალნენ ბავშვები და ტირილით შემოეხვივნენ დედას. გამხდარი, სუსტი იგი მკვდრეთით ამდგარს ჰგავდა. დღედაღამეს ასწორებდა დესპინე კოლმეურნეობაში და სახლში წელგაუმართავ შრომაში, მაგრამ შვიდ სულს ვერ აუვიდა. არავითარ შრომას არ ერიდებოდა იგი, თოხნიდა, ბარავდა, ფოთოლს კრეფდა. კოლმეურნეობაში უყვარდათ, პატივს ცემდნენ. ხშირად გაიგონებდით მის სახელს კრებაზე, ნახავდით კედლის გაზეთში. გარეთ იგი თამამი, გაბედული და პირდაპირი იყო, მაგრამ ქმართან ყურმოჭრილ ყმას ჰგავდა. ასე ჩააგონეს მას პატარაობიდან: იყავი ქმრის მორჩილი და შრომისმოყვარეო. ასე გაატარა დესპინემ თხუთმეტი წელიწადი ილიკოსთან. სულ თვალებში შეჰყურებდა. ერთხელ სიტყვა არ შეუბრუნებია, მისი ურჩი არაფერი გაუკეთებია. ამიტომ შეეშინდა ახლა ილიკოს მისი მკაცრად შეკრული სახის დანახვაზე, მაგრამ როგორც უცებ აენთო, ისე უცებ ჩაქრა დესპინე და ისეთივე მორჩილი, სუსტი და უმწეო იჯდა იგი ატირებულ ბავშვების და ქმრის წინაშე და პატიებას შესთხოვდნენ მისი თვალები ქმარსაც და ბავშვებსაც.

— დესპინე... ხვალიდან გვერდში ამოგიდგები... არა, შენ დაისვენე, იწამლე, ხომ ხედავ გაგათავა ციებამ. მე წავალ, ბავშვებს წავიყვან. პატიებას ვთხოვ, სანდროს, გამგეობას, მთელ კოლმეურნეობას. ნაკვეთს ავიღებ. თუ გლახა ამბაკომ ორი დღის გამომუშავება შესძლო, მე სამს გავაკეთებ. ავავსებ ოჯახს. ოღონდ შენ იყავი დესპინე კარგად, — თვალებზე ცრემლი მოადგა და ბავშვებს, რომ არ დაენახათ, წამოვარდა და გარეთ გაიჭრა.

იმ ღამეს არც შემობრუნებულა სახლში. თოხს და წალდს ტარი გაუმართა და ალიონზე კოლმეურნეობისაკენ გასწია.

იგი მეექვსე ბრიგადაში გადაიყვანეს და იქ მას და დესპინეს ერთი ჰექტარი ჩაის ნაკვეთი გამოუყვეს. მის ოჯახს სამუშაოდ გასვლას ვერავინ ასწრებდა. თავზე ევლებოდნენ ყოველ ბუჩქს. აქ ჭამდნენ, აქ სვამდნენ, აქ აღამებდნენ და განთიადზე მისულნი აქ ათენებდნენ. დღეში ხუთ შრომადღეს აკეთებდა ის და მისი ცოლშვილი.

ილიკოს თავი ბედნიერ კაცად მოჰქონდა.

— თავს რად იღუპავთ, აახილეთ თვალი, მეც თქვენს ჭკუას ვადექი ერთ დროს, თქვენ და ღვთისა და კაცის მოძულე აქვსენტის ავყევი და კინაღამ ჩემი ხელით გავითხარე საფლავი. ახლა ხომ ხედავთ, რა უცებ გავიმართე წელში. ხუთ შრომადღეს ვაკეთებთ დღეში მე და ჩემი დესპინე, — ეუბნებოდა იგი აგრაფინას და კატოს. ნინუცის კი ახლო არ ეკარებოდა, მისი სახელის ხსენებაც არ უნდოდა. — წელს მე რომ ქონებას შემოვიტან სახლში, წინათ მას ბარემ ხუთი წლის შრომით ვერ შეიძენდა კაცი. ნუ იღუპავთ თავს, მიაფურთხეთ ეშმაკს და გამოიღეთ ხელი.

თითქოს შეთქმულები იყვნენო აგრაფინა, ნინუცი და კატო, განგანზე დადიოდნენ, ყურში არ უშვებდნენ კარგ რჩევასა და დარიგებას.

დღეს ისინი უკანასკნელად იყვნენ დაბარებული გამგეობაში. კოლმეურნეობის კანტორის წინ ცაცხვის ქვეშ, გრძელ მერხზე ჩამომჯდარიყვნენ. სამივეს თავი შეკრული ჰქონდა. ნინუცის წელიც გაეკრა და ხელში ჯოხი დაეკავებია. განზე იცქირებოდნენ, თითქოს მომდურავი არიანო, ერთმანეთისათვის ზურგი შეექციათ და კოპები შეეკრათ.

კანტორის წინ ნელა ჩაიარა პლანტაციიდან მომავალმა კოლმეურნეებით დატვირთულმა საბარგო მანქანამ. იქიდან არჩილი გადმოხტა, ტანსაცმელი შეიფერთხა და ის იყო კანტორისაკენ გასწია, რომ მანქანიდან მხიარული სიცილ-ხარხარი შეესმა:

— არჩილ, შეხედე ჩვენს ქალბატონებს, როგორ ყვავებივით ჩამომსხდარან!

— ტირილში მოსულებს არ გვანან ეს წყეულები!

— აქშა, აქშა!

არჩილმა ცაცხვისაკენ მიიხედა და იქ მართლაც ყვავებივით ჩამომსხდარი აგრაფინა, ნინუცი და კატო დაინახა, თვითონაც ვერ შეიკავა ღიმილი. სამუშაო ტანსაცმელი ეცვა და მხარზე საველე ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. მზისაგან გახუნებოდა თმები, სახე და ხელები გაშავებოდა, დავაკაცებულიყო.

დღეს მის ბრიგადას რაიონის მიწგანი, გაზეთის კორესპონდენტი და სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ექვთიმე გოგოლაძე ეწვია. ელენემ და მისი რგოლის წევრებმა ჩაის ფოთლის ორი ხელით კრეფა უჩვენეს, ერთი ტონა ფოთოლი მოკრიფეს და დღიური გეგმა სამასი პროცენტით შეასრულეს.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ კოლმეურნეობას. კორესპონდენტი შაშინვე გაემგზავრა რაიონში გაზეთისათვის წერილის მოსამზადებლად. მიწგანმა, ექვთიმემ და სანდრომ მთელი დღე არჩილის ბრიგადაში გაატარეს. უხსნიდნენ ბრიგადის წევრებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ორი ხელით კრეფას.

მიწგანის გამგე გრიშა ჭანიშვილი საშუალო სიმაღლის და უზომოდ მსუქანი შუა ხანს გადაცილებული მამაკაცი იყო. ასტმა სჭირდა და აღმართ-დაღმართში სიარული ძლიერ უჭირდა, მაგრამ დღეს იმდენად გაბარებული იყო, რგოლიდან რგოლში ისე გადადიოდა მოცვნარის ფერდობებზე შეფენილ პლანტაციაში, რომ ერი ხელაც არ უგრძვნია სულის ხუთვა.

— თქვენ იცით, რისი ინიციატორი ხდება თქვენი კოლმეურნეობა, ჩვენი რაიონი?... ეს სენსაციაა, მთელი საქართველო ალაპარაკდება, ყველა გაზეთ-

ში დაიბეჭდება თქვენი ამბავი. კრემლამდე მიაღწევს — სტალინამდე, მივა.

ბავშვებივით გახარებული იგი ხუთ საათზე გაბრუნდა რაიონში და სანდრო და ელენე თან წაიყვანა.

რაიკომის მდივანი შუა ოთახში შემოეგება ელენეს და შედგა, მას გაგონილი ჰქონდა მისი სახელი, იცოდა რომ კირილე ავეანდაძის ქალიშვილი იყო, პირველი მკრეფავი კოლმეურნეობაში, მაგრამ მას იგი წარმოდგენილი ყავდა არა ასეთი ბავშვი, სუსტი და პატარა. იგი იდგა და განცვიფრებით შეჰყურებდა მზისაგან გაშავებულ, ენერგიით და სიცოცხლით სავსე მის სახეს, გამხდარ მხრებს, მის ბრდღვიალა მოგრძო თვალებს, დაბნევით რომ შეჰყურებდა მას. ამ ნორჩმა და სუსტმა გოგონამ გააკეთა ის დიდი საქმე, რომელმაც მთელი რაიონი შესძრა უცებ.

მდივნის კაბინეტში ისხდნენ რაიაღმასკომის თავმჯდომარე

გვყავდეს, აბა სუსტთან რა ვაქაცობაა შეჯიბრება. — თქვა ეს და ეშმაკური ღიმილით შეხედა ესტატეს.

„ეს ხომ ჩემი სიტყვებია“. შეხედა ესტატემ რაიკომის მდივანს გაკვირვებით და უცებ კმაყოფილებით გადიხარხარა.

— ერთი ამას დამიხედეთ, ჩემო. მაშ თქვენს თავს აღარ თვლით სუსტად, ჩამორჩენილად, — შესძახა მან ელენეს.

— ჩამორჩენილად... ჯერ ბევრი გვაკლია, რომ მოწინავე ვიყოთ, მაგრამ სუსტად არასოდეს არ ვთვლიდით ჩვენს თავს.

— ხედავ, ამხანაგო ესტატე, — ასწია თავი რაიკომის მდივანმა. — მე მაშინ ვერ გიპასუხე შენ. ჩამორჩენილი კოლმეურნეობა ყოველთვის სუსტი როდია. დღესაა იგი სუსტი, ხვალ გაიხედავ და... — შეხედა ელენეს და კვლავ ალტაცებით გაუღიმა, — უკან მოტოვებით გემუქრებიან.

არჩილს რაიონიდან უკვე დაბრუნებული ეგულებოდა ელენე და სანდრო, და ერთი გული ჰქონდა, სანამ ნახავდა მათ, ამიტომ არ შედგა ნინუცის, კატოსა და აგრაფინასთან, არც მისალმებია.

მისი დაბარებულები იყვნენ ისინი. მათ იცოდნენ, რომ არჩილი არ აძლევდათ მოსვენებას. „არ მოგვეშვება ის წყეული მანამ, სანამ ან სამუშაოდ არ გაგვიყვანს, ან არ გაარიცხიებს კოლმეურნეობიდან ჩვენს თავს“. ფიქრობდნენ აგრაფინა, კატო და ნინუცი. მაინც ჯიუტობდნენ.

— მოდი, მოდი, არჩილ. — უთხრა სანდრომ ოთახში შემოსულ არჩილს.

თამბაქოს მძიმე კვამლი ზანტად გადიოდა ღია ფანჯრიდან. ოთახში მყოფნი ყველა არჩილისაკენ მობრუნდა. ყველას სახეზე კმაყოფილება და რაღაც სიამაყე ამოიკითხა.

— მე უკვე მოვყევი, როგორ შეგვხვდნენ რაიკომში. შენ, ელენე გიამბობს. დაჯექი. — უჩვენა მის გვერდით სკამზე.

არჩილი დაჯდა. თვალი მოავლო ოთახს. სანდრო მიხვდა, რომ ელენეს ეძებდა.

— შალვას ოთახშია, წერილის დაწერა დაავალეს „კომუნისტისათვის“. იქნებ მიეხმარო. ისეა აღელვებული... ჩვენ უშეხოდ ჩავატარებთ...

— არა, აღელვებული უკეთესად დასწერს. — თქვა ყრუდ არჩილმა და გაწითლდა. მოეჩვენა, რომ ელენემ სანდროს სიტყვაზე მისკენ მოიხედა. მოეჩვენა რომ მისკენ მოიხედა ექვთიმე გოგოლაძემ, შალვა ჩაჩავამ, ევტეხიმ, ნესტორმა, მარო ჩხაიძემ. თითქოს ყველამ იცოდა, რომ არჩილს და ელენეს ერთმანეთი უყვართ. „რამ ათქმევინა სანდროს, მოეხმარეო. რატომ სხვას არ უთხრა, შალვას, ექვთიმეს. რატომ მე? მოხმარება კი სჭირდება ახლა ელენეს. განა ადვილი საქმეა დაჯდე და დასწერო უცებ ის, რაზედაც ღღეებისა და წლების მანძილზე გიფიქრია. როგორ უნდა ალბათ ახლა, ელენეს მასთან ვიყო. ერთად მოვიფიქრებდით, ვიმსჯელებდით. დავწერთით, წავშლიდით, გადავიწერდით. ამ წერილს ხომ მთელი ქვეყანა წაიკითხავს. გარდა ამისა, ელენე ჩემზე უფრო მეტს დასწერს, ვინემ თავის თავზე. მე კი არაფერი გამიკეთებია, სრულიად არაფერი: ყველაფერი თვითონ“.

— მაშ, დავიწყოთ, ამხანაგებო!

შეესმა ფიქრებში წასულს თავმჯდომარის ხმა.

— დაუძახეთ ნინუცის, — გასძახა მდივან გოგონას სანდრომ.

ნინუცის მარცხენა ხელი შალით შეკრულ წელზე შემოედო, მარჯვენათი ჯოხს დაყრდნობოდა, კოჭლობით შემოვიდა და მაგიდიდან მოშორებით, შუა ოთახში მდგარ სკამზე დაჯდა. გამომწვევად ასწია თავი და ისე გადახედა გამგეობის წევრებს, თითქოს მათ მიუძღვოდათ რაღაცაში ბრალი და არა თვითონ.

— თქვენ სამჯერ იყავით გამოძახებული გამგეობაში და არ გამოცხადდით, — მიმართა სანდრომ ნინუცის ისე, რომ არ შეუხედავს მისთვის.

— საპატიო მიზეზის გამო. — ცივად მოუჭრა ნინუცამ და კიდევ უფრო მაღლა ასწია თავი, წელზე უფრო მაგრად შემოიწყო ხელი.

— თქვენ ეჩვენეთ ჩვენს ექიმს?

— მე ექიმზე უკეთ ვიცი ჩემი გასაჭირი.

— ეს არ კმარა, ამხანაგო ნინუცი. მიზეზი, რის გამოც თქვენ წელიწადზე მეტია არ მუშაობთ კოლმეურნეობაში, უნდა იცოდეს გამგეობამ.

— ქვეყანამ იცის ეს მიზეზი.

— ამხანაგო ნინუცი, საკითხი დგას თქვენი კოლმეურნეობიდან გარიცხვის შესახებ. ამიტომ ჩაუფიქრდით თქვენ სიტყვებს...

— თქვენ არ უფიქრდებით, რას ჩადიხართ, — აუწია ხმას ნინუცამ. — ჯერ იყო და საბრალო ეგნატე გააფუჭეთ, შემდეგ უბედური, იაგორა ფერშალი მიაყოლეთ ზედ. მერე ჩემს ქმარს მოდექით. ახლა ქალებს დაგვერიეთ, — სახეზე წამოწითლდა, თვალები სისხლით აევსო, — ასე თქვენს ნებაზე რომ ტრიალებდეს ქვეყანა, მთელ სოფელს გადაასახლებდით აქედან. არ გაქვთ თქვენ ჩემი გარიცხვის უფლება. ჩვენს ქვეყანაში ავადმყოფებს კი არ სჯიან, ხელს უწყობენ, მკურნალობენ, — ლაპარაკობდა ამას ნინუცი და თან ხედავდა, თუ რა დაცინვით და ზიზღით შესცქეროდნენ მას კირილე, ნესტორი, ევტეხი და არჩილი. სანდროსა და შალვასათვის შეხედვას ვერ ბედავდა. თანდათან ქრებოდა მის სულში საქმის მოგების იმედი, გრძნობდა ხავსს ეჭიდებოდა. თვალწინ ედგა თავისი თავი აქვსენტის მდგომარეობაში, ხედავდა, როგორ გამოდიოდა აქვსენტი ოთახიდან გარიცხული და გაშავებული. შიშმა აიტანა, ცრემლები მოადგა თვალებზე, დააფახურა თავისი გრძელი, შეღებილი წამწამები და შავი, მდუღარე ცრემლები უხვად ჩამოუგორდნენ მსუქან, გატკიცინებულ ლოყებზე. — რას გვერჩით, კაცებო, რას ამოგვიჩემეთ მთელი ოჯახი? — აქვითინდა, ჯოხი გაუვარდა ხელიდან და გამაყრუებელი ტკაცანი გაადინა იატაკზე. — მკვიდრს, მეზობელს, აქ დაბადებულს, აქ გაზრდილს კი არა, ჩამოსახლებულს არ აითვალისწუნებენ ასე. გვითხარით, რა დავაშავეთ ასეთი? ეზო ჩამომიჭერით, ქმარი გამომიპანღურეთ, ახლა ავადმყოფ ადამიანს ლოგინზე არ მაყენებთ, — წელზე შემოიწყო ხელი, გვერდზე გადაიწია. — იშიასი მე მკლავს, ათასმა სატკივარმა მე მომინელა... სასიკვდილოდ ვარ გადადებული მე უბედური და მაცალეთ სულის ამოსვლა, — უცებ გამოიცვალა, ცრემლები ერთბაშად გაუქრა, წელში გასწორდა, — რა უფლებით მრიცხავთ მაინც, რაც ერთ ქალს შეუძლია, იმას მეც ვაკეთებ. ასოცდაათი შრომადღე მაქვს გამომუშავებული. მეტი რა გინდათ ჩემგან?

გამგეობის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს. ისინი გაოცებულნი იყვნენ ნინუცის თავხედობით. ყველამ იცოდა, რომ მას არც ერთი შრომადღე არ ჰქონდა თავისი გარჯით გამომუშავებული. გამგეობის წინ კი საქვეყნოდ აცხადებდა, რომ ასოცდაათი შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული.

ნინუცის შრომის წიგნაკში ილიკო ზედობანიძე, ქვრივი ოლია კუტალაძის ბავშვის, ნამუშევარს უწერდა. გოგუცა ხელზე მოსამსახურედ ჰყავდა აყვანილი ნინუცის. დღედაღამეს ასწორებიებდა თხუთმეტი წლის გოგოს. დღისით ჩაის ფოთოლს აკრეფინებდა კოლმეურნეობაში, იქიდან მოსვლას არ აცლიდა, საოჯახო საქმეში შეაბამდა.

ილიკოს ბრიგადობიდან მოხსნის შემდეგ ნინუცამ იფიქრა, არჩილი გოგუცას ნამუშევარს მე აღარ ჩამიწერს, რად მინდა სხვისი შვილი სახლში მყავდეს, ავდგები და გავაგდებ, თორემ შეიძლება ჯამაგირიც მომთხოვოს მაგ გლახის შვილმაო.

ერთ მშვენიერ დღეს ასტეხა წივილ-კივილი, ჩამოიშალა თმები და, როცა მთელი მეზობლები შეიყარა, სტაცა საწყალ ბავშვს თმებში ხელი და ეზოში გამოათრია. ხუთასი მანეთი მომპარა ამ ჩემი ცოდვით ამოსაგდებმა, დამღუპა, ამომიგდო ოჯახიო, — გაიძახოდა და ცრემლებს ღაპა-ღუპით აფრქვევდა. — ამ ეშმაკის სულის მეტმა არავინ იცოდა, სად მქონდა შენახული. ამის წაღებულიაო. აიკლო ამ ერთი წლის განმავლობაში ჩემი ოჯახი, გამიზიდა მთელი სახლი, ვფიქრობდი გამოვასწორებ, ადამიანად გავხდი, გზაზე დავაყენებ მეთქი, მაგრამ არ იქნა ამის საშველი. მომამორეთ, თორემ ან თავს მოვიკლავ, ან ამ ძაღლის წელიდან ჩამოსულს წავახრჩობ ჩემი ხელითო.

ძლივს გამოგლიჯეს მეზობლებმა ხელიდან საწყალი ბავშვი. ნინუცისაც ეს უნდოდა. „მომამორეთ, მომამორეთ“, გაჰკიოდა ღობეზე გადმომდგარი. უთხარით კუტალაძის ქალს, არ შევარჩენ ჩემი ერთი წლის სამსახურს. შვილივით ვუვლიდი, ზედ გადავყევი და ასე დამიფასა ჩემი ამაგი“.

შეტევაზე გადასულმა ნინუცამ გამგეობის წევრთა სახეს რომ შეხედა, შეცბუნდა, მაგრამ მაინც არ დაიხია უკან.

— თუ თქვენ არ მიიღებთ მხედველობაში ჩემი ტანჯვით გამომუშავებულ შრომადღეებს და გამრიცხავთ, რაიაღმასკომს მივმართავ. თუ იქ არ დამიფარეს, მერე მე ვიცი, გამოვძებნი გზას...

— ნინუცი, — შეაწყვეტია არჩილმა, მის თვალებში მრისხანება და სიმკაცრე ელავდა, ნინუცი არ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, ამიტომ არ მოიხედა მისკენ.

— ის ასოცდაათი შრომადღე, რომელსაც ზედობანიძე შენ გიწერდა, ქვეყანამ იცის, რომ კუტალაძის ობლისაა, — განაგრძო არჩილმა, ძლივს იკავებდა თავს, მზად იყო გაეღო კარი და გაეგდო გარეთ უტიფარი დედაკაცი. — როგორ კადრულობ, ასე ურცხვად რომ ცდილობ ჩვენს დაბრმავებას.

— ურცხვად, — აენთო ნინუცი, — მლანძღავთ კიდეც და მერე ვინ, მე შენ დედად გეკუთნი და ეს მაკადრე? — ლაპარაკობდა ამ სიტყვებს ზიზღით ტუჩებაპრეხილი და არ უყურებდა არჩილს, ეშინოდა მისი, სძაგდა იგი. — მე ყველაფერი სიგლახე შეგიძლიათ დამაბრალოთ, მაგრამ ილიკოს რას ერჩით?

— ჩვენ ახლავე შეგვიძლია გამოვიძახოთ, ილიკო ზედობანიძე და ის თვითონ იტყვის, თუ ვისია ეს ასოცდაათი შრომადღე.

— დედა, — გაასავსავა ხელი ნინუცმ, — რა გინდათ ჩემგან, — შესძახა თავმჯდომარეს, — მომკალით ბარემ და გადამარჩინეთ ამ ტანჯვას...

— მომეცით სიტყვა, — წამოდგა კუთხეში მჯდარი ევტეხი. მოჭუტული თვალები ნინუცის მიაშტერა. — რაო, ტანჯვას გადამარჩინეთო, ჰა? — მოიფარა ყურზე ხელი. — ტანჯვას ჩვენ უნდა გადავრჩეთ, — მკვირცხლად მიბრუნდა თავმჯდომარისაკენ, — არ არის დრო თუ, ჰა? — მისმა სახემ მრისხანე გამომეტყველება მიიღო. — იმისათვის, რომ ამ ქალბატონმა კუტალაძის ობოლს ხუთასი მანეთის ქურდობა დააბრალა და მისი გამომუშავებული შრომადღეებიც მიითვისა, ნინუცი მაძღარაძე, ესე იგი ეს ქალბატონი, პასუხისგებაში უნდა მიეცეს, ჰა? იმისათვის კი, რომ ჩვენს მიერ მისთვის ოთხი სასჯელის გამოტანის შემდეგ იგი კვლავ უარს ამბობს სამუშაოდ გამოსვლაზე, წინადადება შემომაქვს, ჰა? — შეჩერდა, შეხედა გამგეობის წევრებს, თითქოს წინადადება მათ უნდა ეკარნახათ მისთვის, მერე ისევ ნინუცისაკენ მობრუნდა, — ნინუცი მაძღარაძე გაირიცხოს მოცვნარის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობიდან, როგორც გამოუსწორებელი, ჰა? შრომის დეზერტირი, ჰა? — დაჯდა და დაუმატა: — ჩემი აზრით სირცხვილია იგი, ესე იგი ეს ქალბატონი, კოლმეურნის სახელს ატარებდეს, ჰა?

— სირცხვილია, ნენა, სირცხვილი. — დაუდასტურა კირილემ.

— გესმით? — ასწია თავი თავმჯდომარემ და პირველად შეხედა ნინუცის.

— მესმის, — წამოდგა ნინუცი. წელში გასწორდა, თავი უფრო მაღლა ასწია და ძერასავით გადახედა მაგიდის გარშემო მსხდართ. — არ იფიქროთ, რომ ნინუცი მაძღარაძემ სამართალი ვერ მონახოს. — შებრუნდა და გამართული, მტკიცე ნაბიჯით გასწია კარებისაკენ. ჯოხი დარჩა. იშიასით დაავადების და კოჭლობის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა მის ამაყ მიხვრა-მოხვრას და ნაბიჯებს.

კატომ რომ აწიწინებულ ნინუცის შეხედა, მიხვდა, რა უბედურება იყო მის თავზე, მეც ეს მომელისო იფიქრა, შიშისაგან ატაცებულმა არ დაუცადა სანამ დაუძახებდნენ, თვითონ შევარდა გამგეობის ოთახში, პატიება ითხოვა. დღედაღამეს გავასწორებ შრომაში და ჩემს დანაშაულს გამოვისყიდიო.

რამდენიმე წუთის შემდეგ იგი ისე გახარებული გამობრუნდა უკან, გეგონებოდა, მან პატიება კი არ ითხოვა, თავისი გაიტანა და ისინი, ვინც ის გამოიძახა, გაწბილებული დატოვაო.

— რა იყო, რამ გაგახარა ასე, შე ქალო?! — ჰკითხა გაკვირვებულმა აგრაფინამ. კატომ ყურადღება არ მიაქცია, მოანგარიშის ოთახში შევიდა და კარი მიხურა.

აგრაფინა ფანჯარას მიუახლოვდა.

— ცხრა პირი ტყავი უნდა აეძროთ შენთვის და ავანსი მოგცეს? ცეცხლად ჩაგივა ეგ სიმინდი მუცელში.

მოესმა მოანგარიშის ხმა. გაკვირვებული აგრაფინა უცებ შემოტრიალდა, უბიდან მაგრად შეკრული ცხვირსახოცი ამოიღო, გახსნა და ოთხადგაკეცი-

ლი პატარა ქაღალდი ხელში მაგრა დაიჭირა, თავი მოისაწყლა, გამგეობის ოთახისაკენ გასწია და კარებში გამოჩნდა თუ არა, აქვითინდა და მსხვილ-მსხვილი ცრემლები გადმოყარა.

— კაცმა კაცის გაჭირვება რატომ არ უნდა გაიგოს? თქვენ გგონიათ აგრაფინას მუშაობა ეზარება? მე თუ არ ვიმუშავე, ვინ შეინახავს, ჩემს გაჭირვებულ ოჯახს, ჩემს საწყალ ბავშვებს, ჩემი საცოდავი ქმრის იმედით, რომ არ მეცხოვრება, ეს თქვენ ჩემზე კარგად იცით, — მოთქვამდა აგრაფინა და თან სათითაოდ აკვირდებოდა ყველას, აბა თუ შევაცოდე თავი. — რა ვქნა, ავადა ვარ, ერთი დუყის მოწყვეტა სიცოცხლეს მომისპობს, წელში ვერ ვიკაკვები ქალი. ჩემი ავადმყოფობის ისტორია ხელის გულზე ეწერა იაგორა ფერშალს. მის ცნობას ახლა ვინ დაუჯერებს. პასუხისგებაში მიცემული კაცის ცნობას მართლაც არ დაეჯერება, მაგრამ ბატონი ექიმის ცნობას ხომ აღარაფერი დაუდგება წინ, — თქვა და ქაღალდი ჰაერში შეარხია, — აგერ, ეს კაცი აქ ბრძანდება და თვითონ მოგახსენებთ ჩემს გაჭირვებას. აი, მისი მოცემული ცნობა. ამას ხომ დაუჯერებთ...

— აბა, მაჩვენე ცნობა, — გაუწოდა ხელი თავმჯდომარემ.

აგრაფინამ ქაღალდი გაშალა, გულდასმით გაასწორა და ხელში კი არ მისცა თავმჯდომარეს, წინ დაუდო, ყველამ დაინახოსო და გამგეობის წევრებს ნიშნის მოგებით გაუსავსავა თვალები. „აჰა, გასკდით ახლა გულზე, აბა თქვენ აჯობებდით აგრაფინა ბედენიძეს“. ექიმს კი გაუღიმა, თვალიც ჩაუკრა კეკლუცად, მაგრამ ექიმში თანაგრძნობის ნატამალი რომ ვერ დაინახა, ფერი ეცვალა, შიშით აუძგერდა გული.

აგრაფინა ხუთჯერ მივიდა ექიმთან ავადმყოფობის ცნობის სათხოვნად. ხან მშრალი პლევრიტი მაქვსო, მოიგონა, ხან კუჭის წყლულიო, ვინ მოსთვლის, რა არ აიტკივა, რას არ მიედმოედო.

„წერა-კითხვა თუ იცი?“, ჰკითხა მოთმინებიდან გამოსულმა ექიმმა.

ახლა უცებ მოაგონდა ეს აგრაფინას. „რატომ მკითხა? ყელი ხომ არ გამომჭრა ამ ოჯახდასაწვავმა?“ აგრაფინას თავბრუ დაესხა, სული შეეხუთა. სკამს ზურგზე ჩასჭიდა ხელი, რომ არ წაქცეულიყო. „რატომ ასე დაცინვით ჩასჩერებია თავმჯდომარე ცნობას? — რატომ მიყურებენ სხვები ისე, თითქოს ჭირველად მხედავენ. მიწა რომ გამისკდეს ახლა და შიგ ჩამიტანოს, ის არ მირჩევნია? რავა შეთქმულებივით ულიმიან ერთმანეთს არჩილი და ექიმი. რა უბედური სიჩუმეა, ღმერთო ჩემო. ქე მაინც ხმას ამოიღებდნენ, მეტყოდნენ რა უბედურებაა ჩემს თავს. ნამდვილად მახე მაქვს დაგებული და შიგ ვარ გაბმული“.

— რა ამბავია, დედიკო, ჩემს თავზე. — გულშემოყრილივით შესძახა თავმჯდომარეს. — რაცხა ფარსაგი არ მჭირს, ალბათ. ნამდვილად სასიკვდილოდ ვარ გადადებული. მითხარი, შე კაცო, რა წერია მაგ დასაწვავ ქაღალდში.

— აქ ისეთი რამ წერია, ამხანაგო აგრაფინა, — უთხრა მკაცრად თავმჯდომარემ, — სასიკვდილოდ რომ იყო გადადებული ის გიჯობს. აი, ამხანაგებო, მისმინეთ, — მიმართა გამგეობის წევრებს და ხმამაღლა დაიწყო ცნობის წაკითხვა: — „ამის წარმომდგენი მოქალაქე, აგრაფინა ბედენიძე ნამდვილად არის სრულიად ჯანმრთელი და არავითარი სატკივარი არ აწუხებს. თუ იგი სამუშაოდ ადრე გავა, ყოველდღე თავისუფლად შეუძლია ოცდაათი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს. მოცვნარის საექიმო უბნის გამგე, ექიმი თენგიზ ორბელიანი“.

თავმჯდომარე გაჩუმდა.

აგრაფინას მკვდრის ფერი ედო. ისეთი შესაბრალი და უმწეო იყო, რომ გამგეობის წევრებსაც კი ეტკინათ გული. ყველამ უხერხულობა იგრძნო, შეწუხდნენ. შენიშნა ეს აგრაფინამ და მთლად მოიწამლა.

წამოდგა არჩილი.

— ამხანაგებო, თუ გამგეობა აპატიებს, აგრაფინას თავის მძიმე დანაშაულს და არ გარიცხავს კოლმეურნეობიდან, მე როგორც მისი ბრიგადირი, პირობას გაძლევთ, რომ იგი მალე ოცდაათ კილოგრამ ფოთოლს კი არა, სამოცს მოკრეფს.

აგრაფინამ სიმწრის ოფლი მოიწმინდა.

— შენ აგაშენა, დედიკო, ღმერთმა. — ამოიდგა ენა, — ჩემს თავს საქვეყნო საქმეს შევწირავ ოღონდ... ნუ

გამრიცხავთ. შევცდი, ბაზარმა გამაწუწკა მე უბედური. ტარასი რომ ავად გამიხდა, მაშინ დავიწყე ფოთში სიარული. ხომ გახსოვთ, რა ფული დამიჯდა იმ ბავშვის სიცოცხლე. ამიერიდან ბაზრის სახელსაც არ ვახსენებ. ახლა თქვენ იცით, რას გადამიწყვეტთ.

თავმჯდომარემ გამგეობის წევრებს გადახედა.

— მე მგონია აგრაფინას სიტყვები ვულწრფელია და უნდა დავუჯეროთ. — შეანათა თავისი ბრდღვიალა ცალი თვალი ნესტორმა თავმჯდომარეს. — მივიღოთ არჩილის წინადადება. თუ აგრაფინა სამოც კილოგრამს მოკრეფს, იგი ამით თავის დანაშაულს პირნათლად გამოისყიდის. არაფერი ისე არ სცვლის და აკეთილშობილებს ადამიანს, როგორც პატიოსანი შრომა.

— კიდევ ვის სურს სიტყვა?

— მე, — ასწია თავი შალვამ. — იმის მაგალითი, რომ პატიოსანი შრომა სცვლის და აკეთილშობილებს ადამიანს, აგერ ჩვენი ილიკო ზედობანიძეა. აგრაფინა ერთ დროს ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნე იყო. ჩვენ მას ბავშვის ავადმყოფობის დროს ხელი ვერ გავუმართეთ, ვერ მივეხმარეთ. ჩვენც, მიგვიძღვის ბრალი მის წინაშე. ჩვენც უნდა გამოვისყიდოთ ჩვენი დანაშაული. რით შეგვიძლია ამის გაკეთება? — ჰკითხა შალვამ გამგეობის წევრებს და თვითონვე განაგრძო: — იმით, რომ დავეხმაროთ მას, რაც შეიძლება მალე ჩადგეს მოწინავე კოლმეურნეთა რიგებში. ამიტომ ვთხოვოთ ბრიგადირ არჩილ სირაძეს, ჩარიცხოს იგი ელენე ავეანდაძის რგოლში. თუ არ ვცდები, ნაკვეთის გადიდების გამო, ელენეს რგოლს გაზრდას ვუპირებთ.

აგრაფინას ცრემლი აღრჩობდა, მაგრამ ეს ის ცრემლი არ იყო, რომელსაც წელან აფრქვევდა. ეს იყო სინანულისა და სიხარულის ცრემლები და ყველა ხედავდა ამას, და ყველა კმაყოფილი იყო.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბამელი

სამი ლექსი

★

ომი არ გვინდა!

მშვიდობა სისხლით განბანილ მიწას!
მშვიდობა ახსნილ შრომის სუფევას!
დიდება იმ ხალხს, ვინც ბრძოლით იცავს
მშობლიურ კერის თავისუფლებას!

დღეს მთელ ქვეყანას ეძახის, რაზმავს
დიდი სტალინის ეს მოწოდება.
ვერ გადარაზავს მშვიდობის ამ გზას
კაცთმძულვარების „გაბოროტება.

— ომი არ გვინდა! — ისმის ძახილი.
აღშფოთებული ხალხი აგრგვინდა.
უნდა გადატყდეს ომის მახვილი,
ომი არ გვინდა! ომი არ გვინდა!

მაგრამ ჯალათებს სწყურიათ სისხლი
და ხალხთა შორის მტრობას სთესავენ.
თანდათან უფრო გარკვევით ისმის.
შხამიან კბილებს რომ ილესავენ.

ტრუმენი ატომს სინჯავს, ამოწმებს,
მის აფეთქებას ფიქრობს აჩესონ:
კაცობრიობა თუნდაც ამოწყდეს
და დედამიწა თაგვებს დარჩესო, —

ოღონდ არ ქუხდეს ხმა ტვირთმძიმეთა,
ოღონდ მშვიდობის გრგვინვა ჩადგესო
და მშრომელ ხალხთა ნათელ იმედად
კრემლის ვარსკვლავი აღარ ჩანდესო!

მაგრამ დროშები ამართულია
და გრგვინავს მიწა ერთი, მთლიანი:
კრემლის ვასკვლავთან სხივჩართულია
პლანეტის ყველა მერიდიანი.

მთელი ქვეყანა ერთხმად მოითხოვს
ხალხთა მშვიდობას ყოველ მხარეში.
ომის განგაში უნდა მოისპოს
და ყაჩაღების მგლური თარეში!

უნდა დაემხოს ყოველ კუთხეში
ომის მოსურნე და მოტრფიალე!
მათ ვერ უშველით ძალა უხეში
და ყაჩაღური დროშის ფრიალი.

ომი არ გვინდა! — ისმის ძახილი.
აღშფოთებული ხალხი აგრგვინდა.
უნდა გადატყდეს ომის მახვილი,
ომი არ გვინდა! ომი არ გვინდა!

14. IX. 51.

—— . ——

მშვიდობის მტრედი

★

ლექსო, ამოდი, გეყოფა
გულში ჩიტივით ფართხალი,
სტრიქონი უნდა გავჩარხო,
როგორც ისარი ნათალი,
სიტყვა უნდა ვთქვა ხმამაღლა
მჭრელი, სწორი და მართალი.

დღეს არწივს მე არ გიწოდებ —
გული სხვა სახელს გპირდება:
ხომ გესმის რკინის ჟღარუნი? —
ომის მუქარა ხშირდება,
დღეს ხალხთა დასარაზმავად
მშვიდობის მტრედი გვჭირდება.

ამოდი, ფრთები გაშალე
სუფთა და ხელუხლებელი.
გაფრინდი, მზის ელვარება
იქნება შენი მხლებელი, —
მზე ხომ სტალინის დროშაა,
მშვიდობის მაუწყებელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრინდი, მთელი ქვეყანა
მაგ ფრთებით მისძარ-მოსძარი,
ადიდე ჩვენი სამშობლოს
სიუხვე გასაოცარი.
ხალხთა მშვიდობის ფურცლებზე
ხელის მოწერის დროც არი.

ფურცლებზე აღიბეჭდება
ძილიონების ხელები.
შეერთდებიან ყოველგან
ომის საფლავის მთხრელები,
ამოივსება დუღაბით
შხამიან გველთა ხვრელები.

ამოდი, ფრთები გაშალე
სუფთა და ხელუხლებელი.
გაფრინდი, მზის ელვარება
იქნება შენი მხლებელი, —
მზე ხომ სტალინის დროშაა,
მშვიდობის მაუწყებელი!

18. IX. 51.

—— . ——

მშვიდობის მომხრეთა მეორე კონგრესი და მისტერ ეტლი

★

„მშვიდობის მომხრეთა მეორე კონგრესს სრულებით არაფერი დაჰშავებია ეტლის მზაკვრული ქამანდებისაგან. პირიქით, სწორედ თქვენგან არის იგი რამდენადმე დავალებული თავისი კოლოსალური წარმატებით, ბრიყვო მისტერ ეტლ!“

ა ი ვ ო რ მ ო ნ ტ ე გ ი ს წ ე რ ი ლ ი დ ა ნ.
„ლ. გ.“ 23. XI. 50. № III.

აი, რა დამქრალ დღეს მოესწარით
და რა სირცხვილის გახდით მნახველი!
„სულელი ეტლი!“ ახლა ეს არის
ინგლისში თქვენი სრული სახელი.

ყოველთვის, როცა მოგაგონდებათ,
ლონდონის კარი როგორ დახურეთ,
არ დაივიწყოთ სახელწოდება,
რაც ამ „გმირობით“ დაიმსახურეთ.

ოთხმოცი ქვეყნის უკეთეს შვილებს
ჰსურდათ შეხვედრა ინგლისის ხალხთან.
მათ მიაშურეს ლამანშის ჩრდილებს,
მაგრამ კუნძული დახშული დახვდათ.

თქვენ თურმე იმათ უგებდით მახეს,
თუმც მასპინძლობას თითქოს შეჰპირდით,
და ჩირქი მოსცხეთ ლონდონის სახელს,
შეურაცხყავით ბოლოს შეფილდიც.

შეგხედეს — გნახეს ნიღაბქვეშ მტერი,
თქვენი ფლიდობა იქცა არაკად.
თქვენ უოლსტრიტის დუდუკზე მღერით,
თქვენ საკუთარი რწმენა არა გაქვთ.

თქვენმა მზაკვრობამ თვით გაგაშავათ.
ამაზე მეტი რა უნდა ითქვას?
კარი გაუღო გმირმა ვარშავამ
საყოველთაო მშვიდობის სიტყვას.

და ყველამ ნახა, ჩერჩილის გარდა,
ხალხთა ძმობისთვის სად რა გაკეთდა,
და ისიც ნახეს, თუ რკინის ფარდამ
რომელი ქვეყნის კარი ჩაკეტა.

თვალებზე შიშის ჩრდილი გებურათ,
გული გიცემდათ გველივით ჭრელი,
ფიქრობდით ჩაშლას და უნებურად
ამ საქმეს თვითონ შეუწყვეთ ხელი.

თქვენ აუხილეთ ბრმასაც კი თვალი
და ყველასათვის ცხადი გახადეთ,
რომ გაჰქრობია სინათლის კვალი
ბნელში ჩაძირულ ინგლისს ახლანდელს.

და მის დროშაზე — ვეღარ გაარჩევთ
ლომი თუ მკვდარი კატა ჰხატია.
ასე გაგუდეთ, ასე დაახრჩვეთ
თქვენი ნაქები „დემოკრატია!“

თქვენ დაამტკიცეთ, რომ უცხოელი
იპყრობს ბრიტანეთს ხელსისხლიანი.
თქვენ აღაშფოთეთ თქვენში ყოველი
პატიოსანი ადამიანი.

და ვინც, იქნება, არც კი ფიქრობდა
სწვეოდა თუნდაც სტუმრად შეფილდსა,

ის ვარშავაში ვითონ მიჰქროდა,
მან იქ მშვიდობის საქმეს შეჰფიცა.

თქვენ მოხუცს ძველი დრო მოანატრეთ
და ახალგაზრდას ზიზღი მოჰგვარეთ.
ისე უტიფრად იმუხანათეთ,
რომ თვალს გარიდებთ მტერიც,
მოყვარეც.

მღვდელს შეეყრებით — აღარ
გაკურთხებთ,
ისიც არა გთვლით თავის ძმობილად.

მუშა შეგხვდებათ — გადაიფურთხებს,
იტყვის: „რა ბილწი ვინმე ყოფილა!"

აი, რა დამქრალ დღეს მოესწარით
და რა სირცხვილის გახდით მხახველი!
„სულელი ეტლი!" — ახლა ეს არის
ინგლისში თქვენი სრული სახელი.

რა უნდა გითხრათ ამაზე მეტი:
ხართ და დარჩებით ყბადაღებული.
ვერაგი ეტლი! ცბიერი ეტლი!
უკულმართ ეტლზე დაბადებული!

1950 წლის დეკემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორ გაბესკირია

დილა კოლმეურნეობაში

★

თენდება, მაგრამ ფირნველები ჯერ კიდევ სდუმან,
ვგრძნობ ლამაზია ირგვლივ მთები და მომხიბვლელი,
შეუმჩნეველი არც ის მრჩება, ქალო, თქვენს სტუმარს,
რომ შენ ოდიდან ფეხაკრეფით უკვე გახველი.

სხვებიც მიდიან სამუშაოდ... მთებში აისი
ტრაქტორს, ქარხანას, ჩაის ბუჩქებს ალერსს არ აკლებს...
აი, ფრინველთა სიმღერები უკვე გაისმის,
ვით დასაწყისი საყვარელ და წარმტაც სპექტაკლის.

—— . ——

ფოთლები

★

ასე ეტყობა, რომ ცხოვრებას დღეს ამთავრებენ,
თუმცა ამ მაღალ ჭანდრის ხეზე დიდხანს ყოფილან,
უთამაშნიათ გალაღებით მზესთან, მთვარესთან,
ახლა რა ვუყოთ, დრო გასულა ჩამოცვენილან!

კოლმეურნეებს შრომა ბევრჯერ გაუადვილეს,
ალერსს და ნიავს არ აკლებდნენ მათ სიზმარშიაც,
განა მთვარესთან, განა მზესთან, მარტო, — მათ ჩრდილებს
შეყვარებულთა ორდენებზეც უთამაშნიათ.

დღეს ყველა ერთად შეაქუჩეს, ცეცხლს უკიდებენ...
თუ რა ილონონ? — ამაშიაც გაერკვევიან:
არა, არ თმობენ ძველ სიყვარულს და კიდით-კიდე,
ბოლად ქცეულნი, ლამაზ ეზოს მიეკმევიან.

———————

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

ფოლადი

რომანი *

მესამე ნაწილი

★

1. ბედნიერი დღე

აპრილის დილა თენდებოდა. მატარებელი ზღვის მახლობლად დაგრაგნილ მთების გასწვრივ მიჰქროდა.

ანდრეი კუზმიჩმა ჩემოდანი დაკეტა, პალტო ჩაიცვა და ფანჯრიდან მისთვის უცნობ მიდამოს გახედა.

სერებს ამომავალი მზის სხივი გადმოფენოდა, ხოლო ფერდოებსა და პატარა ხევებში ხეხილნარს გაზაფხულის ნათელი ელფერი ამშვენებდა.

რამდენიმე დღის წინათ, ვიდრე საქართველოში გამოემგზავრებოდა, ანდრეი კუზმიჩი სტალინგრადიდან ვოლგის მარცხენა ნაპირზე გავიდა და ოდნავ გაკვირტული ტირიფის შტოები შეაგროვა, რომ ნატაშასა და პელაგია დიმიტრევნას საფლავზე მიეტანა. მაშინ იქ ხეები ჯერ გაფურჩქვნილი არ იყვნენ, ვოლგაზედაც ყინულის ხორგები ცხვრის ფარასავით იყო მიმოფანტული; აქ კი, მარადმწვანე მცენარეების გვერდით, ყველა ხე შეფოთლილია, აქა-იქ ფერად-ფერადი ყვავილები გამოკრთიან, ყველაფერს უჭკნობი სიცოცხლის ეშხი ამკობს.

ამ სურათმა მწარტკბილი გრძნობა აღუძრა ანდრეი კუზმიჩს. გაჰყურებდა მოხასხასე ბაღნარს, ჯერ ცვარშეუმშრალს, განთიადის შუქში მღიმარეს, გაჰყურებდა და უნებლიეთ ბედშავი ნატაშა და პელაგია დიმიტრევნა აგონდებოდა. იმ დღეს ტირიფის ახალგაკვირტული შტოები დააწყო სამარეზე და უხმოდ გაესაუბრა მათ:

— გულმა მომთხოვა, ჩემო კარგებო, უნდა წავიდე, ჩვენი ასია უნდა ვნახო. თქვენ მაგიერადაც მივეფერები ჩვენს გოგონას, ჩვენს ერთადერთს...

ამას რომ ამბობდა, თვალები ცრემლით ენამებოდა. შრომაში გამობრძმედილ მეფოლადეს...

ჰოდა, მიდის ახლა, უახლოვდება სადგურს. ცუდს არას მოელის, მაგრამ ძაინც თავს უხერხულად გრძნობს. უცხო ქვეყანაა, უცნობი საზოგადოება. ვინ იცის, როგორ შეხვდებიან. ვასო აქ არ იქნება, სხვები კი ჯერ თვალით არ უნახავს. ძალიან თავდაბალი კაცია ანდრეი კუზმიჩი, ზრდილობიანი, მაგრამ თუ ვისმეს ქედმაღლობა, ან არაწრფელი მოპყრობა შენიშნა, წამსვე გული დაეხურება, განერიდება. იმდენად გააკაჟა ხანგრძლივმა ბრძოლამ და შრომამ, რომ ყოველგვარი უსულგულობა ზიზღს იწვევს მასში. მერე კიდევ აგერ მეორე წელიწადია თითქმის სავსებით მარტოა ოჯახში; ვასომ რომ ასია წაშოიყვანა, მას შემდეგ კიდევ უფრო დაუმძიმდა ობლობა, მეზობლებთან, ნათესავებთან მისვლაც აღარ ეხალისებოდა. ხელპირდაბანილი, დანაყრებული მოვიდოდა ქარხნიდან, სამოსს გამოიცვლიდა, ორიოდე სიტყვას ეტყოდა თავის დის შვილიშვილს, ვალიას, მერე ჩვეულებისამებრ თვალს მოავლებდა კედელზე დაკიდებულ სურათებს, ამოიოხრებდა და ოთახში გაიარ-გამოიარდა. ბოლოს სავარძელში ჩაჯდებოდა, მაგიდიდან რომელიმე წიგნს აიღებდა და კითხვას შეუდგებოდა. ხშირად იქვე, სავარძელში ჩაეძინებოდა. მეტ დროს ქარხანაში ატარებდა. უფროსი ოსტატი იყო, ყველა ცვლაში

* გაგრძელება. „იხ. „მნათობი" № 9.

ჰყავდა ახალგაზრდა მეფოლადე, რომელსაც ხელმძღვანელობა სჭირდებოდა. ვისაც კი შეამჩნევდა, რომ მეფოლადისათვის საჭირო ნიჭით იყო დაჯილდოებული, აღარ მოეშვებოდა, ბოლომდის მიჰყვებოდა. უუნაროს, შრომაზე გულაცრუებულს ვეღარ იტანდა. თავის ხშირ წარბებს შეხრიდა, ღრმად ჩამჯდარ თვალებს მოჭუტავდა და მკაცრად ეტყოდა:

— არა, ძმავ, გიჯობს, სხვა საქმეზე გადახვიდე. მეფოლადეს ათას ღუმელზე უფრო გამძლე გული უნდა ჰქონდეს და ალმასივით ბასრი თვალები. შენ კი... ეჰ!.. — ჩაიქნევდა ხელს და განშორდებოდა.

მატარებელმა სვლა შეანელა. ანდრეი კუზმიჩმა კვლავ შეათვალიერა ფანჯრიდან არემარე, მერე ჩემოდანი აიღო და აუჩქარებლად გაემართა კარისაკენ.

ახალგათენებული იყო და ბაქანი მატარებლის წასვლისთანავე დაცარიელდა. ანდრეი კუზმიჩი არა ჩქარობდა, იცოდა, რომ ვასოს ოჯახი სადგურიდან სამი თუ ოთხი კილომეტრით იყო დაშორებული. გადაწყვეტილი ჰქონდა, გზა ეკითხა და ფეხით წასულიყო. სიარულში სოფელსაც დავათვალიერებ და უხერხულობაც შემიმსუბუქდებაო, ფიქრობდა გუნებაში. სადგურის უკან, ხელმარცხნივ, პატარა ბაღში, ლენინის ძეგლთან, უცხო მცენარეებმა მოსტაცა თვალი, ამიტომ არ შეუმჩნევია, სუფთად გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი რომ მიეახლა.

— უკაცრავად, თქვენ სად მიბრძანდებით? — შეეკითხა იგი ქართულად, მაგრამ როცა უცნობის სახეზე გაუგებრობა ამოიკითხა, მყისვე გადაუთარგმნა რუსულად თავისი სიტყვები.

— მე აგერ ახლოს... მხოლოდ, გეთაყვა, თქვენ, ალბათ, გეცოდინებათ, რომელი გზით უნდა წავიდე ვახტანგ სიამაშვილისას?

— ვახტანგისას? — ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ და ჩაფიქრდა, მერე უცებ სახე გაუნათდა და აღტაცებით წამოიძახა: — ახ, თქვენ უთუოდ ასიას ბაბუა იქნებით! ხომ მართალია?

ანდრეი კუზმიჩს ოფლნაყურ, ნაოჭიან სახეზე სიხარული აღებეჭდა, ჩემოდანი მოინაცვლა და ახალგაზრდას გამოწვდილი ხელი ჩამოართვა.

— დიახ, ასიას ბაბუა ვარ... როგორ გამახარეთ... ხომ კარგად არიან ვახტანგის ოჯახში? ბავშვი როგორ არის?

— დიდებულად! ყველანი კარგად არიან. თქვენ გელოდებიან. ვასომ მოიწერა არიშიდან, მალე ჩამოვაო. თვითონაც ამ დღეებში აპირებს ჩამოსვლას. დიდი ხანია შინ არ ყოფილა, ბავშვი არ უნახავს... მიბოძეთ ეგ ჩემოდანი.

— რატომ? არც იმდენად მოხუცი ვარ, რომ ვერ ვატარო.

— როგორ გეკადრებათ! ჩვენი სტუმარი ბრძანდებით! — უთხრა ახალგაზრდამ და ჩემოდანი გამოართვა, მერე იქვე, მოედანზე მდგარ „მოსკვიჩისაკენ“ გაუძღვა.

— ამ დილას კოლმეურნეობის თავმჯდომარე უნდა ჩამოსულიყო, ეს მანქანა მისი არის. ალბათ, საქმე შეხვდა. დაბრძანდით. ორიოდე წუთში ვახტანგისას ვიქნებით.

ანდრეი კუზმიჩმა პალტოს კალთები ასწია და ახალგაზრდა შოფერის გვერდით ჩაჯდა მანქანაში. შოფერს წამიც არ დაყოვნებია, სულ მალე შეუდგნენ აღმართს.

ანდრეი კუზმიჩი ერთხანს გაოგნებული იყო, ასე უცებ მისვლას არ ელოდა, მაგრამ როცა მაღლობზე აივაკეს და ირგვლივ თვალი მოავლო, უმალვე დაავიწყდა უხერხულობა, მშვენიერმა სანახაობამ მოხიბლა.

სამხრეთით, შორს, მაღალი მთები დილის მზის სხივებით გაბრწყინებულიყვნენ; ხევებში, ალაგ-ალაგ ჩარჩენილი თოვლის მახლობლად, ზღვის ქაფივით თეთრი ნისლი ნარნარობდა, ტყის ზოლს მუქ ჩრდილს აფენდა; ხოლო გადმოღმა, მომცრო გორაკებითა და მდინარეებით დასერილ ბაღნარებში, გაზაფხულის ფერები ისე კამკამებდნენ, როგორც თვითონ სიცოცხლე, უამრავი ადამიანის თვალებიდან სხვადასხვა ელფერით გამომკრთალი; მახლობლადაც, თემშარის პირად, ნაირნაირი ბორცვები, ფერდოები და მინდვრები მრავალგვარად იყო გაშენებული: ზოგან ჩაის ბუჩქები მიმოემწკრივებინათ, ბუჩქებზე ნორჩი დუყები ალისფერად ელვარებდნენ; ნაპირებში ქარსაცავ ზოლებად დარგული კრიპტომერიები მუქწიწვიანი შტოებით ურთიერთს მიხუტებოდნენ; ზოგან

ტანთეთრ ტუნგოებს გაეფარჩხათ შტოები; შემდეგ — ნარინჯები, დაბალი და მაღალი ვენახები, ყვავილოვანი მცენარეები, მწვანე ხალიჩასავით მოქარგული ეზოები, ცოცხალი ღობეები და ქათქათა ფარდებიანი ოდები; ზოგს ჭიშკრიდან სახლამდე კვიპაროსებისა თუ ნაძვების ხეივანი გაუშენებია.

სტალინგრადში ბევრი რამ უკვე აღადგინეს, ქუჩები ახალთახალი სახლებით დაამშვენეს, მაგრამ ანდრეი კუზმიჩს ჯერ კიდევ თვალწინ ედგა მრავალი ნანგრევი, საზარლად აღმართული, ყვავების საბუდარი. გამოვიდოდა ქარხნიდან, გახედავდა მშობლიურ ქალაქს და აქა-იქ შავად დაყუდებული, გაბზარული კედლები თავისთავად მეტყველებდნენ იმ მქუხარე ბრძოლაზე, რომელმაც მისი სამი ვაჟი შეიწირა.

აქ კი რა წარმტაცად მოურთავს გაზაფხულს ეს აყვავებული არემარე! სულ მცირეოდენი ნაჭრილობევიც არსად ეშჩნევა. ყველა ეზოში, ყოველი სახლის ფანჯრებში სიცოცხლის ძლიერება გამოსჭვივის. ჰოდა, აქვე ახლოს, სულ ახლოს არის ანდრეი კუზმიჩის სისხლხორციელი არსება, ოქროსფერ კულულებიანი გოგონა... თვითონ ანდრეი კუზმიჩიც აქ არის, ეს მიდამოც მისი მშობლიური ქვეყანაა.

ამ ფიქრმა ისე დაუტკბო გული ანდრეი კუზმიჩს, რომ ნაოჭიანი სახე ღიმილით დაუმშვენდა, სხივჩამდგარი თვალებით მიხედა მის გვერდით მჯდომ ჭაბუკს.

— ჰო, მშვენიერი კუთხე ყოფილა! ძალიან მიქებდა ვასო, მაგრამ ასეთი სამოთხე თუ იქნებოდა, ვერ წარმომედგინა.

— გმადლობთ ქებისათვის, — ჩაილაპარაკა შოფერმა, — იმედია, არა მარტო გარეგნულად, თავისი შინაარსითაც მოგეწონებათ ჩვენი ქვეყანა.

ამ სიტყვებმა საამოდ გააცა ანდრეი კუზმიჩი, ჭაბუკს სიყვარულით მიაცქერდა და ისეთი გრძნობა დაებადა, თითქოს ეს შავგვრემანი, კეთილსახიერი ახალგაზრდა მისი ძალიან ახლობელი ნათესავი ყოფილიყოს, თითქოს მის ნახვას ელოდა და ნატვრა აუსრულდა.

— მადლობა მე უნდა გადაგიხადოთ, ამ დილას ისე შემხვდით და წამომიყვანეთ, ვითომც დიდი ვინმე ჩამოსულიყოს.

— რას ბრძანებთ! თქვენ ხომ ვასოს სიმამრი ხართ, ვასო კი ჩემი კარის მეზობელია. დედაჩემი ასიას ისე ეთამაშება, როგორც ღვიძლ შვილიშვილს. ესეც რომ არ იყოს, თქვენისთანა დამსახურებული ადამიანის სტუმრობა, ისიც სტალინგრადიდან, ჩვენთვის დიდად საამაყოა... აგერ, უკვე მივედით.

ფართო ჭიშკართან გაჩერდა მანქანა. შოფერი სწრაფად ჩახტა, ჩემოდანს ხელი ჩაავლო და ოდისაკენ გასწია.

ვახტანგი და ტასო სამუშაოდ იყვნენ წასული, ასინეთი ბავშვებს ასაუზმებდა.

შოფერმა მოურიდებლად შეაღო კარი, ჩემოდანი იატაკზე დადო და მოლოდინში გარინდულ ასინეთს მიმართა:

— სტუმარი მოგიყვანეთ, ვასოს სიმამრი.

— ნენა, სულო! — წამოიძახა ჟუჟუნამ, წამოხტა, ასიას ხელი ჩაავლო, აიტაცა, — ბაბუა მოგივიდა, ასიკო, ბაბუა!

ჭოლაც წამოდგა, ჭიშკრისაკენ გაიხედა.

ასინეთმა კაბა გაისწორა, დარბაზს თვალი მოავლო, იატაკზე დადგმული დოქი ბუხრისკენ მისწია, მერე მჭკნარ ღაწვებზე ხელი მოისვა და სტუმართან შესაგებებლად გაემართა.

— არ გემშვიდობებით, საღამოს ისევ გნახავთ. — უთხრა შოფერმა ჭიშკართან გაჩერებულ ანდრეი კუზმიჩს და მანქანა გააქროლა.

ასინეთმა რუსული არ იცოდა და ამიტომ, ცოტა არ იყოს, მოკრძალებულად უახლოვდებოდა სტუმარს. გვერდით ჟუჟუნა მიყვებოდა, ამის იმედი ჰქონდა, ორიოდე სიტყვას ეტყვისო; მორცხვი გოგონა კი, გეგონებოდა, თავის მარჯვენა მკლავზე მჯდარ ასიას სახეს აფარებსო.

უფრო ახოვანად ჰყავდა ასინეთს წარმოდგენილი ანდრეი კუზმიჩი.ეს კი შუატანისაა, მხრებში ოდნავ მოხრილი; შავი პალტო აცვია, ასეთივე კეპი ახურავს. მეტისმეტად ფერნაკლული სახე აქვს, ხმელი, ნაოჭიანი. მხოლოდ მისი თვალები გამოიყურება ცოცხლად, ხშირ წარბებს ქვეშ ღრმად ჩამჯდარი

თვალები; შეკრეჭილ, ნაცრისფერ ულვაშებში ჭალარა არ ემჩნევა.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! — ქართულად მიმართა ასინეთმა და სტუმარს ხელი გაუწოდა, თანაც ჟუჟუნას მიხედა, თვალით ანიშნა, — შენ უთხარიო რამე რუსულად.

ანდრეი კუზმიჩს ასინეთისა და ჟუჟუნას უხერხულობა არ შეუმჩნევია; როგორც კი თვალი მოჰკრა ასიას, შემდეგ სულ მას მიჩერებოდა. გაზრდილა, სახის ნაკვთებს გარკვეული ელფერი მიულია. ზედგამოჭრილი ნატაშაა, ბედშავი ნატაშა...

მწვავე სიხარულის ნაკადი გულიდან ყელთან მოაწვა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. თავს ძალა დაატანა, ბავშვს თვალი მოსწყვიტა და ასინეთს გამოწვდილი ხელი ჩამოართვა, თავი დაუკრა. უნდოდა ჟუჟუნასთან მისულიყო, ბავშვი ხელში აეყვანა, მაგრამ რატომღაც მოერიდა, ასინეთს გაჰყვა გვერდით ოდისაკენ.

ასინეთი უცებ შეჩერდა, ჯერ ანდრეი კუზმიჩს შეავლო თვალი, მერე ცოცხლად მიბრუნდა, ჟუჟუნას ასია გამოართვა, ანდრეი კუზმიჩს გაუწოდა:

— მიდი, ბებიკო, გენაცვალე, მიდი!.. ხომ იცანი, გულო, შენი ბაბუაა...

ახლა კი შეტოკდა ანდრეი კუზმიჩი, დამორცხვებულ, თავდახრილ ასიას ხელი ჩაავლო, მაღლა ასწია, მერე მკერდზე მიიხუტა, თავზე აკოცა.

სამი-ოთხი წლის ბავშვს ძალიან ახლო წარსულიც კი მალე ავიწყდება, ყოველდღიურად უამრავ შთაბეჭდილებას, უამრავ ცნებას, სიტყვას, სახეს ითვისებს და უკან მისახედავად არა სცალია. ასიას სტალინგრადი თითქმის აღარ ახსოვდა, უკვე შეეზარდა აქაურ ბუნებას, ხალხს, ქართული ენა ისწავლა. მაგრამ ახლა, ანდრეი კუზმიჩმა რომ მკერდზე მიიხუტა, მის მეხსიერებაში ჯერ ბუნდოვნად, მერე კი ცხოვლად გამოისახა ის კუთხე, სადაც პირველად ენა აიდგა, ოთახი, სათამაშოები, კედელზე დაკიდებული პორტრეტები, პელაგია დიმიტრევნა, ვალია... ყველაზე ნათლად კი ის მომენტი მოაგონდა, როცა სტალინგრადის სადგურში მატარებელი დაიძრა, ფანჯრიდან ანდრეი კუზმიჩს ხელი დაუქნია და თვალები ცრემლით აევსო. მოაგონდა ეს და თავი ასწია, მკრთომარედ მიაპყრო თავისი ცისფერი თვალები სახეგანათებულ, აღფრთოვანებულ ანდრეი კუზმიჩს.

ბიბლიოთეკა

— დედა, შვილო! იცნო, იცნო — წამოიძახა ასინეთმა და ჟუჟუნას ხელი მოხვია. მერე სერიოზულად მიაცქერდა და დაარიგა: — უთხარი, ბებიკო, ორი სიტყვა სტუმარს, თვარა იფიქრებს — ჩემი არაფერი გაეგებათო, სირცხვილია, თავი მოგვეჭრება.

ჟუჟუნას შავგვრემანი სახე წამოუწითლდა, ანდრეი კუზმიჩს მოკრძალებით ახედა და ძლივს გასაგონი ხმით მიმართა:

— ბებიაჩემი გთხოვთ, სახლში წამობრძანდითო.

— აჰ, შენ რუსული გცოდნია, ჩემო კარგო! — სიხარულით წამოიძახა ანდრეი კუზმიჩმა და ჟუჟუნას შავ, ხუჭუჭა თმაზე ხელი მოუსვა. მერე ასიას ჰკითხა მოფერებით: — შენ, ჩემო სიხარულო, შენ ხომ არ დაგავიწყდა რუსული ენა? გესმის, რას გეუბნები?

— მესმის. — ჩუმად უპასუხა ასიამ და ბაბუას თავით მიეხუტა.

ამ ერთმა სიტყვამ იმდენი სიამე მოჰგვარა ანდრეი კუზმიჩს, თითქოს არა მარტო თავისი ქალიშვილის, არამედ თავისი ვაჟების ხმაც გაეგონოს; ამ წამს არც თავისი ხანდაზმულობა ახსოვდა, არც რაიმე სიმწარე, სამოცი წლის მანძილზე არაერთხელ განცდილი.

ჭოლა აივნიდან დინჯად ჩავიდა და მოზრდილს რომ შეჰფერის, ისეთი მოწიწებით მიეგება სტუმარს.

— ეს ჭოლაა, ჩემი ძმა, — გააცნო ჟუჟუნამ.

— თქვენ ვასოს უფროსი ძმისშვილები ხართ, ხომ?

— დიახ.

— კარგები ყოფილხართ, კარგები! — თქვა ანდრეი კუზმიჩმა და ოდის აივანზე ავიდა, ლამაზად მორთულ დარბაზში შეიხედა, მყისვე შეამჩნია, რომ აქ ყველაფერი ქალაქურად იყო გაწყობილი. განსაკუთრებით თვალში მოხვდა ის საუცხოო სისუფთავე, რაიც ისე გატაცებით უყვარდა საწყალ პელაგია დიმიტრევნას.

ასინეთმა სტუმარს საუზმე მიართვა, არაყი დაუსხა. თანაც ჩვეულებისამებრ მოიბოდიშა, იმედია, არ დაგვძრახავთო.

ქუქუნას ძალიან უნდოდა ეს სიტყვებიც გადაეთარგმნა, მაგრამ ვერ მოახერხა და შუბლი შეიკრა, კუშტად ჩაილაპარაკა:

— რანაირი სიტყვების თქმა იცი, ბებია! მაგას მე კი არა, მასწავლებელიც ვერ გადათარგმნის!

— კარგი, ბებიკო, კარგი! რაც იცი, ის უთხარი. გაიზრდები და ყველაფერი გეცოდინება.

ჭოლამ წერა-კითხვით რუსული ენა ქუქუნაზე მეტი იცოდა, ერთი კლასით წინ იყო, მაგრამ ენა გატეხილი არა ჰქონდა და ერიდებოდა, ამიტომ მარტოოდენ შეკითხვებზე უპასუხებდა ხოლმე ანდრეი კუზმიჩს, ისე საუბარში არ ერეოდა.

საუზმეს რომ მორჩნენ, ანდრეი კუზმიჩმა ჩემოდანი გახსნა, ასიასთვის წამოღებული ზურმუხტისფერი ხავერდის სამოსი და კრიალა ფეხსაცმელები ამოიღო.

— ნენა, რა ლამაზია! — წამოიძახა ქუქუნამ და ანდრეი კუზმიჩს მიეშველა, ბავშვს სამინაო კაბა გახადა, ახალი ჩააცვა. ფეხსაცმელებიცა და ქუდიც კარგად მოერგო გოგონას, დამშვენდა, სახე ვარდივით გაეფურჩქნა, დინჯად გაიარა, მერე ასინეთს მიაპყრო გაბრწყინებული თვალები, სიცილი ვეღარ შეიკავა, ხელები გაშალა და ჩაჩოქებულ ბებიას მიაფართქალდა, ყელზე მოეხვია.

— მშვიდობაში, ჩემო ანგელოზო, სიხარულში! ნუ მოგიშალოს ბუნების ძალამ ბაბუაშენის წყალობა! — დალოცა მოხუცმა ბავშვი და ფანჯრისკენ, სინათლეში გაიყვანა, მერე უკან დაიხია და გაიკვირვა: — მართლაც რაფერ უხდება ამ მაქციერას, რაფერ ამშვენებს!

მალე ჭოლა და ქუქუნა სკოლაში წავიდნენ, ასინეთი საოჯახო საქმეს შეუდგა, ანდრეი კუზმიჩი და ასია ოდაში მარტოდ დარჩნენ.

ბავშვი უკვე შეეჩვია ბაბუას, შეეტკბო. საუბარში ხანდახან უნებლიეთ ურევდა ქართულ სიტყვას, ეგონა, ანდრეი კუზმიჩისათვის იგი ისევე გასაგები იქნებოდა, როგორც სხვებისთვის. ენაწყლიანად უყვებოდა, რომ მას პატარა ხბო ჰყავს, ისეთი ლამაზი, ისეთი ქორფა... აგერ ეს დედოფალა ბაბუმ მიყიდა ბათუმში... იცი, მე ზღვაზე ვიყავი, დიდია, ძალიან დიდი... გემი ვნახე, კვამლი ამოდიოდა...

მზისაგან გამთბარ აივანზე გავიდნენ. ანდრეი კუზმიჩს ჯერ თვალი მოსჭრა ბრწყინვალე სანახაობამ, მერე თანდათან შეაჩვია მზერა საუცხოოდ მორთულ გარემოს. მართლაც, რა დიდებული ყოფილა მზიური საქართველო! აგერ, ასიას რომ ზურმუხტისფერი ხავერდის კაბა აცვია, ისე ხასხასებენ მთის კალთები, მთელი ეს ნაირნაირი წალკოტი! მაინც რამდენი სერია, რამდენი ბორცვი, რამდენი მცენარე, რამდენი ყვავილი! და ყოველივე ეს როდი გღლის, როდი გამძიმებს, თავისკენ გიწვევს, გიალერსებს, ძალ-ღონის განახლებას გპირდება.

დარბაზში შებრუნდა, დივანზე მიწვა. ასია გვერდით მოისვა. საუბარში რული წამოეპარა და მშვიდად ჩაეძინა.

ასიამ ტუჩზე თითი მიიდო, ჩუმად ჩაცოცდა, ბებიას მიაშურა, ბაბუს დაეძინაო, უთხრა.

ასენეთი ფეხაკრეფით ავიდა ოდაში, საწოლი ოთახიდან აბრეშუმის საბანი გამოიტანა და ფრთხილად დაახურა ანდრეი კუზმიჩს.

*
* *

ნაშუადღევს გამოეღვიძა. დიდიხანია ასე მოსვენებულად არ უძინია ანდრეი კუზმიჩს. დარბაზში მიმოიხედა. გარს თითქოს უცნაურად მსუბუქი, მაამებელი დუმილი შემოეფინა. ერთხანს ფანჯრიდან სივრცეს უმზირა, მერე კედელზე ჩამოკიდებულ პორტრეტს მიაპყრო თვალი, მამუკას პორტრეტს. რა შესანიშნავი ვაჟკაცი ყოფილა, შევარდენივით გამოიყურება. ნამდვილი მფრინავია. ცოტათი კი ჰგავს ამას ვასო... ეჰ, ბედშაო, ნატაშა, რა ცხოვრება, რა ოჯახი გელოდა! შენ კი ვერ მოესწარი, შვილო!..

გული აუჩქროლდა მოხუცს, ცრემლი მოერია. ამ დროს ქუქუნა შემოვიდა, ასია შემოიყვანა. ანდრეი კუზმიჩმა სახე მიაბრუნა, ცრემლი მოიხოცა, მერე ცოცხლად ადგა და ბავშვებს გაუღიმა.

ასინეთმა სადილი შემოიტანა, თანაც ბოდიში მოიხადა, ახლა წავიდაო სკო-

ლიდან მოსული ჭოლა ვახტანგთან, იქნება დააგვიანდეს და მის მოსვლამდის ცოტა მიირთვითო.

მზე ზღვისაკენ იყო გადახრილი, როცა ანდრეი კუზმიჩმა ჟუჟუნა და ასია მაღლობისაკენ გაიყოლია. მაცოცხლებელი სითბო ძვალ-რბილში გაუჯდა ნაცად მეფოლადეს. არსად, არც ვოლგის პირად, არც თავის სოფელში სიყრმისას არ განუცდია ანდრეი კუზმიჩს გაზაფხულის ასეთი სინარნარე.

ჟუჟუნამ ღობის ძირებში ია დაინახა და კრეფას შეუდგა. ანდრეი კუზმიჩიც მიეშველა. თითო-თითოდ აწვდიდა ასიას, მალე მოზრდილი კონა შეგროვდა.

მზვარეში დასხდნენ. ანდრეი კუზმიჩმა ასიას თვალებში ჩახედა, მერე იის სურნელოვან კონას დააკვირდა; მზეში ია ისეთივე სხივიანია, როგორიც ასიას თვალები, ჩრდილში კი უფრო მუქია. ამ შედარებამ ანდრეი კუზმიჩს ბუნებისა და ადამიანის თანაზიარობაზე აღუძრა ფიქრი, ბუნდოვნად წარმოესახა უწყვეტი სიცოცხლე, მრავალფერად მკრთომარე დროისა და ჟამის უსაზღვრო მდინარებაში. ამასთანავე ისეთი გრძნობა გაუცხოველდა, როცა არ გინდა მალე დაღამდეს, როცა გენანება ყოველი გასული წუთი, რადგან იგი — ესოდენ მშვიდი, ესოდენ საამო — უკვე აღარ დაგიბრუნდება. იქნებ ხანდაზმულობის ბრალიაო ეს, შეეკითხა თავისთავს, და დაემოწმა: — ჰო, მართალია. წინათ აბა სად მეცალა ასეთი განცხრომისათვის. სულ წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ მივისწრაფოდი, ახალი მიღწევები მიტაცებდა. ახლა კი... რა, განა ახლა არა ვხედავ ბრწყინვალე მომავალს, იმ ნათელ ცხოვრებას, რომელიც ჩემს ასიას მოელის? ვხედავ, ძალიან კარგად ვხედავ, მაგრამ ეს საუცხოო დღეც არ მინდა ადრე დაღამდეს, მინდა ვუმზირო ჩემს გოგონას, ძთელ ამ მშვენიერ არემარეს... აგერ, როგორ ღაჟღაჟებს აყვავებული ხანჭკოლა ვენახში; ეს ერთი წერწეტა კვიპაროსი ზამთარში თოვლს გადაუხრია, ახლა ძალღონეს იკრებს, წელში იმართება; აგერ, ის უცხო მცენარე, რა ლაპლაპა ფოთლები აქვს, გეგონება, წამიდან წამზე ფერს იცვლისო... ჩიტებმა საღამოს მოახლოება იგრძნეს, ალბათ, იმიტომ გალობენ ასე ხმამაღლად, შორი მთები კი თითქოს ეფერებიან, შვენდნენ, საოცნებო ელფერით მოსილნენ. ხოლო ცის კრიალა თაღი ისე ხასხასებს, როგორც აი ეს იის კონა, ასიას რომ ხელში უჭირავს...

ძახილი მოესმათ. ჭოლა იყო. ყმაწვილმა ჩქარა აირბინა მათთან. ვახტანგი მალე მოვაო. ნელინელ დაეშვნენ სახლისკენ.

ოდის წინ ტასო გამოეგება ანდრეი კუზმიჩს, ხელი ჩამოართვა, მოიკითხა. იგი ბათუმში იყო გაზრდილი და რუსული ენა კარგად იცოდა.

ისევ ის თალხი სამოსი ეცვა ტასოს, არა მხოლოდ სამგლოვიარო, არამედ მუდმივი სევდის მაუწყებელი. ჯანსაღად გამოიყურებოდა შრომაში გაკაჟებული, მხოლოდ ჭაღარა კი უფრო ემჩნეოდა. ჩვეულებად გადაექცა, უცხო სტუმარს დარბაზში შეუძღვებოდა, თავისი ქმრის პორტრეტს სიყვარულით თვალს შეავლებდა, ხან იდუმლად, თავის გუნებაში, ხან კი ხმამაღლა ეტყოდა:

— გადმოიხედე, ჩემო არწივო, შენი კეთილი თვალებით, სტუმარი მოვიდა...

ცრემლი რომ მოერეოდა, თავს უკეთ გრძნობდა, თითქოს რაღაც სიმძიმისგან განთავისუფლდაო.

— ეს გახლავთ ჩემი ქმარი, მამუკა, — უთხრა ანდრეი კუზმიჩს, — თქვენ გეცოდინებათ მისი ამბავი.

— დიახ, ვიცი, ძვირფასო, ვიცი, — ყრუდ ჩაილაპარაკა ანდრეი კუზმიჩმა, მერე გასამხნევებლად დასძინა: — მესმის, რას ნიშნავს თქვენი მწუხარება: მეც სამი დაკარგული ვაჟის პორტრეტი მაქვს სახლში.

— დაკარგულს რატომ ბრძანებთ? — შეესიტყვა ჭირსა შიგან გაკაჟებული ტასო, — ჩემი მამუკა და თქვენი ვაჟები ახალ ცხოვრებას დაედგნენ საფუძვლად... ისინი ჩვენთან არიან, ჩვენთან ერთად შრომობენ უკეთესი ცხოვრებისათვის, ჩვენი შვილების მომავლისათვის.

ეს ისეთი ტონით თქვა ტასომ, იმდენი ძალა იყო მის სიტყვებში, რომ ანდრეი კუზმიჩმა გაოცებით შეათვალიერა ეს შავგვრემანი, შავთვალწარბა ქა-

ლი, ჯანლონით სავსე. ეს უთუოდ თავისი სიტყვის ადამიანი იქნებაო. გაივლო გუნებაში და გულწრფელად უთხრა:

— ღმერთმა მოგცეთ მხნეობა და გამძლეობა! ნამდვილი დედა ყოფილხართ, შვილების აღმზრდელი დედა!

— გმადლობთ! — ჩაილაპარაკა ტასომ და ვაჟკაცური სახე ღიმილით დაუმშვენდა. — სწორედ ეგ მინდა დავიმსახურო, მეტს აღარაფერს მოვითხოვ ცხოვრებისაგან.

აივანზე ხმაურით აყვნენ ვახტანგს ბავშვები, აქ კი შეჩერდნენ, ვნახოთ, როგორ შეხვდებიანო ურთერთს ანდრეი კუზმიჩი და ვახტანგი.

— დიდი ხანია გელოდებით, ძვირფასო ანდრეი კუზმიჩ! — შეილაპარაკა კარებში ვახტანგმა და გრძელი მკლავები გაშალა, სტუმარს მოეხვია. მერე უკან დაიწია და ანდრეი კუზმიჩს სახეზე დააკვირდა, მყისვე შეიგრძნო, თუ რა დიდი ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი ამ ჭარმაგ მოხუცს, წარმოდგენილიც ასეთი ჰყავდა, ღვაწლმოსილი, ფოლადივით წრთობილი. ამას თითქოს ჩამოჰგავდა ის დაუვიწყარი ოსტატი, რომელიც ბაქოში, მექანიკურ სახელოსნოში ვახტანგს ზეინკლობას ასწავლიდა. — დღეს ადრე გავიგე თქვენი მოსვლა, — მოიბოდიშა ვახტანგმა, — შინდოდა მაშინვე წამოვსულიყავი, მაგრამ ჩემი რგოლი ხვნაში ჩამორჩა, ამიტომ სამუშაო ვეღარ დავტოვე.

ღიმლით შეაცქერდა ანდრეი კუზმიჩი ვახტანგს, მოეწონა მისი ჩაცმულობა, უტეხი გამომეტყველება. არაფრით არა ჰგავდა იგი ყანიდან მისულ გლეხს, მტვერში გასვრილს. სუფთად ეცვა, ფართო ქამარზე ქარქაშიანი დანა ეკიდა. სვანური ქუდი უხდებოდა მის მოგრძო სახესა და მაღალ ცხვირს.

— რა საბოდიშოა, საქმეს რატომ უნდა მომცდარიყავით, — უთხრა ანდრეი კუზმიჩმა. — მშვენიერი დღე გავატარე. უნდა გამოგიტყდეთ, ისე გამიტკბა აქაურობა, რომ არ მინდოდა მალე დაღამებულიყო, მენანებოდა ყოველი გასული წამი.

— ო, ეს კარგია, კარგი! მეც გამომიცდია ასეთი რამ. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ აქ თავს ისე იგრძნობთ, როგორც თქვენს საკუთარ ოჯახში. — მიეფერა ვახტანგი, ხელი მოხვია.

ჭოლა და ეუეუნა ცალთან იდგნენ, ასია კი დაწინაურდა, ვახტანგს თავდახრილად მიუახლოვდა, თითქოს გაბუტულიაო, მე რატომ არ მაქცევენო ყურადღებას.

ვახტანგმა ხელი დასტაცა, აიყვანა, მერე ანდრეი კუზმიჩს მიაწოდა:

— მიდი, გენაცვალე, მიდი! ეგ შენი ბაბუა, დიდი ბაბუ! — უთხრა ქართულად, მერე ანდრეი კუზმიჩს მიმართა: — რას იტყვით, ხომ დიდი გაზრდილა ჩვენი გოგონა?

— აჰ, ძალიან დიდი, ძალიან! — უთხრა ანდრეი კუზმიჩმა და ბავშვი გამოართვა, მიიხუტა.

ასიამ კულული გაისწორა, ვახტანგს მიხედა, დინჯად გაუღიმა, მერე თავი გადასწია და მოკრძალებით მიაცქერდა ანდრეი კუზმიჩს.

დაღამებამდის ვახტანგმა ანდრეი კუზმიჩი თავის საკარმიდამოში მიმოატარა, ჩაი, ციტრუსები, ვენახი და საფუტკრე დაათვალიერებინა.

— მე აქ რევოლუციის შემდეგ დავსახლდი, — უამბობდა ანდრეი კუზმიჩს. — მაშინ აქ სრულიად გაუშენებელი გორაკი იყო. მამაჩემს ჭადი და ლობიო საკმაო მოყავდა, ისე კი ბავშვები ფეხშიშველები დავდიოდით... ძალიან დაწინაურდა ჩვენი კოლმეურნეობა, ჩვენც გავძლიერდით. აგერ, ჩემს საკარმიდამოში რომ ჩაის ბუჩქებია, აქედან გასულ წელს ცხრა ათასი მანეთის ჩაის ფოთოლი ჩავაბარეთ. ეს მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, ეს ვენახი და ფუტკარი კიდევ სხვა არის. ხოლო მთავარი — ჩვენი შრომადღეებია. გასულ წელს ჩემმა რძალმა, ტასომ სამასი შრომადღე გამოიმუშავა, ტონანახევარი მარცვლეული მიიღო და შვიდი ათასი მანეთი ფული. თანაც მედლით დააჯილდოვეს.

— ვაკვირდები აქაურობას, — ჩაილაპარაკა ანდრეი კუზმიჩმა, — და ასე მგონია, თქვენი ოჯახისთვის აუცილებელი არ უნდა იყოს, ვასო რომ მეტალურგად აღიზარდა. მეფოლადეა, თავის ახალ ქალაქში უნდა დასახლდეს.

— მაგაზე ბევრი მიფიქრია, ჩემო მეგობარო! თქვენ ხომ სტალინგრადელი ოსტატი ხართ და ჩემზე უკეთ მოგეხსე-

ნებათ: ჩვენ რომ მარტო სოფლის მეურნეობას დავყრდნობოდით, განა დღეს განადგურებული არ ვიქნებოდით? მართალია, ჩვენც ზურგს ვუმაგრებდით ჩვენს არმიას, მაგრამ მათი საბრძოლო იარაღი, მათი ჯავშანი თქვენ მიერ ჩამოსხმული ფოლადი იყო... გარდა ამისა, უკვე თვალნათლად მოჩანს იმის ნიშნები, რომ ჩვენში თანდათან წაიშლება ზღვარი ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის. ამიტომ მე ვასოსთვის უფრო ღირსეულ საქმედ მიმაჩნია ის ხელობა, რომელიც თქვენ მას შეასწავლეთ, ჰო, არა მარტო შეასწავლეთ, არამედ კიდევაც შეაყვარეთ.

ვახტანგმა შეამჩნია, თუ როგორ აამა ამ სიტყვებით ანდრეი კუზმიჩს. ღრმად ჩამჯდარი თვალები გაუბრწყინდა ძველ მეფოლადეს, სახე ისე გაუნათდა, თითქოს მარტენის ღუმელის ღარიდან ციცხვში ჩაღვრილმა მზისფერმა ნაკადმა შეაშუქა.

— ჰო, მართალი ხართ, ეგეგობარო ჩემო, — თქვა ანდრეი კუზმიჩმა და მცირე ხანს ჩაფიქრდა, მერე დინჯად განაგრძო: — ერთი შეხედვით ჩვენი საქმე, ჩვენი მძიმე ინდუსტრია, ვერ არის ისე მიმზიდველი, როგორც ეს ბალნარი, როგორც ეს ჩაი, ციტრუსი, ვენახი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ჩვენს შრომაშიაც არის თავისებური სილამაზე, მე ვიტყოდი, ძალიან საამაყო და ამამაღლებელი სილამაზე! თქვენ იმას ნუკი უყურებთ, რომ მე მუშაობის დროს უხეში, გამურული ხალათი მაცვია, სახეც ალმურს მიმიგავს ხოლმე. არა, თქვენ უფრო ღრმად უნდა ჩაუკვირდეთ და შრომის, გესმით, ცეცხლოვანი შრომის ნაყოფისაგან მონიჭებული სიხარული უნდა დაინახოთ! თქვენ ხომ იცით, რად ღირს ადამიანისათვის ეს სიხარული! იქნება ჩვენი სიცოცხლის მთავარი აზრი სწორედ იმაშია, რასაც ჩვენ ვქმნით, რაც ჩვენი არსებიდან გამომდინარეობს... ჰო, ჩვენ ყველანი, სოფლის მეურნეა იგი თუ მეფოლადე, დიადი სიცოცხლისათვის ვილწვით, მეგობარო ჩემო!..

„კარგად ლაპარაკობს, — გაიფიქრა გუნებაში ვახტანგმა, — თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმას, რაც მე ბევრჯერ მიფიქრია. ასეა: სადაურიც არ უნდა იყოს ჩვენი საბჭოთა ადამიანი, სტალინგრადელი, ურალელი თუ დონბასელი, — ყველას ერთი მთავარი აზრი ასულდგმულებს, ერთი მადალი მისწრაფება“...

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენი აზრები ასე ემთხვევა ერთმანეთს, — გრძნობიერად წარმოთქვა ვახტანგმა: — ასე მგონია, ჩვენ თითქოს ერთად გვემუშაოს ახალგაზრდობისას ქარხანაში, ერთად შეგვეთვისებინოს ის მისწრაფებანი, რომელმაც შემდეგ მთელი ჩვენი ცხოვრება მოიცვა.

— ჰო, მართალი ხართ, ჩვენ ხომ ერთ დიდ სკოლაში აღვიზარდენით... პირველი რევოლუცია, რეაქცია, პირველი მსოფლიო ომი, თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუცია, სამოქალაქო ომი, მერე ჩვენი დიდი მშენებლობა და ბოლოს სამამულო ომი! განა შეიძლება ერთი ადამიანის ცხოვრება ამაზე მეტი შინაარსით იყოს აღსავსე!.. მართალია, პირადად ჩვენ... არა, უფრო მე, თქვენ რა გიშავთ, — დიდი ჭრილობა გამომყვა, სამი ვაჟი აღარა ძყავს, ამათ კიდევ ჩემი ბედშავი ნატაშა ძიემატა...

ხმაში მღელვარება შეეპარა ანდრეი კუზმიჩს, ვახტანგს სახე აარიდა, მთებს გაჰხედა. წამსვე შუბლი შეიკრა, მტკიცედ ჩაილაპარაკა:

— რა გაეწყობა! ჩვენ ხომ შეგვიძლია ვიყოთ კმაყოფილი იმით, რომ ყველაფერი, რაც კი გაგვაჩნდა, ჩვენი სისხლი და ხორცი, მთელი ჩვენი სულიერი სიმდიდრე მივეცით ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს, ჩვენს დიდ მომავალს...

— მეც ეგ მამხნევებს. ჩემი მამუკაც...

— ჰო, აი, სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა, — მღელვარე ხმით შეაწყვეტინა ანდრეი კუზმიჩმა: — განა მამუკა, ეს ბრწყინვალე არწივი, შედუღებული არ არის ჩვენი ქვეყნის აღმავალ ცხოვრებაში ისე, როგორც ნიკელი უჟანგავ ფოლადში?..

ღამდებოდა. ზღვის კიდემდის დასული მზის სხივი მწვერვალებზე ისე მიმზიდველად ელვარებდა, თითქოს მთები, როგორც ეს ორი ჭარმაგი მოხუცი, ანდრეი კუზმიჩი და ვახტანგი, შორი დასავლის მიღმა იცქირებოდნენ და განა-

თიადების დაუსრულებელ ნათელს შესტრფოდნენ.

ელექტრონის შუქით განათებულ დარბაზში გრძელ სუფრაზე ვახშამს აწყობდნენ. ანდრეი კუზმიჩის სანახავად რამდენიმე მეზობელი მოვიდა. ყველაზე ადრე ვახტანგის მეგვარემ, სარდიონ სიამაშვილმა მიაკითხა, — ეს ის ჭაბუკი იყო, რომელმაც დილით ანდრეი კუზმიჩი მანქანით მოიყვანა. უბნის ბრიგადირი, იპოლიტე დარჩიაც ისე მკვირცხლად ამოვიდა აივანზე, თითქოს იმ დღეს დილიდან საღამომდის შეუსვენებლად არ ემუშაოს. ბოლოს არა მარტო იმ სოფელში, მთელ რაიონში ცნობილმა ძველმა ბოლშევიკმა, ბესარიონ შევარდნაძემ შეაღო ოდის კარი და უპირველეს ყოვლისა ანდრეი კუზმიჩს, როგორც დიდი ხნის მეგობარს, ღიმილით ხელი გაუწოდა, თავისებურად, ქართულ კილოზე გამოთქმული რუსული ენით მიმართა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობარო! დიდი ხანია ვნატრობ, ერთი სტალინგრადელი ამხანაგი ვნახო და ვესაუბრო-მეთქი და ეს ნატვრაც ამისრულდა. დიდი მადლობელი ვართ, დიდი, რომ გვინახულეთ. ჩვენ დიდად დავალებული ვართ თქვენგან: ჩვენი ვასო ხომ თქვენი აღზრდილია...

რუსულ სიტყვებს ძალიან ამახინჯებდა ბესარიონი, მაგრამ ისე გაბედულად ლაპარაკობდა, რომ ენაწყლიანი კაცის შთაბეჭდილებას მაინც სტოვებდა. შუატანისა იყო, მხრებში მცირედ მოხრილი, მოკლედ მოშვებული წვერი სავსებით გათეთრებოდა, ხოლო ულვაშები თამბაქოს კვამლით ჰქონდა შეყვითლებული. წვრილი, ცოცხალი თვალები მომეტებულად უცინოდა, თუ არა და უცებ ალმასივით გაუმახვილდებოდა, ძველი მებრძოლის შეუპოვარ სულს ამჟღავნებდა.

პირველად, როგორც ეს აქაურებს სჩვევიათ, საუბარი პოლიტიკაზე წამოიწყეს, საერთაშორისო მდგომარეობა მიმოიხილეს.

— მითხარით, გეთაყვა, — მიმართა ბოლოს ბესარიონმა ანდრეი კუზმიჩს,— სად ინახება ის ხმალი, რომელიც ინგლისელებმა სტალინგრადის გმირ დამცველებს უძღვნეს?

ანდრეი კუზმიჩისათვის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მეტად სასიამოვნო იყო.

— სტალინგრადში, ძალიან საინტერესო მუზეუმი გვაქვს,— დაიწყო მან.— როგორც კი გახვალთ სადგურიდან, უმალვე თვალში მოგხვდებათ მრგვალი, წაბლისფერი შენობა. იგი ისევეა აღდგენილი, როგორც ომამდე იყო. მხოლოდ იგი ახლა მეტისმეტად გამდიდრებულია. გაივლით სამოქალაქო ომს, ცარიცინის დაცვის ბრწყინვალე ხანას, მერე იწყება სამამულო ომი და უწინარეს ყოვლისა თვალში გხვდებათ ის უკვდავი დროშები, რომელთაც სტალინგრადიდან ბერლინამდის მიაღწიეს, ახალი დიდებით შეიმოსნენ და ისევ უკან დაბრუნდნენ... მერე ჩვენ მიერ წამოღებული ბაირაღები ფაშისტებისა; როგორც კი შეხედავთ, მკვდრის სუდარას მოგაგონებთ... მახლობლად ყუთში ოხრად ჰყრია ფაშისტების ჯვრები, ორდენები, წარჩინების ნიშნები. გაგიკვირდებათ, იმდენად ულაზათონი არიან ეს ემბლემები, გეგონებათ, მათი პატრონების ბოროტი სულიაო შიგ გამოსახული... ჰოდა, ფანჯრის მახლობლად, სინათლეში, გრძელი, ოქროსტარიანი, კრიალა ხმალი ძევს. იგი მინითაა გადახურული. ხმალზე, კარგად მახსოვს, დიდრონი ასოებით სწერია: „სტალინგრადის მოქალაქეებს, ფოლადივით მტკიცეთ, ნიშნად ბრიტანეთის ხალხის ღრმა აღტაცებისა“...

— დიდებულია! — წამოიძახა ბესარიონმა, მღიმარი თვალები მეგობრებს მოავლო, — გესმით, როგორ სწერია, ფოლადივით მტკიცეებსო, ნიშნად ინგლისის ხალხის ღრმა აღტაცებისაო, დიახ, ინგლისის ხალხი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ჩვენი არმიის ღვაწლს. ინგლისის მუშები და მოწინავე ადამიანები დღესაც თანაუგრძნობენ ჩვენს ბრძოლას საყოველთაო მშვიდობისათვის. იმათ კი, იმ ბოროტ სულებს — ჩერჩილს, ეტლისა და ბევინს, ტრუმენსა და მის მაკარტურს, — იცით, ქართულად რა ზედგადმოჭრილად გამოდის ამ კაციჭამიას სახელი? — მართლატურა, ე. ი. ნამდვილი ტურა, — ჰო, ამ ბოროტ სულებს დაე ახსოვდეთ, თუ რა შეუძლია უძლეველ საბჭოთა ხალხს! ბარე ორჯერ ამოვაძუებინეთ კუდი! მაშინ უფრო მოუწყობელი ვიყავით, ახლა კი,

ჩემო ძვირფასო მეგობარი, ჩემო სტალინგრადელო ვაჟკაცო, თქვენ იყავით კარგად და მაგათ საკადრის პასუხს გასცემენ ჩვენი ბიჭები...

ბესარიონი ისეთ გუნებაზე დადგა, რომ კიდევ კარგა ხანს განაგრძობდა აღტაცებულ სიტყვას, მაგრამ დიასახლისმა მორიდებულად შეაწყვეტინა, სუფრაზე მიიპატიჟა.

მადიანად შეექცნენ. ჩვეულებისამებრ თითო ჭიქით დაილოცეს. ურთიერთს გამარჯვება, ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვეს. შემდეგ ბესარიონმა მოზრდილი სასმისი ღვინით აავსო, წინ დაიდგა, სკამის საზურგეს მიაწვა, თავი ასწია და ანდრეი კუზმიჩს მიაცქერდა.

— იცით რა, ძვირფასო მეგობარო,— დაიწყო ჩაფიქრებულად, თვალები მოჭუტა, თითქოს შორს იმზირებაო,— ჩვენ, ქართველებს, განსაკუთრებით ჩემი ხნის მებრძოლებს, დიდი ბედნიერება გვხვდა წილად. ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, გამოუცდელნი, სინათლეს მოწყურებულნი, როცა ჩვენმა დიდმა არწივმა თავისი მძლავრი ფრთებით მწვერვალზე აგვიყვანა, შორს გაგვახედა. თვითონ კი უფრო შორს, საუკუნეებს მიღმა იმზირებოდა... აგერ გეტყვი: ბათუმის მახლობლად, მაღლობზე, ტყის პირად შეიკრიბენით. ჩვიდმეტი წლის ბიჭი ვიყავი. წინამძღოლს პირველად ვუსმენდი. ნათლად მახსოვს: მთვარიანი ღამე იყო, უცნაური დუმილი ირგვლივ და თანაც წინამძღოლის მრავალმეტყველი, ღინჯი, სულში ჩამწვდენი ხმა, ერთმანეთს წკვივით ურთიერთს გადაჭდობილი სიტყვები... ზოგი რამ მაშინ კარგად არ გამეგებოდა, მაგრამ მთელი ჩემი არსებით, მთელი სულითა და გულით იმ ძეწკვს ავყავდი თვალუწვდენელ სიმაღლეზე, ისეთი მისწრაფებით ვიმსჭვალებოდი, ასი სიცოცხლე რომ მქონოდა, ყველას მას შევწირავდი... მას შემდეგ მოვდივართ ჩვენ, ძლევამოსილად მოვდივართ... ჰოდა, — ცოცხლად წამოდგა ბესარიონი, ახლა იგი აღარ იყო ხანდაზმული, ფიცხი ჭაბუკი იყო; ყველანი რომ ადგნენ, სასმისი ასწია და დაასკვნა: — ჩვენს სულისჩამდგმელს, ჩვენს მასწავლებელს, ჩვენს სიამაყეს— იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს სიცოცხლე და დიდება!

ბევრჯერ შეუსვამს ანდრეი კუზმიჩს ბელადის სადღეგრძელო, მაგრამ ახლა, აქ, ქართულ სუფრაზე, რაღაც ახალი სიცხოველე იგრძნო და მოზრდილი სასმისი ბოლომდის დასცალა.

ნავახშმევს, სტუმრები რომ გააცილეს, ანდრეი კუზმიჩი ეზოში განმარტოვდა, მშვიდად მთვლემარე გარემოს თვალი მოავლო; ოდნავ შეზარხოშებული იყო და ენანებოდა, რომ ამ ბედნიერ დღეს ეთხოვებოდა.

II. უთუოდ ჩამოვა

რუსიკოს ჩვეულებრივზე უფრო ადრე გამოეღვიძა. ერთხანს გალურსული იწვა, არ შერხეულა, თვალებიც ოდნავ ჰქონდა გახელილი, თითქოს ძილში რაღაც ახალი, მეტად საამო რამ შეიგრძნო და ახლა ერკვევაო. უცებ თვალები გაუფართოვდა, უმალვე წამოხტა, ხალათი მოიხურა და აივანზე გავიდა.

ბახმაროს მთებს განთიადის შუქით გაცისკროვნებული ნისლი ებურა, თოვლივით სპეტაკი ნისლი. მოწმენდილ ცაზე ცისკრის ვარსკვლავი განმარტოებულად ელვარებდა. მამლებს ყივილი დაემთავრებინათ და ახლა ირგვლივ სდუმდა ყველაფერი. ფოთლებზე დაკიდებული ცვრებიც არა კრთოდნენ. ანაზდად სტვენა გაისმა, საგაზაფხულოდ მოფრენილი ბულბულის სტვენა. სადღაც ახლო, მგონი ძველ ცაცხვზე იჯდა იგი და გალობდა, ჰანგს ჰანგზე იცვლიდა.

რამ აიტაცა ამ სისხამ დილით რუსიკო? რატომ ჰგონია, რომ ბულბულთან ერთად ისიც უმღერის ახალი დღის გათენებას, ბრწყინვალეს, საბედნიეროს? მომწიფებული ქალია, შრომასა და სწავლაში სახელმოხვეჭილი, ლენინის ორდენოსანი, ამ დილით კი თავს ისე გრძნობს, თითქოს პირველად შეირხა მის არსებაში მძლავრი ქალური ბუნება, რწმენადქცეული სიყვარული ახალის ძალით შემოენთო. წინადღით უთხრა ტასომ, ვასოსგან წერილი მივიღეთ, ხვალ თუ არა, ზეგ აუცილებლად ჩამოვაო. მაშინ ისე შეხვდა ამ ამბავს, თითქოს მოულოდნელი არაფერიაო, შრო-

მამი გაერთო. საღამოს კი მისვლისთანავე ჰკითხა დესპინეს:

— დედა, შენ დღეს ასინეთს ნახავდი, ახალი ხომ არაფერი უთქვამს?

— კი, შვილო, ვასოსგან წერილი მიულიათ, ამ ორ დღეში ჩამოვაო.

— ეს მეც გავიგე.

დესპინე სახეზე დააკვირდა თავის ასულს, მისი შეკავებული სიხარული ამოიკითხა, თვითონაც სიამე იგრძნო, თანაც ჩვეულებისამებრ დედობრივი სიბრალული აღეძრა, მიიწია, მიფერების ნიშნად მაღალ შუბლზე ოდნავ გახაზულ ღარს თითი გაუსვა, თითქოს მისი წაშლა სწადიაო.

— ჰოდა, გენაცვალე, — თქვა ტკბილად დესპინემ, — შენ იცი ახლა, გადაწყვიტეთ ბარემ ეს საქმე, მეტი დაყოვნება არ გარგია, შვილო!

რუსიკომ თავისი გადაშვილდული წარბები შეხარა, მისმა ფერმკრთალმა, მოგრძო სახემ კუშტი გამომეტყველება მიიღო. არ სიამოვნებდა, როცა ვინმე შეეხებოდა მის პირად გრძნობას, გულში ღრმად ფესვგადგმულს. ღვიძლ დედასთანაც კი გაურბოდა ამ საგანზე საუბარს. აგერ, ამოდენა ქალია და ჯერ არც ერთი ამხანაგისათვის, არც ერთი ახლობელისათვის არ გაუნდვია თავისი საიდუმლო, თუმცა კარგად იცოდა, რომ მისი ამდენი წლის სიყვარულის ამბავი ყველას გაგებული ჰქონდა.

იმ საღამოსაც არ ისურვა დედასთან ლაპარაკი ვასოს მოსალოდნელი ჩამოსვლის გამო. ოდაში ავიდა, საშინაო ხალათი ჩაიცვა, წიგნი აიღო. ნავახშმევსაც იჯდა ერთხანს მაგიდასთან და მეცადინეობდა. მერე დაწოლისთანავე ჩაეძინა დაღლილს.

ახლა კი ყურს უგდებს ბულბულის სტვენას, მკრთალად განათებულ სივრცეს გაჰყურებს და ისეთი განცდით არის შეპყრობილი, თითქოს მთის გადაღმიდან რომ მზის ამოსვლა ახლოვდება, მის სულშიაც ფრთას შლის ყოვლად ძლიერი ნათელი, იმდენად უსაზღვრო, ვით მთელი ეს ლაჟვარდი, ცისკიდემდის მიმოფენილი.

ვეღარ გაუძლო ამ ნეტარების სიმძიმეს, შეტოკდა, ოთახში შეიჭრა, ელექტრონის შუქი აანთო.

დესპინე ყოველთვის რუსიკოზე ადრე დგებოდა, საუზმეს უმზადებდა, ახლა თვალი გაახილა და გაუკვირდა, ამ დილას როგორ ამასწროო.

რუსიკომ დედას მიაშურა, ჩაეხვია, მერე თავი ასწია და [illegible] ხელი მოუსვა.

— ნენა, რა ამბავია ეს, რამდენი თეთრი გაგრეგია?

— რა ვუყოთ, შვილო, უკვე დრო არის.

— რა გეშველება, ნენა, შენ, მე რომ წავალ?

— სად წახვალ? — უნებლიეთ შეკრთა დესპინე და რუსიკოს შეაცქერდა. იშვიათად უნახავს თავისი ასულის სახე ასე განათებული უშუალო, თავისთავად მეტყველი ბედნიერებით.

დედას გული დაუტკბა, რუსიკოს თავი დაუწია, აკოცა, მერე სიხარულის ცრემლით გაბრწყინვებული თვალებით შეაცქერდა და იმედიანი ხმით უთხრა:

— მე რა მიშავს, შენი ჭირიმე, ჩემო ჭკვიანო, ავთანდილი უმაღლესს დაამთავრებს, ცოლს შეირთავს, ჩემი საწყალი კაცის ოჯახში კერას არ ჩააქრობს.

ეს რომ თქვა, საწოლის გასწვრივ, კედელზე ჩამოკიდებულ სურათისკენ გაექცა თვალი. ეს პორტრეტი ხელახლა გაადიდებინეს თბილისში. ავთანდილმა წაიღო მამის უკანასკნელი სურათი, ფრონტიდან 1943 წელს გამოგზავნილი, და საუკეთესო ფოტოგრაფს გაადიდებინა. ჩარჩოც ახალი შეიძინეს, გიშერივით შავად შეღებილი. ამ სურათში შუაზე ჩაკეცილი ქუდი ეხურა ვანოს, მოლისფერი; მტკიცედ გამოიყურებოდა, გეგონებოდათ, გულმოსულიაო; მაგრამ დესპინე მის ტუჩებში იმ ღიმილს კითხულობდა, რომლითაც უკანაკნელად გამოეთხოვა იგი: უნდოდა ბევრი, ბევრი რამ ეთქვა, მაგრამ დრო არა რჩებოდა და ამ მრავალმეტყველ ღიმილს უტოვებდა თავის ოჯახის ბურჯს, თავისი ქალ-ვაჟის აღმზრდელს.

რუსიკომაც გახედა მამის სურათს და თითქოს შეაკრთო ამ შინმოუსვლელი ვაჟკაცის კუშტმა გამომეტყველებამ, თითქოს უსაყვედურა: გასაფრენად აგიწყვია ფრთები და აღარ გახსოვარო.

— იცი, შვილო, — განაგრძო მცირე დუმილის შემდეგ დესპინემ, — რა ბედნიერი იქნებოდა საწყალი მამაშენი, შენს გათხოვებას რომ მოსწრებოდა! მისი შემხედვარე ხეც კი გაიღიმებდა

ჩვენს ეზოში... მარა რა გაეწყობა, ახლა უფრო გვმართებს ზრუნვა სიცოცხლისათვის, შენი ბედნიერებისათვის, ჩემო ჭკვიანო.

რუსიკო კიდევ უფრო მჭიდროდ ჩაეხვია დედას და მღელვარედ უთხრა:

— ნენა, შენ არ წარმოიდგინო, რომ მე მამას დავივიწყებ, ან შენ ხშირად, ძალიან ხშირად არ გინახულებ.

— ვიცი, შვილო, ვიცი... მეც მყავდა დედ-მამა, ჩემს თავს მერჩია, მარა ვანომ რომ აქ მომიყვანა და თქვენ გამიჩნდით, მერე იმათი სახე, მთელი ჩემი სიცოცხლეც თქვენში გადმოვიტანე. ასეა, შვილო... ნეტაი, იმ ბედნიერებას მოვესწრო, ერთი შენი ბალანაი ხელში ავიყვანო და...

— კაი, ნენა, კაი! — შეაწყვეტინა რუსიკომ, შერცხვა, დედა თვალი მოარიდა.

ეამა დესპინეს თავისი უმანკო ასულის ეს შეკრთომა, თავზე ხელი მოუსვა, მიეფერა, თანაც ცოცხლად წარმოუდგა იგი ჩვილბავშვიანი, არიშიდან მასთან სტუმრად მოსული... წამსვე თავისი შვილების აკვანი მოაგონდა, საგანგებოდ ამ დღისთვის შენახული. რამდენი ხანია, საკუჭნაოდან არ გამოუტანია. ამ დღეებში უნდა გაამზეუროს, ზეთით გაწმინდოს...

ამ ფიქრმა საოჯახო საქმეები მოაგონა, წამოიმართა.

— დროა ახლა, გესმის, რაფერ ჭუკ-ჭუკობენ ქათმები. — მარჯვედ წამოდგა, თავისი გრძელი, ნაოჭებიანი კაბა ჩაიცვა.

მზე ამოსული იყო, როცა რუსიკომ პლანტაციისაკენ გასწია. გაზაფხულის ჩვეულებრივი დილა იყო, რუსიკოს კი ეგონა, თითქოს თავის სიცოცხლეში ასეთი ბრწყინვალება პირველად ეხილოს.

როგორ უხდება გარემოს ეს სხივნარევი მწვანე სამოსი, თითქოს აგერ ახლა გადაევლოს ჟუჟუნა წვიმას და პირდაბანილი გორაკები ოდნავ მოოქროვილი, გამჭვირვალე ლეჩაქით მორთულიყვნენ. დარჩენილი შქერის ყვავილიც როგორ ღაღაობს, თითქოს თავის პირვანდელი უბიწოებით თავს იწონებსო.

პატარა იყო რუსიკო, პირველ კლასში დადიოდა, როცა ეს სერი მთლად შქერითა და ეკლით შებურვილი ხეებით იყო დაფარული; შემოდგომაზე წყავის დასაკრეფად ძლივს შეძვრებოდნენ შიგ ბავშვები; ახლა კი რადარანაირი კულტურა გინდა, რომ აქ გახარებული არ იყოს. იზრდებოდა რუსიკო და ეს მშობლიური კუთხეც მასთან ერთად შენდებოდა, ყოველ ნაკვეთს ადამიანის შრომის ნაყოფი მრავალნაირად ამშვენებდა.

მოსახვევში თეოს მოჰკრა თვალი, დაეწია, ხელი მოხვია. წლოვანობით თეო რუსიკოზე უმცროსი იყო, მაგრამ უფრო მეტად მკერდსავსე, ფერხორციანი. სულ უბრალო მღელვარების ჟამს ღაწვები წამოუწითლდებოდა, ხშირად სიცილიც თითქმის უმიზეზოდ აუტყდებოდა.

— რაღაც ნამეტანი გახარებული მეჩვენები, დაიკო, ამ დილას! — მიმართა რუსიკოს და ჩვეულებისამებრ ხმამაღლა გაიცინა, მერე უცებ დადინჯდა და მეგობარს თვალებში შეაცქერდა. — მითხარი, თუ გიყვარდე, ახალი ხომ არაფერი გაგიგია?

რუსიკომ ხშირი წამწამები დახარა, თხელ ტუჩებში ღიმილმა გაუელვა, გულმა საიდუმლოს განდობა მოსთხოვა, მაგრამ თავი შეიკავა და გაურკვევლად უთხრა:

— არაფერი... ისეთი არაფერი.

— არა, მამის სულს გაფიცებ, მართალი თქვი. გატყობ, შენ რაღაც იცი და არ მიმხელ.

რუსიკომ კვლავ მოხვია ხელი ამხანაგს, მხარით მიეხუტა, ნაბიჯი შეანელა და გულის ნატვრა ხმის მღელვარებით გამოამჟღავნა:

— რა ვიცი, დაო, რა ვიცი... მგონია გშორდებით...

თეო შეჩერდა, რუსიკოს სახეზე დააკვირდა, მყისვე იაზრა, რასაც გულისხმობდა იგი, და აღრფთოვანდა, თავი დაუწია. აკოცა, მერე მუდარით მიმართა:

— მითხარი, გენაცვალე დაიკო, მითხარი, როგორ, სად?

რუსიკო ჩაფიქრდა. რა უთხრას? ჯერ ხომ ვასო არ უნახავს, არც რაიმე მოუწერია. მაშ საიდან აეკვიატა ეს ურყევი იმედი, რომ ნახვისთანავე ყველაფერი ისე მოეწყობა, როგორც უნატრია? ან რატომ მაინცდამაინც ამ ჩამოსვლის დროს გადაწყდება მისი ბედი? წინათაც

იყო ვასო სოფელში, დონბასიდან რომ ჩამოვიდა, მაშინ ორჯერ შეხვდა, მაგრამ არაფერი არ შეცვლილა. მხოლოდ გული, ეს დაუცხრომელი გული კი ისევ ისე სავსეა რწმენით. აგერ ხუთი თუ ექვსი წელია, არაფერი არ მოჰკლებია ამ რწმენას. პირიქით, უფრო გაძლიერდა, მთელი მისი არსება მოიცვა. იქნება სიყვარულმა დააბრმავა რუსიკო და სინამდვილეში ვერ ერკვევა? რამდენჯერ გაუგონია, სიყვარული ბრმა არისო, კარგსა და ავს ვერ არჩევსო. არა, ეს ტყუილია, შეუძლებელია. როგორ? რუსიკომ განა არ იცის, თუ რა გულმართალი ადამიანია ვასო? აბა, რატომაა, რომ ყველაფერი, რაც კი რამ კარგი გაუკეთებია რუსიკოს და რასაც ამიერიდან შექმნის, ყველაფერი იმდენადაა ძვირფასი, რამდენადაც მასში ვასოსადმი მისწრაფებას აქსოვს? ჰო, ეს ასეა, მაგრამ მაინც რა უთხრას თეოს? იცის თეომ, განა არ იცის, ვისაც ვგულისხმობ? მე თუმცა არ მითქვამს, მაგრამ ყველას გაგებული აქვს. ზოგი თურმე ჩუმჩუმად კიდევაც დამცინის...

— რას ჩაფიქრდი, რუსიკო? მითხარი, მე ხომ შენი დობილი ვარ.

— შენთან სამალავი რა მაქვს, მაგრამ, თუ გიყვარდე, დაიკო, ჯერ მაცალე... ამ ორ დღეში ყველაფერს გეტყვი.

— რანაირი ხარ, რუსიკო! თუ არ გამიმხელდი, რისთვის წამოიწყე? აბა, რა მექნება მე ისეთი, რომ შენ არ გაგიზიარო? შენ კი...

სახე მოეღრუბლა თეოს, გაიბუტა; რუსიკოს მკლავი შეუშვა და მდუმარედ გაჰყვა გვერდით.

ნაჭაობარის პირად, კბოდესთან ერთ წამს შეჩერდა რუსიკო, დაბლობში შეტბორებულ წყალს დააცქერდა; წყალში ფლატზე გადაფერდებული თხმელა მოსჩანდა, ტოტებგაშლილი, ნორჩფოთლებიანი. ოდნავ თრთოდნენ წყლის სიღრმეში შტოები, ლივლივებდნენ. ფლატე და შიგ ფესვებგადგმული თხმელა რუსიკოს მახლობლად იყო, სხვა ხეებისაგან არაფრით არ განირჩეოდა, ხოლო მისი ლანდი, წყლის სიღრმეში მკრთომარე ლანდი, თითქოს უფრო მიმზიდველი იყო, რაღაც ჰაეროვანი ელფერი შვენოდა. ასე ხომ არ ატყუებს რუსიკოს ოცნება? იქნებ მთელი მისი შოლოდინი ასეთივე მოლანდებაა, მეტი არაფერი. საკმაოა ტბორს ქარმა დაუქროლოს და იმ მკრთომარე ლანდისაგან აღარაფერი დარჩება...

შუბლი შეიკრა რუსიკომ, თავი გაიქნია. მაინც ბუნდოვანმა სევდამ შეიპყრო და მანამდის ვერ მოიცილა იგი, ვიდრე პლანტაციის ჭიშკარში შევიდოდა. აქ კი ჯერ ზღვის მხრიდან მონაბერმა ნიავმა მიუალერსა, სიყრმიდანვე თანშეზრდილი სურნელებით გამოაცოცხლა, მერე ქარსაცავ ზოლად გაზრდილ კრიპტომერიების ხეივანმა გარს თითქოს თავისი წიწვიანი შტოები შემოახვია და გადაბიბინებულ ბუჩქებისაკენ გაიყოლია.

ბროლივით კამკამებდნენ წიწვიდან წიწვზე დაცურებული ცვრები, თითქოს აორთქლებამდის ცის ლაჟვარდში აფრენას ლამობენო; ხოლო მზიანი დილით აღტაცებული ჩიტები განუწყვეტლად ჭიკჭიკობდნენ, ურთიერთს ეხმატკბილებოდნენ.

რუსიკოსათვის თუმცა ნაცნობი იყო ეს ფერები, ფრინველთა ეს გალობა, მაგრამ ხშირად რაღაც ახალ ელფერს, ახალ ხმას აღმოაჩენდა და ეამებოდა. ახლაც, მოავლო თუ არა ირგვლივ თვალი, მყისვე გაუნიავდა უნებლიეთ აღძრული სევდა, ამჩატებული ნაბიჯით შეუხვია თავისი ნაკვეთისაკენ. მაგრამ მოლოდინი იმდენად გამჯდარი ჰქონდა ძვალ-რბილში, რომ ფარდულის მახლობლად, გრძელ სკამებთან ანაზდად შეჩერდა, თითქმის შეკრთა და თვალები გაუშტერდა. ძნელი იყო, ამ დროს კაცს გაერკვია, თუ რა ფერისა იყო მისი თვალები, არც მთლად შავი, მაინც იმდენად ქუფრი, რომ შიგ ხანდახან თუ გაიელვებდა სხივჩამდგარი ქარვის ანარეკლი.

აი, აქ შეხვდა უკანასკნელი ჩამოსვლის დროს ვასოს. უთუოდ რუსიკოს ნახვა უნდოდა და იმიტომ გამოიარა. მერე? რატომ დაიბნა, რატომ არაფერი უთხრა რუსიკოს? ჩვეულებრივად ჩამოართვა ხელი და:

— როგორ გიკითხო, რუსიკო, ხომ კარგად?

რუსიკომ თავი დახარა, ღაწვები შეეფაკლა, ხმა ვერ ამოიღო, მერე ნელა აოპაყრო თვალი და მთელი თავისი რწმენა, თავისი ურყევი სიყვარული უთქმელად, მარტოოდენ თვალთა მეტყველებით გაუმჟღავნა.

საოცარია, რა მოუვიდა ვასოს, რატომ გაფითრდა? იქნებ რუსიკოს წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს და ნანობს. ან არა და, იქნება სავსებით სხვა არის იგი, ძველი აღარაფერი შერჩენია, გულუბრყვილო რუსიკოს კი ჰგონია, თითქოს წლების განმავლობაში არაფერი შეცვლილიყოს.

ეს მერე გაიფიქრა რუსიკომ, მაშინ კი გულმა მოსთხოვა, შემკრთალ ვასოს მიშველებოდა, უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანა. ის იყო, ხმა უნდა ამოეღო რუსიკოს, შესაფერი სიტყვა ენაზე ადგა, რომ ამ დროს ამხანაგები მივიდნენ ვასოსთან, გაესაუბრნენ.

და იმ წამს როდი ეწყინა რუსიკოს, ვასომ რომ სიდარბაისლე შეიფერა და მეზობლებს ოჯახის ამბები გამოკითხა. შემდეგ ისე გაჰყვა მათ, თითქოს აქ რუსიკოს სანახავად კი არ მოსულა, მხოლოდ გზად გამოიარა.

საღამო იყო მაშინ, სამუშაოდან შინ მიდიოდნენ. რუსიკო ნატასა და თეოს გვერდით მიაბიჯებდა, გაოგნებული იყო, ყურს უგდებდა საუბარს, ვასოს ხმას იჭერდა და ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს თვითონ ისევ ის იყოს, რაც ამ ხუთი წლის წინათ; ვასო კი საოცრად დავაკაცებულა, ახალი ძლიერება გამოსჭვივის მის ქარდაკრულ სახეში. ამით უფრო იზიდავს რუსიკოს, მეტ სიმტკიცეს ანიჭებს მის რწმენას. ასე ჰგონია, გაბედულად ადის მაღლობზე, ვასოს უტოლდება; საცაა, მასთან ერთად გაჰხედავს მეტის ეშხით დამშვენებულ ქვეყნიერებას...

მოსახვევში ჯგუფი ორად გაიყო. რუსიკომ ძლივს მოსწყვიტა თვალი ვასოს, საუბარში გართულს. გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ისევ მიიხედა; სწორედ ამ დროს, თითქოს უჩინარი სხივი მიწვდა, ვასომაც მოაბრუნა პირი... ვერა ვითარი სიტყვა ვერ იტყოდა იმდენს, რაც იმ წამს მის მზერაში ამოიკითხა, აღფრთოვანდა, მხიარულად გაჰყვა ამხანაგებს.

მხოლოდ ბოლოს, როცა თავის ეზოს ჭიშკართან მარტო დარჩა, უცნაურად მწვავე ნაღველმა გაჭკრა გულში ბრჭყალი და, თითქოს თვითონ როდი უფიქრია, სხვა ვინმემ ჩასჩურჩულა: „მაინც რატომ არაფერი მითხრა?.. მართალია, სხვები მოვიდნენ, მაგრამ... მე კი ველი, სულ ველი“...

თავი გაიქნია, ნებისყოფა მოიშველია და უჩვევ ფიქრს შეესიტყვა:

„როდის იყავი, გულო, ასეთ სულმოკლე? უნდა გწამდეს, უნდა ელოდე. ისე რად ეღირება შენი სიცოცხლე... არა, ის მოვა, უთუოდ მოვა“...

ჭაშკარი შეაღო. ბებერი მურია შემოეგება, მიელაქუცა. სამზარეულოდან დესპინემ გამოიხედა, რუსიკო მიიხმო.

— გამოიარე, შვილო, ახალი ამბავი უნდა გახარო.

— რა, ნენა?

— ამ დილას ვასო ჩამოსულა. შენც გაიგე?

— ჰო, ნენა, ჩვენთან გამოიარა, გადასახვევამდე ერთად მოვდიოდით.

— მართლა?.. შემოდი, შვილო, შინ შემოდი. მითხარი, გენაცვალე, ხომ არაფერი უთქვამს?

— რანაირი ხარ, ნენა, კაცს სულს არ მოათქმევინებ! იმ ხალხში რა უნდა ეთქვა?

ჰოდა, მერე, ოდაში რომ ავიდა, კარგა ხანს იდგა თვალგაშტერებული, სწორედ ისე, ამ დილით, აგერ ფარდულთან რომ შეჩერდა.

თეოს ხმა მოესმა, ჭილის ქუდის ფარფლი ზეასწია, თითქოს იგი მხედველობას უჩრდილავსო, მერე მტკიცედ მოსჭრა გუნებაში: „არა, ეს აღარ უნდა განმეორდეს. კაცი სიცოცხლეს გირჩევნია და ორი სიტყვა ვერ უნდა უთხრა, გული ვერ უნდა გადაუშალო? ჩამოვა აგერ და მე ვიცი“...

გადადგა ნაბიჯი და ისევ გამოცოცხლდა ირგვლივ ყველაფერი, ჩიტების ჟრიამული მოესმა, ნელმა, სულ ოდნავ საგრძნობმა ნიავმა დაუბერა და ნაყოფიერი მიწის სურნელება შეაფრქვია; ამას დილის პირველ სხივებში მბზინვარე ბუჩქების ლივლივი მოჰყვა; ნორჩმა, ალისფერმა დუყებმა თითქოს ახალგამოჩეკილ ჭუჭულებივით თვალები გაახილეს და რუსიკო ბავშვობიდანვე თანშეზრდილმა ჰაეროვანმა ნაკადმა გარემოიცვა.

უკვე მეშვიდე წელიწადია, რაც ამ ნაკვეთში მუშაობს; აქ იგი ყოველ ბუჩქს არა მხოლოდ იცნობს, არამედ საგანგებოდ აქვს შესწავლილი თითოეული მათგანის თავისებურება, იცის, რომელს რამდენი ნაკელი მისცა, რამდენი ფოსფორი, როგორ გასხლა, რა დროს მორწყა, სად როგორი დუყები

დასტოვა შერჩევით კრეფის დროს. ბუჩქებს რომ ენა მისცა, უთუოდ თითოეული მათგანი თავთავის კილოზე ამეტყველდებოდა და რუსიკოს იმასვე გაუმეორებდა, რაც მას გულით უგრძვნია, რაც მრავალგზის განუცდია მათთან მუშაობის ჟამს.

ნაკვეთი შეფენებაზე იყო და რუსიკო ქვემოდან აჰყვა მწკრივს. წელამდე სწვდებოდა ფართოდ გაშლილი, ოდნავ შეგუმბათებული ბუჩქები, ნორჩი ფოთლებით სავსებით დაფარული.

რუსიკოს მახლობლად, მეორე რგოლში, ცნობილი შრომის გმირი, დარიკო შევარდნაძე მუშაობდა, ძველი ბოლშევიკის ბესარიონ შევარდნაძის ასული. რუსიკოს თუმცა საგანგებოდ არ გამოუწვევია დღეს იგი შეჯიბრებაში, მაგრამ ამ დილას მტკიცედ გადაწყვიტა, რომ თუ არ გაუსწრებდა, უთუოდ დაეწეოდა. მაღალი, ტანადი ქალი იყო დარიკო, რუსიკოზე ოთხი წლით უფროსი. რგოლის სახელოვანი მეთაურიც იყო და ჩაის ბუჩქების მოვლასა და კრეფაში იშვიათად თუ ვინმე აჯობებდა. რუსიკომ ბევრი რამ მისგან ისწავლა. აი, ახლაც დარიკოსავით დინჯად მუშაობს იგი, არ ფაციფუცობს, ზედმეტ სიჩქარეს ვერავინ შეამჩნევს. გამალებით ჰკრეფს ორივე ხელით, თვალებს არ აცეცებს, მისი მოქნილი თითები თითქოს თავისთავად პოულობენ მოსაწყვეტ დუყებს.

მალიმალ ივსება პეშვები, კალათი იტენება.

თავს ასწევს რუსიკო, ზღვის პირამდის გაშლილ ჭალას გახედავს. ჯერ ადრეა, დრო ბევრი აქვს.

ნუ ჩქარობ, მზეო, ზენიტს ნუ უახლოვდები! შუადღემდის რუსიკომ ეს მწკრივი უნდა მოათაოს... რა, ვითომ ხვალ დილის მატარებელს ჩამოყვება ვასო? ვინ იცის! ნეტავი არ დაიგვიანებდეს!..

და ისევ ივსება პეშვები, გამალებით სწყვეტენ ფოთლებს მოქნილი თითები. მწკრივი მწკრივს ემატება, ვით ტალღა ტალღას... იცლება გოდრები. ჩაის ფოთლით ივსება ფარდული. შორს მიაქვს ნიავს ახალმოკრეფილი ფოთლის სურნელება.

ირგვლივ დუმილია. ჩიტების ჭიკჭიკიც იშვიათად გაისმის. მზე ზღვისკენ გადაიხარა. აქა-იქ მოჩანან პლანტაციაში ჭილის ქუდები, მზისუმზირასავით თავდახრილი ქალები; საღამო ახლოვდება და დღევანდელი გეგმა ჯერ შესრულებული არ არის.

კარგ გუნებაზეა დარიკო შევარდნაძე. კრეფას დღეს კაი პირი უჩანს. მალე თავის ჩვეულ რეკორდს მიაღწევს.

რუსიკოსაც ჩიტი უფრინავს გუნებაში, ასე ხვავრიელად არასოდეს უკრეფია. ბუჩქებმა ასახელეს, გულდაგულ მოვლილია და უხვ მოსავალს იძლევა.

მზეს გახედა. დრო ეცოტავა. საოცარია, დღეს ბევრი არ შეუსვენია, დაღლილობას მაინც არა გრძნობს. წელან ბრიგადირმა ახარა:

— კარგად გაქვს, რუსიკო, საშმე, დარიკოს უკვე დაეწიე.

— მართლა? — იკითხა რუსიკომ, მაგრამ როდი გაკვირვებია, ბუნებრივად მიიჩნია, რადგან თანშეზრდილმა, საგანგებოდ მოვლილმა ბუჩქებმა შეუწყვეს ხელი.

აგერ, მაღალი ხის ჩრდილი გადმოწვა, ფოთლებმა ფერი იცვალეს, გამუქდნენ, დუყები ალისფრად აღარ ელვარებენ.

რუსიკო წელში გაიმართა, მწვანე ფოთლის წვენით შეღებილ თითებზე დაიხედა. ჰო, კმარა დღეს. ხვალ კი... მართლა, ხვალ ვასო ჩამოვა!

III. ისევ ის

მთელი დღე მოწმენდილი იყო. საღამოს კი უცებ გაჩნდნენ ღრუბლები ცის დასალიერზე, კოშკებად აღიმართნენ, ნაირ-ნაირი ელფერით დამშვენდნენ. ერთხანს ალისფერი სჭარბობდა, ირგვლივ კი ვეება თაიგულებივით იშლებოდნენ ფაფუკი ქულები, ურთიერთს ექსოვებოდნენ; ერთ ადგილს, გეგონებოდათ, მტრედისფერი ტბა გაბრწყინდაო ცისფერის სხივებში, ხოლო მახლობლად თეთრი მარმარილოს სასახლე ამაღლდა თავისი საუცხოო დარბაზებით.

ანდრეი კუზმიჩმა ასია და ჟუჟუნა გაიყოლია, გზის პირად, მაღლობზე ავიდა და ზღვასა და ცას შორის დაბანაკებულ ღრუბლებს მიაცქერდა. ნელინელ იცვ-

ლიდვნენ ფერს ეს მოძრავი ფენები, თანდათან უფრო ჰაეროვნდებოდნენ, უცნაური ქარავანივით მიიმართებოდნენ ჩრდილოეთისაკენ.

მეორე დღეა აქ არის ანდრეი კუზმიჩი და ჰგონია, რომ არასოდეს არ ყოფილა ასე მოსვენებული. რა ნაზი, რა მაამებელი ჰაერია! თითქოს საცაა მხრებში შეგიდგება ეს დამტკბარი ჰაერი და საკუთარ სიმძიმეს დაგავიწყებს, მონარნარე გარემოსთან შეგაერთებს.

— ასია, მტრედო ჩემო, — მიმართავს ბავშვს ანდრეი კუზმიჩი, მის გვერდით ჯდება მოლზე, მარჯვენა ხელს მოხვევს, ხოლო მარცხენას დასავლეთისკენ გაიშვერს: — ხედავ, შვილო, რა სილამაზეა, რა მშვენიერი კოშკებია!

— ვისია, ბაბუ, ის კოშკები? — გულუბრყვილოდ ეკითხება ასია.

— ვისია? ჰმ... — ჩაფიქრდა წრთობილი მეფოლადე. მერე ღიმილი მოერია, თხრობის სურვილი აღეძრა. — ხედავ, აგერ იმ მაღალ სასახლეს? იგი ჩვენს დიდებულ კრემლს ჩამოგავს. კრემლი მოსკოვშია, შიგ... მაგრამ ჯერ ყური მიგდე. აგერ იმ შავ ღრუბლებს დააკვირდი! საშინელი მორევია. აი სწორედ ასეთი შავი ტალღები მოუახლოვდა ჩვენს ქალაქს, ჩვენს სტალინგრადს. ჩვენ სინათლისათვის ვიბრძოდით, თავისუფალი ცხოვრებისათვის. შავი ტალღები კი, საშინელი მხეცებით სავსე ტალღები გარს შემოგვაწვა, სულს გვიხუთავდა. ამ დროს მოვიდა იგი, ხალხი დარაზმა, წინ გაუძღვა, ბნელი ძალები გაფანტა, თავისუფლების მზე ამოაბრწყინა. ამიტომ ჩვენს ქალაქს, ცარიცინს, მისი უკვდავი სახელი დავარქვით. მერე კიდევ შემოგვესიენ ბნელი ძალები, წელში გვწყვეტდნენ, ჩვენი მოსპობა უნდოდათ. ისევ იმ დიდმა კაცმა გვიხსნა, თავის მიერ აღზრდილი ვაჟკაცები მოგვაშველა. ისევ აღვადგინეთ ჩვენი ქალაქი. ხოლო ჩვენი მხსნელი კვლავ კრემლში იმყოფება, მთელი ქვეყნიერების საქმეს განაგებს. შენ ხომ იცი, შვილო, ლექსი — „ძია სტალინი“, — აი, იმის სახელი ამშვენებს ჩვენს გმირ ქალაქს... იმ ქალაქში განისვენებენ, მტრედო ჩემო, შენი დედა, შენი ბებია... მეც იქ დავიძინებ სამუდამოდ, როცა შრომის უნარი აღარ მექნება. მაგრამ ეგ არაფერია, შვილო, ეს ბუნების კანონია. შენ გაიზარდე, ჩემო მშვენიერო, იბედნიერე...

ჟუჟუნა უკვე მეხუთე კლასის მოწაფე იყო, კარგად გაიგო, რაზეც ანდრეი კუზმიჩი ლაპარაკობდა, ისიც შეიგრძნო, მოხუცს რომ ხმაში მღელვარება შეეპარა; ამან გოგონას მეტად დამაახლოვებელი სიბრალული აღუძრა, მიჩოჩდა, ანდრეი კუზმიჩს მხარზე ხელი დააყრდნო, თავი გადასწია და თანაგრძნობით შეაშტერდა თვალებში.

ანდრეი კუზმიჩს კვლავ გაეღიმა, ჟუჟუნას მარცხენა ხელი მოხვია, მიიხუტა.

— კარგი გოგონა ხარ, ჟუჟუნა, შენ, კარგი. — ჩაილაპარაკა ანდრეი კუზმიჩმა და ცხოვლად აღძრული ფიქრის დასამთავრებლად დასძინა:

— შენ ასიაზე შვიდი-რვა წლით ხარ უფროსი. როცა თქვენ გაიზრდებით, მაშინ ცხოვრება აქ რომ ბაღნარია, ასეთი, და კიდევ უკეთესი იქნება ყველგან. ჩვენც ამისთვის ვშრომობდით, ამაშია ჩვენი სიცოცხლის დედააზრი.

ჟუჟუნას ნაცნობი ხმა მოესმა, გზისკენ მიიხედა. აგერ ხესთან რუსიკო შეჩერებულა და ხელს უქნევს. წამსვე წამოხტა, მიაშურა.

— ვინ არის, ჟუჟუნა, ის მოხუცი?

— არ გაგიგია? — წამოიძახა ჟუჟუნამ და რუსიკოს ხელი ჩაავლო, — წამო, გაგაცნობ. ასიას ბაბუა ჩამოუვიდა.

რუსიკოსთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო, დაიბნა, ადგილიდან ვერ დაიძრა. ეგონა, სამუდამოდ მოიშორა ფიქრი იმაზე, რაც იყო ოდესღაც, რაც მისთვის უკვე ხორცშესხმულად აღარ არსებობდა. ახლა კი აგერ, ეს უცხო ადამიანი მოსულა, როგორც ცოცხალი მოწამე, არა მხოლოდ მოწამე არამედ ჭირისუფალი...

— წამო, რუსიკო, რის გერიდება? იცი, რა კეთილი კაცია... აგერ, ასიამ დაგინახა და მორბის.

ახლა კი გამოერკვა რუსიკო, მოახლოვებულ ბავშვს მიაშურა, აიტაცა, გულზე მიიხუტა, აკოცა.

ანდრეი კუზმიჩს ძალიან ეამა, ასია რომ ასე გახარებული მიიჭრა ამ სადად ჩაცმულ, მორიდებულ ქალიშვილთან. ჩანს, ძალიან უყვარს ბავშვი, ასე რომ შეჩვევიაო, დაასკვნა გუნებაში და მიუახლოვდა, შინაურულად მიმართა:

— საღამო მშვიდობისა, ქალიშვილო! თქვენ უთუოდ ძალიან კარგი გული გაქვთ, რაკი ბავშვს ასე გატაცებით უყვარხართ.

რუსიკომ ასია მარცხენა ხელზე დაისვა, მარჯვენა ანდრეი კუზმიჩს გაუწოდა და თავი მოკრძალებით დახარა.

— ჩამო ახლა, სტუმარს ნუ შეაწუხებ! — უთხრა ანდრეი კუზმიჩმა ბავშვს, ხოლო ასიამ მკლავი ასწია და ყელზე მოხვია რუსიკოს, თავი მკერდზე მიაყრდნო.

— დიდი მეგობრები ყოფილხართ. ალბათ, ახლო ცხოვრობთ და ხშირად ხედავთ ბავშვს. — თქვა ანდრეი კუზმიჩმა.

— დიახ.

რუსული ენა იმდენად კი ეხერხებოდა რუსკოს, რომ ორიოდე სიტყვა ეთქვა, მაგრამ ვერ შესძლო. თვითონაც არ იყო გარკვეული, თუ რამ შებოჭა. ჯერ ეგონა, თითქოს რაღაც დანაშაული მიუძღოდა ამ ღვაწლმოსილი მოხუცის წინაშე, შემდეგ სულ სხვაგვარმა გრძნობამ აიყოლია, ბავშვი ძირს დასვა, ღამე მშვიდობისაო, ჩაილაპარაკა და გზას გაუდგა.

მოსახვევში ერთ წამს შეჩერდა, ცისკიდურს გახედა.

თანდათან მუქდებოდნენ ღრუბლები. ნათელი ფერები მოლურჯო გრაგნილებში ინთქებოდნენ, იფერფლებოდნენ; მხოლოდ აქა-იქ ჟონავდა სხივთა ანარეკლი, როგორც ნადიმის ჟამს თეთრ სუფრაზე დაღვრილი ღვინო. ნელინელ შლიდა მწუხრი თავის უსახო ფრთებს.

რაღაც ამგვარი განწყობილება ეუფლებოდა რუსიკოს, ისეთ გუნებაზე დგებოდა, თითქოს თვალსა და ხელს შუა უქრებოდეს, რაც დღემდის სასიხარულო შეუძენია, და ახლა შინ ხელცარიელი ბრუნდებოდეს.

იქნება დაიღალა დღეს; დილიდანვე გულანთებულად მუშაობდა და ხალისი აღარ შერჩა. არა, პირიქით, შრომაში რომ გაიმარჯვა, კიდევ უფრო გაუტკბა მოლოდინი, ბედნიერების წყურვილი... ახლა კი... ჰო, ის მოხუცი უდგას თვალწინ და, არა წარმოსახული და მერე გაუჩინარებული, არამედ ნამდვილი ოჯახი, სადაც ვასო თავს შინაურად გრძნობს.

„შენ კი, — უსაყვედურა თავისთავს რუსიკომ: — წყალწაღებულივით ხაისს ეჭიდები. გგონია, ვასო ისევ ის არის, რაც იყო. ჯიუტი ხარ, არ გინდა გატყდე, არ გინდა იწამო, რომ შეიცვალა იგი, შენ მისთვის ისეთივე უცხო ვინმე ხარ, როგორც სხვა მრავალი...

ეს ფიქრი, ეს დაეჭვება გულზე ცეცხლად შემოენთო, ნაბიჯს აუჩქარა, შინ მისვლამდის იმ აზრს დაადგა, რომ ამიერიდან ბავშვურ ოცნებაზე ხელი აეღო, თავი არ დაემცირებია და ულმობელ სინამდვილეს შერიგებოდა.

არა, სულით არ დაეცემა რუსიკო, კიდევ უფრო მოიშველიებს შრომის ნიჭს, შრომის უნარს. სწავლაზედაც არ აიღებს ხელს, რამდენიმე საგანი დარჩა კიდევ ჩასაბარებელი, წელსვე მოითავებს... ივლის ასე, ივლის ცხოვრებაში გაუხარებელი. მას კი ღმერთმა მშვიდობა მისცეს...

ყელში ბურთი მოაწვა რუსიკოს, შუბლი შეიკრა, ტუჩზე კბილი დააჭირა, თავი გაიქნია და წამწამებზე დაკიდებული კურცხალი მოიცილა, მერე გულმოსულივით შეაღო თავისი ეზოს ჭიშკარი.

* * *

ვასოს ერთი დღე დააგვიანდა, კვირას ჩამოჰყვა დილის მატარებელს. მგზავრებმა სოფლისკენ მიმავალ საბარგო მანქანას მიაშურეს, ვასომ კი ფეხით წასვლა არჩია. პატარა ჩემოდანი ეჭირა ხელში, მსუბუქად მიაბიჯებდა. ახალი კოსტუმი ეცვა, მუქი ლურჯი, ამავე ფერის კეპი ეხურა. ეს სამოსი კიდევ უფრო აჩენდა მის გაშლილ მხრებსა და მოქნილ ტანადობას. არც ისე დიდი ხანი გასულა მას შემდეგ, რაც ვასო პირველად სტალინგრადში წავიდა და მაინც რა დიდი ცვლილება ემჩნევა მის აღნაგობას, მის გამომეტყველებას! მაშინ ჯერ კიდევ ყრმა იყო; მართალია, ვაჟკაცობას იჩემებდა, თავი ამაყად ეჭირა, მაგრამ მისი მოგრძო სახის ნაზი გამომეტყველება ამჟღავნებდა, რომ იგი ჯერ დედის უბესთან უფრო ახლო იყო, ვიდრე დამოუკიდებლად მწრთობელ ცხოვრებასთან. ახლა კი მისი მახვილი თვალები, კეხიანი ცხვირი, კოხტად შეკრეჭილი მოწაბლისფრო ულვაშები, წინწამოხრილი ღარიანი ნიკაპი, მთელი მისი ქარდაკრული სახე პირველი შეხედვისთანავე გაგრძნობინებთ, თუ რა ქარცეცხლთან ჰქონია მას საქმე, რა დიდი აღტაცება, რა ღრმა

ტკივილები განუცდია, და როდი გატეხილა, გამობრძმედილა, მეტის ენერგიით აღჭურვილა.

სკოლას მიუახლოვდა, დიდ ეზოს თვალი მოავლო. ღიმილით მოიგონა აქ გატარებული დრო. რა ვიწროდ ჰქონდა მაშინ შემოფარგლული თავისი წილი ქვეყნიერება! ახლა კი როგორ გაფართოვდა იგი, რა სიმაღლეზე ავიდა!

ერთი კია, აქ მეტი სიმშვიდეა, ისეთი სიმშვიდე, როცა გგონია, თითქოს ყოველ ნაბიჯზე მშობლის თვალი მიგიძღვის წინ, არაჭითარი ხიფათი არ გელის; გზა გაკაფულია მრავალი თაობის მიერ, მიჰყევი მას ამ ბალნარში, ამ აღორძინებულ, აყვავებულ მიდამოში, და, თუ კაცად ვარგიხარ, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იქნები. იქ კი, იმ გარემოში, რომელსაც ვასო უკვე შეეზარდა, ცხოვრება მეტად რთულია, იქ ადამიანის წინსვლის მაღალი საფეხურია; იქ უამრავ მანქანებთან გაქვს საქმე, გონიერ არსებასავით მომუშავე მანქანებთან; თუ ამ მანქანებს არ დაეუფლე, თუ იგი დღითიდღე არ გააუმჯობესე, ისე მას ვერ გამოიყენებ კაცთა საკეთილდღეოდ. იქ დაუცხრომელი მოძრაობაა, გუგუნი, გაგანია ცეცხლში მღელვარე შენადნობი; იქ ხშირად ცის ტატნობს კვამლი ჰფარავს და ოფლიანი სახე შემურული გაქვს. მაგრამ ეგ არაფერია, რადგან იცი, რომ ამაყად დგახარ ადამიანის განვითარების მაღალ საფეხურზე და გაბედულად წინ მიიწევ...

ასეთი განწყობილებით მიდიოდა ვასო შინისაკენ, ღრმად განიცდიდა იმ მაღლობის უპირატესობას, რომელზედაც იგი აქედან წასვლის შემდეგ ავიდა.

მოსახვევში ვანო გუჯაბიძის ოდისაკენ გაექცა თვალი და კარგა ხანია გულში ღრმად გამჯდარი გრძნობა გაუცხოველდა. ეს გრძნობა ისეთი რამ იყო, თითქოს დიდ ცხოვრებაში შემავალი გზის დავიწყება სურდეს, რათა იგი თავიდან დაიწყოს. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია. განა ძალუძს მას ხორცმეტივით მოიცილოს ისეთი რამ, რაც მთელ მის არსებას ცხოველმყოფელად შეეზარდა?.. არა, რუსიკოს წინაშე თავს დამნაშავედ არა გრძნობს ვასო. სინანულით არასოდეს არ შებღალავს ნატაშას დაუვიწყარ სახეს, მის წმინდა სიყვარულს...

ჰოდა, მიდის ახლა შინისაკენ ვასო და, ცოტა არ იყოს, ზემოდან დაჰყურებს სიყრმისას აღქმულ ქვეყანას. მაინც მეტისმეტად სიამოვნებს, ეს მშობლიური გარემო რომ გულგაშლილად ხვდება, უანგაროდ უხმობს თავისკენ, დედის მღიმარე თვალებით უალერსებს. ამასთანავე არ ისვენებს, ფრთებს ისხამს სიყრმის ოცნება და რუსიკოს წრფელი სახე ევლინება ისევ ვით მარადი სიცოცხლე. კარგია ეს, ყველაფერი კარგია. აგერ, როგორ ციმციმებენ ახალგაზრდა ევკალიპტების ცისფერი ფოთლები; ჩაის ბუჩქებზედაც როგორ ელვარებენ ნორჩი დუყები! მაღლობზე კი ისევ ისე დგას, ვინ იცის, მერამდენჯერ შეფოთლილი ძველი ცაცხვი, და დიდი ხნის წინათ დაწყებული ამბის თხრობას განაგრძობს...

იმ დღეს თუმცა კვირა იყო, მაგრამ საგაზაფხულო სამუშაო დაყოვნებას არ ითმენდა. ამიტომ ვახტანგი და ტასო დილაადრიანად თავიანთი უბნებისაკენ გაეშურნენ. ვასოს შინ ანდრეი კუზმიჩი, ასია, ასინეთი, ჭოლა და ჟუჟუნა დახვდნენ.

ანდრეი კუზმიჩი ახალი ამდგარი იყო, ასიასთან ერთობოდა. ასინეთი სამზარეულოში საქმიანობდა.

უცებ ანდრეი კუზმიჩს ჟუჟუნას ხმა მოესმა, აივნიდან გასძახა ასინეთს:

— ბებია, გამოიხედე, ვასო მოვიდა, ვასო!

ანდრეი კუზმიჩი ყოველ დილას ელოდა ვასოს, მაგრამ ახლა ისე აღიტაცა სიხარულმა, თითქოს ეს ცნობა მისთვის მოულოდნელი ყოფილიყოს. დაიბნა, ჯერ ფანჯრიდან გაიხედა, მერე მიბრუნდა, ასია აიყვანა და აივანზე გავიდა.

ფრთებშესხმულივით გამოიჭრა დედა სამზარეულოდან, შვილისაკენ გაექანა.

ჟუჟუნა ვასოს ცალ ხელზე ჩახვეოდა, ხოლო მამასავით მაღალი ჭოლა ბიძას მხრებამდის წვდებოდა.

ვასომ აივანზე გადმომდგარი ანდრეი კუზმიჩი დაინახა, დედის მკლავებისაგან თავი გაითავისუფლა და საფეხურებზე აირბინა.

ანდრეი კუზმიჩმა ასია შეაგება, მაგრამ ბავშვმა დიდი ხნის უნახავი მამა იუცხოვა და ბაბუას მიეკრა.

— შეხედე, ვერ გიცნო. — ჩაილაპარაკა ანდრეი კუზმიჩმა და ვასოს ცალი ხელით მოეხვია, მერე ბავშვს შეაცქერდა, ალერსიანად, ტკბილად უთხრა: — მიდი, მტრედო ჩემო, მიდი, მამა მოგივიდა.

ბავშვმა თვალები დახარა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს გაბუტულიაო, მერე კი გააპარა მზერა მამის სახისაკენ და მის ხელებს მოკრძალებულად მიენდო.

ანდრეი კუზმიჩი, რაც აქ ჩამოვიდა, თავს ძალიან კარგად გრძნობდა, ვერ წარმოედგინა, თუ პირველად გაცნობილ ადამიანებს ასე მალე შეეთვისებოდა, ასე მოისვენებდა ფიზიკურად და სულიერად. მაგრამ ახლა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფრით სავსე იყო, მაინც დიდი რამ მიემატა, გაძლიერდა, მამობრივი სიყვარულით დაყრდნო ვასოს მხარზე ხელი და გრძნობიერად უთხრა:

— კარგია, შვილო, კარგი! მიხარია, რომ ასე ჯანსაღად გამოიყურები!

— შენ, მამაჩემო, როგორა ხარ, აქ ხომ არ მოგწყინდა?

— რას ამბობ? განა შენს მშობლებთან და ნათესავებთან ადამიანს რაიმე მიაკლდება?.. ეჰ, კარგი იყო, შვილო, უბედურ ნატაშას რომ მოსწრებოდა აქ მოსვლა, მაგრამ რაღა გაეწყობა. რასაც სიკვდილი წაიღებს, ვერაფრით ვერ დაიბრუნებ; საქმე ის არის, კაცი სიცოცხლეს არ ჩამორჩეს, პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება ამ ქვეყნად.

მალე ასინეთმა ცხელი ხაჭაპურები გამოიტანა, საუზმე გააწყო. ამ დროს მცირე ხნით ვახტანგი მოვიდა სამუშაოდან, მღიმარედ შემოიმართა დარბაზში, შვილს მოეხვია. მერე მაგიდას მიუჯდა, ჯერ ანდრეი კუზმიჩს გაუვსო ღვინის ჭიქა ჭაჭის არყით, შემდეგ ვასოს დაუსხა, თავისი სასმისიც შეავსო, ანდრეი კუზმიჩს მიურაწკუნა და ენერგიულად თქვა:

— აბა, გაგიმარჯოთ!

ჭოლა და ჟუჟუნა ვახტანგის გვერდით ისხდნენ მაგიდასთან, ხოლო ასიას ბუხართან მოერთხა ფეხები და მამის მიერ მოტანილ ახალ სათამაშოს ხელში ატრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

ასადამურდა. მაღალი მთების ზოგ მწვერვალს მარმაშივით თხელი ნისლი შეეფინა; ერთხანს მაგნოლიის ყვავილებივით კაშკაშებდა ეს ოდნავ მოძრავი ნისლი, მერე ზღვისაკენ დაშვებული მზის სხივთა ანარეკლი შეენთო და ალისფრად გაღვივდა, ხოლო ნაპირებში მუქლურჯი ქობა გაიკეთა.

განმარტოებული ვასო გადასახვევთან შეჩერდა. გარკვეულად არაფერზე არა ფიქრობდა, თითქოს ისევე გულსავსე იყო და უზრუნველი, როგორც ეს მშობლიური მიდამო, დაისის ნათელში გახვეული გორაკები. არც არაფერი აიძულებს თითქოს, რომ აქ იდგეს მოლოდინში გარინდული; თვითონ სიცოცხლე, აი, ეს მოხასხასე ბაღები, ეს სანერგე, ეს ევკალიპტები, ეს ბუჩქნარი, ეს ნარინჯები, თვით ეს ლაჟვარდი, ბახმაროს მთიდან ზღვის კიდემდის გაშლილი, ჰო, თვითონ სიცოცხლე სჩქეფს მასში და იცის, რომ ამ ნაკადის ყოველი ცვარი, ყვავილზე თუ ბალახზე დაპკურებული, ისე არ აორთქლდება, რომ ქვეყნად თავისი დანიშნულება არ შეასრულოს.

უცებ შეკრთა, ჭილის ქუდს მოჰკრა თვალი; მყისვე მიხვდა, რომ იგი რუსიკო იყო. მესრეს მიეფარა: რუსიკო დამინახავს, იქნებ შეხვედრა არ ისურვოს და გზიდან გადაუხვიოსო. ეს თითქოს თავისთავად, მოუსაზრებლად მოიმოქმედა. თანაც ერთი მოგონება აეკვიატა. ეს დიდი ხნის წინათ იყო. რუსიკოს ქარმა ქუდი მოსტაცა. ვასომ მიირბინა, ქუდს ხელი დაავლო და უფრო შორს გაიქნია. მერე, რუსიკო რომ მიუახლოვდა და მკაცრად ახედდახედა, ვასომ უმალვე ინანა ცელქობა, ადგილიდან მოწყდა, ქუდს დაეწია და რუსიკოს მიურბენინა. რუსიკომ ხელიდან ქუდი გამოგლიჯა და გზას გაუდგა პირგამეხებული.

ახლაც ისე ხომ არ ჩაუვლის გვერდით?

გული აუჩქროლდა ვასოს, ძლივს გადადგა ნაბიჯი, რომ მოახლოვებულ

რუსიკოს მიგებებოდა.

რუსიკო შეჩერდა, გაშეშდა. ნელა ასწია ხელი, ლოყაზე მიიდო და ძლივს გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა:

— ნენავ!

ძნელი გასაგები იყო, თუ ამ ერთი სიტყვით რა უნდა გამოეთქვა: შიში, მოკრძალება, ჩუმი წყრომა, თუ ნატვრის ასრულება.

— ძალიან მემდური, რუსიკო?

— გემდური? — ტუჩები შეუთრთოლდა რუსიკოს, გაფითრდა, ჩაქუფრებული თვალები დახარა, — მე რა უფლებით უნდა გემდუროდე?

— კი, მაგრამ... სულ არაფერს აღარ ფიქრობდი ჩემზე?

— ჩემი ფიქრი... შენ რაი მერე? შენ ხომ დამივიწყე?

— ჰო, მართალი ხარ, რუსიკო, შენგან მე ყველაფრის ღირსი ვარ, სიძულვილიც გეპატიება.

— სიძულვილი რატომ?

— რატომ და... შენ ყველაფერი იცი, რუსიკო, იცი და უფლება გაქვს, სამაგიერო მომიზღო.

— შენს მიმართ ჩემს გულში კაის მეტი არასოდეს არაფერი არ გამიტარებია. იცოცხლე, იბედნიერე. მე კი...

— შენ რა, რუსიკო?

— არც მე დავეცემი სულით, შრომის უნარი მაქვს, სწავლა შემიძლია.

— ნუთუ აღარ მოხერხდება, რომ ჩვენ ერთი გზით ვიაროთ? არაფერი გვაერთებს?

რუსიკომ თავი ასწია, ვასოს თვალი გაუსწორა; იმ წამს საოცრად ეუცხოვა ეს სახედამწვარი, თითქმის პირქუში ვაჟკაცი. რამდენი ხანია ელოდა ამ შეხვედრას, ნატრობდა მისი ხმის გაგონებას, იმ შესაძლებლობას ნატრობდა, რომელიც ახლა მის სიტყვებში გამოსჭვივის. მეტი რაღა უნდა? რამ შეაკრთო?

— გიყურებ, ვასო, და ასე მგონია, რომ ის აღარა ხარ, რაც იყავი... იქნებ იმაზე მეტი ხარ, მაგრამ...

— ისევ ისა ვარ, რუსიკო, არც მეტი, არც ნაკლები. — თქვა ვასომ და მიიწია, რომ მკლავში ხელი გამოედო.

რუსიკო უნებურად განზე გადგა, ვაჟის ხელი აირიდა, ისე გაჰყვა მხარდამხარ.

ნელა მიდიოდნენ, ერთ ხანს ხმა არ ამოუღიათ. არც არაფერს ამჩნევდნენ ირგვლივ, მხოლოდ იმას ლამობდნენ, რომ ურთიერთის გულში ჩაეხედათ.

მძიმე იყო ეს წუთები.

პირველად რუსიკომ დაარღვია დუმილი, თუმცა ხმა როდი ამოუღია, შედგა, ვასოს თვალები მიაპყრო და მთელი თავისი გულისთქმა გაუმხილა.

ნელთბილმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში ვასოს, სიხარულმა აღიტაცა, რუსიკოს ხელს დაწვდა და თავის გრძელ თითებში მოამწყვდია.

აუჩქარებლად აყვნენ ალმართს მხარით მხარს მიყრდნობილნი.

არასოდეს რუსიკოს არ განუცდია მოსვენების ასეთი სიტკბო. ეს პირველად იყო მის სიცოცხლეში, სრულ განცხრომას რომ მიეცა, პირველად შეიცნო სავსებით თავისი ქალური ბუნება, ერთობ სათუთი და თანაც იმდენად ყოვლის შემძლე, როგორც თვითონ სიცოცხლე. ახლა მისთვის სიყვარული მარტოოდენ რწმენა როდია, ხორცშესხმული ცხოვრებაა.

და მისი პატარა, ნაჯაფი ხელი, ვასოს მძლავრ თითებში რომ ნებივრობს, ისეთი შეგრძნებით ივსება, თითქოს რამდენი ფოთოლიც მოუკრეფია, ყველა ცოცხლდება და წინ ფიანდაზად ეფინება.

მაღლობისაკენ შეუხვიეს, თავისთავად, მოუფიქრებლად, რადგან მაშინ სხვა გზა მათთვის უჩინარი იყო. ძველი ცაცხვის ძირას ჩამოსხდნენ ამობურცულ, ხავსმოდებულ ფესვებზე.

მზემ ზღვას პირი შეახო; მძლავრად აჩქეფდა სხივთა შადრევანი, მოოქროვილი ტალღების ნანჩქრევი შეიერთა და ხევებს, ფერდოებსა და აქოჩრილ სერებს შეეფინა. მომხიბლავი ეშხით დამშვენდა ირგვლივ ყოველი ბორცვი, ყოველი მცენარე.

საღამოს ნიავს ჯერ ფრთა არ გაეშალა, ტანთეთრი ევკალიპტების გრძელი ფოთლები კი მაინც თრთოდნენ, ფერადფერადად ციმციმებდნენ.

რუსიკომ ქუდი მოიხადა, მოლზე დადო, ყურებთან ჩამოშლილი თმა შეისწორა და ვასოს შეფრფინვით გაუღიმა; მყისვე, თითქოს შეკრთაო, თვალი დახარა და ვასოს ხელს დააცქერდა, ღუმელთან ნამუშევარ, ფერგადაკრულ ხელს. ჩაფიქრდა, მისთვის სრულიად

უცხო ქვეყანა მოეჩვენა. რას აკეთებს იქ ვასო? რას განიცდის? შესძლებს თუ არა რუსიკო, რომ იმ პირქუში ქვეყნის კარი შეაღოს და იქ თავისი ადგილი იპოვოს?..

ვასომ ხელი შეარხია, თითქოს ქალის დაკვირვებული მზერა მიეცხუნაო, მერე აიღო და ოდნავის შეხებით შეუსწორა რუსიკოს თმა, თავისკენ მიახედა.

— ისევ ისა ხარ, რუსიკო შენ, სრულიად არ შეცვლილხარ.

— მე რა შემცვლის, სიკვდილამდე ასეთი ვიქნები, — უპასუხა რუსიკომ. უნდოდა კიდევ ეთქვა: ჩემ სიყვარულს სიკვდილიც ვერ მოერევაო, მაგრამ შერცხვა და თავი დასწია.

ვასო წელში გასწორდა, ირგვლივ თვალი მიმოატარა, მერე ისევ რუსიკოს მიაშტერდა, რომ მეტისმეტად ღრმა გრძნობაში გარკვეულიყო: ჰო, ისევ ის არის რუსიკო, რაც იყო, თითქოს განვლილი წლების სუსხი მას სრულიად არ შეხებია; ისეთივე წრფელი, თავდაჭერილი, მკრთალ სახეში შინაგანი ძლიერება გამოსჭვივის. მერე კიდევ, ამ დილას, შინ რომ მოდიოდა, ვასოს რაღაც ორგვარი ცხოვრება ესახებოდა,—მშვიდი და მქუხარე, ახლა კი ხედავს, რომ არავითარი დაბალი და მაღალი საფეხური არ არსებობს, არის ერთი დიდი, მრავალსახიერი, ყოვლისშემცველი ცხოვრება, რომელიც მისთვის აგერ, ამ მტკიცე, გამტან, შეუდრეკელ არსებაშია განსახიერებული.

— რომ იცოდე, რუსიკო, რა ძლიერი ხარ შენ, რა საყვარელი...

რუსიკოს უმანკო სახე გაუსხივოსნდა, მაინც მოკრძალებით ახედა ვასოს, მერე მოუფიქრებლად მიწვდა მის ხელს, მუხლზე დაიდო და თავის სიცოცხლეში პირველად მიუალერსა ვაჟს ქალური გრძნობით. იმდენად მწვავე, იმდენად დამათრობელი იყო ეს გრძნობა, რომ ღაწვებზე ცეცხლი შეეკიდა და თავი ისე დახარა, თითქოს ანაზდათ მოზღვავებულმა შუქმა თვალი მოსჭრაო.

აღტაცებულმა ვასომ თავისი ძლავრი მკლავები მოხვია რუსიკოს, მკერდზე მიიხუტა; ქალმა სახე ვაჟის უბეში დამალა; ვასომ თავი ოდნავ გადაუწია და შუბლზე ეამბორა.

მზე ზღვაში ჩაიძირა. გამუქდა ირგვლივ ფერები. ბინდის ნიავმა დაუბერა, ააშრიალა ბებერი ცაცხვის ნორჩი ფოთლები. ჩიტები დასაბუდრებლად აერიამულდნენ. ნელი-ნელ ხუჭავდა თვალს ვალმოხდილი დღე, რომ მზის ამოსვლას სიცოცხლის მარადი ჰიმნით შეგებებოდა.

ფრთაშესხმულივით მიირბინა რუსიკომ დედასთან, ხელი მოხვია, ოდაში აიყვანა, შუქი აანთო, წამსვე მკვირცხლად შეტრიალდა, დესპინეს გულზე მიეკრა. მერე თავი ასწია და დედას ბრწყინვალე თვალები შეანათა.

დესპინემ თმაზე ხელი დაუსვა, მიეფერა:

— თქვი, შვილო, თქვი, შემოგევლე!

— ახლა რას იტყვი, დედა? მითხარი, ახლა რას იტყვი? — წარბშერჭმით შეუტია რუსიკომ, მაგრამ უმალვე სახე ისევ გაუნათდა, აღტაცება ვერ დამალა, მღელვარე ხმით ჩაილაპარაკა:

— იცი, დედა, ჩემისთანა ბედნიერი ჯერ ქვეყანაზე კაცი არ დაბადებულა...

დესპინეს თავისდაუნებლიეთ შინმოუსვლელი ქმრის პორტრეტისაკენ გაექცა თვალი და გულში გაივლო: „აღარ ახსოვს მამა,სრულიად არ ახსოვსო“, მაგრამ იმავე გულმა, დედის გულმა მყისვე დათრგუნა ეს გრძნობა, თავისი ასულის ბედნიერებამ იმდენად აიტაცა, რომ თვითონაც დაავიწყდა უკურნებელი სევდა.

— იბედნიერე, დედა შემოგევლოს, — თქვა სიხარულის ცრემლებით თვალგაბრწყინებულმა. — ჩემი საწყალი კაცის სულიც გაიხარებს, შვილო, შენი ბედნიერებით.

IV. სტალინელები

ქარხნის დირექტორის მიერ მოწვეული თათბირი გვიან დამთავრდა. ტარიელ ბარველიძემ გუნებაში ეს თათბირი დივიზიის შტაბის საბრძოლო სამზადისს შეადარა. ყურს უგდებდა დირექტორის — არჩილ ერეთელის საბოლოო სიტყვას და თვალწინ ის დაუცხრომელი, დინჯი და თანაც მგზნებარე გენერალი ედგა, რომლის ხელმძღვანელობითაც მრავალ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა.

არჩილ ერეთელი ტარიელზე ორი თუ სამი წლით უმცროსი იყო, გარეგნულად კი ერთი ასაკის გეგონებოდათ, თუმცა ტარიელს საფეთქელთან შეპარული ჭაღარა უფრო ემჩნეოდა, ხოლო არჩილს თეთგვრემანი, ფერხორციანი სახე ჰქონდა.

— ჩვენთვის, არიშელებისათვის, — დაასკვნა ერეთელმა, — ეს დღეები ისტორიული დღეებია. ხვალიდან ჩვენი პირველი ღუმელის შრობას ვიწყებთ, ქართული ფოლადის დაბადებას უნდა დავესწროთ..

ამ სიტყვამ—ქართულმა ფოლადმა—უკვე მიიღო სავსებით თავისებური, წმინდა ქართული შინაარსი, თითქოს იგი საქართველოს მთებიდან მომდინარე ჩანჩქერში, ბროლივით ანკარა ჩანჩქერში ეწრთო და თავისებურად აელერდა.

აგერ გრძელ მაგიდასთან, დირექტორის მახლობლად ზის ქარხნის მთავარი ინჟინერი ვასილ კავკასიძე, გამოცდილი, ღვაწლმოსილი მეტალურგი, რომელსაც მრავალ წელს უმუშავნია დონბასსა და ურალში; მან კარგად იცის, თუ რა ღირსებისაა საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში გამომდნარი ფოლადი; იცის, რომ ფოლადი ყველგან ფოლადია, მაგრამ მისთვისაც, ამ მეცნიერი ადამიანისთვისაც, ქართულ ფოლადში ქართველი ხალხის მთელი ისტორიული წარსული იგულისხმება, მისი გამძლეობა, მისი უტეხი ბრძოლა, მისი გამობრძმედილი რწმენა; ამასთან კიდევ უშუალოდ დაკავშირებულია ის თავისებური, წმინდა ქართული იერი, რომელიც ჩვენს დიდ ბელადს, ჩვენს მზე-კაცს შეუქსოვია, ვით მარადის ჩაუქრობელი სხივი.

ქარხნის სამმართველოს დიდი შენობა ჯერ აგებული არ იყო, მისი მხოლოდ ბალავარი ჩაეყარათ; ის ორსართულიანი, ღია ყვითლად შეღებილი კოხტა სახლი, რომელშიაც ქარხნის მთელი ხელმძღვანელობა იყო მოთავსებული, მომავალში ქარხნის მთავარ მექანიკოსს დაეთმობოდა. იმჟამად კი მთავარ მექანიკოსს — სიმონ გებაძეს თავისი კაბინეტი ერთ მოგრძო კუთხეში ჰქონდა, დირექტორის დარბაზიდან რომ გამოვიდნენ, სიმონ გებაძემ ტარიელს მკლავი გამოსდო და მეგობრულად უთხრა:

— თუ ძმა ხარ, ტარიელ, რამდენიმე წუთით ჩემთან შევიარო, ახალი ნახაზი უნდა გიჩვენოთ.

ტარიელს ოჯახში ისეთი მდგომარეობა ჰქონდა, რომ ძალიან მიეჩქარებოდა, მაგრამ ახალი ნახაზის გაგონებისთანავე გადასდო თავისი შინაური საქმე და სიმონს გაჰყვა.

სიმონ გებაძე მაღალი, ახოვანი ვაჟკაცი იყო, მას რომ ჩოხა-ახალუხი ჩაეცვა და ხმალ-ხანჯლით შეჭურვილიყო, ქართულ ხალხურ თქმულებებში ნაქები რაინდი წარმოგიდგებოდათ.

სიმონმა მაგიდის უჯრა გამოსწია, დაგრაგნილი კალკი ამოიღო, გვერდით ციფრებით აჭრელებული ფურცლები დააწყო.

— კარგა ხანია ამაზე ვმუშაობ, — დაიწყო სიმონმა, — მინდოდა ადრე მომესწრო, შემეთანხმებინა, მაგრამ სამწუხაროდ აღარ მოხერხდა; ჩვენი პირველი ღუმელი უკვე მზადაა, იგი ძველი პროექტის მიხედვითაა აგებული და ახლა შესწორება აღარ შეიძლება. ისე კი მას საგრძნობი ნაკლი აქვს, ორმხრივი მართვა სჭირდება, მეფოლადე ხან ერთ თავში უნდა იყოს, ხან მეორეში. ეს მუშაობას ძალიან ართულებს. შეიძლება აი ასე, დააკვირდით, მართვის მთელი აპარატი მარცხენა მხარესაა. გამაგრილებელი მილებიც ისეა განლაგებული, რომ კაზმით სავსე როფი აღარ წამოედება...

ტარიელი ინჟინერ-მშენებელი იყო, მაგრამ მერე მექანიკამ გაიტაცა და ეს დარგიც ჩინებულად შეისწავლა. ერთ ხანს არიშში მშენებლობის დიდ უბანს განაგებდა, ხოლო შემდეგ ქარხნის ერთ-ერთ ხელმძღვანელად დაინიშნა.

— სწორია, მშვენიერია! — წამოიძახა ტარიელმა და ნახაზს მიწვდა, თავისკენ მისწია. — ეგ სწორედ ის არის, რაზედაც უკანასკნელ დღეებში მეც გატაცებით ვმუშაობ. უყურე, თითქმის არავითარი განსხვავება არაა, პრინციპი ერთია, მხოლოდ დეტალებს უნდა დამუშავება... აი, ეს ...

სიმონმა თავი ასწია, ლამაზი სახე გაუნათდა, თავისი გრძელი მკლავი აღმართა, ტარიელს მხარზე ხელი დაადო და თვალებში ჩახედა:

— მართლა? შენც ამ დასკვნამდე მიხვედი? კარგია, ძალიან კარგი! ახლა ამ პროექტის განხორციელება ძნელი აღარ იქნება.

— ჰო, ადვილად შევძლებთ... ძლიერ გამახარე, სიმონ, ამ წამოწყებით. რა ჩემი თქმა გინდა, ამას კიდევ ბევრი რამ სჭირდება. მთავარი ავტომატიკაა. ჩვენ იმას უნდა მივაღწიოთ, რომ მეფოლადეს შეეძლოს დააყენოს ავტომატი და ისე განაგოს ღუმელში მიმდინარე პროცესი.

— კაცო, შენ ჩემს გულში ხომ არ იხედები? — წამოიძახა სიმონმა,—მეც სწორედ მაგ საკითხს ვუტრიალებ. აგერ, ნახე ჩემი ცხრილები... ამას რომ განვახორციელებთ, მერე ღუმელთან მომუშავეს არავითარი კვალიფიკაცია აღარ დასჭირდება, შეგვიძლია, ვინც გვინდა, ის მოვიყვანოთ, ორ დღეში უკვე მეფოლადე იქნება.

— აქ კი ცოტას აჭარბებ, სიმონ. უცოდინარი კაცი ჩვენ აღარ გამოგვადგება. ჩვენი მიზანი შრომის შემსუბუქება და ნაყოფიერებაა, ცოდნას კი მანქანებით ვერ შევცვლით. ჩვენი მუშა, კომუნისტურ საზოგადოებაში შემავალი მუშა უაღრესად განათლებული უნდა იყოს, მან, ამ შემთხვევაში მეფოლადემ, საფუძვლიანად უნდა იცოდეს მეტალურგია, ქიმია, ყველაფერი, რაც მის დარგში არის საჭირო. კაპიტალისტი ტექნიკურ განვითარებას მოგების თვალსაზრისით უდგება, ჩვენ კი საერთოდ ადამიანი აგვყავს მაღალ საფეხურზე; რამდენადაც მის შრომას ვამსუბუქებთ, იმდენად ვაფართოებთ მის გონებრივ ჰორიზონტს.

— სწორი შენიშვნაა, — დაეთანხმა სიმონი, — თუმცა დღესდღეობით რად ეღირებოდა ჩვენთვის, რომ ღუმელის ავტომატურად მართვა შესაძლებელი იყოს. მაშინ აღარ დაგვჭირდებოდა ჩვენი ახალგაზრდების მთელი წლობით გაგზავნა დონბასსა და ურალში.

— არც მაგით დაშავებულა რამე. პირიქით, ეგ აუცილებელი იყო, ჩვენი ბიჭები ახლა შრომის ქარცეცხლში გამობრძმედილი მეტალურგები არიან. სწორედ ესენი შესძლებენ სავსებით დაეუფლონ იმ მექანიკურ გაუმჯობესებას, რასაც ჩვენ უთუოდ მივაღწევთ. ძალიან, ძალიან კარგი ჰქენი, სიმონ, რომ ეგ შენი პროექტი გამაცანი. ჩავუჯდეთ, ერთად ვიმუშაოთ. არა, საკვირველია, რამდენი აღმოჩენა ჩვენს თვალწინ და ჯერ კი ვერ ვხედავთ!

— ზოგი ბუნდოვანად ამჩნევს, მარტოდ მარტო ჩხირკედელაობს და მიზანს ვერ აღწევს.

— ჰო, სწორედ ეგ არის! ამას წინათ ჩვენი ქალაქკომის მდივანი გრიგოლ ამირანიძე გაცხარებით კიცხავდა იმ კარჩაკეტილ მეთავისეებს, რომლებიც რაღაც იდეას მიაგნებენ, გარს უტრიალებენ, განხორციელების უნარი კი არ გააჩნიათ, ისე ჩავლენ სამარეში, რომ სხვას არ გაუზიარებენ.

— მართლაც, ტარიელ, ვინ იცის, რამდენ კაცს რამ არ გაუელვა თვალწინ იმ დროიდან მოყოლებული, როცა პირველად ადამიანმა ცეცხლს თიხის ქოთანი მიუდგა და იქიდან ამოსული ორთქლი ნახა; რამდენი საუკუნე გავიდა, ვიდრე ორთქლს უდიდეს ძალად, მამოძრავებელ ძალად გამოიყენებდნენ! ასეა, ალბათ, ახლაც, ჩვენს ირგვლივ უამრავი აღმოჩენებია. რა უბრალო, რა მარტივი იქნება თითოეული მათგანი, როცა მას ხელს ჩავავლებთ და ადამიანის საკეთილდღეოდ ავამოქმედებთ!

ტარიელმა კვლავ გადაათვალიერა სიმონის ნამუშავარი, მერე ისე ჩაილაპარაკა, თითქოს ფიქრს განაგრძობსო:

— ზოგ იდეაზე რამდენიმე თაობის ადამიანები მუშაობენ, ბოლოს ისე მომწიფდება იგი, ისე შეუმზადდება განხორციელებისათვის საჭირო პირობები, რომ წინ აღარაფერი ეღობება. აი თუნდაც ეს ავტომატიკა. ამის მთავარ პრინციპზე სხვებსაც უმუშავნიათ. დონბასში რომ ვიყავი, მარინემ გამაცნო თავისი მამის ნახაზები, მაშინ დაჭებადა აზრი, რომ იგი...

— ჰო, მართლა, — შეაწყვეტინა სიმონმა. — როგორ არის მარინა სერგეევნა?

ტარიელმა თავი ასწია, თითქოს უცებ გამოერკვაო, წამოიმართა, ფიქრმორეულად უპასუხა:

— არ ვიცი... მგონია, საფრთხე აღარ მოელის.

— ოჰ, კარგი, კარგი! ისე კი, ამხანაგო ტარიელ, ნუ გეწყინება და მე რომ შენს ადგილზე ვყოფილიყავი, ში-

ნიდან გამოსვლის ნებას აღარ მივცემ-
დი, — მოლოგინების დრო მოახლოვე-
ბული აქვს, კანონით მას არავითარი
საქმე აღარ ეკითხება...

ტარიელმა ტელეფონის მილი აიღო,
დედას შეეკითხა:

— როგორ არის?

მყისვე სახე დაუმშვენდა ტარიელს,
სიმონს მხარზე ხელი დაადო, გაუღიმა.

— რაო? — ჰკითხა სიმონმა.

— უკეთ არისო.

— მომილოცავს. — წრფელი გუ-
ლით მიმართა სიმონმა. — სიმართლე
უნდა გითხრა, ძალიან მეშინოდა, მუ-
ცელი არ მოეშალოს-მეთქი. ხუმრობა
ხომ არაა, რა სიმაღლიდან ჩამოგორდა!

— მართლაც!.. გავყვეთ ახლა.

ქარხნიდან ახალ ქალაქამდის კარგა
მანძილი იყო, მაგრამ ტარიელი ხანდა-
ხან ფეხით წასვლას ამჯობინებდა.
სიარულში კიდევაც ისვენებდა და თა-
ნაც ამათუიმ ნააზრევს რაიმე ახალი
მიემატებოდა ხოლმე. ახლაც მანქანას
აღარ დაუცადეს, გზატკეცილიდან ბი-
ლიკზე გადაუხვიეს.

გაზაფხულის მოწმენდილი ღამე იყო.
მხოლოდ დასავლეთით, რუხი მთის
გასწვრივ მისცურავდა ცისიერში
ორუბლის რამდენიმე ქულა, მთვარის
მკრთალ შუქში მინაზებული. ცხოვ-
ლად საგრძნობი ნიავი უბერავდა, ლა-
ღი ნიავი, მჩქეფარე ხალისის აღმძვრე-
ლი ნიავი. საქართველოს მაღალი მთე-
ბიდან მოედინება ეს ნიავი, თრიალ-
ეთის თხემებზე შერჩენილი თოვლის
ფიფქით გაწმენდილი, კოჯრის ტყის
ნორჩი ფოთლების სურნელებით გაჟ-
ღენთილი; ან არა და, კავკასიონიდან
გადმოუქროლებს ზედაზენს, მთაწმინ-
დას, დედაქალაქს ეამბორება, მოჰყვე-
ბა მერე მტკვრის მდინარებას და,
აღორძინებული არიშის სანახებში
რომ მიმოინჩქრევა, ისე დატკბება,
თითქოს მშობლიურად უნდა მიუალ-
ერსოსო ახალშობილს.

სიმონი და ტარიელი მაღალ ყრილზე
ავიდნენ, ექსკავატორის მიერ ამოთხ-
რილ ორმოს გვერდით ჩაუარეს და
ახალგაშენებული ტყისაკენ გაემართ-
ნენ.

ხელმარცხნივ ქუფრად ინაკვეთებო-
და საგლინავი საამქროს გრძელი ჩონ-
ჩხედები, ზოგან ახალგადახურული,
ზოგან უცნაური ლაბირინთივით მჩინა-
რე. თბოელექტროცენტრალის შავი
მილიდან ამომავალი ყომრალი კვამლი
ნიავს მარტენის საამქროსაკენ მიქანთ-
და, მაღალ კორპუსებსა და ჯერ უბო-
ლო ორ კვამლსადენს ჩრდილსა ჰფენ-
და. განმარტოებულად აღმართულიყ-
ვნენ გაუწყობელი კაუპერები და სანა-
ხევროდ აგებული ბრძმედები.

მაღლობზე, ორი წლის წინათ დარ-
გულ მცენარეების მახლობლად შედგა
სიმონი, ტარიელიც შეაჩერა, ხელი
მხარზე დააყრდნო და აღტაცებით
ჩაილაპარაკა:

— არა, ერთი მიმოიხედე, თუ ძმა
ხარ! რამდენი რამე აშენდა და მაინც
ჯერ სადა ვართ!.. არასოდეს არ და-
მავიწყდება ის დღე, პირველი დღე,
როდესაც აქ ადგილის ასარჩევად ჩა-
მოვედით. ცენტრალური კომიტეტის
მდივანი და მთავრობის წევრი იყო
ჩვენთან. მთელს ამ ტრიალ ველზე ერ-
თადერთი შენობა და აეროდრომის
ორიოდე ფარდული მოჩანდა. მთელი
საქართველო რომ მოგვევლო, ასეთ
უსიცოცხლო, ასეთ უდაბნოდ ქცეულ
არემარეს იშვიათად იპოვიდი. იცი რა
იყო? ისეთი ამობუგული, ისეთი გამო-
ფიტული მინდორი იყო, გეგონებოდა,
აქ არასოდეს ქაჭვიანი ბალახის მეტს
არაფერს ფესვი არ გაუდგამს და ვერც
გაიდგამსო. რა დიდი ოცნებითაც არ
უნდა ყოფილიყავი გატაცებული, ეს
უღიმღამო ადგილი მაინც გაგკრავდა
თავის უწყალო ბრჭყალს და მწარედ
ჩაგაფიქრებდა. ახლა კი... ჰოდა, მაინც
ჯერ რამდენი რამ გვაკლია!

— არა უშავს რა, მოვესწრებით, —
იმედიანი ხმით უთხრა ტარიელმა. —
ეს ჩვენი ბედნიერებაა, ჩვენი შრომის
ნაყოფს რომ ასე ნათლად ვხედავთ.

— მართალია, მხოლოდ იცი რა, ტა-
რიელ! დრო არა მყოფნის, კაცო, დრო!
დღეღამეში ოჯახსა და ძილს მხოლოდ
შვიდ საათს ვანდომებ, დანარჩენი
ჩვიდმეტი საათი კი საქმეს ვერა წვდე-
ბა. აბა იანგარიშე: ტექნიკური მეცნიე-
რების სწრაფ განვითარებას კვალდა-
კვალ უნდა მიჰყვე, საკუთარი ნააზრევი
უნდა განახორციელო, — ეს გზადაგზა,
მთავარი კი ქარხანაა თავისი უამრავი
მანქანებით, რომლებიც მაჯის საათივით
აწყობილი უნდა გქონდეს.

— დროის გამოყენება, ჩემო სიმონ, ჩვენი ბელადისაგან უნდა ვისწავლოთ. აბა წარმოიდგინე, მთელი სახელმწიფოს, მთელი ქვეყნიერების საქმეს განაგებს და ამავე დროს არ არის მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის ისეთი დარგი, რომელსაც მისი გონების სხივი არა სწვდებოდეს.

— ეგ ხომ ჩვენი იდეალია! — წამოიძახა სიმონმა: — სწორედ ეგ არის ჩვენი ბედნიერება, რომ ჩვენ სტალინელები ვართ!

ეს რომ თქვა, სიმონი სწრაფად შებრუნდა, ტარიელს მკლავი გამოსდო, სახეზე თვალი შეავლო და მეგობრულად უთხრა:

— ბოდიში, შინ მიგეჩქარება, მე კი აქ შეგაჩერე.

V. მარინე

ტარიელს შინ მართლაც ძალიან მიეჩქარებოდა. რამდენჯერმე იკითხა იმ დღეს ტელეფონით; მცირე ხნის წინათაც ხომ უთხრა დედამ, მარინე უკეთ არისო, მაგრამ მაინც შეშფოთებული იყო.

ასე სჩვევია სიყვარულით სავსე გულს: საკმაოა წარმოისახოს — სიცოცხლესავით ძვირფას არსებას რაიმე საფრთხე მოელისო და ვეღარ ისვენებს, სურს იმოქმედოს, გამოსავალი იპოვოს.

ტარიელი ბუნებით კეთილი იყო, ადამიანის მოყვარული, საქვეყნო საქმისათვის თავდადებული, მაგრამ წინათ, ვიდრე მარინეს შეეუღლებოდა, მწვავედ გრძნობდა ხოლმე, რომ დიდი რამ აკლდა; ხანდახან ისეთი განწყობილება შეიპყრობდა, თითქოს გული გაბზარვას ლამობს და ძალა არა ყოფნის, რომ მთლიანობა შეინარჩუნოსო.

რა იყო ამის მიზეზი?

ძველად იტყოდნენ, ცუდ ბედს გადაეყარაო, ტარიელი კი თავის ოჯახურ უიღბლობას სრულიად უბრალო შემთხვევას აწერდა.

რამ შეახვედრა მაშინ ნელი? მართალია, ტარიელი იმ დროს უკვე ოცდაათ წელს გადაცილებული იყო, მაგრამ ისე აჩქარდა, ისე წინდაუხედავად მოიქცა, თითქოს სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდა ყოფილიყოს.

ის იყო ურალიდან დაბრუნდა, უკვე ორ დარგს დაუფლებული ინჟინერი იყო, საქართველოში ერთ-ერთ ახალ მშენებლობაზე იწყებდა მუშაობას. დედა დიდი ხანია ეხვეწებოდა, შვილო, შენი დაცოლშვილება მაღირსეო, მაგრამ მანამდის საამისოდ დრო არა რჩებოდა სწავლითა და შრომით გატაცებულს.

იმ დღეს კი... არა, ხომ შეიძლებოდა, ამხანაგებს აშორებოდა და წვეულებაზე არ წასულიყო?

არის ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში ისეთი ჟამი, როცა ყველაფერს, თანამოძმეს, გარემოს, მთელ სამყაროს გულგამლილად ეგებება. ამ დროს კაცს ჰგონია, თითქოს ბუნებაში არა არის რა ისეთი, რაც მისი მახლობელი, მისი თანამონაწილე არ იყოს.

სწორედ ასეთ გუნებაზე იყო იმ დღეს ტარიელი, — ოხუნჯობდა, იცინოდა, მღეროდა. საშუალო სასწავლებელი რომ დაამთავრა, მას შემდეგ აღარ უცეკვია, იმ წვეულებაზე კი ღვინით როდი იყო იმდენად შეზარხოშებული, მთელი გულით აღტაცებული იყო და მაგიდასთან გაცნობილი ქალი საცეკვაოდ გაიწვია.

ძალიან უხდებოდა ნელის ცეკვა. მთელ თავის უნარს, ყველაფერს, რაც კი რამ მისთვის ბუნებას მიუცია, ცეკვაში აქსოვდა, თავის მომწიფებულ ქალობას ამზიურებდა.

ამან მოხიბლა ტარიელი. ამიტომ არ ჩაფიქრებულა, არ გაუგია, თუ ნელი რა წრეში იყო აღზრდილი, რა მიდრეკილება ჰქონდა, რამ შეუშალა ხელი, რომ საშუალო სასწავლებელი მაინც ვერ დაამთავრა?

შემდეგ ტარიელი თავს იმით იმართლებდა, რომ ნელის მაშინ თავი ისე ეჭირა, გეგონებოდათ, დიდად განსწავლული ქალიაო. მხოლოდ დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ მისი ზერელე საუბრის მიღმა სრული სიცარიელე იყო. ტარიელს კი მაშინ თავისმა გულკეთილობამ წაართვა სინამდვილის დანახვის უნარი. ხოლო შემდეგ მთელი წლების განმავლობაში ნელის თავს ევლებოდა. ბავშვი რომ მოუკვ-

დათ, ნელის ავადმყოფობა დასჩემდა. ტარიელმა მზრუნველობა კიდევ უფრო გააძლიერა. თეოლინე ხომ მუდამ გულწრფელად ემსახურებოდა, არაფერს აკლებდა.

ჰოდა, მიუხედავად ამისა, პარაზიტის ცბიერმა ბუნებამ მაინც იჩინა თავი.

პირველად ტარიელი ამას თვალს არიდებდა, სულიერი სიმშვიდის შენარჩუნებას ლამობდა, შემდეგ კი ხანდახან უნებლიეთ შეკრთებოდა, სწორედ ისე, გზადმიმავალი რომ მახლობლად გველის გასრიალებას შეიგრძნობს და ზარდაცემული განზე გახტება.

ამ ხანებში თბილისიდან მოშორებით მუშაობდა, შინ კვირაში ერთხელ თუ მივიდოდა; მერე კი სამამულო ომი დაიწყო, არმიაში გაიწვიეს.

შორს ყოფნამ გაუქარწყლა ტარიელს გულში აღძრული ზიზღი, სიმშვიდე მოჰგვარა. მაშინ უკვე გრძნობდა, თუ რა ნაპრალში უნდა დაეშვას ადამიანი, რა ჯურღმული უნდა მოიაროს, რომ სიყვარულის მწვერვალიდან გადაჩეხილმა სიძულვილის აღმართზე ფეხი მოიკიდოს. გრძნობდა და უფსკრულს თვალს არიდებდა.

ბოლოს, როცა ნელისა და გაბო ლარიძის ინტიმურ ურთიერთობას თვალი შეასწრო და ოჯახის სიწმინდის შებღალვაში დარწმუნდა, თავისი ძლიერი ნებისყოფა მოიშველია და ცბიერობით დახლართული ქსელი დასწყვიტა, თუმცა ხანდახან მაინც მოაგონდებოდა ნელისთან გატარებული დღეები და ამაოდ ცდილობდა მოეშორებია ის ნალექი, რომელიც უეცრად შეაძრწუნებდა ხოლმე და ზიზღს აღუძრავდა არა მხოლოდ ნელისადმი, არამედ მთელი იმდროინდელი მისი პირადი ცხოვრებისადმი.

მერე კიდევ ერთი კითხვა არ ასვენებდა: იქნებ შესაძლებელი იყო ნელის აღზრდა და ტარიელმა რაიმე დააკლო?

კარგა ხანს უტრიალა ამ კითხვას, ღრმად ჩაუკვირდა და ბოლოს დაასკვნა, რომ არა, მას ამაში არავითარი ბრალი არ მიუძღვის, რადგან ისეთ შავ კედელს წააწყდა, რომელსაც ან უნდა თავი შეატეხო, ან უნდა განშორდე.

„ამიერიდან ჩვენს ქვეყანაში, — ფიქრობდა ტარიელი, — შეუძლებელია აღიზარდოს ნელისთანა უქნარა, შინაგანად სავსებით ცარიელი და ამავე დროს საოცრად მედიდური, ზანკარი. არაფერი არ მოსწონს, — ყველაფერს ზემოდან დაჰყურებს, წუწუნებს, თანაც გოროზად მოითხოვს, რომ ყველანი მას ემსახურონ, არაფერი არ მიაკლონ. მომავალში ასეთი რამ რაღაც უცნაური გამონაკლისი იქნება, როგორც მეთავისეების ატავისტური გადმონაშთი. ნათქვამია, კუზიანს სამარე გაასწორებსო, მაგრამ ფიზიკურად მანკიერი ადამიანი შეიძლება უაღრესად კეთილშობილი იყოს, სულიერად მახინჯი კი“...

შუბლს შეიკრავდა ტარიელი, ხელს მკაცრად ჩაიქნევდა და გულიანად დასძენდა:

„სამარცხვინო ბოძზე უნდა გაიკრას, რომ მოზარდს, მომავალს აღარ გადაედოს!..“

სახლს რომ მიუახლოვდა, მღელვარებამ კიდევ უფრო აიტანა ტარიელი, ნაბიჯს აუჩქარა. მთელი დღის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა მოეშორებინა შემაძრწუნებელი ფიქრი: „ხომ შეიძლება დედის მუცელში ბავშვი იმდენად დაშავებული იყოს, რომ ველარ გადარჩეს, მაშინ მარინეს სიცოცხლესაც ხომ საფრთხე მოელის...“

ახლა მეტის ძალით შემოენთო ეს ფიქრი და ნათლად დაუდგა თვალწინ სავსებით გაფითრებული, ტუჩებგალურჯებული მარინე.

ეს ორი დღის წინათ იყო. მარინე მემონტაჟეებთან ასულიყო ხარაჩოზე. კარგად ახლაც არავინ იცის, თუ როგორ მოხდა, რომ მარინე მაღლობიდან დაგორდა. კიდევ კარგი, რომ მიწაზე დაყრილ რკინის ნაჭრებს არ დაჰკრა თავი.

ტარიელმა რომ მიირბინა, მარინე უკვე მანქანაზე მოეთავსებინათ. ძარღვებში სისხლი გაეყინა ტარიელს, როცა მარინეს უსიცოცხლო სახეს დახედა.

ამ დროს გაახილა თვალი მარინემ, თითქოს იდუმლად იგრძნო, თუ რა უმწეო მდგომარეობაში იყო ტარიელი, ჩალურჯებულ ტუჩებში ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გაუელვა და სულისჩამდგმელი სიმშვიდის მომნიჭებელი ხმით თქვა:

— ნუ გეშინია, ტარიელ... არაფერია... გაივლის.

ჟრუანტელივით დაუარა ტანში ტარიელს სიცოცხლის მჩქეფარე ნაკადმა, ისეთმა განცდამ შეიპყრო, თითქოს მხოლოდ ახლა ჰკიდა თვალი იმ ბრწყინვალე მწვერვალს, რომელთანაც მარინეს სიყვარული აკავშირებდა. იმ წამს მარინემ თავისი სიძლიერე, თავისი სულიერი სიმდიდრე გამოხატა: განსაცდელში მყოფმა საყვარელი ადამიანის სიმშვიდე საკუთარ გაჭირვებაზე მაღლა დააყენა. და ეს მან მოიმოქმედა თავისთავად, მოუფიქრებლად, რადგან ეს მისი ბუნების განუყრელი თვისება იყო.

ტარიელმა ტუჩები შეარხია, ნერწყვი გადაყლაპა, წონასწორობა მოიპოვა და განმტკიცდა; თანაც სადღაც გულის სიღრმეში ისეთი სათუთი სიმი შეერხა, თითქო სული სულს ეამბორაო.

კარგა ხნის შემდეგ, როცა ექიმებმა მარინეს მდგომარეობა საიმედოდ მიიჩნიეს, ტარიელმა უეცრად წარმოიდგინა, თუ რა იქნებოდა, ნელის რომ ამგვარი რამ შემთხვეოდა. გულს გაგიწყალებდა, ისეთი თვალებით შემოგხედავდა, რომ სიცოცხლეს შეგაზარებდა, იტყოდა: მე რა დღეში ვარ, თქვენ კი რა გიშავთო, მე რომ მოვკვდები, მერე ყველაფერი ჭირს წაუღიაო.

ეს რომ გაიფიქრა ტარიელმა, მხოლოდ მაშინ შეიგნო სავსებით თავისი მთავარი შეცდომა: თურმე ნელის რომ ირთავდა, მასში მარტოოდენ ქალს ხედავდა, ქალური ეშხი ხიბლავდა, ეგონა, დანარჩენი თავისთავად იგულისხმებაო. მაგრამ ეს არ ყოფილა საკმაო. ეს მხოლოდ საფუძველია, რომელზედაც საერთო ცხოვრება უნდა აშენდეს, საერთო შინაარსით უნდა გამუქდეს. ამიტომ ქალში უმთავრესად თანამოაზრეს, თანამებრძოლს, შენი სულიერი სამყაროს თანაზიარს უნდა ხედავდე.

სრულიად უბრალო იყოს ეს აზრი, მაგრამ ტარიელმა იგი თავისი ცხოვრების მწარე გამოცდილებით ღაადასტურა და დიდ სიბრძნედ ჩასთვალა.

*
* *

თეოლინე ფანჯარასთან იდგა, მთვარისფერი ნათურის შუქით განათებულ ქუჩას დაჰყურებდა, ტარიელს ელოდა. იმ ოთახში ორი საწოლი იდგა, ერთში ნათიას ეძინა. არ უნდოდა ნათიას დაწოლილიყო. ტარიელის მოსვლამდე, ძალიან ეწადა, ეხარებინა მარინეს — მარინე ახლა კარგად არისო, მაგრამ თეოლინემ არ მოუსვენა, ლოგინში ჩააწვინა და საბანი შემოუკეცა. მერე ველარ გაიგო გოგონამ, თუ როგორ ძიეპარა ძილი.

ამ ახალაშენებულ სახლში ტარიელის ბინა ოთხი ნათელი ოთახისაგან ეფლგებოდა. ერთში თეოლინე და ნათია წვებოდნენ, მეორეში — მარინე და ტარიელი, მესამე სასადილო დარბაზი იყო, ხოლო მეოთხეში სამუშაო კაბინეტი მოეწყოთ.

სახლის ახლო-მახლო ჯერ კიდევ იყო ამონათხარი, ოღროჩოღრო ადგილები, ზოგან ბეტონის მილები ელაგა; ერთ მხარეს შუა ქუჩაში ექსკავატორი ჩამდგარიყო და მაღალი თხრილი გაჰყავდა. ეზოში ახალდარგულ, თავწაჭრილ ხეებს ჯერ კვირტი მხოლოდ აქა-იქ გამოეღოთ.

შიგნით კი სახლის კეთილმოწყობა სავსებით დამთავრებული იყო, იმ ზამთარში უკვე ქარხნიდან მიღებული აირით თბებოდა.

მხოლოდ თეოლინეს ოთახს შერჩენოდა წინანდელი ტრადიციული იერი, ზოგი ძალიან ძველი, მაგრამ ბევრი რამის მეტყველი ნივთი. საწოლს ზემოთ ზურაბის სურათი ეკიდა, შავ ჩარჩოში ჩასმული. იგი დაპატიმრების წინ გადაიღო ზურაბმა ბაქოში. დროგამოშვებით მიაპყრობდა ხოლმე თეოლინე თვალს ზურაბის პორტრეტს, მაგრამ ახლა უკვე ძველი სევდა სულ სხვა შინაარსით აივსო, ახლა მწუხარების ნაცვლად დიდად დამამშვიდებელ სიამეს გრძნობდა იმით, რომ დღემდის მოაღწია და ქმრის ნათელი ხსოვნა არ ჩააქრო, რომ სასახელო ვაჟი აღზარდა და ახალ ცხოვრებაში ასე ძლიერად დამკვიდრდა.

სხვა ოთახებში რომ გავიდოდა, თეოლინე ამ ახალი ცხოვრების გამოხატულებას მარინეს ნახელავშიაც ხედავდა. არაჩვეულებრივად მოქმედი, ხელმარჯვე, ცხოველმოსილი ქალი აღმოჩნდა მარინე. პირდაპირ საოცარი იყო, თუ როგორ ახერხებდა იგი, რომ დღის ყოველ წამში არაჩვეულებრივად დიდი შინაარსი მოეთავსებია. სამსახურსაც ასწრებდა, ტარიელთან ერთად სხვადა-

სხვა პროექტებზე შემოქმედებით მუშაობასაც. - დონბასიდან ჩამოსვლისთანავე ქართული ენის შესწავლას შეუდგა. წერა-კითხვაში მალე გაიწაფა. მთელი საათობით მიუჯდებოდა ხოლმე გვერდით თეოლინეს და ვარჯიშობდა. ხანდახან რომელიმე ბგერის, ან სიტყვის გამოთქმა რომ გაუძნელდებოდა, ჯერ გულიანად გაიცინებდა, მერე შუბლს შეიკრავდა და მანამდის იმეორებდა, ვიდრე საკსებით არ შეითვისებდა. კარგი მეხსიერება ჰქონდა, თანაც ძალიან მონდომებული იყო და ამიტომ რამდენიმე თვეში შინაურებთან უკვე ქართულად ლაპარაკობდა, სხვებთან კი ჯერ გამბედაობა არა ყოფნიდა, ერიდებოდა. საოჯახო საქმეებისა და გართობისათვისაც რჩებოდა დრო მარინეს. ბინაში ისეთი რამ არ იყო, რომ მას ყოველდღე ხელი არ შეეხო. ფანჯრის რაფებზე სხვადასხვა ფერის ყვავილები ისე კამკამებდნენ, თითქოს ჟუჟუნა წვიმით პირდაბანილი ყოფილიყვნენ. დივანზე დაწყობილი საუცხოო ყურბალიშები მან საკუთარი ხელით ამოქარგა.

ყველაზე უკეთ მაინც სამუშაო კაბინეტი იყო მოწყობილი. უამრავი მეცნიერულ-ტექნიკური წიგნები, სპეციალური ჟურნალები, ნახაზები, მხატვრული ლიტერატურა, ყველაფერი ხელმისაწვდომად იყო განლაგებული, თანაც ოთახში დიდი თავისუფალი არე რჩებოდა.

თეოლინეს ძალიან ახარებდა აგრეთვე მარინეს ფიზიკური ჯანმრთელობა. რა გუნებაზედაც არ უნდა ყოფილიყო თეოლინე, მარინე რომ გაესაუბრებოდა, იგი რომ მთელი გულით გაუღიმებდა, წამსვე გახალისდებოდა მოხუცი, სიცოცხლის იმ ცხოველმოსილებით ტკბებოდა, რომლითაც ასე უხვად იყო დაჯილდოვებული ეს სახემზიანი ქ ლი. ზოგი ფეხმძიმობისას ფერმკრთალდება, ავადმყოფივით გამოიყურება, მარინე კი უფრო აყვავდა, გაივსო, მაღალი გულ-მკერდი მეტად დაიმშვენა, ცისფერი თვალები თითქოს ამომავალი მზის სხივით აუელვარდა.

ახლა უკვე თეოლინეს ოცნება სინამდვილედ იქცა, ახლა დარწმუნებული იყო, რომ მალე იხილავდა მას, ბედშავი ზურაბის ხსოვნის ყვავილს, მისი უდროოდ ჩამქრალი სიცოცხლის გამგრძელებელს.

იმ დღეს კი, როცა გაფითრებული მარინე ოთახში ხელით შეიყვანეს, თეოლინეს ზარი დაეცა, მიიჭრა, რძალს ხელი მოხვია და ქართველ ქალებს რომ სჩვევიათ, ისე დაიწყო მოთქმა.

ისევ მარინემ ჩაუდგა სული, თავს ძალა დაატანა, დედამთილს სანუგეშებლად მიაპყრო თვალი და დინჯად უთხრა:

— დამშვიდდი, დედა, ისეთი არაფერია, მალე მოვიხედავ.

— შენი სულის ჭირიმე, შვილო, შენი სულის ჭირიმე! — აღმოხდა თეოლინეს, დაიხარა, რძალს მხურვალედ აკოცა, მერე წელში გიამართა; მხოლოდ ახლა დაინახა ტარიელი, ხელი გაშალა, მოეხვია.

— გამაგრდი, შვილო! — მიმართა გამხნევებულმა. — მარინე ძლიერი ქალია, არ დაგვღუპავს...

ამის შემდეგ ორი დღე გავიდა, მარინემ მართლაც მოიკეთა, მაგრამ თეოლინეს ერთი რამ მაინც არ ასვენებდა: ვაითუ ბავშვი იმდენად დაშავებულია, რომ ცოცხალი ვერ დაიბადოსო. ამას იმდენად მწვავედ განიცდიდა მოხუცი, თითქოს მთელ თავის მომავალს სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე ხედავდა და არ იცოდა, რომელი გადასწონიდა.

უკვე კარგა ხანია დგას თეოლინე ფანჯარასთან, ტარიელი კი არა ჩანს, ახლავე მოვალო, უთხრა ტელეფონით. რატომ დააგვიანდა?

შემობრუნდა, ფეხაკრეფით შევიდა მარინესთან, შორიდან დახედა სახეზე. სძინავს. ფერი მოსვლია. ტუჩებზე სილურჯე აღარ ემჩნევა.

„იძინე, გენაცვალე, მშვიდად იძინე“, — თქვა გუნებაში თეოლინემ და ისევ თავის ოთახში შებრუნდა, ფანჯარას მიადგა.

ორი წუთიც არ გასულა, რომ შინ მომავალ ტარიელს მოჰკრა თვალი. შეტოკდა, „შვილო, როგორ მოიჩქარის“, — ჩაილაპარაკა თავისთვის, კარს მიაშურა, ფრთხილად გააღო, შესასვლელში დაელოდა.

— ნუ ჩქარობ, შვილო, გული დაიმშვიდე! — ჩასძახა კიბეზე ამომავალს, მიეგება.

— როგორ არის?

— კარგად, შემოგევლე, კარგად! საათზე მეტია, სძინავს. ფერი მოუვიდა. — მიახარა თეოლინემ, ხელი მოხვია.

ტარიელმა დედის ხელი ანგარიშმიუცემლად მოიშორა, ფეხის თითებზე შედგა, მარინეს მიეახლა. ქანდაკებასავით იდგა ერთ წამს, გული დაუამდა. მართლაც ისე უშფოთველად ეძინა მარინეს, თითქოს მის სიცოცხლეს არავითარი განსაცდელი არ შეხვედროდეს.

მაგიდაზე მდგარ ნათურას ცისფერი დოლბანდი ჰქონდა შემოხვეული და მარინას სახეზე მკრთალი ნათელი ეფინა; ტარიელმა მაინც ამოიკითხა მის უძრავ გამომეტყველებაში, თუ როგორ უბრუნდებოდა მას თავისი უზადო ჯანსაღობა; მქრქალ ღაწვებს კვლავ ეუფლება თავისი ელფერი, ოდნავ მზემოკიდებული, სიცოცხლით სავსე; ისევ შვენის მისი სწორი, სულ მცირედ პაჭუა ცხვირი, გრძელი წამწამები და მერცხლის ფრთასავით გაშლილი წარბები; ისიც უხდება, მაღალ შუბლზე რომ მუქი წაბლისფერი თმის რბილი კულული ჩამოჰფენია. საჩინოდ მოხაზულ მომსხო ტუჩებს ემჩნევა მხოლოდ, რომ ჯერ კიდევ კრთის მისი არსებიდან ამომავალი მეორე სიცოცხლე.

სწორედ ეს მკრთომარე სიმი შეეხო ბოლოს ტარიელის გულს, შეწუხდა, თეოლინესთან მივიდა, რომ მისგან ნუგეში მიეღო.

— მოდი, შემოგევლე, ჩაი დაგისხი, — უთხრა დედამ და სასადილო დარბაზში შეუძღვა, მაგიდასთან დასვა. — ჯავრი ნუ გაქვს, შვილო, საშიშროება განვლილია. ჭამე, ნენა, შენ რომ გიყვარს, ისეთი ხაჭაპური გამოგიცხვე.

ტარიელი ჩაის შეეცქეოდა, ხაჭაპურს ჭამდა, თეოლინეს ყურს უგდებდა. ჯერ თითქოს მეტისმეტად დაპატარავებული ეჩვენა დედა, თოვლივით თეთრი თმის უსიცოცხლო იერიც ეუცხოვა; მერე დედის ხმის ჟღერამ აიყოლია და ერთის წამით წარმოუდგა, თითქოს თვითონ ისევ ყრმა იყოს, ხოლო დედის სახეში უჭკნობი სიცოცხლე გამოსჭვივოდეს.

— არასოდეს არ დაბერდები, დედა, შენ, არასოდეს!

— რისთვის ამბობ, ნენა, მაგას?

— რისთვის და...

უნდოდა ეთქვა: „უშენობა ვერ წარმომიდგენია, შენ ხომ სიცოცხლის შემოქმედი ხარო“, მაგრამ უცებ საწოლი ოთახიდან თითქოს კვნესა მოესმა, ადგა, კარი გამოაღო, ყური მიაპყრო. სრული სიწყნარე იყო, მარინეს კვლავ მშვიდად ეძინა.

— მოდი, შვილო, დაჯექი, ნუ გეშინია, — უთხრა თეოლინემ.

ტარიელი ისევ დაჯდა მაგიდასთან. ჭიქაზე ხელი გაუშეშდა. ალბათ გამოუმჟღავნებლად, თავის გულში ბევრი იმღელვარა, დაიქანცა და გრძნობა ასე იმიტომ გაუსათუთდა.

— რამ ჩაგაფიქრა, შვილო?

ტარიელმა თავი ასწია, დედას თვალი მიაპყრო, მოგვიანებით უპასუხა:

— ახლა გამიელვა, დედა, ფიქრმა: მარინეს რომ რამე მოსვლოდა... მას ხომ აქ ჩვენს მეტი ნათესავი არავინ არა ჰყავს, არც დედა, არც მამა...

— ჯვარი სწერია, შვილო! ეგ რამ გაფიქრებია?

— რა ვიცი. ისე, თავისთავად გამწვა რაღაცამ გულში.

— არა, შვილო! მასეთი ფიქრი რა შენი შესაფერია! უნათესავო კი არა, მარინე რომ ჩვენსას მოვიდა, მთელი სიცოცხლე დამკვიდრდა ჩვენს ოჯახში.

ამ სიტყვებმა ტარიელს დედის მიერ სიყრმიდანვე ჩანერგილი მხნეობა გაუცხოველა. თვალი გადაავლო გამოვლილ ცხოვრებას და ერთი წამიც ვერ მოიგონა ისეთი, რომ თეოლინე გულგატეხილი ენახა. რამდენი გაჭირვება შეხვდათ. როგორ დაუღალავად შრომობდა, რომ ტარიელი აღეზარდა! საშუალო სასწავლებელს რომ ამთავრებდა, თეოლინე სამკერვალოში მუშაობდა, ძალიან იღლებოდა, მაინც კიდევ დროს შოულობდა და სტუდენტებს საცვლებს ურეცხავდა. რამდენჯერ უთქვამს თეოლინეს: „ნამდვილი ადამიანი მხოლოდ იგია, შვილო, ვინც უქმად დროს არ კარგავს და რაიმეს ქმნის. თავის ნამოქმედარზე უფრო მეტად კაცს ვერაფერი ვერ გაახარებს“...

ტარიელი უცებ წამოდგა, დააყურა. ახლა მართლა მოესმა მარინეს სუსტი

ხმა. კვლავ ფეხაკრეფით მიუახლოვდა. მგონი, ისევ სძინავს, თვალები დახუჭული აქვს, მხოლოდ პირი ოდნავ შეძოუბრუნებია.

ამ დროს მარინეს თითქოს თვალებზე მცხუნვარე შუქი დაადგა, წამწამები შეერხა, მერე ნელა ასწია ქუთუთო, ტარიელს ისე შეხედა, თითქოს ძილშიაც მას უმზერდაო.

— დაჯექი.

ტარიელმა სკამი მისწია, დაჯდა.

— ახლა როგორა გრძნობ თავს?

— უკეთ, ჩემო კეთილო. მხოლოდ...

— მხოლოდ რა?

— არ ვიცი, როგორ გამოვისყიდო დანაშაული.

— რა დანაშაული, მარინე?

— რამდენი შიში გაჭამეთ, როგორ შეგაწუხეთ შენც და თეოლინეც.

— არა გრცხვენია, მარინე? ეგ რა შენი ბრალია?

— დამაცადე, მეგობარო ჩემო, მე უნდა მცოდნოდა, რომ მარტო არ ვიყავი, რომ ჩემში...

— დამშვიდდი, ჩემო თვალისჩინო! შენ ხომ უკვე დედა ხარ, შენზე უკეთ ვინ იგრძნობს...

— მართალია, მხოლოდ, განა არ ვიცი, თუ როგორ ელით მას, როგორ შენატრით შენ და თეოლინე?

— მერე რა? ჩვენ ხომ ერთი დიდი სიყვარული, ერთი დიდი სიცოცხლე გვაერთებს.

— ჰოდა, სწორედ ამიტომ უნდა ვყოფილიყავი ფრთხილად, ხარაჩოზე არ უნდა ავსულიყავი.

— მართლა, ჯერ კიდევ ვერ გამიგია, როგორ მოხდა მარცხი, როგორ დაცურდი?

— იცი რა, ტარიელ, ძვირფასო, ჯერ თავი უნდა ვიმართლო.

— აკი გითხარი, საჭირო არაა-მეთქი.

— არა, ყური მიგდე. ხომ ხედავ, როგორი სიხარულით მოელიან ყველანი, ქარხნის მთელი კოლექტივი და ყველა მშენებელი, ქართული ფოლადის დაბადებას? მე ხომ გამონაკლისი არა ვარ, მეც ხომ თქვენთანა ვარ! ჰოდა, იმ დღეს მემონტაჟეთა ბრიგადირი შემხვდა. ჩვენებურია, დონბასელი. შეძომჩივლა, ესა და ეს გვაკლია, ჩამორჩენილი ვართო. წამსვე წარმომიდგა, ამათ თუ მონტაჟი ვერ დაამთავრეს, ფოლადის გამოშვება კიდევ კარგა ხნით დაგვიანდება-მეთქი. მოდი, ჩემი თვალით ვნახავ, მერე ტარიელს ვეტყვი და სასწრაფო ზომებს მივიღებთ-მეთქი. ამიტომ გავყევი მას...

— მერე რა მოხდა?

— აი, სწორედ აქედან იწყება ჩემთვის სრულიად გაუგებარი რამ... მთელი ზამთარი ისე გავიდა, რომ იმ ქალს, — ხომ მიხვდი, ვისზე ვამბობ? — ჰო იმ ქალს არ შევხვედრივარ. მაშინ კი, ის იყო ქარხნისაკენ შეუხვიეთ და გავიხედე, აგერ მოდის, პირდაპირ ჩემსკენ მოემართება. მართალია, გვერდით ის ბრიგადირი მიმყვებოდა, მაგრამ ისე ჩამასო მან თავისი ჭრელი, მომნუსხავი თვალები, რომ უეცრად შევკრთი, ბრიგადირს მკლავში ხელი გამოვდე, უსიტყვოდ გვერდით ჩავუარე. არც მას უთქვამს რაიმე, მხოლოდ ისე მიმზერდა, ისე გამომაყოლა თვალი, რომ მთელ სხეულში თითქოს შანთი გამიყარა... შენთვის არ მითქვამს, ერთხელ, დონბასში წამოსვლამდის, იყო ეგ ჩემთან, დამემუქრა, ვიღაცა ახმახი ბიძაშვილი მყავს და იმას ცოცხალი ვერ გადაურჩებიო. მაშინ ჩამრჩა ეგ გუნებაში, ერთხანს უნებურად შემაკრობდა ხოლმე, მერე კი სულ გადავივიწყე.. ჰოდა, არ ვიცი, როგორ მოხდა, ხარაჩოდან რომ ჩამოვდიოდი, უცებ ჯერ იმ ქალის მომნუსხავი თვალები მომელანდა, მერე ის გრძელხანჯლიანი ახმახი...

ტარიელმა შუბლზედ შეახო ხელი მარინეს, მიეფერა.

მარინემ ტარიელის ხელი გულთან მიიტანა, ჩვეული ძლიერება იგრძნო, ჯერ სახე ღიმილით გაუნათდა, მერე რაღაც მოაგონდა, შუბლი შეიკრა, ტარიელს მიაცქერდა.

— მიკვირს, ტარიელ, იმდენ ხანს როგორ გასძელი იმ ქალთან?! რა გქონდათ თქვენ საერთო?!

ეს კითხვა ისე ემწვავა ტარიელს, თითქოს ხელი მოურჩენელ ჭრილობაზე შეახესო. მარინემაც იგრძნო ეს, პასუხს აღარ დაუცადა, პატიება სთხოვა:

— ნუ გიწყინება, ჩემო კეთილო, უნებლიეთ წამომცდა.

— მართალი ხარ, მარინე. განა მე არა ვგრძნობ ჩემს შეცდომას? მაგრამ

არის ისეთი რამ, რისი გამოსწორებაც ალარ შეიძლება. ამიტომ...

— კარგი, კარგი! — შეაჩერა მარინემ.

დუმილი ჩამოვარდა. ორივე თითქოს გამაერთიანებელ ძაფს ეძებდა.

— შენ ერთხელ თქვი, — წამოიწყო მარინემ: — უმწეო ქალიაო, არაფერი მას არ შეუძლიაო. აი, ამაში ცდები შენ! უმწეო კი არა, საშინელი ენერგიითაა სავსე! მართალია, შექმნით არაფერი შეუქმნია, ვერც შექმნის, ხოლო განიავებაში, ნგრევაში, სხვისი ნაშრომის მითვისებაში ვერავინ აჯობებს. ეგ რომ თავის ნებაზე მიუშვა, თავისი სურვილები რომ განახორციელებინო, მაშინ ნახავ, თუ რა შეუძლია ბოროტი ენერგიით ამხედრებულ უქნარას...

— რა კარგი ხარ, მარინე, რა კეთილი! როგორ გამშვენებს ეგ სიძულვილი ყოველგვარი ბოროტების მიმართ!

მარინეს უცებ თვალი გაუშტერდა, გაირინდა. მერე ტარიელის ხელი აიღო და მუცელზე ფრთხილად დაიდო.

— გესმის! ხედავ? ცოცხალია! არაფერიც არა ტკივა რა! ექიმი ცდება. დაშავებულიაო უთხრა თეოლინეს, ყური მოვკარი...

— კარგი, დამშვიდდი, — ჩემო კეთილო, — მიეალერსა ტარიელი, დაიხარა, შუბლზე აკოცა.

თეოლინე სასადილო დარბაზიდან ადევნებდა მათ თვალს. მხოლოდ ზოგი რამ ესმოდა მათი საუბრიდან. მთავარი ისედაც გასაგები იყო მისთვის. მთელი არსებით მათთან იყო, მათი სიყვარულით ტკბებოდა. ბოლოს მანაც შეიგრძნო, თუ რა აღელვებდათ იმ წამს მარინესა და ტარიელს, თავის ხორცშესხმულ ოცნებას გაუღიმა, ადგა, შვილს მორიდებულად მიეახლა, მხარზე ხელი დაადო:

— კარგი ახლა, შვილო, მოისვენეთ. მარინესთვის ძილი წამალია. შენ კი დილიდანვე საქმეს უნდა მიხედო.

თეოლინემ ტარიელს ლოგინი გაუშალა. მერე ორივეს საბანი გაუსწორა, სინათლე ჩააქრო და თავის ოთახში გავიდა მოსასვენებლად.

VI. ნანი და თეფალე

არიშის მცირე სადგურზე რაწკუნით შეჩერდა კრიალა ელექტრო-მატარებელი. ბაქანზე უამრავი ხალხი გამოეფინა; ძალიან დიდი ნაკადი ქარხნისაკენ გაემართა, დანარჩენი სხვადასხვა მიმართულებით დაიქსაქსა.

მზიანი დილა იყო, საამო ნიავი ჰქროდა.

გაიოზ დარჯანიას დედა, ტერეზი ბაქანზე შეჩერდა, ორი სავსე ჩემოდანი ძირს დადგა; ბევრჯერ იყო აქ ნამყოფი და იცოდა, რომ ჯერ ავტობუსში ადგილს ვერ იშოვიდა.

ნებანებით მოავლო ტერეზიმ ირგვლივ თვალი. ხელმარცხნივ ცისიერში მაღალი მილებიდან ამომავალი კვამლი გაშლილიყო, ჯერ ქუფრად იგრაგნებოდა, მერე თანდათან ნაცრისფერდებოდა.

ქარხნის ბევრი არაფერი გაეგებოდა ტერეზის, მაგრამ მაინც გრძნობდა, თუ როგორ იზრდებოდა იგი დღითიდღე. აგერ, განაპირას, ის ორი ახალი კვამლსადენი ამდენ ხანს ჩამქრალი იყო, ახლა კი ერთში უკვე ამოდის მოყვალო კვამლი. მერე კიდევ, როგორ გამრავლებულან უკვე გადახურული კორპუსები, ჩონჩხედები... აქეთ კი, ახალდარგული ტყის მიღმა, როგორ ბზინავენ მზეში კრამიტით დახურული ახალთახალი სახლები!

მტკვრის გაღმა, უკვე ამწვანებულ მთაგრეხილს გააყოლა ტერეზიმ მზერა და გული სიამაყის გრძნობით აევსო, რადგან ეს ნაფერფლარი, ასე ძლიერად აღორძინებული არიში მისი უფროსი ვაჟის სამკვიდრებელიც იყო.

მშენებელთა ქუჩაზე, ბაზრისკენ გადასახვევთან გადმოვიდა ტერეზი ავტობუსიდან. მიიჩქაროდა, ყველაზე მეტად შვილიშვილის ნახვა ენატრებოდა. აგერ მიადგა ბინას, ჩემოდნები ცემენტის იატაკზე დადო, დაკაკუნა.

უცნობმა ვაჟმა გამოიხედა. ტერეზი განცვიფრდა, ჩემოდნებს დაწვდა, უნდოდა ოთახში შესულიყო, მაგრამ უცნობმა შეაჩერა.

— უკაცრავად, თქვენ ვისთან მიბრძანდებით?

— ვისთან და, ჩემ შვილთან...

— აჰ, თქვენ გაიოზის დედა ყოფილხართ! ის ხომ ახალ ბინაში გადავიდა.

ამ წუთას გეახლებით, მიგაცილებთ.

ეს გაბო ლარიძე იყო. გაიოზი რომ გადავიდა, ეს ოთახი სოსო გიგაშვილს მისცეს, იგი ჯერ უცოლო იყო. გაბო ხანდახან ათევდა ღამეს სოსოსთან, უფრო ხშირად კი არიშში თბილისიდან დადიოდა მატარებლით. იმდენი იმარჯვა, რომ გასულ შემოდგომაზე და ზამთარში უკანასკნელი კურსის დარჩენილი საგნები ჩაბარა, პრაქტიკანტადაც იმუშავა არიშში. ახლა სადიპლომო შრომას ამზადებდა.

გაბო ოთახში შებრუნდა, ქუდი დაიხურა და ტერეზისთან გაჩნდა, ჩემოდნებს დაწვდა.

— რატომ წუხდები, შვილო, მე თვითონ წავიღებ. — უთხრა ტერეზიმ და ერთი ჩემოდანი მაინც არ დაანება.

— ხუთი დღის წინათ გადავიდა გაიოზი ახალ ბინაში, — გაესაუბრა გაბო ტერეზის. — ძალიან კარგი სახლია, მეორე სართულზე არიან.

ტერეზიმ დაკვირვებით შეათვალიერა გაბო, მოეწონა მისი ენერგიული სახე.

„რა ზრდილობიანი ყმაწვილია, — თქვა გუნებაში ტერეზიმ: — იბედნიერე, შვილო, შენი მშობლების სასიხარულოდ“.

მართლაც, საგრძნობლად შეცვლილიყო გაბო ლარიძე. ყალბი არისტოკრატული მანერებისაგან თითქმის არაფერი აღარ შერჩენოდა. მოხდენილად ეცვა, ეტყობოდა, გარეგნობას საკმაო ყურადღებას აქცევდა, მაგრამ ეს სიკოხტავე მისთვის ახლა სავსებით ბუნებრივი იყო.

პირველი მაისის ქუჩაზე შეუხვიეს. აქ, ხელმარცხნივ, ამას წინათ შიშველი მინდორი იყო, დილაობით ნახირს აქ უყრიდნენ თავს, აქედან გაიშლებოდნენ საძოვრისაკენ მიმავალნი. ახლა კი თითქმის ყველგან საძირკვლები ჩაუყრიათ, აქა-იქ ახალი სახლები აღმართულან.

— საახალწლოდ ვიყავი აქ. მაშინ ეს ადგილი ცარიელი იყო. ასე უცებ ამდენი როგორ ააშენეს! — გაუკვირდა ტერეზის.

— არიშისათვის ეს საკვირველი არ არის. — განუმარტა გაბომ. — ამიერიდან კიდევ უფრო დაჩქარდება მშენებლობა. ქალაქი ჩამორჩა ქარხანას, მალე უნდა დაეწიოს...

ქუჩის პირად ღრმად ამოთხრილ არხთან გადაუხვია გაბომ, ტერეზის მიხედა:

— აქეთ მობრძანდით, ეგერ, იმ განაპირა სახლშია თქვენი ვაჟი.

ტერეზის ძალიან მოეწონა ფართოაივნიანი, ლამაზად შეღებილი სახლი, ნაბიჯს აუჩქარა. ოთხი თვის წინათ იყო აქ და მაშინ გაიოზისა და დარეჯანის ასული მეტისმეტად პატარა იყო, ახლა კი დიდი იქნება; ერთი სული აქვს, ვიდრე ხელში აიყვანდეს.

მიმოხვეული კიბით ავიდნენ მეორე სართულის აივანზე. გაბომ ჩემოდანი დადგა, მშვიდობით ბრძანდებოდეთო, ჩაილაპარაკა და კიბეზე დაეშვა; ტერეზიმ მადლობის თქმაც ვერ მოასწრო, რადგან სწორედ იმ დროს მოჰკრა თვალი კართან მომდგარ დარეჯანს, ხელში შეხვეული ნანი ეჭირა.

დარეჯანი ჩაცმული იყო, სკოლაში მიეჩქარებოდა, ნანი საბავშვო ბაგაში უნდა დაეტოვებია; დედამთილი რომ დაინახა, სიხარულმა შეიპყრო, კარი გააღო და ნანი მაღლა ასწია, თაიგულივით მიაწოდა.

ტერეზიმ ბავშვი ჩაიხუტა, ჩაკოცნა, მერე სახეზე დააცქერდა და აღტაცებით წამოიძახა:

— შვილო! რამხელა გაზრდილა ჩემი ოქრო, ჩემი მარგალიტი! ნახე, დარეჯან, შემოგევლე, რა ნათელი, რა გონიერი თვალები აქვს!

— მთლად შენა გგავს, დედი! თმა, თვალები, ცხვირი, ტუჩები, სულ, სულ ყველაფერი შენი გამოხატულებაა!

— მე მგავს?! მართლა?! — გაიკვირვა ტერეზიმ, ბავშვს კვლავ უმზირა ერთხანს, მერე იგი მარჯვენა მკლავზე დაისვა, მარცხენა დარეჯანს მოხვია და აკოცა.

— შენ როგორ ხარ, ჩემო რძალო, ჩემი ოჯახის გამხარებელო?

— ჩვენ კარგად, კარგად, დედი! გაიოზმა გაგასწრო, დიდ ამბავში არიან, ემზადებიან, მალე ფოლადი უნდა გამოუშვან. მე კი...

— მაჯის საათზე დაიხედა და შიშმორეულად წამოიძახა:

— სკოლაში მიმეჩქარება, თხუთმეტ წუთში იქ უნდა ვიყო, ბავშვები მელო-

დებიან. ნანის საბავშვო ბაგაში ვტოვებ ხოლმე.

— არა, შვილო, ახლა მე აქა ვარ, ჩემთან იყოს, ნუ გეშინია, არაფერს გავუჭირვებ.

— კარგი, აგრე იყოს. მე სამ საათში მოვალ, ნანის ძუძუს ვაჭმევ, — უთხრა დარეჯანმა, ჩემოდანს ხელი დაავლო, ოთახში შეიტანა, მერე ელექტროლუმელი შეუერთა, ჩაიდანი დაადგა.

— მალე ადუღდება, დედი, ჩაი მირთვი. მე კი წავალ, მაგვიანდება.

— წადი, იჩქარე, შვილო! — უთხრა ტერეზიმ და რძალი ჩასასვლელ კიბემდის გააცილა. ერთხანს იდგა ფართო აივანზე, მოსახვევამდის დარეჯანს თვალი გააყოლა; ეამა, რძალს რომ ახალი პალტო ტანზე კარგა ადგა. შემდეგ ოთახში შევიდა, ნანი დივანზე დააწვინა, მოირახათა, თავზე მანდილი მოიხადა. უნდოდა ბინა დაეთვალიერებია, მაგრამ სურვილმა აიყოლია, ნანი აიყვანა, მიეალერსა, გაუღიმა, მერე ფართო სარკესთან მივიდა, ჯერ ნანის დააკვირდა სარკის სიღრმეში, მერე თავისი სახეც შეათვალიერა.

მართლაც, ისეთივე ქერა თმა აქვს ნანის და დიდრონი ცისფერი თვალები, როგორიც ტერეზის. სახის მოყვანილობაც, ცხვირიც, ტუჩებიც თითქმის იგივეა. ტერეზის თუმცა თმაში უკვე აქა-იქ ჭაღარა გაერია, შუბლზე რამდენიმე ღარი აჩნია, საფეთქლის გასწვრივ, წარბსქვემოთ უამრავი ნაოჭი აქვს, ღაწვებზედაც ოდნავ შესამჩნევი სიყვითლე დაჰკრავს, მაგრამ ბადიშსა და მას შორის მაინც მეტად დიდი მსგავსებაა!

ტერეზის დედა ათი წლის წინათ გარდაეცვალა. იგი რომ ახლა ცოცხალი ყოფილიყო და ეს სურათი ენახა, უსაზღვროდ აღფრთოვანდებოდა და მისთვის ჩვეული კილოთი წამოიძახებდა:

— შენ შემოგევლე, შვილო!

ნანიმ მკლავი გაითავისუფლა, ლოყაზე მოუსვა ბებიას თავისი თეთრი, სათუთი თითები, მერე თმას მიწვდა, გაიხარა, მერცხალივით აჭიკჭიკდა.

ტერეზიმ ბავშვი მკერდზე მიიხუტა, ნანაობით მიმოატარა ოთახში. თანდათან გამოერკვა, ახალმა ბინამ დააინტერესა.

მშვენივრად მოეწყოთ გაიოზსა და დარეჯანს ორი ნათელი, მზიანი ოთახი. ერთში ორი საწოლი იდგა, კოხტად გაწყობილი; იქვე იყო სარკიანი კარადა ტანისამოსისა; მეორეში — სასადილო მაგიდა, ახალი სკამებით გარსშემოწყობილი, საზურგეანი დივანი, სამეცადინო კუთხე, წიგნები, პორტრეტები. კედლები ზეთის საღებავით იყო ღია ცისფერად შეღებილი, ნაპირებში ზურმუხტისფერი ყვავილებით მოხატული. იატაკი წაბლისფრად პრიალებდა. ჭერი გაპენტილ ბამბასავით ქათქათებდა. მთელ ბინაში მეტად მაამებელი ოჯახური მყუდროება იგრძნობოდა.

ერთი ბინისათვის საკმაო სამზარეულო და საბაზანეც დაათვალიერა ტერეზიმ. ონკანი გადასწია და წყალი ჩქრიალით დაეშვა მარმარილოსფერ აბაზანაში.

„გაიხარეთ, შვილებო, გამრავლდით!“ — თქვა გუნებაში ტერეზიმ. მერე ბავშვი ლოგინზე დააწვინა, ხელი დაიბანა, ისაუზმა. ჩემოდნები გახსნა და შინიდან წამოღებული სანოვაგე სამზარეულოში ამოალაგა. ჭადის ფქვილი, ღერღილი ღომისათვის, თავისი ხელით ამოყვანილი ყველი და სულგუნი, შაშხი, ორი დაკლული ქათამი, სიმინდით გასუქებული, ჩაყვითლებული, საგანგებოდ შემონახული ვაშლი, და, სხვათა შორის, ფხალი და მწვანილიც კი წამოელო. დარეჯანის მოსვლამდის ერთი დედალი კარდალში ჩააყენა. უნდოდა ღომისთვის წყალი შემოედგა, მაგრამ არ იცოდა, გაიოზი როდის მოვიდოდა და ამიტომ გადასდო.

ჩქარ სიარულში ღაწვები შეფაკლოდა პირთეთრ დარეჯანს. ნანი უკვე ელოდა დედას, რამდენიმე წუთის წინათ წუხილი დაიწყო, საწოვარი არ მიიკარა, აივნისაკენ მიიწევდა. დარეჯანმა რომ კარი შეაღო, თვალები გაუბრწყინდა ჩვილს, ხელები გაშალა და ხტუნვა დაიწყო, მერე განცხრომით მოთავსდა დედის კალთაში და ძუძუს ხარბად დაეწაფა.

ტერეზიმ რძლის სახეში ოდნავ შესამჩნევი ახალი იერი ამოიკითხა. წინათაც დინჯი იყო დარეჯანი, სრულიად არა ჰგავდა ზოგ ფუსფუსა ახალგაზრდა ქალს, ჩაცმა-დახურვითა და გართობით ზედმეტად გატაცებულს. ახლა მაინც

მეტი სიდარბაისლე ემჩნევა, ახლა ეტყობა, იმ ღრმა შინაარსით არის აღსავსე მისი ცხოვრება, რაიც ოჯახისათვის, ქმარ-შვილისათვის ზრუნვით შეპყრობილ დედა-ქალს ამკობს ხოლმე. ამიტომაა, რომ ამ ახალ ბინაში უკვე ყველაფერს ატყვია მისი მზრუნველი ხელი.

— ძალიან კარგი ბინაა, შვილო. კარგადაც მოგიწყვიათ.—ხმამაღლა დაასკვნა თავისი ფიქრი ტერეზიმ.

— დიახ. ჩვენ ძლიერ კმაყოფილი ვართ. ჩვენს გვერდით ასეთივე ბინა გაიოზის ამწანაგს მისცეს, ვასო სიამაშვილს. მალე ისიც დაოჯახდება, კარგი მეზობელი გვეყოლება.

— ვასოს ვიცნობ, მშვენიერი ყმაწვილია, გაიოზი ძმასავითაა მასთან შეთვისებული... სხვა, ალექსი, მელანო, ბავშვები როგორ არიან?

— კარგად, დედი. ამას წინათ იყო დედაჩემი აქ, უნდოდა ერთხანს კიდევ დარჩენილიყო, . ბალღს მივხედავო, მაგრამ მე არ გავაჩერე, ოჯახს პატრონობა სჭირდება. ნანი ახლა დიდია, საბავშვო ბაღში კარგად უვლიან... ჰო, ფრიდონი ხომ კარგად არის? ბავშვები სწავლაში ხომ არ ჩამორჩნენ?

— გმადლობ, შვილო. ფრიდონს ხანდახან ნატყვიარი ფეხი წამოტკივდება, მაგრამ არ იმჩნევს, ბრიგადირმა რომ თავი დაიგლახაოს, სხვებს გადაედებაო. ნათელა ისევ ფრიადოსანია, გივიც კარგად სწავლობს, შოთა ხომ წელს ამთავრებს, საინჟინეროზე უნდა შევიდეო ამბობს, დავამთავრებ და არიშში მოვეწყობიო, გაიოზთან ვიქნებიო... მართლა, გაიოზს ბევრი დააგვიანდება?

— საღამომდე ვერ მოვა. ემზადებიან. ღუმელის შრობას უკვე შეუდგნენ. ვერ წარმოიდგენ, როგორ გატაცებით ელოდებიან ფოლადის გამოშვებას.

— ნეტავი ერთი მანახა, როგორ უშვებენ ფოლადს!

— ამ დღეებში იქნება. ჩვენც დავესწრებით. გაიოზი ამბობს, იმ დღისთვის თბილისიდან და სხვადასხვა კუთხიდან ბევრი სტუმარი იქნებაო მოწვეული.

საათს დახედა დარეჯანმა, წამოიშართა, ნანი ტერეზის გაუწოდა.

— ერთი გაკვეთილი მაქვს კიდევ, ბევრი აღარ დამაგვიანდება.

ტერეზიმ ბავშვს ხელი მოიხვია და აჩქარებულ დარეჯანს მიმართა:

— გამოგყვები. მშვენიერი დღეა, ბავშვს გავატარებ, მეც გავიხედ-გამოვიხედავ.

— წამო, დედი, წამო. მართლაც ძალიან სასიამოვნო მზეა გარეთ.

შესახვევთან დარეჯანმა საზაფხულო ბაღი მიასწავლა ტერეზის, თვითონ კი სკოლისაკენ გასწია.

მზის სითბოთი დაამებულმა ნანიმ დედას როდი წასტირა, გაზაფხულის ბრწყინვალებით იყო მოხიბლული და წყლიანი თვალები ხშირად უშტერდებოდა.

ბაღში ჩასასვლელთან შეჩერდა ტერეზი. ხელმარჯვნივ, კლუბის წინ, ტიალ მინდორზე დეკორატიული მცენარეები ჩაემწკრივებინათ, უამრავი წვრილი ხე დაერგათ; ფართო პროსპექტი ახალი მოასფალტებული იყო, ჯერ კიდევ მოშავო ფერი გადაჰკრავდა. დაბლობში, არხამდის, საზაფხულო ბაღი უკვე გაესუფთავებიათ. ზოგგან ახალი მერხები დაედგათ, ყვავილნარი გაეახლებიათ. იქვე, ჩასასვლელ კიბესთან ბებერ ვერხვს ტანი სავსებით გახმობოდა, გამოფუღურებულიყო, გაფარჩხულ შტოებზე კი მზის სხივებში ნორჩი ფოთლები მოვერცხლილივით კრთოდა. საოცრად პატარა ჩიტები ტოტიდან ტოტზე ხტოდნენ, ძლივს გასაგონი ხმით ჭივჭივებდნენ.

მზე ზენიტს უახლოვდებოდა. წყაროს თვალივით კრიალა ცაზე ღრუბლის არც ერთი ფთილა არა სჩანდა. ისეთი მშვიდი, ხალისიანი დარი იყო, როგორიც არიშს სჩვევია ხოლმე. მტკვრის ნაპირებიდან მონაბერ ნიავშიაც მოალერსე სითბო იყო ჩაქსოვილი.

ტერეზი ბაღში ჩავიდა, არხზე ახალგადებულ საქვეითო ხიდთან შეჩერდა, გაღმა, ულრან ტყეში გაყვანილმა, აგურის ნამსხვრევებით მოკირწყლულმა გზებმა დააინტერესა. ეს უკვე კულტურისა და დასვენების პარკი იყო, მეტად ვრცელი, მტკვარსა და არხს შორის გაშლილი, მხოლოდ ჯერ იგი სანახევროდაც არ იყო გაშენდილი, გზის პირებზე მაყვლისა და ეკლის ჯაგები გაბარდნილიყო, ასწლოვან ხეებს აქა-

იქ ბაგირივით დაგრეხილი სურო შემოხვეოდათ.

გზაჯვარედინზე ფიზკულტურელი ქალის ახალთახალ ქანდაკებას მიაცქერდა ტერეზი, მოეწონა ტანკენაროობისა და სიჯანსაღის გამოხატულება; მერე მიჰყვა ძველ ტყეში გაყვანილ ხეივანს, პიონერ ქალ-ვაჟის ქანდაკებასთან შედგა, ნანის დახედა, ღიმილი მოერია: ისეთი ფიქრი აღეძრა, თითქოს ძალიან შორეულს, უძველესზე უძველეს დროებას მიწვდა გონების თვალით და მერე იქიდან გაჰხედა ამ აღმავალ ახალ ცხოვრებას, უსიერ ტყეშიაც რომ ნორჩი სიცოცხლის ნათელი შეაქვს.

ბავშვობისას დედას ახლდა ტერეზი რიონის პირად დიდ ტყეში, ეშინოდა გოგონას, ჭინკები, ავი სულები ელანდებოდა. ახლა ცხადათ მოაგონდა მაშინ განცდილი და ნანის გაესაუბრა გუნებაში: „შენ რომ მოჩიტდები, ბები, აქ ერთი ძირი ბარდი აღარ იქნება; ინავარდე, გულო, რამდენიც გსურდეს...“

უკან გამობრუნდა, არხის მარცხენა ნაპირს გაჰყვა, მცირე აღმართი აიარა და ზეგანზე შეჩერდა. მახლობლად, მზვარეში, ღრმა ამონათხარის პირად ლურჯხალათიანი ქალი იჯდა, ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა, მუხლზე გრძელი რვეული ედო და რაღაცას გულმოდგინედ სწერდა თუ ხატავდა.

ტერეზი დაინტერესდა. მოუახლოვდა. თიხა-მიწის სილრმეში რამდენიმე ნასახლარი გამოიცნო, მერე ირგვლივ მიმოიხედა; ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ ამ გაუტეხელი ყამირის ქვეშ ძველი ცხოვრების რაიმე ნაშთი იქნებოდა.

ლურჯხალათიანმა ქალმა თავი ასწია, ტერეზის მიაცქერდა, თავისთან მიიწვია.

— მობრძანდით. აგერ, ჩემს გვერდით ჩამოჯექით.

ტერეზი უცნობს მიესალმა, ფართო ქვაზე დაეშვა და მიმოხვეულ ამონათხარს დააცქერდა.

— რა მშვენიერი ბავშვია, რა ლამაზი თვალები აქვს! — წამოიძახა ლურჯხალათიანმა და ნანის ღაწვზე ხელი შეახო, გაუღიმა. — ერთი ეს მიბრძანეთ, აქ დაბადებული ხომ არ არის ეს ბავშვი?

— დიახ, აქაურია.

— საკვირველია, — ჩაილაპარაკა ლურჯხალათიანმა, — მთელი დღეების განმავლობაში ვუმზერ ამ ნანგრევებს, ამ გაპარტახებულ ნასახლარებს, საფლავებს. ძალაუნებურად მიდგება თვალწინ, თუ როგორ იღუპებოდნენ შემოსეულ ურდოებთან ბრძოლაში მამაცი მამულიშვილები, როგორ ნადგურდებოდა მათი ნაამაგარი... ჰოდა, ახლა უცებ აგერ ეს ახალგაფურჩქვნილი სიცოცხლე, ეს ფუნთუშა გოგონა! დედა, რა კარგია, რა სულში ჩასახუტებელია! — აუწია ხმას უცნობმა, რვეული განზე დადო, ნანი აიტაცა, მკერდზე მიიხუტა.

— უკაცრავად, დაო, თქვენ აქ რას აკეთებთ?

შუახნის ქალი იყო ლურჯხალათიანი, პირმრგვალი, შავთვალწარბა; ნანისადმი ალერსში თავის მგზნებარე ბუნებას ამჟღავნებდა. ტერეზის მოგვიანებით უპასუხა:

— ჩვენ აქ ისტორიის ინსტიტუტმა გამოგვგზავნა, არქეოლოგიურ გათხრებს ვაწარმოებთ. ბევრი რამ აღმოვაჩინეთ. ისტორიულად ხომ ცნობილია, რომ არიშს, საქართველოს ამ უძველეს ქალაქს, მრავალი შავი დღე გამოუვლია, მერე კი, მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სავსებით გაუდაბურებულა. ახლა ჩვენ მიწის ქვეშ იმდენი რამ ვიპოვეთ, რომ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: აქ, მაგალითად, თამარ მეფის დროს, ოცი ათასამდე კაცს უცხოვრია. აგერ, დააკვირდით ამ რიყის ქვით ნაშენ საოჯახო ნაგებობებს, აქ უმთავრესად მარტოოდენ საძირკვლებია გადარჩენილი, აქ მხოლოდ, — გახედეთ ამ მაღლობს მშენებელთა სახლებამდე, აგერ იმ ადგილსაც, სადაც ახლა საავადმყოფო შენდება, — ეს ძველი ნაქალაქარის მხოლოდ ერთ-ერთი უბანია...

ყურს უგდებდა ტერეზი არქეოლოგს და მის თვალწინ, ღრმა ამონათხრებში, უცნაური სანახაობანი ჩნდებოდნენ. აგერ პირწმინდად ამოყვანილი კედელი, ერთ ალაგას მეტად სქელი ძელი აქვს დატანებული, ამდენი ხანია მიწაშია და არ დამპალა... შუაში თონეა და ქვევრი... ცოცხლდებიან გარდასულთა სახეები და... დედა-ქალი თონეში პურს აკრავს, ქვევრიდან წყალს

ილებს... კუთხეში, ნაბუხრალთან, ბავშვები სხედან ცეცხლის პირას... აგერ ხანჯლიანი მამაკაცი შემოდის, შინნაქსოვი ჩოხა აცვია; იქნება მწყემსია, იქნებ მხედარი, ან ოქრომჭედელი...

— საკვირველია სწორედ! — ჩაილაპარაკა ტერეზიმ.

არქეოლოგი კი განაგრძობდა:

— აგერ, რუს გალმა, ციხე-დარბაზის ნანგრევებია. აქ კი, ამ ნასახლარებსა და სამეურნეო ნაგებობებში ჩვენ ძველი არიშელების საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ინვენტარის მეტად საინტერესო ნიმუშები ვიპოვეთ. ისინი სხვადასხვა დროის რამდენიმე ფენაზე მიგვითითებენ. ყველაზე უძველესი მათ შორის არის მინის სანელსაცხებლე ჭურჭელი, სამაჯურები და მძივები, ამათ მოყვება რკინის შუბისპირები, ისრისპირები და დანები...

ტერეზი ახალგაზრდობაში ზღაპრის დიდი მოყვარული იყო. ზოგი მათგანი ჯერაც არ დავიწყნია, ბავშვებს უამბობს ხლომე. ახლა თითქოს ზღაპარი სინამდვილედ იქცა და ნათლად ხედავს შუბებითა და ისრებით შეიარაღებულ მეომრებს, ხედავს, თუ როგორ უმკლავდებიან ისინი აქ შემოსეულ მტერს, როგორ უჭრიან საქართველოს დედაქალაქისაკენ მიმავალ გზას, როგორ ეცემიან ბრძოლაში და როგორ პოულობენ ახლა არქეოლოგები მათი შუბებისა და ისრების ნამსხვრევებს და არიშის ახალი მუზეუმისათვის აგროვებენ.

— აი, ეს ნახეთ, რა საუცხოო ფერი აქვს, — თქვა არქეოლოგმა და ტერეზის მოჭიქული ჭურჭლის ფართო ნატეხი გაუწოდა. — ხედავთ, როგორ ელვარებს, გეგონებათ, ოდესღაც შექსოვილი ფირუზისფერი სხივები ახლაც ციმციმებსო. რვაასი თუ ცხრაასი წელიწადი მიწაში იყო, ნანგრევებში, ფერი კი სრულიად არ წასვლია. ამით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა შესანიშნავი ოსტატები ყოფილან იმ დროს, თვით მომხმარებლებსაც რა ფაქიზი გემოვნება ჰქონიათ!..

ტერეზიმ ჭურჭლის ნატეხს ხელის გული გადაუსვა, კუთხეში შერჩენილი მტვერი მოაშორა, მერე მზეს შეუშვირა და იგი გამჭვირვალე ლაჟვარდივით ათინათინდა. უმალვე თვალწინ დაუდგა გაშლილი სუფრა და ზედ ეს ლამაზი ჭურჭელი, ლალისფერი ღვინით სავსე...

— ახლა, — განაგრძო არქეოლოგმა, — ამ შავად გამომწვარ თიხის ხელადას დააკვირდით. ამაში განსაკუთრებული არაფერია, ჩვეულებრივი კერამიკული ნაწარმია, მაგრამ მთავარი აქ აი, ეს ამოკაწრული წარწერაა, დააკვირდით: „თ ე ფ ა ლ ე“ აღუნიშნავს ზედ თავის პატრონს. ეს, თქმა არ უნდა, ქალის სახელია. იგი ჩვეულებრივი ქართველი ქალი იქნებოდა, აქ, ჰერეთის მზიან მიწაზე დაბადებული, მზისაგან დამწვარი, ეშხიანი, სიცოცხლით სავსე. მას უთუოდ ბუდეშური თვალები ექნებოდა, ოდნავ მოგრძო სახე და ძალიან სქელი, გიშრისფერი წარბები. იგი რომ მხარზე დოქს შეიდგამდა და აქაურ ფშანის წყაროზე წავიდოდა, ვაჟები თვალს აღტაცებით გააყოლებდნენ და მის ტანადობას ალვას შეადარებდნენ. ჰოდა, ეს ჩვენი თეფალე, ალბათ, ერთი ამათგანის, ამ ხელადის პატრონის სატრფო იყო. ამიტომ ამოჰკვეთა მისი სახელი თავის სასმისზე. მერე კი, ვინ იცის, რა მოხდა. იქნება ურთერთს შეაბერდნენ ტკბილად, როგორც ქართველი კაცი დაილოცებოდა ხოლმე, თორმეტი შვილი დაზარდეს; იქნება ყმის ქალიშვილი იყო თეფალე, ბატონს მოეწონა და მხევლად წაიყვანა, იქნება სწორედ თავისმა სილამაზემ დაღუპა, ავაზაკებმა მოიტაცეს და მონად გაყიდეს... ამ ხელადის პატრონი კი თვალს შეავლებდა წარწერას, მოიგონებდა თავის დაუვიწყარ თეფალეს და შავი ნაღველის ჩასახშობად ღვინოს დაეწაფებოდა...

ნანი არქეოლოგის კალთაში ამოძრავდა, ხელადას მიწვდა თავისი პაწია ხელებით, ახმიანდა.

არქეოლოგს სიცილი წასკდა, ბავშვი მკერდზე მიიხუტა, ალერსით უთხრა.

— შენ ვერ გაიგებ, გენაცვალე, ჯერ ამ ძველისძველ ამბავს. გაიზრდები და არიშის მუზეუმში ნახავ არქეოლოგიურ კოლექციებს. მაშინ იამაყებ, რომ შენ ამ გაუდაბურებულ ადგილზე აღმოცენებული ცხოვრების პირმშო ხარ. მაშინ... ჰო, — მიმართა ისევ ტერეზის: — გუშინ წინ აქ, აგერ იმ ნანგრევის კუთხესთან აღმოაჩინეს კარგა მოზრდილი განძი, წონით ასე რვა კილოგრამზე მეტია, შიგ ოთხასამდე ნაირნაირი მოყ-

ვანილობის სპილენძის ფული ნახეს. წინასწარი დაკვირვებით, ეს განძი მეთორმეტე საუკუნის ბოლოსა და მეცამეტის დამდეგს უნდა ეკუთვნოდეს. უკვე ამოცნობილია თამარ მეფისა და მისი ძის, ლაშა გიორგის ფული, ერთზე კი ჯალალედინის დამღა აკრავს. ცხადია, ეს ქონება პატრონს დიდი განსაცდელის შიშით დაუფლავს აგერ იმ ნაგებობის კუნჭულში, თონის მახლობლად. ალბათ, ეს ის დრო იყო, როცა არიშს მონღოლთა შემოსევის ტალღა მოაწყდა. სწორედ მაშინ ეს ძველი ქალაქი მიწასთან გასწორდა, ამ განძის დამმალავიც დაიღუპა და აქ მიწამ პირი შეიკრა, მეტყველი არავინ დარჩა... დღეს კი...

არქეოლოგს სახე გაუბრწყინდა, წამოდგა, ახალ სახლებს, გადაუხურავ კედლებს, ხარაჩოებს, ბალავრებს, ახალდარგულ ხეებს, ქარხნის მილებიდან ამომავალ კვამლს გაჰხედა, მერე, რაკი მოზღვავებული გრძნობების გამოსახატავად სიტყვა ვერ იპოვა, ნანი ჯერ მაღლა ასწია, შემდეგ კვლავ გულში ჩაიკრა და მხურვალედ აკოცა.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ლორთქიფანიძე

მშვიდობა

★

დედამიწიდან ორი ხმა ადის
მაღალ სივრცეში, ზეცათამწვდომი;
ერთი ხმა გრგვინავს — „მშვიდობისათვის“,
მეორე ცივად გაჰკივის — „ომი“.
„ომი“ გაჰკივის განმეორებით
ხმაგაბზარული მთასა და ველად.
მთელი მსოფლიოს შავი ყორნები
ამ ხმაზე ლაღად იწყებენ ფრენას.
ჰგონიათ ველი, მწვანე გორები,
თითქოს კვლავ სუფრას გაშლიან მათთვის.
შავი ყორნები განმეორებით
ელოდებიან სისხლიან ნადიმს.
„მშვიდობისათვის!“ ხმა სჭექს ღირსებით
შუქდება წითლად ზეცის ატლასი.
შავი ყორნები, მოწყენილები,
სხდებიან სადღაც უშნო ლასლასით.
„მშვიდობისათვის!“ ხმა გრგვინავს მჭრელი,
ხმას გულითადი ჩვენი ხმა ერთვის,
ჩვენი სურვილი, ოცნება წრფელი,
ამოფრენილი მშვიდობის მტრედი.
დედამიწიდან ორი ხმის ღვარი
მოედინება მთასა და ბარად.
ერთი ხმა გრგვინავს „მშვიდობა!“ — მყარი.
მეორე ცივად გაჰკივის „არა!“
„ომი“ ჰყვირიან გადალმა მტრები,
ჭკუა-გონება დაფლეთილები.
ჩანს, ვერ გაიგეს ბევრის დამტევი
საბჭოთა ქვეყნის გაკვეთილები.
დე გაიხსენონ თავზე დამტყდარი
ხალხის ყიჟინა, ხალხის ხალისი.
ხალხის გულებში ძეგლივით მდგარი
ცხრაას ორმოცდახუთის მაისი.
ვერ მოერიონ მშვიდობას, ვერა,
ელვიან ღამით, მეხიან ღამით,
რადგან ქვეყანას სტალინის სჯერა
და სტალინი კი მშვიდობა არის.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

ოქროს ჩარდახი

რომანი *

—:—

— ეს რა გავიგე! მე აქ მოუთმენლად მოვრბოდი, მეგონა, დამიხვდებიდი, უწყლობით გამხმარ ვარდს ფეხქვეშ ანკარა წყაროდ მომეგებებოდი, გულს გამიცოცხლებდი, შენ კი სპარსეთს მიდიხარ? — ანამ ნაწნავი ბეჭზე გადაიგდო და ბესიკს თვალებში შეხედა. ამ დილით ანა მართლა ჰგავდა ვარდს. ლოყები ახლადგამლილ კუკურივით უღვივოდა და გრძელწამწამიანი თვალის ქუთუთოებიც ვარდის ფურცლებს მიუგავდა. — მიპასუხე, რას დადუმებულხარ?

— ჩვენი ცხოვრება მღელვარე ზღვას მაგონებს, ზვირთები ხან სად გაგვაქანებენ, ხან სად! — ბესიკმა თავი დახარა და მძიმედ ამოიოხრა; მღვიმევის მონაზონი მოაგონდა, რომელმაც მოჩვენებასავით გაიელვა მის თვალწინ და გულზე წარუშლელი დაღი დააჩნია.

— მე ზღვა თვალითაც არ მინახავს. ნეტავ დიდია?

— უსაზღვრო და უნაპირო...

— ისე ვით მიჯნურის გული, — გაიცინა ანამ. — მითხარი, მართლა სპარსეთს მიდიხარ? როდის მიდიხარ? მალე მიდიხარ? არ წახვიდე, რა!

ბესიკი დაჟინებით აკვირდებოდა ანას და თავისთავს ეკითხებოდა უყვარდა კიდევ ეს ქალი თუ არა. ჯერ კიდევ შარშან, როდესაც გაიგო, რომ ანა იმერეთს მოდიოდა, სიხარულით ცასა სწვდა, მაგრამ ეს სიხარული არ გულისხმობდა ანასთან კვლავ მიჯნურობის განახლებას. მაშინ ბესიკის გული მღვიმის მონასტერში ნახულ მონაზონს დაეპყრო და ანას იმერეთში გადმოსახლება ახარებდა, როგორც შინაურისა და ახლო მეგობრის მოსვლა, მეტი არაფერი. შემდეგ, როდესაც ბედმა უმტყუნა, ბესიკი სევდამ შეიპყრო და მთელი ზამთარი ისე გაატარა, რომ მისი ერთადერთი გასართობი, დილიდან დაბინდებამდე, თავაუღებელი მუშაობა იყო. ქუთაისის მომხიბლავმა და ვარდის გამაბრუებელი სურნელებით დამტკბარმა გაზაფხულმაც კი ვერ გაუხსნა შუბლი ბესიკს და მხოლოდ მაშინ, როდესაც გაიგო ქუთაისს ანა და მისი მეუღლე მობრძანდნენო, მხოლოდ მაშინ იგრძნო სიხარულის მოზღვავება. ალტაცებული გაექანა ანასთან შესაგებებლად და მიუახლოვდა თუ არა, ოდნავ დაბნეული შეჩერდა. რატომღაც ეგონა, რომ შარავანდედით სხივმოსილ მზეთუნახავს, რაღაც სასწაულებრივ არსებას დაინახავდა, ნამდვილად კი მის წინ ჩვეულებრივი არსება იდგა, რომელიც არაფრით არ გამოირჩეოდა სხვა ქალთაგან. „ნუთუ წინათ ამაზე მომხიბლავი არ იყო? — გაიფიქრა გულდაწყვეტილმა ბესიკმა, — თითქო სულაც არ გამოცვლილა, იგივე ციმციმა თვალები, მომხიბლავი გამომეტყველება და ბავშვური ტუჩები, მაგრამ რად არ განვიცდი იმ სიხარულს, რომელსაც მუდამ განვიცდიდი წინათ მასთან შეხვედრის დროს“. ბესიკს ეგონა, რომ ანას ნახვით ის ხელმეორედ იგრძნობდა იმ ნეტარებას, რომელსაც მღვიმევის მონასტერში განიცდიდა. შეიძლება ეს კიდევაც მომხდარიყო, რომ მას წინასწარ არ მოემზადებია საკუთარი განწყობილება და ნახვამდე არ დაერწმუნებია თავისი თავი, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე ანასთან შეხვედრა. ალბათ ამისი ბრალი იყო, რომ მოლოდინი არ გაუმართლდა. მაინც შეეცადა თავი დაერწმუნებინა, რომ განუზომელი აღტაცებით იყო შეპყრობილი. თვალთაგან სიხარულის ცრემ-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9.

ლიც კი მოიწურა, გულში სულ იმეორებდა „აჰ, რა ბედნიერი ვარ, დღეს კვლავ აღმობრწყინდა ჩემთვის მზე“, მაგრამ გრძნობდა, რომ მთელი მისი სიხარული და აღტაცება ოდნავ ნაძალადევი იყო და თავს იტყუებდა.

პირველი შეხვედრისას ანამ და ბესიკმა გასაუბრება ვერ მოახერხეს. მათ მხოლოდ მოიკითხეს ერთმანეთი, ხოლო განმარტოებით ლაპარაკი შეუძლებელი შეიქნა. ბესიკი, მოცილდა თუ არა ანას, კვლავ სევდამ შეიპყრო და ცუდი განწყობილების განსაქარვებლად გაჰყვა ელიზბარ ერისთავს ვარციხეში. ცხენით გასეირნებამ ოდნავ გამოუკეთა ხასიათი და როდესაც ქუთაისში დაბრუნდა, უკვე მოუთმენელი ხალისით მიისწრაფოდა სასახლისაკენ, რათა ანას შეხვედროდა, მისი ღიმილი დაეჭირა და კვლავ ანთებულიყო ძველი ტრფობის ალით, მაგრამ იმედი კვლავ გაუცრუვდა.

კვლავ იგრძნო, რომ ის წინანდელი, ძველებური აღმაფრენა სრულიად ჩამქრალიყო ახლა გრძნობათა გასაღვიძებლად იძულებული იყო ანასათვის სულ სხვაგვარი თვალით ეცქირა. წინათ საკმარისი იყო თვალების ციმციმი დაენახა, რომ გული სანეტარო აჩქროლებოდა. ახლა კი ის დაჟინებით ათვალიერებდა მის სავსე მკერდს, ქალურად დასრულებულ სავსე თეძოებს, და აღტაცების ნაცვლად სირცხვილის გრძნობა იპყრობდა. მას სურდა თავისი თავი დაეთრგუნა, რომ ასე უხეშად ეპყრობოდა გულში მიძინებულ უნაზეს გრძნობებს და სიძვით სურდა მისი გაღვიძება. მთელი საღამო ბესიკი თავს არიდებდა ანას და ვახშმის შემდეგაც მისთვის გასწია ადრე შინისაკენ. უკან რომ დააბრუნეს, უგუნებოდ მოდიოდა სასახლეში. არეული ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ და ძალზე კმაყოფილი დარჩა, რომ სოლომონთან და მის დიდებულებთან განმარტოებულს მოუხდა მთელი ღამით თათბირი.

ახლა კი ასეთმა პირდაპირმა შეგებებამ, ანას საუბრის გულახდილმა და შინაურულმა კილომ, ცოტა არ იყოს დაბნია და თავბრუ დაახვია.

— არ წახვიდე, გესმის! — გაუმეორა ანამ, — მე არ მსურს, რომ წახვიდე.

ბესიკმა უნებურად გაიცინა.

— მართლა გეუბნები, — თითქოს ებუტებოდა ისე გაჭიანურებით უთხრა ანამ, — აქ უშენოდ როგორ უნდა გავძლო. მართლა, როგორ შეეგუე თბილისის შემდეგ აქ ცხოვრებას? იცი რა, არემარე აქ უფრო ლამაზია თბილისზე. ეგ არის, რომ ქალაქი უფრო მცირეა. ეს რა სიცხეები სცოდნია, სუნთქვა მიჭირს. აქ კიდევ რა უშავს. შენა სთქვი, წირქვალში როგორ უნდა გავძლო. მოურავმა მითხრა, ერთი მივარდნილი სოფელია მთაშიო...

— ისეთი წარმტაცი ადგილია...

— მართლა? ნეტავ მაგრე იყოს, მაგრამ სახლი! ერთი თავლის მაგვარი ძელური სახლი დგას შუაში კერით. ესაა თურმე მთელი ჩვენი სასახლე. თბილისის შემდეგ, ხედავ, სად უნდა ვიცხოვრო! ზაფხულში კიდევ არაფერი. ზამთარში რა უნდა ვქნათ? სახლს ფანჯარაც კი არა ჰქონია.

— ახალი უნდა აიშენო, დედოფალო.

— ფული არა მაქვს, ბიჭო, ფული,— დაღვრემით ჩაილაპარაკა ანამ, — მზითვიდან რაცა მქონდა, სულ დამეხარჯა. ჩემს მოახლეებს განა ცოტა ჭირდებათ, ჩაცმა-დახურვა, ჭამა-სმა. რამდენ ერთს უნდა გავუძლო. ჩემი ქმარი ვითომ ტახტის მემკვიდრეა და თითივით შიშველია. შენ, გავიგე, სასახლე წამოგიჭიმავს.

— ჯერ სადაა, ყავრით გადავხურეთ მხოლოდ და ეგაა სულ...

— ეგ ცოტაა? ნეტავ მეც აგრე მქონდეს. როდის მომესწრება რამე. ახლა ზაფხულია და გარეთ, ხის ძირასაც რომ დავიძინოთ, არაფერია, ზამთარში რაღა ვქნა? უფანჯრო სახლში რა მაცხოვრებს. დედოფალი მპატრონებს, ჩემთან იყავიო, მაგრამ მე თითონ არ მსურს და არც ივარგებს, რომ აქ შევეკედლო. იფიქრებენ გულფანა იმისათვის იახლოებს დავითსა და მის მეუღლეს, რომ სოლომონს საკუთარი შვილი უნდა შეაძულოსო. ჩემთვის ჯერჯერობით ესეც დიდი წყალობაა, რომ მამულები მიბოძეს და საკუთარი სახლკარი მაინც მექნება. მერე ვნახოთ, მომავალი რას გვეტყვის... იცი რა! — ანამ მაჯაში ხელი წაავლო ბესიკს თავისთან ახლო მიიზიდა და ყურთან წაჩურჩულა: — თუ ღმერთმა ინება და პაპუნა წერეთელი დამიმოყვრდა, მაშინ... — ანამ მიმოიხედა და ბესიკს თვალი ჩაუკრა.

— როგორ? — ვერ მიხვდა ბესიკი და კითხვის ნიშნით თავი ოდნავ შეაქანა.

— მინდა ჩემი მული გავურიგო.

ბესიკი ოდნავ უკან გადაქანდა და ანას ალტაცებით დაუწყო ცქერა.

— მაპატიე, დედოფალო, და არ მეგონა, თუ ასეთი შორსმჭვრეტელი იყავი. მე სულ ბავშვი მგონიხარ და გულუბრყვილო. — აღელვებული ბესიკი ადგა და ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, — ახლა მე მჯერა, რომ...

— მოიცა, ენა ნუ გისწრებს. მოდი, აქ დაჯექი, შემომხედე და მითხარი, კიდევ გიყვარვარ თუ არა?

— მე როგორ გავბედავ და გავკადნიერდები ისე, რომ...

— კარგი ერთი ნუ სულელობ. გატყობ სხვა ვიღაც შეგყვარებია. არ გიჯავრდები. მითხარი, ვინ არის?

— განა სიყვარულისათვის მეცალა! — შეეცადა თავი ემართლებია ბესიკს, მაგრამ დაიბნა და უხერხულად მიმოიხედა.

— შენ ვერ მომატყუებ. ვინ არის?

— არავინ, დედოფალო. ჩემი სახლიდან განდევნილს, უსახლკაროს, ყველასაგან დავიწყებულს, მღვიმეევის მონასტერში რომ მიველ, ანთებულ ლამპარივით მომეევლინა ერთი თვალწარმტაცი ანგელოსი მონოზონი, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ალბათ ღმერთი განრისხდა და ის ლამპარი უეცრად ჩამიქრო.

ანას უნებურად კვნესა აღმოხდა. რატომღაც ის ახლა სრულიად არ იყო შეპყრობილი ეჭვიანობის გრძნობით და ბესიკის გულახდილად ნაამბობს თანაგრძნობით და ცნობისმოყვარეობით ისმენდა. დაწვრილებით გამოჰკითხა მთელი თავგადასავალი და გულაჩუყებულს თვალებზე ცრემლებიც კი მოადგა, თავის მეგობარს დამშვიდება დაუწყო:

— როგორ მებრალები. არ იდარდო, კარგი! ჯერ ერთი იმიტომ, რომ მე აქა ვარ, მეორეც იმიტომ, მე... რომ მე... არ გაძლევ უფლებას სხვა ვინმე გიყვარდეს, — ანა უეცრად ჭარხალივით გაწითლდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ბესიკს თვალებში დაჟინებით ჩააცქერდა. ამ გაწითლებამ ბესიკის თვალში ანა თითქოს გააშიშვლა, მაგრამ ამაღელვებელი ის იყო, რომ ანა არც კი ცდილობდა თავისი ეს „სიშიშვლე“ დაეფარა... და მხოლოდ ახლა იგრძნო ახალგაზრდა მგოსანმა, როგორ დაუწყო სისხლმა მღვრევა და სანეტარო ჟრუანტელმა მუხლი მოკვეთა. ანამ სწრაფად შეატყო თვალებში ბესიკს ეს ხვადური ამღვრევა და ახლა უკვე სირცხვილის სიწითლემ აულაპლაპა ლოყები. შვებით მოითქვა სული და ისეთივე ნეტარება განიცადა, როგორსაც განიცდის მხილებული ცოდვილი, როდესაც შემთხვევით, თვით მამხილებელს დაიჭერს ხოლმე უფრო უარეს შეცოდებაში. გუნებაში უნებურად გაუელვა სურვილმა, რომ ბესიკს მისთვის ხელი მოეხვია, მაშინვე სილას გააწნავდა, ან ულვაშს აუწევდა, რომ თავხედობისათვის დაეტუქსა და დაემტკიცებინა თავისი გულგრილობა, მაგრამ ეს არ მოხდა. ბესიკი დაბნეული იდგა. დაიბნა ანაც და ორივენი ერთხანს თვალს არიდებდნენ ერთმანეთს. ისინი გრძნობდნენ, რომ მათ შორის მოხდა ისეთი რამ, რაც საოცრად აახლოვებდა ორივეს ერთმანეთთან, მაგრამ ერთიც და მეორეც ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, თითქოს ორივეს ეშინოდა, რომ ეს მათი უეცარი დაახლოება მირაჟივით არ გამქრალიყო.

ეზოდან უჩვეულო ხმაურობა მოისმა. კარისკაცთა ყიჟინა და ცხენების თქარათქური ერთმანეთში აირია.

ორივე გამოერკვა. ანამ თვალებში შეხედა ბესიკს, გაუღიმა, თვალით ფანჯარაზე ანიშნა და იკითხა:

— რა ამბავია?

ბესიკი თითქოს ამ ღიმილს ელოდა, უცბათ ორივე ხელი მოხვია ანას, მიიზიდა და მოისურვა ტუჩებზე დაჰკონებოდა, მაგრამ დაფეთებულმა ანამ გულზე ხელი მიაბჯინა, თავი გაითავისუფლა და მკაცრად უთხრა:

— გაგიჟდი!

მერე ფანჯარასთან მივიდა, გადაიხედა და ბესიკისაკენ მოუხედავათ თქვა:

— ღმეთო, რამდენი ცხენოსნებია, ნეტავ ვინ არიან? — პასუხი რომ არ მიიღო, მოიხედა და ბესიკს მკაცრად უთხრა. — გასწი ახლავე აქედან!

ბესიკმა თავი მორჩილად დახარა და კარისაკენ გაემართა. ის ხმის კილოზე მიუხვდა ანას, რომ ეს მკაცრად თქმული ბრძანება დატუქსვას კი არ ნიშნავდა, არამედ ჭკვიანურ გაფრთხილებას.

აივანზე მსახურს შეეფეთა, რომელმაც მოახსენა, რომ მეფე სოლომონს სტუმრად ეახლენ აფხაზეთის სამთავროს მემკვიდრენი ზურაბ და ქელეშბეგ

შერვაშიძენი თავიანთი ამალითო. ბესიკი მაშინვე გაემართა, რომ სხვებთან ერთად სტუმრებს შეგებებოდა.

—:—

აფხაზეთის მთავართა სტუმრობა სოლომონთან ისეთი საარაკო მოვლენა იყო, რომ არათუ მეფის სასახლე, მთელი ქუთაისი აფორიაქდა. მას შემდეგ, რაც იმერთა სამეფო, უკანასკნელი ორი თუ სამი საუკუნის მანძილზე, ცალკე სამთავროებად დაქუცმაცდა, აფხაზეთიც სრულიად განცალკევდა და თავი დამოუკიდებელ სამთავროდ გამოაცხადა. ერთხანს აფხაზეთი ერთ მთლიან სამთავროს წარმოადგენდა, მაგრამ დაახლოებით 1720 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა აფხაზეთის მთავარი ზეგნაყ შერვაშიძე, ეს მხარე მისმა შვილებმა სამ ნაწილად გაიყვეს. უფროსი ვაჟი როსტომი ჩრდილო აფხაზეთში დამკვიდრდა და მისი სამფლობელო ბზიბიდან კოდორამდე აღწევდა, მომდევნო ძმას ჯიქეშიას შუაგული შეხვდა კოდორიდან გალიზგამდე, ხოლო უმცროსს სამხრეთის ნაწილი ერგო. ამ მხარეს შემდეგში ყვაპუს შვილის — მურძაყანის სახელი, სამურძაყანო დაერქვა. ეს მთავრები არათუ იმერთა მეფეს მორჩილებდნენ, არამედ ერთმანეთსაც კი მტრობდნენ და გაუთავებელი ომი ჰქონდათ. ერთადერთი ხუტუნია შარვაშიძე იყო მათ შორის, რომელიც მთელი თავით მაღლა იდგა თანამოგვარე მთავართა შორის. უაღრესად განათლებული და მწიგნობარი, იგი აგრეთვე უშიშარი მებრძოლი იყო თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, თავის ხელით ჰქონდა გადაწერილი „ქართლის ცხოვრება“ და ამიტომ იყო, რომ მის გულში ღრმად გაღვივდა სამშობლოსადმი სიყვარული. ის აშკარად, ხედავდა, თუ რა მომაკვდინებელ საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოსათვის ასე დაქუცმაცება. გურიის მთავარი ცალკე აპირებდა მეფობას, სამეგრელოს მთავარი ცალკე, სვანეთის მთავარი მთებში ჩაკეტილიყო, რაჭის ერისთავიც ასე განზე იყო გამდგარი, არგვეთში აბაშიძე ეპოტინებოდა გამთავრებას, აჭარა-შავშეთში თურქები ბატონობდნენ და მარტო აღმოსავლეთ საქართველო მძლავრობდა თეიმურაზისა და მისი შვილის ერეკლეს მეთაურობით. როდესაც იმერთა სამეფო ტახტზე სოლომონი ავიდა და სამთავროთა შემომტკიცებას შეუდგა, ხუტუნია შარვაშიძემ იგრძნო, რომ ქვეყანას ნამდვილი მზრუნველი მოევლინა. ის მაშინვე ეახლა მეფეს, მორჩილება აღუთქვა და თავისი გულისნადებიც გაუზიარა. სამურძაყანოს მფლობელი ოცნებობდა, რომ საქართველო აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მთლად აღდგენილიყო და თუ სოლომონი ამას მტკიცედ მოჰკიდებდა ხელს, იგი მზად იყო მსხვერპლად შეწირიოდა ამ საქმეს.

და კიდევაც შეეწირა.

როდესაც სოლომონმა ტყვეთა გაყიდვა აკრძალა და თურქეთს ხარკის გადახდაზე უარი შეუთვალა, განრისხებულმა სულთანმა იმერეთის მეფეს ომი გამოუცხადა და ახალციხის სერასკირს უბრძანა იმერეთში შესულიყო. სოლომონთან მაშინვე თავი მოიყარეს ერთგულმა თავადებმა, მათ შორის სამეგრელოს მთავარმა ოტია დადიანმა (მოპუცების გამო თითონ ოტიას ომში მონაწილეობა არ მიუღია, მან თავისი შვილი კაცია წარგზავნა) და სამურძაყანოს მფლობელმა ხუტუნია შერვაშიძემ. თურქთა და ქართველთა ლაშქარი ხრესილთან შეხვდა ერთმანეთს. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ქართველებმა გაიმარჯვეს. ამ ბრძოლაში გმირულად დაეცა სახელგანთქმული შერვაშიძე. მან თითქმის მიაღწია თურქთა ბანაკის შუაგულამდე და ხელჩართულ ბრძოლაში მტრის თექვსმეტი მეომარი განგმირა, მაგრამ თითონაც მსხვერპლად შეეწირა ქვეყანას. სოლომონმა ის განსაკუთრებული გულისტკივილით დაიტირა და დიდის პატივითაც წაასვენებინა თავის საბრძანებელში.

ამ მარცხმა თურქეთი უფრო გააცეცხლა. სულთანმა მას შემდეგ რამდენჯერმე შემოუსია ჯარები დასავლეთ საქართველოს, მაგრამ სოლომონმა მას ყველგან სასტიკი მარცხი აგემა. ერთადერთი ადგილი, სადაც თურქებს კვლავ მტკიცედ ეკიდათ ფეხი, ეს შავი ზღვის სანაპიროები იყო. აქ მათ ხელში ეპყრათ გამაგრებული ციხეები. ამიტომ მათთვის ადვილი გახდა აფხაზეთში მანუჩარ შერვაშიძის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყოთ. ხრესილის ბრძოლაში მანუჩარი, მართალია აშკარად არ მიმხრობია სოლომონს, მაგრამ გულში თანაუგრძნობდა და ამისთვის არც დაუშლია თავის ბიძაშვილ ხუტუნიასთვის

სოლომონს მიმხრობოდა. თურქებმა მოისყიდეს ძიაპშიპას გვარეულობა და მანუჩარს აჯანყება მოუწყეს. გამარჯვებულებმა ტყვექმნილი სამი ძმა შერვაშიძე: მანუჩარი, შირვანი და ზურაბი ფაშას მიჰგვარეს, რომელმაც ისინი თურქეთში გადაასახლა. რამდენიმე ხნის შემდეგ თურქეთის მთავრობა მოურიგდა ზურაბ შერვაშიძეს, აფხაზეთში დაბრუნა და სამთავროს ტახტი მიუბოძა, ცხადია, იმ პირობით, რომ ზურაბს თურქეთის ბატონობა უნდა ელიარებინა, ხარკი ეძლია და ტყვეთა ყიდვა-გაყიდვაც არ აეკრძალა. ზურაბი ამას არ შეურიგდა და მაშინვე შეუდგა თურქეთის წინააღმდეგ შეთქმულებას. მალე მისი მეთაურობით აფხაზეთში იფეთქა საყოველთაო სახალხო აჯანყებამ. ზურაბს მიემხრო სამურძაყანოს მფლობელი ლევან შერვაშიძე და მათ 1771 წელს სუხუმიდან თურქები ზღვაში გადაყარეს. განრისხებულმა სულთანმა კვლავ მოახერხა სუხუმის დაჭერა და იქ, ზურაბის ძმის, მანუჩარის შვილი — გამაჰმადიანებული ქელეშბეგ შერვაშიძე დასვა მთავრად. ქელეშბეგი სუხუმის მფლობელად ითვლებოდა და მარტო ქალაქის მიდამოებში ბატონობდა. მას თავისი ბიძის ზურაბის წინააღმდეგ არც ბრძოლა შეეძლო და არც სათანადო ძალები გააჩნდა. ბიძასთან მან მშვიდობიანი თანამშრომლობა აირჩია და ნათესაური ურთიერთობა არ შეუწყვეტია.

სოლომონის გაძლიერებამ იმერეთში, მის მიერ როსტომ რაჭის ერისთავის განადგურებამ და გურიელის დამორჩილებამ, აფხაზეთის მთავრები ღრმად ჩააფიქრა. ისინი მიხვდნენ, რომ თუ თურქების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას აპირებდნენ, მათთვის აუცილებელი იყო იმერეთის მეფესთან საბოლოოდ მორიგება და მისი მფარველობის აღიარება. შეიძლება შერვაშიძეები გაცილებით ადრე აღიარებდნენ სოლომონის მეფის უფლებებს აფხაზეთის სამთავროებზე, მაგრამ საქმეს სამეგრელოს მთავარი, სოლომონის ცოლის ძმა, კაცია დადიანი აფუჭებდა. კაცია განუდგა სოლომონს, თავი დამოუკიდებელ მთავრად გამოაცხადა, არც მეფეს მორჩილებდა და არც ტყვეების გაყიდვას კრძალავდა. სოლომონი ერთხანს თავს იკავებდა და ცდილობდა კაცია მშვიდობიანი გზით დაემორჩილებინა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ოდესმე მოთმინების ფიალა აივსებოდა და მეფე იძულებული გახდებოდა თავისი უძლიერესი მთავრის წინააღმდეგ მახვილი აღემართა.

ეს ამბები, ცხადია, არ გამოპარვია ზურაბ შერვაშიძეს. მან იფიქრა, რომ სოლომონი ალბათ მარტო ვერ ბედავს კაციას წინააღმდეგ გალაშქრებას, ხოლო თუ მივეშველები, მაშინ შეიძლება ნახევარი სამეგრელო დამითმოს და, მე როგორც დამოუკიდებელი მთავარი, ისე დავემკვიდრო ჩემს საბრძანებელშიო. ზურაბი მოეთათბირა ბექირბეგსა და ქელეშბეგს და როდესაც ძმისწულებმა აზრი მოუწონეს, გადაწყვიტა თითონ ხლებოდა სოლომონს.

ქუთაისში კი მათი მოსვლა სხვაგვარად ახსნეს. დიდსაც და პატარასაც, ყველას ეგონა რომ აფხაზეთის მთავრებმა სოლომონის მორჩილება აღიარეს და იმისათვის ეახლენო. ამიტომ იყო, რომ მათმა მოსვლამ წარმოუდგენლად ააფორიაქა ყველანი.

როდესაც ბესიკი ეზოში გამოვიდა, დაინახა, რომ მეფის სასახლის წინა მოედანი სავსე იყო ჩამოქვეითებული ცხენოსნებით და დამხვდურებით. აფხაზები მკვეთრად გამოირჩეოდნენ დამხვდურთაგან. ისინი ხმელ-ხმელნი იყვნენ, ტანწერწეტნი, მოკაკული ცხვირებით და ბრიალა თვალებით. ყველანი საოცრად მსუბუქად დადიოდნენ და ისე განსხვავდებოდნენ ქუთათურთაგან, თითქოს ზანტად მოსიარულე ფარშავანგთა და წეროთა შორის მიმინოთა გუნდი ჩაფრენილიყოს.

ეზოში ზურაბს და ქელეშბეგს პაპუნა წერეთელი შეეგება და სანამ სტუმრებთან დაიაზებით მისალმებას დაამთავრებდა, ეზოსმოძღვარმა ხელად მიუჩინა სასახლის კარისკაცებს თავიანთი ადგილი. ალაყაფიდან კიბეებამდე ხელჯოხიანები ჩაამწკრივა, კიბეებზე ხანშესული დარბაისელნი, აივანზე მგალობელნი და მესაკრავენი, ხოლო სეფექალებმა და დიდებულებმა სატახტო დარბაზში მოიყარეს თავი. ყოველივე ეს ჩუმად და სწრაფად მოხდა და როდესაც პაპუნა წერეთელი სასურველ სტუმრებს კიბისაკენ გაუძღვა, მთელ ეზოში და სასახლის კიბე-აივანზე შეგროვილი ხალხი საგანგებოთ შერჩეული და შეწყობილი თაიგულივით იყო შეკრული. ზურაბმა და ქელეშბეგმა მარჯვნივ და მარცხნივ საერთო სალამის მი-

ცემით გაიარეს თავდახრილ ხელჯოხიანთა და სასახლის მსახურთა დერეფანი. მომღერლებმა საზეიმო საგალობელი დააგუგუნეს, მესაკრავეებმა დაჰკრეს ნაღარას სპილენძ-ჭურთა და წინწილთა. მთავრებს ჯერ საკუთარი დიდებულები მიჰყვნენ და შემდეგ სოლომონის კარისკაცნი.

სატახტო დარბაზში მთავრები ასევე თავდახრით მიესალმენ ჯერ მარჯვნივ ჩამწკრივებულ მამაკაცებს (რამაც ბესიკი ძალზე გააკვირვა) და შემდეგ მარცხნივ მანდილოსნებს.

ცოტახნის შემდეგ მსახურებმა მძიმე ფარდები გადასწიეს და დარბაზში ვიღაც უცნობი დიდებული შემოვიდა, რომელსაც ბესიკი პირველად ხედავდა. დიდებულმა თავისი გრძელი კვერთხი სამჯერ დააკაკუნა და საზეიმო სიჩუმეში გამოაცხადა:

— მისი უდიდებულესობა მეფე აფხაზ-იმერთა სოლომონ. — სიტყვა „აფხაზ“, მან განსაკუთრებით მკვეთრად წარმოსთქვა.

ისევ გაისმა მგალობელთა მძლავრი სიმღერა და დარბაზში შემოვიდნენ სოლომონი და გულფანა. ორივეს სტავრაბრეშუმის სამოსელი ჩაეცვათ, თავზე სამეფო გვირგვინები დაედგათ და სიასამურის წამოსასხამები მოეხურათ.

მთავრები მიუახლოვდნენ მეფედედოფალს და დაიჩოქეს, მაგრამ სოლომონმა ისინი სათითაოდ წამოაყენა და მაშინდელი ჩვეულებით მხარზე ეამბორა. შემდეგ ტახტზე დაბრძანდა, მეუღლე გვერდით მოისვა და მთავრებს თხოვა დამსხდარიყვნენ ოქროთი მოვარაყებულ სავარძლებზე, რომელნიც მსახურებმა ჩუმად მიაცურეს მათთან. მთავრებმა მადლობა მოახსენეს, მაგრამ დაჯდომა არ ისურვეს.

ბესიკმა ჩურჩულით კითხა მოლარეთუხუცეს გიორგი წერეთელს და თვალით იმ უცნობზე ანიშნა, რომელმაც მეფის შემობრძანება გამოაცხადა.

— ვინ არის ის? პირველად ვხედავ.

— როგორ, არ იცი? — გაოცდა გიორგი, — დავით კვინიხიძეა. წუხელ ჩამოვიდა რუსეთიდან.

— ჰოო, ეგ არის? — ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ბესიკმა ახლადნახული დიდებული, — ბევრი მსმენია მაგაზე. ამბობენ დიდად განსწავლულიაო.

— საკითხავია! — დაუდასტურა წერეთელმა და თვალით ანიშნა გავჩუმდეთო.

სოლომონი ლაპარაკობდა

— ჭეშმარიტად დიდს სიხარულით აღივსო გული ჩემი, ოდეს ჩემს ჭერს ქვეშ ვიხილე ჩვენი სამეფო სახლის დამამშვენებელი მთავარი აფხაზეთისა.

დარბაზი სულგანაბული უსმენდა ნეფეს. აფხაზთა მთავრებს გულზე ხელები ჯვარედინად მიედოთ და თავდახრილები გარინდულიყვნენ.

— სახლი ჩემი იგულვეთ სახლად თქვენად, — განაგრძობდა სოლომონი — თუკი, ვითარცა სმენია, გული თქვენი მზად არის აღსდგეს აგარიანთა შესამუსრავად, და სახლსა ჩემსა მობრძანებულხართ ისე, ვითარცა უძველესი წინაპარი თქვენი დადოგო შერვაშიძე ეახლა დიდებულს მეფეთმეფესა თამარს, მაშინ ჩვენ მზადა ვართ აღვასრულოთ ყოველი სურვილი თქვენი.

სოლომონი გაჩუმდა პასუხის მოლოდინში. ზურაბ შერვაშიძე კი თითქოს კიდევ მოელოდა მეფისაგან სიტყვას, თავდახრილი მდუმარებდა. მას თავიდანვე გულზე ეკალივით ეცა, როდესაც დავით კვინიხიძემ განსაკუთრებული ხმის აწევით გამოაცხადა, აფხაზ-იმერთა მეფე მობრძანდებაო. უკვე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა იმაზე, რომ სოლომონი აფხაზეთის მთავართან ისე დაიჭერდა თავს, როგორც თავის სწორთან და სავსებით დამოუკიდებელ მთავართან. ხოლო მეფემ ახლა პირდაპირ ეა ცოტა არ იყოს უხეშად დაუსვა კითხვა, სცნობ თუ არა ჩემს უფლებებს აფხაზეთის სამთავროზეო.

ზურაბს მოუთმენლად სურდა მოეხედა ქელეშბეგისათვის თვალების გამომეტყველებით მაინც ეკითხა, როგორ მოქცეულიყვნენ, მაგრამ ახლა მოხედვა არ შეიძლებოდა, სოლომონს ეს მოძრაობა არ გამოეპარებოდა. თუმცა ახლა ქელეშბეგს ზურაბისთვის არ ეცალა. ანას მზერა დაიჭირა, როდესაც მას ჩუმჩუმად უთვალთვალებდა, და ხვადურმა ალოომ მთელ ტანში ერუანტელად დაურბინა. მართალია ანამ სწრაფად მოაშორა თვალი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მეორედ დაიჭირა ეს მზერა და გული საამოდ აუტოკდა. ამის შემდეგ ქელეშბეგს აღარც არაფერი ესმოდა და მეტს ვერაფერს ვერ ხედავდა. მთელი მისი არსება ანამ შეიპყრო. აშკარა იყო რომ ანას სიამოვნებდა მისი აღტაცებუ-

ლი ცქერა. მართალია, იგი ქელეშბეგი-საკენ არ იცქირებოდა, მაგრამ, ცხადი იყო, გრძნობდა, რომ აფხაზის თვალების უხილავი სხივები მთელ ტანზე დაურბოდნენ. ამ სხივებმა ჯერ ლოყები აუტკეცეს და გაულვივეს, მერე გულმკერდი აუტოკეს, მერე ისევ მოახედეს ამ ვაჟკაცისაკენ... მაგრამ ახლა ქელეშბეგს დაებნა მზერა. ანას სითამამე მოემატა. უხაროდა, რომ ამდენ ქალებში მარტო მან მიიპყრო ასეთი ვაჟკაცის ყურადღება და უხაროდა ისიც, რომ გაიმარჯვა და თითონ შეაკრთო ეს ტანწერწეტა აფხაზი. ახლა თამამად ათვალიერებდა ქელეშბეგს და აკვირდებოდა მის ბასრნაკვთებიან სახეს, ბრიალა თვალებს, მერცხალის ფრთებივით გადახაზულ წარბებს, ახლად აყრილ ულვაშებს და ყბებზე ლამაზ ზოლად შემოვლებულ წვერს.

ზურაბმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. მართალია, სოლომონის ასეთმა ჯიქურად დასმულმა კითხვამ უცბად შეუცვალა განწყობილება და იმდენად გააბრაზა, რომ მზად იყო ახლავე გაბრუნებულიყო უკან, მაგრამ სახეზე თავაზიანი საამო გამომეტყველება მიიღო და მეფეს თავდახრით მოახსენა:

— ჩვენ ბევრი რამ სათქმელი გვაქვს, მეფევ, ერთმანეთისათვის. მერწმუნეთ, რომ სიყრმიდანვე გული ჩემი მხოლოდ ერთი სურვილით იყო შეპყრობილი, რათა აღდგენილიყო ჩვენი საქართველოს წარსული დიდება და სკიპტრა სახლისა იესიან დავითიან პანკრატოვანისა განვრცობილიყო ნიკოფსიიდან ვიდრე დარუბანდამდე. ამჟამად მიიღეთ ჩემგან მცირე რამ ძღვენი, თხუთმეტი აფხაზური ბედაური და ნუ შემრისხავ, თუ საკადრისი მეტი ვერაფერი მოგართვით.

— მადლობა მომიხსენებია და ნურც მე შემრისხავ, თუ ორასი სული ხარკამეჩის, ხუთასი ცხვარის და ოცდაათი ჩერქეზული ბედაურის მეტი ვერ მოგართვა თავისი მწყემსებით და მეჯოგეებით. გარდა ამისა მომირთმევია თქვენთვის ოქროს ხანჯლები და აი ეს მოვერცხლილი დამბაჩები, — სოლომონმა მოიხედა, ეზოს მოძღვარს საგანგებოდ მომზადებული საჩუქრები ჩამოართვა და თავისი ხელით მიაწოდა მთავრებს.

— . —

სოლომონმა მთავრებს იმავე დღეს სანაქებო ნადიმი მოუწყო და ზღაპრული სიუხვით გაუმასპინძლდა. სუფრას არ აკლდა არც ირმის ხორცი, არც რაჭული ხბო და არც ხოხბები. ალადასტურმა და ხვანჭკარამ ხომ სულ მთლად გადარია სტუმრები. ნადიმი შუაღამემდე გაგრძელდა. მეფემ ბრძანა, რომ მეორე დღეს მთავრებს სანადიროდ იწვევდა და ბაზიერთუხუცესი გააფრთხილა, მზად ყოფილიყვნენ.

ნაშუაღამევს სუფრა აიშალა და შერვაშიძეები მოსასვენებლად ცალკე ოთახში წაიყვანეს. საკმაოდ ნასვამი ქელეშბეგი კარგ გუნებაზე იყო, ზურაბი კი პირიქით მოღრუბლული იჯდა ლოგინზე, თითქოს არც კი აპირებდა ტანსაცმლის გახდას.

— აჰ, რა პატივი გვცეს! — ნეტარებით წამოიძახა ქელეშბეგმა, როდესაც ძიძისშვილმა მაშიები გახადა და ფეხი დაბანა.

— აფხაზურად ილაპარაკე, — წარბშეკრულმა ზურაბმა თვალით ანიშნა კარებთან აყუდებულ მსახურზე და მერე აფხაზურადვე დასძინა: — პატივისცემად შენ გირჩევნია ის ჩათვალო, თუ ეს ჩვენი სულელი თავები აქედან გაგვატანეს.

— რაო? — ქელეშბეგმა თვალები შეაჭყიტა თავის ბიძას, — რას გვერჩიან.

— არაფერს. იმასვე, რასაც რაჭის ერისთავს ერჩოდნენ. ხვალ სანადიროდ გვპატიჟებს. ასევე უყო რაჭის ერისთავს. სანადიროდ გეგუთში გაიტყუა, დაიჭირა და თვალები დათხარა.

— ნუ გეშინია, — ჩაიცინა ქელეშბეგმა, — ჩვენი ამალა რას გვიკეთებს, თითსაც ვერ დაგვადებენ.

— როსტომ ერისთავს ჩვენზე უკეთესი ვაჟკაცები ახლდნენ, მაგრამ...

— შენი საქმე მაკვირვებს? — წამოიჭრა ზეზე ქელეშბეგი და ფეხშიშველი მიტყაპუნდა ზურაბთან, — თითონ შენ მარწმუნებდი: წავიდეთ, ვეახლოთ, მოვურიგდეთო, და ახლა რამ დაგაფრთხო ასე! თხუთმეტი ჯახრაკი მიართვი საჩუქრად და ოცდაათი ჩერქეზული ბედაური გიმაგიერა, ზედ საქონლის მთელი ჯოგი და ცხვრის ფარა მიაყოლა. ბოლოსდაბოლოს ხომ არ გეყმებოდა.

— საქმეც ეგაა. როსტომსაც მიუბოძა მამულები, მთები, სოფლები, ჯოგიც და ფარაც, მაგრამ საკუთარიც წაართვა.

— როსტომმა ათჯერ ზურგში დანა დასცა და შეარჩენდა? — ქელეშბეგი თავის საწოლს მიუბრუნდა და არხეინად წამოგორდა, — არა მგონია, რომ ხუტუნია შერვაშიძის ამაგი ასე ვერაგულად გათელოს. უსაფუძვლოდ იჭვიანობ.

— ჰო, მაგრამ მაშინვე რომ მოგვახალა ახლავე მითხარით საყმოდ მოხვედით თუ არაო, ის რაღა იყო. იქნებ მეც მაგას ვაპირებდი. არ უნდა ეცლია?

— ის მეფეა და გითხრა.

— მეფე? — ახლა ზურაბი წამოიჭრა ზეზე, — მაგაზე ნაკლები ვინც იყოს, შევარცხვინე. ხრესილთან თურქები მაგან თუ დაამარცხა, ჩვენ ვეხმარებოდით და იმიტომ, თორემ, მე რომ ხონთქარს კუდით ქვა ვასროლინე, მაგ სად იყო მაშინ? რუსის ჯარი მაგას ეხმარებოდა და ფოთის ციხე ვერცკი აიღეს. ჩვენ ვინ გვეხმარებოდა, რომ სუხუმის ციხეც ავიღეთ და მთელ აფხაზეთში თურქებს ფეხი ამოვაკვეთინეთ. ახლა მზამზარეული უნდა, რომ მიირთვას? პირი არ დაწვას.

— საიდან ამოაკვეთინე თურქებს ფეხი, — სიცილით უთხრა ქელეშბეგმა ბიძამისს, — მაშინ მე ვინღა ვარ, ქელაიშ-ახმედ-ბეგ შერვაშიძე, მაჰმადიანი და ხონთქარის მოადგილე სუხუმში. მართალია, დღეს ღორის ხორცი გეახელი და ზედ კარგი ღვინოც დავაყოლე, მაგრამ დიდ არს ალაჰი, ეს იმიტომ, რომ...

— ეჰ, შენ რა უნდა გელაპარაკო. გალეშილი ხარ. მგონია, იმ შავთვალამ მოგაჯადოვა.

— აჰ, ხმა, კრინტი. ნულარ მაგონებ, — დაიკვნესა ქელეშბეგმა. — იმისათვის მზადა ვარ, თუნდაც ახლავე შევვარდე ჯოჯოხეთში...

— შენ ჭკუით იყავი.. ის ქმრიანი ქალია, ბაგრატიონის შთამომავლის მეუღლე და ორბელიანთა სახლის შვილი. მას შეიძლება ბედმა ხვალ იმერეთის დედოფლობა არგუნოს...

— მაშინ... მაშინ კი, ბიძაჩემო, სასიკვდილოდაც რომ წინ გადამეღობო, მე მაინც ვეახლები და მორჩილებით დავეშხობი მის წინაშე.

— ოჰო, შენ აღარ ხუმრობ. მაშინ იქნებ ისიც ჯობდეს, რომ აქედან დროზე გავეცალოთ ამ სახიფათო მეფეს და ვეცადოთ, რომ შენი შავთვალა რაც შეიძლება მალე დაეუფლოს იმერეთის ტახტს.

— რაო? ისარნაკრავივით შეხტა ქელეშბეგი და ტახტზე წამოჯდა.

— სს... ჩუმად. ჯობია დავიძინოთ და ჯერჯერობით იმაზე ვიფიქროთ, აქედან უვნებლად როგორ დავაღწიოთ თავი.

ზურაბმა სანთელს შეუბერა, ჩააქრო და მაშინვე ლოგინში შეგორდა.

მეორე დღეს სტუმრები სანადიროდ უნდა წაეყვანათ, მაგრამ ზურაბმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და ნადირობა გადაადებინა. ნაშუადღევს კი მეფეს შეუთვალა, თქვენთან მე და ჩემს ძმისწულს პირდაპირ თათბირი გვსურსო. სოლომონმა მაშინვე მიიწვია ორივენი და სანამ ზურაბი თავის სათქმელს ეტყოდა, ადამიანის მოვალეობაზე ჩამოაგდო სიტყვა და ალექსანდრე ამილახვარის ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა გინა განზრახვა მისი სახელმწიფოსათვის მმართველობისა“ წაუკითხა.

ზურაბი ცოტა არ იყოს დააბნია სოლომონის ამ თავისებურმა სიბრძნეებმა. მართალია, თითონ საკმაოდ განათლებული კაცი იყო, თავისი ხელით ჰქონდა გადაწერილი მრავალი ქართული წიგნი. იცოდა ბერძნულიც და სტამბოლში ყოფნის დროს გაეცნო ბერძენ ფილოსოფოსთა ნაწერებს, მაგრამ მას პირველად ესმოდა და ისიც მეფისაგან, რომ მთავარნი და დიდებულნი თვით მეფის ჩათვლით ქვეყნისა და ხალხის სამსახურისათვის არიან გაჩენილნიო. ეს აზრი თვით სოლომონისათვისაც უჩვეულო და უცნაური იყო პირველად, მაგრამ იმდენად შეესაბამებოდა მის მიერ წამოწყებულ საქმიანობას, სამეფოს გაერთიანებას, ტყვეების ვაჭრობით აკრძალვას, რომ ადვილად შეეგუა ქვეყნის მსახურის სახელწოდებას და ამით ახლა თავს აწონებდა ყველას.

ზურაბმა სწრაფად აუღო ალღო სოლომონის ამ განწყობილებას და ისე ოსტატურად, თანაც მჭერმეტყველურად შეაქო მისი სახელმწიფო საქმიანობა, თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლა და ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა, რომ ეს გულწრფელი და გულუბრყვილო მეფე ადვილად მოხიბლა. მერე კი ფრთხილად ჩამოუგდო ლაპარაკი სამეგრელოს ურჩი მთავრის საბოლოოდ დამორჩილებაზე.

— ცოლისძმა მაინც არ იყოს შენი, — უთხრა ზურაბმა სოლომონს, — სად გაგონილა ამისთანა ურჩობა. მეფე

ვარო ამბობს თურმე. ვის გაუგონია დადიანის მეფობა. მარტვილის ეპისკოპოსს კათალიკოსი დაარქვა. აგრე თუა, ბიჭვინთის მიტროპოლიტს მეც ვაკურთხებ კათალიკოსად. რუსეთში თავისი დესპანები წარუგზავნია, სამეგრელოს მეფე გთხოვ მფარველობასო. ღმერთო, შენ მიხსენი ცოდვისაგან. თქვენთან სამსახური და მორჩილება მერწმუნე, ჩემო დიდებულო მეფე, დიდიხნის სანუკვარი ოცნებაა ჩვენი, მაგრამ აფხაზეთსა და იმერეთს შუა სამეგრელოს სამთავროა გაჩხირული და ახლაც თქვენთან ხლება ზღვაზე მოვლით მომიხდა. რას ჰგავს ეს? ახლა იმისთვის გეახელი, რომ თუ თქვენი ნებასურვილი იქნება, ამას ბოლო მოვუღოთ და ოდიშის სამთავრო თქვენი ტახტის მორჩილი გავხადოთ. ოციათას კაცს მე გამოვიყვან, თქვენც კი ამდენსავეს დაძრავთ, საქმეს ერთის დაკვრით გადავჭრით. ამ სამსახურისათვის, იმის გარდა რაც კაციას და მამამისს ოტიას არ წაურთმევია პაპის ჩვენის მურძაყანისათვის, ერთი მტკაველი მიწა არ მინდა. ინგურს აქეთ, რაც მიწებია ყველა თქვენი იყოს და ვისაც გენებოთ, იმას მიუბოძეთ. თუმცა მე სულელი რას ვლაპარაკობ. მთელი აფხაზეთი თქვენი საბრძანებლის ქვეშ მომყავს და ინგურს აქეთ გადმოვალ თუ ინგურს იქით, მაგას რა ჭკუა აქვს. როგორც შენ გენებება, მეფევ, ისე მოიქეცი.

— ესე იგი, მიკიბულმოკიბულ ლაპარაკს, რომ თავი დავანებოთ, მეუბნები, სამეგრელოს ერთად შევებრძოლოთ და შუაზე გავიყოთო, — თავისი მახვილი და გამგმირავი თვალებით პირდაპირ შეხედა სოლომონმა ზურაბ შერვაშიძეს, მერე ადგა, მთავრებიც მაშინვე წამოხტნენ, გაიარ-გამოიარა და ცოტახნის დუმილის შემდეგ ისევ შეხედა ზურაბს, მაგრამ მოულოდნელად ქელეშბეგს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— შენ რას ფიქრობ, ხონთქარის ერთგულო?

ქელეშბეგი ეტყობოდა სულ სხვა რამეზე ფიქრობდა და მათი საუბრისთვის კარგად არც კი დაეგდო ყური. მოულოდნელმა კითხვამ დააბნია და არ იცოდა რა ეპასუხნა.

— მე რა მეთქმის, დიდო მეფევ, რასაც ბიძაჩემი ბრძანებს მე იმის დასტურს მოგახსენებთ.

— მაშ თქვენის აზრით, მე თუ როსტომ რაჭის ერისთავი დავსაჯე, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მამულები მიმესაკუთრებინა? მე თუ გურიელს და დადიანს მორჩილებისაკენ მოვუწოდებ, საჭამიასერის გაუვალი ჯაგარი და ქვალონის ხაშმიანი ადგილები კლებია ჩემს გაუმაძღარ მუცელს...

— ღმერთო ძლიერო, მაგას რატომ ნებულობთ... — ზურაბი ხელების სავსავით და მოუთმენელი ფუსფუსით შეეცადა სოლომონისათვის საუბრის კილო შეეცვლევინებინა, — თუ რამე ჩემის უმეცრობით ვერ მოგახსენეთ ისე...

— არა, მე ვიცი, რომ მარტო შენ როდი ფიქრობ ასე, ჩემო ზურაბ. ასე ფიქრობს ყველა. აზნაურს გლეხი მისთვის ჰგონია გაჩენილი ქვეყანაზე თავადს კიდევ აზნაური თავის გლეხიანად მიაჩნია საკუთრება, ხოლო მეფეს ჰგონია, რომ თავადიც გლეხიც და აზნაურიც მის შესაჭმელად შეუქმნია ღმერთს. დიდება მის სახელს, ღმერთმა ადამიანი ქვეყნად ერთნაირი გააჩინა, მაგრამ აზნაური, თავადი ან მეფე მისთვის აამალლა, რომ მათ მფარველობა გაუწიონ, უპატრონონ და მოუარონ თავის ქვეშევრდომებს, შენ სახარებას ზურგი შეაქციე, — მიმართა სოლომონმა ქელეშბეგს და შემდეგ ისევ ზურაბს მიუბრუნდა, — მაგრამ შენ არ დაგვიწყნია და კარგად იცი, რომ საიქიოს დიდი სამსჯავროს წინაშე ყველანი ერთნაირად წარვსდგებით გაკითხვის ჟამს; მდიდარი და ღარიბი, მეფე და ბეჩავი. ამიტომ გვმართებს ამ ქვეყნიური საქმენი ჩვენნი ღვთის ნებისამებრ წარვმართოთ. ქვეყანას უნდა მოვუაროთ, ჩვენი საქრისტიანო სამეფო კვლავინდებურად ფეხზე დავაყენოთ...

— ჩვენც ამისთვის გეახელით, მიიღე ჩვენი ერთგულება და მორჩილება, — დაეშვა მუხლებზე ზურაბი და შუბლი ნოხზე დაკრა.

—:—

დიდი და პატარა ერთმანეთს აღდგომის დღესასწაულივით ულოცავდა შერვაშიძეების შემომტკიცებას. ნადიმს დასასრული არ უჩანდა. მარტო გოგია აბაშიძე დადიოდა მოღრუბლული. შერვაშიძეების სასახლეში მიღების დროს თვალი მოჰკრა, როგორ ხარბად უთვალთვალებდნენ ერთმანეთს ანა და ქელეშბეგ შერვაშიძე. ეს წერა-კითხვის უცოდინარი მწიგნობარ-უხუცესი ელვის სისწრაფით შეიპყრო ეჭვია-

ნობის გრძნობამ. სიბრაზისაგან ხანჯლის ტარი კინაღამ გადაიმტვრია.

— უყურე ახლა ამას შენ! — იძახოდა გოგია და ყოველ შემხვედრს ქელეშბეგზე უთითებდა, — რას იჯგიმება, რომ იჯგიმება. თათრად რომ მონათლულა, იმით გვაწონებს თავს? ქალი აღარ გაუშვა თვალებით შეუჭმელი. ხომ არ უნდა, ანდერძი ავუგო?

მერე დრო იხელთა და სოლომონს სიტყვა ჩამოუგდო, რავა ფიქრობთ, ბატონო, ღირს ახლა მაგ შერვაშიძეებს ამდენს რომ ვალაპარაკებთ, განა დრო არ არის მოვუაროთ მაგათაც და მაგათ მამულებსაც.

მეფემ ისე გადაუბრიალა თვალები, რომ გოგიას შიშით კინაღამ გული გაუსკდა. „ამ მეფეების ვერაფერი გავიგე, — ამბობდა გოგია თავის გუნებაში, — გგონია, ვაამებო და გული მოდის. რა ვუთხარი ახლა მაგას ასეთი“. ხასიათ წამხდარი მოცილდა სოლომონს და ამის შემდეგ აღარ იცოდა გულისჯავრი ვიზე ეყარა.

მეორე დღეს მან კიდევ რამდენჯერმე მოჰკრა თვალი ანასა და ქელეშბეგს, როდესაც ისინი თავაზიანად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. გარეგნულათ ამაში არაფერი არ იყო საზრახი, მაგრამ ეჭვით შეპყრობილი მამლაყინწა მამაკაცისათვის ესეც საკმარისი იყო, უდიდესი აღშფოთება გამოეთქვა.

— რას გავს ეს, შენი ჭირიმე. ამ გათათრებულს ქალი კი არა, კაციც რომ დაელაპარაკოს, მაშინვე აიაზმა უნდა ისხუროს და ქალები რამ გადარია. ეს დავით ბატონიშვილის მეუღლე მაკვირვებს, თქვენ ნუ მომიკვდებით. ნათესავი მაგ არ არის მაგისი და ნაცნობი. რას ეკურკურება, თუ მაგას ცუდი რამე არა აქვს გუნებაში.

მერე ბესიკს ეცა, განზე გაიხმო და გამოკითხვა დაუწყო:

— შენზე ამბობენ, ძაგ ანას ამბავი თუ ვინმემ იცის, მაგან იცისო. დედამამას გაფიცებ, მითხარი, მაგ ქალი ნაზრახი ხომ არ არის.

— მაგას რად ბრძანებთ? — გაოცდა ბესიკი.

— აბა ამ გათათრებულ ქელეშბეგს რომ სადაცაა მუხლებში ჩაუჯდება, რამ გადარია. ნამეტანი უწესოდ იქცევა.

ამ შენიშვნამ ბესიკიც შეაკრთო და ეჭვიანობის გრძნობამ მწვავედ გაკრა გულში. მართალია, სამგზავრო სამზადისით იყო გართული და არა თუ ანას და ქელეშბეგის ტრფიალებისაკენ ეცალა, რომ ეთვალთვალებინა, მერვაშიძეთა სტუმრობით ატეხილ აურზაურისთვისაც კი არ მიუქცევია დიდი ყურადღება. ახლა კი აბაშიძის წასისინებამ გაახსენა, რომ იმ მომხიბლავ არსებას, რომელმაც მის გულში კვლავ სიყვარულის ცეცხლი ხელახლა ააგიზგიზა, დიდის ხნით უნდა განშორებოდა.

უნდა განშორებოდა ერთი წლით, ან წლინახევრით, იქნებ სამუდამოდაც. მაგრამ ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგია და უკვე მისი სატრფო ქელეშ ახმედ ბეგ შერვაშიძეს დაფარფატებდა თავზე ფარვანასავით.

გუნება წამხდარს კარგახანს კრინტი არ დაუძრავს.

— ასე რავა წაგიღო, ბატონო, ფიქრებმა. ერთი ხუთჯერ გკითხე რალაცა და პასუხი არ გვაკადრე? საწყენი ხომ არაფერი მითქვამს?

— არა, რასა ბრძანებთ... ჩემი დარდი მაწუხებს შორი გზა მაქვს გასავლელი. — იცრუა ბესიკმა და გოგიას განშორდა. სამდივნოს მიაშურა, იქ დავით კვინიხიძესთან უნდა ეთათბირა, თუ რა გზით უნდა ევლო. ანაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა, გული უსიამოდ ეკუმშებოდა, მაგრამ თავს ებრძოდა და გუნებაში გადაწყვიტა. ჩქარა გადგომოდა გზას. დაე, მანძილს კვლავ გაექარვებინა ეს ამლილი კაეშანი.

ის იყო სამდივნოში უნდა შეებიჯებინა, რომ კარებში სადუნა დაეწია და ყურში წაჩურჩულა:

— ერთმა კაცმა საიდუმლოდ დამაბარა შენთან, ჩემო ბატონო, შენი ნახვა მინდაო.

— ვინაა?

სადუნამ იქითაქეთ მიმოიხედა.

— ასე მითხრა, თუ გკითხოს, ნურაფერს ეტყვი. მხოლოდ ჩემთან წამოუძეხიო.

— წადი და ასე უთხარი, თუ ჩემთან საქმე აქვს, თითონ მოვიდეს. — გულმოსულად მიახალა ბესიკმა და წასვლა დააპირა, მაგრამ სადუნამ გზა გადაუჭრა:

— სახუმრო საქმე არ უნდა იყოს, შენი ჭირიმე, და გულისმოსვლას რაზე

ნებულობთ. წამობრძანდით, შორს კი არაა, ორი ნაბიჯი არ იქნება იქამდე.

— ბიჭო, რას ამეკვიატე აბეზარი ფუტკარივით. შენთვის მცალია?

— რა მითხრა იცი? ერთ ოქროს გაჩუქებ, თუ იმას მომიყვანო. ოქრო, შენი ჭირიმე, ერთხელ მეფეს დავუნახე ხელში და თვალი კინაღამ მომჭრა. ალბათ რაღაცა დიდი საქმე აქვს, თორემ ამისთვის ოქროს რავა გაიმეტებდა. ქენი მადლი. წამომყევი, შენთვის დიდი გარჯა არ იქნება და მე ქე დამსახლებ. შენი კეთილი გულის ამბავი რომ ვიცი, ამაზე უარს რავა მეტყვი. დასაკარგავში მოგყვები და...

— კარგი, წამოვალ, გამიძეხ! — ბესიკს ახლა ცნობისმოყვარეობა აღარ აძლევდა მოსვენებას. მას ვერ წარმოედგინა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ის კაცი, ან რა საქმე უნდა ჰქონოდა ისეთი, რომ მისი მიყვანისათვის სადუნას ოქროს ფულს აძლევდა.

სადუნა წაუძღვა და მალე ორივენი ჯაჭვის ხიდთან, იმ უბანში აღმოჩნდნენ, სადაც უმეტესად ქართველი კათოლიკენი სახლობდნენ, რომელთაც ადგილობრივნი ფრანგებს უწოდებდნენ. ორთავემ გაიარეს ვიწრო და მტვრიანი ქუჩა და კათოლიკურ ეკლესიის გვერდით პატარა ქოხს მიადგნენ. სადუნამ დაუკითხავად შეაღო ქოხის კარები და ბესიკს თვალით ანიშნა მომყევიო.

ოთახში მათ წვერულვაშ გაპარსული მამაკაცი დაუხვდათ, რომელმაც სადუნას მაშინვე გაუწოდა დაპირებული ჯილდო და უთხრა, რომ შენ საჭირო აღარა ხარ, შეგიძლია წახვიდეო.

სადუნა ოქროს ფულის თვალიერებით გავარდა გარეთ და კარის ზღურბლზე ისე წამოკრა ფეხი, კინაღამ ცხვირპირით ძირს დაენარცხა.

სახლის პატრონი მოუბრუნდა ბესიკს და თავაზიანიათ თხოვა, რომ დამჯდარიყო.

— მე მისიონერი ფრანჩესკო ვარ. ალბათ გაგიგონიათ ჩემი სახელი.

— ფრანჩესკო? — შეკრა კოპები ბესიკმა, — რაღაც არ მახსოვს.

— სულ არ გახსოვს? საკვირველია. განა ლეონ ბატონიშვილს თქვენთვის...

— აჰ, როგორ არა. მახსოვს, — შეაწყვეტინა სწრაფად ბესიკმა და ფრანჩესკო გულდასმით შეათვალიერა, — მახსოვს.

— განა დავალებებს ასე სწრაფად ივიწყებთ, ყმაწვილო კაცო? მე გუშინ ჩამოვედი თბილისიდან, ბატონიშვილმა ლეონმა...

— როგორ ბრძანდება მისი ბრწყინვალება? — ისევ შეაწყვეტინა ბესიკმა, — გავიგე ცოლი შეურთავს.

— ძალიან გვიან კითხულობთ მის ამბავს. ისე გაჯავრებულია თქვენზე, რომ ძალიან მეეჭვება მისი გული მოიგოთ. ბატონიშვილმა ინება ეს ბარათი თქვენთვის გამოეგზავნა, მხოლოდ ერთის პირობით, წაიკითხავთ და ისევ დამიბრუნებთ.

ბესიკმა აკანკალებული ხელით გამოართვა ბარათი, ლუქი ააგლიჯა, ჩალათა გახსნა და ოთხადმეკეცილი წერილი გაშალა.

„მე ბატონიშვილმა ლეონმა, შენ, სასიკვდილოდ განწირულს, თავმოსაკლავად გამზადებულს სიცოცხლე გიწყალობე. ნუთუ დაგავიწყდა, რომ შენი თავი მე შეკუთვნის. ერთ წელზე მეტია, რაც აქედან გარდაიხვეწე და შენგან ერთი ფოთლის ოდენა ფარატინა ბარათიც კი არ არის. რაკი მდივანმწიგნობრობა გიწყალობეს, სამეფო კარზე დიდის პატივით მიგიღეს, ყოველივე დაგავიწყდა? ან იქნებ ფიქრობ, რომ სამშვიდობოს გახველ და ან მამაჩემი ან მე, თუ მოვისურვებთ, ვერას დაგაკლებთ. ერთი რომ ხმამაღლა ვთქვა, ბესარიონ გაბაონი ჩემი მსტოვარი არის მეთქი, მაშინვე ჩვენს კარზე მოგზავნილი იმერთა მეფის აეშაგი ყოველივეს აცნობებს სოლომონს და შენი თავი რიონში მოადენს ტყაპანს. გამიგონე, სულელო, ცოტა ჭკუა უნდა მოიკრიბო და თუ ჩემი სიყვარული მთლად არ ამოგირეცხია გულიდან, ჭკუით მაინც უნდა გაჭვრიტო ყოველივე. რაკი მეფეთა ბადეში გაეხლართე, ტყუილია, აგრე ადვილად თავს ველარ დაიხსნი. წვრილად მომწერე ყოველივე, ან თუ რა გაიგე ახალი, რაც ჩვენ არ გვსმენია, ან რას თათბირობდა მეფე თავის დიდებულებთან. იცოდე, ყოველივე ესე ამბავნი ისე უნდა მომწერო, ვითომ მე უნდა მსმენოდეს. რას უპირებს მეფე თავის ძეს ალექსანდრეს და განდგომილ დიდებულებს. ჰაი დედასა, როგორც თვალი შორს, ისე გული შორსო, იტყვიან, და ეს შენზეა ზედგამოჭრილი. ჩვენ კი მრავალჯერ გინატრეთ. რომ ჩვენს

დარბაზში შენი სიმღერა არა გვსმენია. დავითმა და თამარმა სალამი და მრავალი კარგი მოკითხვა შემოგითვალეს. ჭაბუა დადის და სულ იმას გაიძახის, ბესიკი მე შევავედრე ბატონსაო. ჯადო ხომ არ აჭამე, სულ შენ ქებაშია იცოდე, ბეჯითად იყავ და ბარათი მალე მომწერე, თუ არა გსურს მართლა რომ აგისრულო დანაპირები".

ბესიკს თავბრუ დაახვია ამ წერილმა. ლეონი, მართალია, გაგიჟებით უყვარდა და იმისთვის თავსაც კი გაწირავდა, მაგრამ მისმა ამ თავისებურმა ქედმაღლურმა უტიფრობამ, ცოტა არ იყოს, კიდეც გააბრაზა.

იმასაც კი ამადლიდნენ, რომ ამ ქვეყნად ცოცხალი დადიოდა.

რისთვის? რა დანაშაული მიუძღოდა მათ წინაშე? თითონვე ბრალი დადეს, სრულიად უდანაშაულო ციხეში ჩააგდეს, სიკვდილით დასჯა დაუპირეს და ახლა ეუბნებიან, რადგან სიცოცხლე გიწყალობეთ, შენი თავი ჩვენ გვეკუთვნისო.

რადა? რისთვის? რა უფლებით?

ბაგრატიონთა გვარის თითოეულ წარმომადგენელს რომ ჰკითხო, ყოველ მათგანს თავი ქვეყნის მზრუნველად და უანგარო მსახურად წარმოუდგენია. ნამდვილად კი ყველანი მზად არიან ერთმანეთიც შეჭამონ, ხალხიც და ქვეყანაც.

ფიქრებში წასული ბესიკი კარგა ხანს სდუმდა, მერე თავი აიღო, ფრანჩესკოსთვის არც კი შეუხედავს, თითქოს სივრცეს ელაპარაკებოდა ისე წარმოუდგენა.

— როდესაც საჭირო იქნება, ყოველივეს ვაცნობებ ბატონიშვილს. შეუთვალე, რომ დავალება არ დამიწყებიათქო. აგვისტოს ბოლოს მოსდოკს ქაცი წარგზავნოს ან თუ თითონ ინებებს წაბრძანებას, კიდევ უკეთესი. მე გზად გავიცლი და დამიხვდეს. თუ გავასწარი, ჩემი ბრალი არ იქნება.

—:—

ბესიკი ისე გაემგზავრა ქუთაისიდან, რომ მეფისა და შინაურების გარდა მისი წასვლა არავის გაუგია. დილით კარგა გათენებულიც არ იყო, რომ ის, და მისი მხლებლები შესხდნენ დახურჯინებულ ცხენებზე და ნაქერალას ქედისაკენ გაყვნენ გზას. წინადამეთ ბესიკი კვლავ გამოიძახა მეფემ. მათ საუბარს არავინ არ დასწრებია.

მეფის ბრძანებით ბესიკს ... ნაცვლად სულ უკანასკნელი ათი კაცი მაინც უნდა წაეყვანა მხლებლად. სოლომონის აზრით ასე შორ გზაზე მიმავლისათვის მცველად და ამბის წამომღებად ესეც კი ცოტა იყო, გარდა ამისა იმერთა მეფეს არ შეეფერებოდა ასეთი მცირე ამალა ეახლებინა გზაში თავის კაცისათვის. რას იფიქრებდნენ ის მთავრები, ან მებატონეები, რომელთა საბრძანებელზე უნდა გაევლო ბესიკს და მერე, რაც მთავარია, არც სპარსეთის ყაენის თვალში ვარგოდა დაკნინებულად გამოჩენა. გარდა ამისა სოლომონს სურდა უცხო ქვეყნების მოვლაში რაც შეიძლება მეტი ხალხი გამოეწაფა.

ბესიკი იძულებული გახდა იმ წამსვე შედგომოდა თადარიგს. მან განზრახული თანამგზავრების, დათუკა გძელიძისა და სადუნას გარდა, თავის მოხელენი ლევონტი ნიჟარაძე, ივანე ამირანაშვილი და დავით ლაშხიშვილი აირჩია წასაყვანად. ამათ კიდევ თავისი მსახური და მზარეული, მეგრელი ივანე მიუმატა. ამ ექვსი კაცის გარდა ასე სახელდახელოდ შეუძლებელი გახდა კინმეს მოეძებნა. ესენიც ისე შეაშფოთა ბესიკის წინადადებამ, რომ არც ერთ მათგანს დანა კბილს არ უხსნიდა. მარტო დათუკა გძელიძე იყო არხეინად და ღიმილით ეკითხებოდა ყოველ მათგანს:

— რა მოგვიდათ, კაცო, აბა ჩვენ რალა უნდა გვეთქვა?

ივანე ამირანაშვილს მოწყენილი მამალივით ჩაემალა თავი მხრებში და ბიბილოსფერად აღაფღაფებული შუბლი და ღაწვები სიმწრის ოფლით დაცვარდა. ლევონტი ნიჟარაძე გალიაში დამწყვდეულ მელასავით წრიალებდა და წამდაუწუმ იმეორებდა:

— ქვიტირში ვერ ჩავსულვარ ქუთაისიდან და სპარსეთის მომვლელი ვარ მე? მეტი არაა შენი მტერი.

დავით ლაშხიშვილი ჩუმად იყო. ხანდახან უცნაურად აიქნევდა მკლავებს, ბატი ან იხვი რომ ფრთებს ისწორებს ისე, და ასევე ბატივით წამოიყვირებდა:

— ვაი ჩემს თავს, ვვაჰ, ვაჰ, ვაჰ!

ამ ქოთქოთში რომ იყვნენ, სამდივნოში სადუნამ შეიხედა, სათითაოდ გა-

დახედა ყველას და გაოცებით წამოიძახა:

— დედაია, მე მგონია სიხარულით ფერხულს უვლიანთქო და ამათ რა ამბავი ჰქონიათ აქ! ესაა თქვენი აზნაურიშვილობა? არავინ დაგინახოთ, თორემ ხომ მოგეჭრათ თავი. წადით ახლა, თუ რამე გაქვთ ბარგი ან ხორაგი, ჩაწყვეთ ხურჯინებში, ხვალ დილას უთენია გავუდგებით გზას.

— წადი, ჰო, ისე იძახი თითქო ქორწილში მეპატიჟებოდე, — შეუყეფა დავით ლაშხიშვილმა და მხრები აწურა.

— აბა მე რაღა უნდა ვთქვა? — შეედავა სადუნა.

ახლა ლევონტი ნიჟარაძე აფეთქდა:

— დაიკარგე აქედან... დდ... — ეს სიტყვები მან თითქმის უხმოვნებოთ წარმოსთქვა და კაცი იფიქრებდა ენა დაებაო, — შენ რა გაწუხებს, სახლი თუ კარი, ცოლი თუ შვილი. დადიხარ, დაეთრევი (აქ ერთი უხრდელი სიტყვაც მიაყოლა), და სადარდებელი რა გაქვს.

მიუხედავად ამისა ყველანი მაინც იძულებული იყვნენ ბედს შერიგებოდნენ და თადარიგს შედგომოდნენ. ამოიღეს სკივრებიდან თავისი საკაიდღეო ტანსაცმელი და ჩაალაგეს ხურჯინებში. ზოგი ხორაგს დაეხარბა და ჭამისმოყვარულმა ივანე ამირანაშვილმა ისე მოპირა საგზლით თავისი ხურჯინი, რომ ორმა კაცმა ძლივს გადაკიდა უნაგირზე. მარტო ლევონტი ნიჟარაძე არ ზრუნავდა არაფერზე. მას, რაც ტანზე ეცვა იმის გარდა, არც საშინაო გააჩნდა ტანსაცმელი, არც საგარეო. სურსათისათვისაც ხომ სულ არ შეუწუხებია თავი. მას ერთი თათრული ფარა არ შეუტანია სახლში, მთელ თავის ჯამაგირს სულ სამიკიტნოებში ხარჯავდა და აქამდე თითონაც ვერ გაეგო, მისი ცოლშვილი რითი ირჩენდა თავს. ამიტომ, რაც არ ეგულებოდა სახლში, რა უნდა მოემზადებია წასაღებად. ერთი გაცვეთილი ნაბადი ინათხოვრა მეზობლისგან, კოხტად დაახვია და უნაგირს მიაკრა თასმებით. ეს იყო და ეს.

გამგზავრების წინ დავით ყვინიხიძემ დაწვრილებით აუხსნა ბესიკს, თუ რა გზით უნდა გადასულიყვნენ კავკასიონის ქედზე და რუქაც კი გაატანა, ამ რუქაზე ყოველივე დაწვრილებით იყო აღნიშნული.

მართალია, ძალზე ადრე გაუდგნენ გზას, მაგრამ აგვისტოს ცხელი ღამე ოდნავადაც არ განელებულიყო. — სანამ ნაცნობ გზას გაივლიდნენ და გელათს გასცილდებოდნენ, ბესიკს აბეზარი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ. მას განუწყვეტლივ უტრიალებდა თავში ლეონის მონაწერი ამბები, ადარდებდა ანასთან განშორება, რადგან საშინი მეტოქე აპირებდა დაუფლებოდა ამ ქალის გულს. პირველ ხანებში ბესიკს არაფერი არ ახალისებდა. არც ფუნჩულა ღრუბლით მოფენილი საოცრად ლურჯი ცა, არც ტყეთა მწვანე კრაველით გადახუჭუჭებული გორაკები, არც მოშრიალე სიმინდის ყანები. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც გელათს გასცდნენ. აქ ერთს ადგილს სადუნამ შეაჩერა და აჩვენა მიწის წიალიდან გლეხი ოსტატები გიშერს როგორ თხრიდნენ.

— ა, ბატონო, ასე ამოდის მიწიდან ეს, — უხსნიდა სადუნა, — ამას ახლა გაახვევენ აყალო მიწაში, რომ სულნედლად იყოს და თვლების გამოჩარხვას, ან ძვირფასი ნივთის გამოთლას რომ შეუდგებიან, მაშინ შემოაცლიან აყალოს და ისე გათლიან. თუ გაშრა, მერე ამისგან ვერაფერს გააკეთებენ. იფშვნება. ისე კი მართლა კარგი რამე კეთდება. ბეჭდის თვალი, კრიალოსანი, მძივები, ხატ-ჯვარი, რა გინდა რომ ამისგან არ კეთდებოდეს. ჩვენ რომ ერთი ხურჯინი აგვკიდეს, ხონთქართან, მისართმევი, ამათი ნაკეთებია სულ. ახლა, ამის ზევით რომ წავალთ, ნაქერალის მთის ძირში, იქ ამისთანა ქვა გორებათაა სულ, მარა გიშრად არ ითლება, ქვანახშირს რომ იტყვიან, ისაა. მოშენდა ღმერთო. ქვას ცეცხლი ეკიდება! ნამეტნავი კაი სანახავია. რაფრად გოუჩენია ღმერთს ეს ქვეყანა, დიდება, შენდა ღმერთო. ქვას ცეცხლი ეკიდება! მარა ისიც მინახავს, შენი ჭირიმე, მიწიდან წყალი გამოდის და იმასაც ცეცხლი ეკიდება. ზემოთკენ, საწერეთლოშია ერთ ალაგას. მარა კიდე უფრო საკვირველი ამბები გითხრა. კაცხში ერთი ადგილია, კლდიდან წყარო გადმოქუხს. მიუდგამ კალათს და აივსება თევზებით. ერთი, ჩვენსკენ რომ ვიქნებით, შენი თვალით უნდა გაჩვენო. ნამეტანი საკვირველი რამეა. ახლა ჯიდევ, ნაქერალას რომ ავითავებთ და შაორის მინდვრებზე გავალთ —

დედა, რა ადგილებია — იქ ერთი ადგილია, მდინარე მიდის და უცბად იკარგება მიწაში. ერთი ასეთი მდინარე ახლა აქეთ გვრჩება მხარმარჯვნივ, ძევრს ეტყვიან, ქე გინახავთ ალბათ საწერეთლოდან, რომ მობრანდებოდით ქუთაისში, აქედან მიდის, მიდის ეს წყალი, უცბად მიებჯინება კლდეს და იკარგება. მერე ამ კლდეს რომ გადაივლი და ქედის გადაღმა დაბლა დაეშვები, იქ გამოქუხს კლდიდან, მარა რაფერ!

სადუნა ყბამოუღლელად ლაქლაქებდა. ხანდახან თავგაბეზრებული დათუკა, რომელიც იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას, დატუქსვით ეტყოდა ხოლმე თავის თანამგზავრს:

— ნუ წაგვჭამე, ბიჭო, ყურები, სულ შენ უნდა ილაქლაქო ამ გზაზე? იქნება ჩვენც გვინდა ვთქვათ რამე.

— თქვი მერე, მე გიშლი თუ? — შეუტევდა სადუნა თავის თანამგზავრს, — მეტი არაა შენი მტერი, შენ ხმისამომღები არ იყო. მუნჯის ჯიშის ხარ. თუ გინდა დასაჯო ვინმე, შენთან უნდა დაბა. ერთ თვეში თავს მოაკვლევინებ კაცს. ღულაძის ბებერი ხარივით ხმას არ ამოიღებ. ბესიკს ვენაცვალე, ტყუილს ვამბობ?

— ილაპარაკე სადუნა, ილაპარაკე, — გაამხნევა ბესიკმა, — მხოლოდ ეცადე მთლად არ დაიხარჯო. იმოდენა გზა გვაქვს გასავლელი, რომ ვაი თუ ალარ გეყოს სათქმელი.

რაც უფრო შორს მიდიოდნენ, ბესიკი გრძნობდა, რომ მის გულს სულ უფრო და უფრო შვება ეძლეოდა. ახალი ადგილები, უჩვეულო სანახები, სტუმართმოყვარე მასპინძლები, თანდათან უქარვებდნენ მოზღვავებულ მძიმე ფიქრებს. გზაზე, მოსახლეობა დიდის მოწიწებით ეგებებოდა მათ და ყველგან ერთი და იგივე გაისმოდა: მეფის კაცები მოდიანო. მთელი სოფლები გამოდიოდა შარაზე, თეთრწვერა მოხუცები, დედაკაცები, ფეხშიშველა და ცხვირმომუზრული ბავშვები, ყველანი გამორბოდნენ. ზოგი ყორეს ეფარებოდა, ზოგი გზაზე თამამად გადმომდგარიყო და ხარბად ათვალიერებდა ამ თვალისმომჭრელად ჩაცმულ-დახურულ უცხო მგზავრებს. ახალგაზრდა გოგოები ხმამაღლა და დაურიდებლად გამოთქვამდნენ თავიანთ აღტაცებას ამ უცხო და ლამაზი მამაკაცების დანახვაზე: „გოო.. შეხედე, მავია მარა ცეცხლს რე წაგიკიდებს იმისთანაა“. „პელა, პელა ხედავ ემ ხუჭუჭთმიანს? არ გინდა ემან რომ შოგიტაცოს?“ „ემ ნასუქ ქოსმენას დამიხედეთ, რანაირი თვალით გვიყურებს. მტერს ემის ცოლობა. გინდა ხე დაგცემია თავზე, გინდა მაგ“.

განსაკუთრებით მოხიბლა ბესიკი რაჭის წარმტაცმა ბუნებამ. ჯერ შაორის მინდვრებზე მობიბინე ყვავილნარმა, მერე რიონის ხეობამ, ხოლო ხიდიკარის ვიწრო დერეფანმა და კლდეებზე მიშენებულმა სადარაჯო კოშკებმა დარიალის ხეობა მოაგონა; ბარაკონის დიდებულმა ტაძარმა კი განაცვიფრა თავისი მშვენებითა და სიდიადით. არ მოელოდა, რომ ამ უდაბურ მთებში სამთავისის, ან მცხეთის ტაძრის ბადალს ნახავდა. დაათვალიერა როსტომ ერისთავის გავერანებული სასახლე და ციხეკოშკები. უჩვენეს, თუ სად დაურბოდა ამ ზვიად მთავარს ირმის ჯოგები, ან სად ჰქონდა გამართული სტამბა, ან რომელ კოშკში ჰყავდა ჩაკეტილი თავისი ხასა, რომელიც იაშვილს წაართვა და მერე ცოლად შეირთო. როსტომის სახლს რომ აწიოკებდნენ, სოლომონის ჯარისკაცებმა ფეხით ათრიეს ეს ფეხმძიმე ქალი და უბედური მაშინ მუცელს გადაჰყვა.

ონში და შემდეგ დაბა უწერაში, ეს უკანასკნელი რიონის ორივე მხარეს იყო გაშენებული, ბესიკს უჩვენეს ადგილი, რომელსაც სასუნებელს უწოდებდნენ. მიწიდან თბილი ჰაერი ამოქშუოდა ისეთი ძალით, რომ მისი სუნი ცასა წვდებოდა და ძირს აგდებდა მასზე გადაფრენილ ფრინველს. უწერის ზემოთ კი დაანახვეს დიდი ეკლესია სიონი, სადაც მეგზურთა თქმით კამარის ქვეშ თამარ მეფის ნაწნავი ეკიდა.

უწერიდან დაიწყო ნაძვნარები. ამ წარმტაცმა სანახებმა სრულიად დააციწყა ბესიკს წარსული სიმწარენი და მომავალი გზის სიძნელენი. ის ხარბად ათვალიერებდა ყველაფერს. ზღაპრულმა სოფლებმა ჭიორამ და ღებმა, ქვიტკირით ნაგები დუროიანი სახლებით, კოშკებითა და გოდლებით, ხომ აღტაცებაში მოიყვანა.

ღებელები უკვე შეჩვეულები იყვნენ მეფის კაცების შეხვედრას, რადგან მათ ხშირად უხდებოდათ რუსეთში ბი-

ძავალი ელჩების გადაყვანა დიგორში ღების უღელტეხილით. ეს გზა სოფელ ღებთან რიონის ჭალიდან მდინარე ჭიშურას ხეობით მიემართებოდა, ჯერ ტყე-ტყე მიუყვებოდა. იმ ადგილიდან, სადაც ვეძის მძლავრი ნაკადი შადრევანივით ამოქუხდა მიწიდან და კალოს ოდენა მორევს ადუღებულივით აბუყბუყებდა, გზა, ან უფრო სწორად, გასავლელად მიკვლეული გეზი, ვიწრო და ლოდებით ამოხორგილ ხეობაში შედიოდა. აქედან იწყებოდა კირტიშოს დიდი ყინვარი. ამ ყინვარს რომ აითავებდა, მგზავრი, აღწევდა იმ უღელტეხილს, რომელსაც დიგორის მცხოვრებნი ღები-ვცეკს უწოდებდნენ. ამ გზით, დიდის სიფრთხილით, შესაძლებელი იყო ცხენების გადაყვანა, მხოლოდ მგზავრი აუცილებლად ქვეითად უნდა წასულიყო და თავისი ცხენი გამოცდილი მეგზურისათვის ჩაებარებინა. ამიტომ ჩვენი მგზავრები ვეძის წყაროსთან ჩამოქვეითდნენ, წუღამესტები და მაშიები გაიძვრეს, ნაცვლად თომით გატენილი ბანდულები ჩაიცვეს და დაწალიკებით შეუდგნენ მძიმე ალმართს. ცხენები საგანგებოდ წამოყვანილ ჩალვადრებს მიჰყავდათ.

სადუნა ბესიკის უკან მიაბიჯებდა და ხანგამოშვებით კიდევ ახერხებდა ლაქლაქს, მაგრამ, რაც უფრო მაღლა მიიწევდნენ, მით უფრო უკლებდა ლაპარაკს, ხოლო როდესაც ყინვარზე ავიდნენ, პირჯვარი გამოისახა და ძლივს ამოილუღლუღა:

— ეს რა არის, თქვენი ჭირიმეთ!

— რაო, არ გინახავს მყინვარი? — ჰკითხა ბესიკმა.

— ღმერთო, შენ მიშველე. ეს ამდენი ყინული რამ მოაგროვა, მარიობის თვეში ამდენი თოვლი და ყინული ვნახეთქო, ვინ დამიჯერებს.

მერე ნაპრალებს წააწყდა და შიგ რომ ჩაიხედა, გულგახეთქილი უკან გადმოქანდა.

— ხედავ ყინულის უფსკრულს? ამაში რომ კაცი ჩავარდეს, იმას რალა უშველის. ღმერთო, ნუ მიწყენ და შენ თუ ამ სიმაღლეზე ბრძანდები, ის მაინც გამაგებინე, ამ ყინვებში რა გაძლებინებს ნეტავი.

მთელი დღე მიდიოდნენ ქვაღორღით დაფარულ ყინვარზე. ეს ყინულის ვეება მდინარე გველეშაპივით ჩამოწოლილიყო მთებს შორის და თავისი კლანჭებიანი ტორებით თითქოს ჩამოეკაწრა პირქუში ქარაფები. ქვევით კი უნაპირო ზღვასავით გადაჭიმულიყო თეთრი ღრუბელი, ხოლო მწვეროვალებს ეს ღრუბლების ზღვა აქა-იქ თავისი წვეტიანი ეშვებით ამოეჭრათ ქვემოდან. მზე თუმცა ჩასული არ იყო, მაგრამ აღმოსავლეთიდან დინჯად ამოცურებულიყო ყბამოქცეული მთვარე. ამ ზვიადი და წარმტაცი სანახაობით მოჯადოებულმა ბესიკმა უნებურად შეანელა ნაბიჯი და მერე მოხერხებულ ადგილს სიპზე ჩამოჯდა. უჩვეულო სიჩუმე სუფევდა გარშემო. მწვავე სიცივე უკვე მწარედ კბენდა ხელებსა და სახეზე, მაგრამ ბესიკს ეზარებოდა ამ დიდებული სანახაობის მიტოვება. დაწინაურებული თანამგზავრები ეძახდნენ და აჩქარებდნენ, რომ უღელტეხილი დროზე გადაელახათ და ღამის სათევ ადგილამდე მისულიყვნენ. ბესიკი იძულებული იყო დადევნებოდა მათ და ნაბიჯი აეჩქარებინა. თუმცა ამ ლოდებით და ღორღით დაფარულ ყინვარზე არც ისე ადვილი იყო სიარული.

ბოლოს, როგორც იქნა, უღელტეხილი გადალახეს, გადაღმა ყინვარი ჩაიარეს და კლდეებში მოხერხებული ღამის გასათევი ადგილი მოძებნეს. მეგზურებმა მახლობელ ფერდობებზე დეკა აჩეხეს და დიდის გაჭირვებით ცეცხლი დაანთეს. კრუხივით აფხორილი სადუნა პირდაპირ მიმვრებოდა ცეცხლში და ხანგამოშვებით ეკითხებოდა ბესიკს:

— კიდევ შორსაა, სადაც ჩვენ მივდივართ?

ლევონტი ნიკარაძე მხიარულად წკურავდა თვალებს და თუმცა თითონაც საკმაოდ იყო დაღლილი, თავი კარგად ეჭირა და სადუნას დაცინვით უთხრა:

— რა იყო, გაგიჭირდა? ჯერ სადა ხარ, აწი უნდა ვნახო შენი კვნესა. იცოცხლე, ვიჯერებ გულს.

— სულ მოიშალა ეს უბედური სახსრებში, — თავისი უცნაური ყროყინა ხმით დასძინა დავით ლაშხისშვილმა და თან გულიანად გაიცინა. ეს სიცილი ისეთი უცნაური ბგერებისაგან შედგებოდა, რომ ჩვეულებრივი ანბანით მისი გამოსახვა შეუძლებელია.

— მე ახლა მოვიშალე და შენ სულ მოშლილი დადიხარ, — შეუღრინა სადუნამ, — სიცილი იცი მაინც ნამეტანი შნოიანი.

— არ მოგეწონება?

— ხონთქარს გადაუწყვეტია ჩემი ჰარამხანის ქალებს უნდა ვასწავლო დათუნია ლაშხისშვილის სიცილიო და კაცი გამოუგზავნია თარგის გადასაღებად. დამანებე თავი, ბიძია, გირჩევნია. სიტყვას შენ კი არა, მეფის კარის მანხარა ვერ მომიჭრის.

კარგახანს ქილიკობდნენ ასე, მაგრამ დაღლამ თავისი გაიტანა და ნაბადში გახვეულები ყველანი ცეცხლის გარშემო მილაგდნენ. არ ეძინათ მარტო ცხენებს, რომელნიც მადიანად ახრამუნებდნენ მეგზურების მიერ საგანგებოდ დათხრილ ბალახს.

—:—

დილით, როდესაც გაიღვიძებს, ღრუბელი ქვემოდან ზემოთ ამოცოცებულიყო, თითქმის მათ ბანაკს მობჯენოდა, და ახლა მზის სხივებით აბრწყინვებული, ზღვასავით გადაშლილი თვალისმომჭრელად ბზინავდა და ელავდა. მეგზურებმა ცხენებს უნაგირები დაადგეს და ბარგიბარხანა აჰკიდეს.

სადუნამ ჩაფერფლილი ნაღვერდალი მოქექა და ხელები გაითბო.

ის იყო კიდევაც უნდა გადგომოდნენ გზას, რომ უღელტეხილიდან ძახილი მოესმათ. ვიღაც გადმომდგარიყო ქედზე და მთელი ძალლონით უყიოდა მგზავრებს, მოიცათ, მოიცათო.

ყველანი გაოცებულნი შეჩერდნენ და უღელტეხილს ახედეს. უცნობმა იგრძნო თუ არა, რომ მისმა ხმამ, როგორც ეტყობოდა, მგზავრთა ყურამდე მიაღწია, მაშინვე თავგამეტებით დაეშვა თავდალმართში და სულ მალე ბესიკის წინ შეჩერდა. სახეზე ხვითქი სდიოდა და მძიმედ სუნთქავდა:

— რა მოხდა, რა ამბავია? — ჰკითხა ბესიკმა უცნობს. — შენ ვინა ხარ?

— გზირი გახლავარ, შენი ჭირიმე. მეფის იასაულები მოდიან. მე წინ გამომგზავნეს და დამაბარეს, მოგვიცადეთო.

— შორს არიან?

— არა, შორს არ იქნებიან. ახლა კირტიშო ამოთავებული ექნებათ.

— რა გვინდაო, არ უთქვამთ?

— რა მოგახსენო. მეფის ბრძანებით დაგდევნებიან, მეორე თუ მესამე დღეს თქვენ რო წამობრძანებულხართ და დღედაღამე მოდიოდნენ თურმე. ასე ებრძანებიათ, თუ დიგორში გადასული არიან, თავი დაანებეთო. წუხელ დაბრუნებას აპირებდნენ, მარა ჩაფრები აღარ მოეშვენ...

— დიდუ. ვიღაცას იჭერენ, — სწრაფად წამოიძახა გამოცდილმა ლევონტიმ და გამწარებით დაიწყო ულვაშების გრეხა. თვალი მოავლო თანამგზავრებს, თითქოს სურდა გამოეცნო, თუ ვის აპატიმრებდნენ, მერე გზირს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ბარემ გვითხარი, ვის მოსდევენ, დროზე გავიგოთ, რომელია ჩვენს შორის გაწირული.

— რა მოგახსენოთ, მე არაფერი ვიცი. იქნება არც ქე იჭერენ ვინმეს.

— რომელს მოდევენ ნეტავი? — თითქო თავისთვის წაისისინა ლევონტიმ და შეშინებულმა ისევ მიმოიხედა.

— იმან იწუხოს, ვისაც ცოდვა მიუძღვის რამე, — არხეინად ჩაილაპარაკა სადუნამ და ლევონტის დამცინავი ღიმილით გადახედა, — რა მოგივიდა? ფერი მთლად დაკარგე, შენ ხომ...

— გამასხრებ მე შენ! — გაისვა ხანჯალზე ხელი ლევონტიმ და ერთი ნაბიჯი წინ წადგა.

შეშინებული სადუნა ბესიკს ამოეფარა.

— კარგია, გეყოფათ, — მშვიდად მიმართა ბესიკმა ორთავეს, — იქნებ სხვა საქმისათვის დაგვედევნენ. რამ შეგაშინათ.

— არა, ბატონო, — მძიმედ გაიქნია თავი ივანე ამირანიშვილმა, — რადგან ჩაფრები ასე გულმოდგინედ მოგვდევენ, ალბათ დასაჭერია ვინმე.

— რად ფიქრობ?

— დაჭერილს რაც აღმოაჩნდება თოფ-იარაღი, ფული, ტანისამოსიც, ყველაფერი ჩაფრებს ეკუთვნის, იმისთვის გარბიან ასე თავქუდმოგლეჯილი კაცის დასაჭერად. თოფ-იარაღი კი არა, ერთი აბაზის გულისთვის მშობელ მამას დაკლავენ, იმისთანა ძაღლები არიან.

— იქნებ ყველას გვატუსაღებენ? — მწარედ გაიცინა ბესიკმა.

— არა, შენი ჭირიმე, აგრე რომ ყოფილიყო, წინასწარ კაცს არ გამოაგზავნიდნენ.

ბესიკი იძულებული იყო დაეცადა და მოუთმენლად იცქირებოდა უღელტეხილისაკენ. ყველანი გაჩუმდნენ და ეტყობოდა, თითოეული მათგანი გუნე-

ბაში შიშს გაჩიცდიდა. ლეონტი ნიჟარაძე მოუსვენრად წრიალებდა და მიდამოს ისე ათვალიერებდა, თითქოს საჭიროების შემთხვევაში გასაქცევ გზას ირჩევდა. ივანე ამირანაშვილი წამდაუწუმ თავის სქელ გულმკერდს იქექავდა, თან ჩაწითლებული თვალებით უღელტეხილს გაცქეროდა. დავით ლაშხიშვილი გარინდულიყო და ქათამივით ისე ჩაჰკირკიტებდა უზარმაზარ ლოდს, თითქო ამ ლოდის ქვეშ საკენკი ეგულებოდა და ახლა იმის ფიქრში იყო, ეს უზარმაზარი ქვა როგორ აეყირავებინა. დათუკა გძელიძე ხანგამოშვებით პირჯვარს გადაისახავდა და ფშვინვით ისე ამოიოხრებდა, რომ კარგად გამოცდილი ყური გაარჩევდა „ღმერთო, შენ გვიშველე“.

მოულოდნელად გზირმა დაიძახა:

— მოდიან.

ამ დაძახილზე ყველა შეკრთა, უღელტეხილისაკენ გაიხედეს. კარგახნის თვალთვალის შემდეგ, როგორც იქნა, დაინახეს, ჭიანჭველასავით პატარა მოძრავი წერტილები, რომელნიც ერთი შეხედვით საოცრად ნელა მოიწევდნენ წინ. ნამდვილად ისინი საკმაოდ ჩქარა მოდიოდნენ და ხუთმეტიოდე წუთის შემდეგ უკვე ბანაკში იყვნენ. ჩაფრებს წინ კუწუწა აბაშიძე მოუძღოდა, რომელმაც ბესიკს შორიდანვე სალამი მისცა და დაღლილმა ნაწყვეტნაწყვეტად მიაძახა:

— ძლივს არ დაგეწიეთ! ამ ცაში რამ ამოგიყვანათ?

— ეს ვინ არი? — მხიარულად გასძახა სადუნამ და შესაგებებლად გაემართა, მაგრამ სანამ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა, კუწუწამ თვალით ანიშნა ჩაფრებს და ისინიც იმავე წუთში გარს შემოერტყნენ ამ უდარდელ მსახურს.

— ჩე... ჩემთან რა გინდა? — ძლივს ამოილუღლუღა უცბად ფერდაკარგულმა სადუნამ და ბესიკისაკენ გაიწია, თითქოს სურდა ამოფარებოდა, მაგრამ ჩაფრებმა ელვის სისწრაფით აართვეს იარაღი, გახადეს ჩოხა და ამ ბღლაძაბღლუძში ახალუხი სულ შემოახიეს ტანზე.

აღშფოთებულმა ბესიკმა ხმალზე წაისვა ხელი და ჩაფრებისაკენ გაიწია, მაგრამ ამ დროს კუწუწა გადაეღობა და დალუქული ჩალათა გაუწოდა.

— ეს მეფემ გამოგიგზავნა.

ამ უბრალო მოძრაობამ და ბარათის დანახვამ ბესიკი დააბნია. ხმალს ხელი უშვა და რამდენჯერმე ხან ბარათს დააცქერდა, ხან კუწუწას შეხედა, მერე ნელა ჩამოართვა, ეამბორა, თავზე დაიდო და ამის შემდეგ გახსნა.

„ჩვენს სახელოვან დესპანს ბესარიონ გაბაონს მეფე იმერთა სოლომონ მრავალს მოკითხვას მოვახსენებ. ჩვენი ბრძანება არის, თქვენი მსახური სადუნა ამ ჩვენს ჩაფრებს დაატუსაღებინო და თუ მსახური დაგაკლდეს, თან ახლო ეს კუწუწა აბაშიძე და თუ არა, უკანვე გამოგზავნე. მაღალ ღმერთს შევსთხოვ ბედნიერის ფეხით მოგეველოთ ყაენის საბრძანებელი. კიდევ ჩვენი ბრძანება არის, მოზდოკს კარგად გაგვიგო, ვინ იმყოფება ერეკლე მეფის კაცი, ან თუ წასულა ვინმე პეტრებრუხს. კიდევ დადიანის კაცები ხომ არ ყოფილა რუსეთს მიმავალი, ან შერვაშიძის. თუ რამე გაიგო, მაშინვე გვაცნობე“.

ბესიკმა კითხვა დაამთავრა, ბარათს ეამბორა და კუწუწას უთხრა:

— მოახსენე მეფეს, რომ მის ბრძანებას შევასრულებ — და ყოველივეს ვაცნობებ, — მერე სარივით გამხმარსა და უცნაურად აწოწილ იასაულს უბრძანა, — ხელი უშვით ახლავე ტუსაღს. განა გამქცევია, რომ ათი კაცი სცემიხართ!

— მე მეფის ბრძანებას ვასრულებ და შენი რა საქმეა ჩემს საქმეში რომ ერევი, — უზრდელად უპასუხა იასაულმა, მაგრამ სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ბესიკი ერთი ნახტომით გაჩნდა მასთან და სახეზე მათრახი ისე გადააწნა, რომ იასაული იმ წამსვე ჩაიკეცა. ბესიკი გაცეცხლებული მოუბრუნდა ჩაფრებს და ისე დასჭყივლა, რომ შეშინებულებმა მაშინვე ხელი უშვეს სადუნას და დაბნეულებმა აღარ იცოდნენ რა ექნათ. იასაულს შეაცქერდნენ, ის ისევ ჩაჩოქილიყო და გამწარებით ისრესდა სახეს.

— თქვენ მეფის მსახურები ხართ თუ მძარცველები? — უყვირა მათ ბესიკმა, — დაჰყარეთ ახლავე ყოველივე.

დავალებათა შესრულების დროს ჩაფრები დიდი ხანია, რაც შეჩვეულნი იყვნენ ძარცვა-გლეჯას და დამყარებული ადათის მიხედვით ნაძარცვი მათ კანონიერ საკუთრებას შეადგენდა. ამ საზიზღარმა ჩვეულებამ მას შემდეგ

ეჩინა თავი, რაც გამძლავრებულმა, მართლმორწმუნე თურქმა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ადამიანებით ვაჭრობა შემოიღო და საქართველოდან ტყვე ქალვაჟთა წაყვანას შეუდგა. მებატონეები ხშირად მთელი ოჯახით იპყრობდნენ თავიანთ ყმებს, შერისხულ ქვეშევრდომებს ან მტრადმოკიდებულ მეზობლებს და თურქ მოვაჭრეებში ჰყიდდნენ მონებად და ჰარამხანათა დასამშვენებლად. ამ უბედურთა შესაპყრობლად გაგზავნილმა ჩაფრებმა, რაკი იცოდნენ, რომ მებატონენი ჯილდოდ დატუსაღებულთა ქონებას უბოძებდნენ, ისედაც არაფრის მქონე გლეხებს ტანსაცმელსაც კი ხდიდნენ და ასე დედიშობილა მიჰყავდათ ბატონთან. ბევრჯერ უნახავთ ქალაქის ან სოფლის მცხოვრებლებს ხელმეკრული მთლად შიშველი ბანჯგვლიანი ყაზახი, რომელიც ჩაფრებს მიჰყავდათ ხოლმე. ქალებს ის ბედნიერი უპირატესობა ჰქონდათ, რომ ისინი შიშველი ტანის დაფარვას ნაწილობრივ გაშლილი თმებით მაინც ახერხებდნენ და რადგან მათ იშვიათად თოკავდნენ სახეზე ხელების აფარებით იხსნიდნენ თავს სირცხვილისაგან.

მართალია, სოლომონმა ტყვეებით ვაჭრობა სასტიკად აკრძალა და დამნაშავეს თვალის დახამხამებაში გააგდებინებდა თავს, მაგრამ შეპყრობილი ადამიანის გაძარცვა მაინც ჩვეულებად დარჩა და აქამდე ამ წესის აღმოფხვრისათვის, რატომღაც, არავის არ მიუქცევია ყურადღება. ერთხელ თავგასულმა ჩაფრებმა ნიკოწმინდის ეპისკოპოსიც კი ტიტლიკანა წარუდგინეს სამეფო სამსჯავროს. კიდევაც დაცინოდნენ გრძელწვერა მოხუცს, რომელიც სასირცხვო ადგილებს ხელებით იფარავდა და ეუბნებოდნენ: მაგ ხელებით როგორ უნდა შეეხო აწი ბარძიმფეშხუმსო. ამ ამბავმა სოლომონის ყურამდე მიაღწია. მეფემ განიზრახა ამ ჩვეულების აღმოფხვრაც, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. შეუძლებელი შეიქნა ჩაფრების გაგზავნა ისეთ საქმეზე, რაც დაკავშირებული იყო რაიმე ხიფათთან, ამიტომ სოლომონმა ხელი ჩაიქნია და მანდატურთა ამ თავგასულობას ყურადღებას აღარ აქცევდა. ერეკლეს კარზე აღზრდილ ბესიკისათვის კი ეს იმდენად უჩვეულო მოვლენას წარმოადგენდა, რომ ვეღარ მოითმინა და ამიტომაც ასე გაცეცხლებული ეცა ჩაფრებს.

ეს შეჯახება შესაძლებელია სასტლის ღვრით გათავებულიყო, რადგან მეცხვარის ნაგაზებივით დაგეშილი ბრაზიანი ჩაფრების მოგერიება, ან დაშინება ძნელი საქმე იყო, მაგრამ სახეზე გადაწნულმა მათრახმა მოულოდნელად გამოაფხიზლა იასაული. ბესიკის ამ თამამმა შეტევამ ის გავლენა იქონია, რომ იასაულმა პატიება თხოვა მეფის ამ დიდ მოხელეს და თავის ჩაფრებს შეუტია:

— ვერ უნდა გასწავლოთ წესი და რიგი, თქვე მართლა ძაღლებო, თქენ!? უმცროს-უფროსობა არ უნდა იცოდეთ? ხვალ ალბათ მეფესთანაც ასე მოიქცევით. რავა, ეს კაცი გაგირბით სადმე, თუ რამ გადაგრიათ, ყველაფერი რომ შამოახიეთ ტანზე?!

ახლა კუწუწამაც შეუტია და ჩაფრები იძულებული იყვნენ ბესიკისაგან პატიება ეთხოვათ.

გაოგნებულ სადუნას ჩოხა ფეხებთან მიუგდეს, მაგრამ ის არც კი ფიქრობდა მის ჩაცმას. ხან კუწუწას შეცქეროდა, ხან იასაულს და შეშლილივით ერთსადაიმავეს იმეორებდა:

— რა მოხდა ჩემს თავს, ბიჭო, რა მოხდა ჰა! რა მოხდა ჩემს თავს, ბიჭო, რა მოხდა ჰა... რა მოხდა...

ბესიკმა უარი უთხრა კუწუწას თანხლებაზე, შეეცადა სადუნა დაემშვიდებინა, ნურაფრის შეგეშინდებაო და თავისიანებს უბრძანა, გზას გადგომოდნენ. როდესაც თავდაღმართს დაუყვნენ, მათ შორის ივანე მეგრელი აღარ აღმოჩნდა, მიიკითხ-მოიკითხეს, უძახეს და ბოლოს როგორც იქნა გაიგონეს მისი მისუსტებული ხმა. ქვებში ჩამალულიყო და ახლა ამოსვლას ვეღარ ახერხებდა. ამოათრიეს და გარს შემოეხვივნენ.

— შენ რაღამ შეგაშინა? — გაოცებით ჰკითხა ბესიკმა, — ან როდის გაგვეპარე ასე იდუმალად?

— რა ვიცი შენი ჭირიმე. სამეგრელოდან გამოქცეული ვარ და ყველაფერს იფიქრებს კაცი ჩვენს დროში, იქნება ჩემს დასაჭერად მოვიდნენ-თქო...

— შე სულელო, შენი გულისთვის ცხრა მთას გადმოივლიდნენ? ასე როგორ შეგეშინდა? — გაიცინა ბესიკმ.

— მაგას ნუ იტყვი, — ჩაერია ლაპარაკში ლევონტი, — ივანე კი არა, მე რაფერ მეშველა თავისთვის არ ვიცოდი.

— შენ რადა?

— რა ვიცი, რას გაიგებ ამ ჩვენი უკულმართი ცხოვრებისას. კაცის გაფუჭება რავა უნდა გაგეხარდეს, მაგრამ იმ უბედურს რომ ხელი სტაცეს, ცას ვეწიე, გამეხარდა, მე რომ არ დამიჭირეს, დახაშაული კი არაფერი მიმიძღვის, იცის ღმერთმა, მაგრამ სასახლის კარის მსახური ყველაფერს უნდა მოელოდე. მე ვიფიქრე, იმ ჩემი ნათესავი კაცის მერაბ ნიკარაძის გულისთვის ხომ არაფერს მიპირებენთქვა. მე კი არა, არც ერთ ჩვენგანს ფერი აღარ ჰქონდა სახეზე. რა იცი უბედურება სად გაგეხლართება კაცს ფეხებში ეკლის ბარდივით. არ დაგიჭირონ, თორემ დანაშაული კიდევაც რომ არ გქონდეს, მერე მოგინახავენ. ეჰ, წავიდეთ, შენი ჭირიმე, წავიდეთ. ჩვენს გზას ვეწიოთ. ეგ უბედური რაზე გაძაგრეს ნეტავი ის მაინც გამაგებინა.

სადუნას შეპყრობამ ბესიკი ძალზე დააფიქრა. მართალია, გარეგნულად არაფერი შეიმჩნია, მაგრამ გულში ხინჯად გაჰკრა, რადგან ძალზე ცუდად ენიშნა, რომ სწორედ სადუნამ შეახვედრა ის პატრ ფრანჩესკოსთან. ცხადია ის ბიჭი საეჭვო ურთიერთობაში იყო გახლართული და კარგი დღე არ მოელოდა. მეფის ჯალათები მას აკვამებდნენ და ყველაფერს დაამღერებინებდნენ. შეიძლება შემდეგ პატრი ფრანჩესკოც შეეპყრათ, მართალია, ლეონის ბარათი მან ბესიკის თვალწინ დაწვა ცეცხლში მაგრამ თუ წამებაზე მიდგებოდა საქმე, ისიც ბევრ რამეს წამოაყრანტალებდა.

ნისლის ზღვა მაღლა მოიწევდა და ნელნელა სძირავდა მწვერვალებს. ბესიკი და მისი თანამგზავრები დაწალიკებით დაეშვნენ თავქვე და მალე ყველანი ნისლში გაუჩინარდნენ.

ტანსაცმელ შემოფლეთილი სადუნა კი თვალს არ აშორებდა მის ფეხებქვეშ ბორიაყივით ატრიალებულ ნისლს, გუნებაში წყევლიდა თავის ბედს, რომელმაც თანამგზავრებს ასე მოულოდნელად დააშორა და უაზროდ იმეორებდა:

— რა ამბავია, ბიჭო, ჩემს თავზე ეს, რა ამბავია? გამაგებინა ნეტავი.

გაცეცხლებულმა იასაულმა, როგორც კი ბესიკი საკმაოდ შორს დაიგულა, სადუნას ერთი ორი წიხლი უთავაზა და წინ გაიგდო.

— შენი გულისათვის მომხვდა მათრახი. წამოეთრიე და იქ გაიგებ, რა ამბავიცაა შენს თავზე.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

ნაზიმ ჰიქმეთი მოსკოვში

★

ნატრობდა მოსკოვს,
მის ლაქვარდებს სხივით მოქსოვილს,
კრემლის ვარსკვლავებს წმინდა გულით უთვლიდა სალამს.
აი, მოვიდა,
მშობელივით შეხვდა მოსკოვი,
რომლის დიდებაც მას ციხეშიც მატებდა ძალას.

თურქეთი კვნესის,
სულსა ხდიან უოლსტრიტელნი,
დგას დაწყევლილი რეაქციის შავი კედელი.
დრო ახლოვდება,
დამპყრობელებს იმავ ხიშტებით
გულს გაუგმირავს გმირი თავის ბედის მჭედელი.

სიმართლით სავსე ვერ დახურეს პოეტის წიგნი,
ვერ დაადუმეს, ვერ წაშალეს მგზნებარე ლექსი.
ო, ჰიქმეთ,
განა თურქი ხალხის შვილია იგი,
დაბრმავებული, ვინც კორეას ყუმბარას ესვრის?

ო, ჰიქმეთ, ვიცი,
შენი გული რა ცეცხლით იწვის,
იზრდება რისხვა მონობის და შურის მომსპობი.
გწამს, გაიმარჯვებს, ვინც მშვიდობის ალამით იბრძვის
და მანათობლად წინ მიუძღვის შუქი მოსკოვის.

———.———

ბედნიერება

★

ხან ტაში დაიგრიალებს,
წრეს შემოხაზავს არწივი.
ქალთა მზეს ჩამოუქროლებს
პირმშვენიერი ყმაწვილი.
ერთი თუ ბრიგადირია,
მეორე მერგოლურია.
რა მომხიბლავად ცეკვავენ,
რა მომხიბლავად უვლიან.
რომელი რომელს სჯობია,
რომლის შევაქოთ მხარ-მკლავი.
ორივეს ნეფე-დედოფალს
უბრწყინავს ოქროს ვარსკვლავი.
— ილხინეთ, — გრგვინავს თამადა,
უხდება შუბლზე ნახმლევი.
გულუხვი მასპინძლობითა
თავს იწონებენ მძახლები.
ხან როცა შეისვენებენ,
ხმა მინელდება სიმღერის,
სარკმელთან აღუღუნდება
უცებ რადიომიმღები.
მზეჭაბუკები მღერიან,

თუ გაზაფხულის ველები?
მღერიან მოსკოველები,
მღერიან კიეველები.
გრგვინავს რადიომიმღები,
გგონია — ყველა აქ არი,
გგონია — ქორწილს ესწრება:
რუსი, უზბეკი, თათარი.
ხმა მოდის ყველა კუთხიდან,
ათასფერებში გაშლილი,
გუგუნებს გლეხის ოჯახში
მთელი საბჭოთა კავშირი.
წინათ ვინ გაიგონებდა
ამდენ ვაშას და მოძახილს,
ეს როგორ ამაღლებულა
მთიელი გლეხის ოჯახი!
აქებენ, ადღეგრძელებენ
ხალხის შრომას და ბარაქას.
სიმღერა, ბედნიერება
გადადის კარისკარადა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ბაქრაძე
საბჭოთა კავშირის გმირი

გმირთა სისხლით *

★

XVIII

საღამო ჟამი იყო. ბოროვეცში, ჩემი ბინის წინ, რამდენიმე მეთაური ვიდექით და ვსაუბრობდით. უეცრად ჩვენი ყურადღება ტანსაცმელჩამოფლეთილმა, შუახნის კაცმა მიიქცია. მას თან ჩვენი პარტიზანი მოსდევდა, მოგვიახლოვდნენ და ჩვენს წინ გაჩერდნენ.

— თქვენ ვინა ხართ? — შევეკითხე უცხო პირს.

— აქაური მცხოვრები ვარ ბატონო! პოლონელი, ყოფილი პატიმარი,—თქვა ძონძებში ჩაცმულმა კაცმა ისე, რომ ზევით არ აუხედია, — ოცდაცხრამეტ წელში ჯარში გაწვეული ვიყავი და გერმანელების წინააღმდეგ ვიბრძოდი. ამ ბრძოლების დროს ტყვედ ჩავვარდი, მერე იმდენი ვეცადე, ტყვეობიდან გამოვიქეცი. დავბრუნდი სახლში და ოჯახი განადგურებული დამხვდა, დღესაც არ ვიცი, სად არის ჩემი ცოლშვილი. იქნებ ცოცხლებიც აღარ არიან. ახლა მეტი რა დამრჩენია, თუ არა მტერზე შურის ძიება! პარტიზანებთან შეერთება მინდოდა, შემთხვევას ვეძებდი და ამ დროს თქვენმა მებრძოლებმა დამატყვევეს. ამ კაცს კი, — გადახედა მან ჩვენს მებრძოლს, — ვერ ვენდე. დავეჭვდი. არც გამომეტყველება და არც მისი საუბრის ტონი არ მომეწონა. საეჭვო პიროვნებად მივიჩნიე.

— თუ პარტიზანებთან მისვლა გინდოდა, მათი მონახვა არ გაგიჭირდებოდა, — ვუთხარი უცხოს. იგი შტაბში გადავგზავნეთ. თითქმის იმავე დროს მეკავშირეებს ასეთივე ჩამოფლეთილ-ჩამოხეული და უილაჯო კაცი მიეყვანათ შტაბში. ერთი-მეორე რომ დაინახეს, უცხოები შეკრთნენ, დაიბნენ, პირველ წუთებში მათ ძალიან აურიეს. მაგრამ, რა გინდ მზად არ უნდა ყოფილიყო ცრუმოპასუხე, ვერშიგორასთან მაინც არაფერი გამოუვიდოდა, საეჭვო პირების გამოცნობის საქმეში პეტრე პეტრეს-ძე პირველხარისხოვანი ოსტატი იყო. რაც უნდა ოფიციალური დოკუმენტი ჰქონოდა საეჭვო პიროვნებას, პეტრო თითქოს შინაგანი ალღოთი ხვდებოდა ყველაფერს და დაუყოვნებლივ ამხელდა ხოლმე გადაცმულ მტრებს. ასე იყო ახლაც. უცხო პირებს ჯიბეებში ჯარში ნამსახურობის და ტყვეებად ყოფნის საბუთები აღმოაჩნდათ. ვერშიგორამ ეს საბუთები გვერდზე გადადო, და რაკიღა ეჭვი აიღო — უცხოებს ტანსაცმლის ნაკერები დაუხსნა და გაუსინჯა. ორივე ტყვეს ტანსაცმელის ნაკერებში წვრილ-წვრილ მილებად დახვეული ქაღალდები უპოვნა. როდესაც ეს ქაღალდები გაშალეს, მათში გესტაპოს დავალებები გარკვევით ამოიკითხეს. ცხადია, ეს უცხო პირები გესტაპოს აგენტები იყვნენ. საეჭვო არაფერი იყო. გესტაპოს მათთვის ჩვენი შენაერთის მეთაურების დახოცვა დაევალებინა.

— რას იტყვით ახლა, პარტიზანების მაძიებელნო?! — გამანადგურებელი ირონიით შეეკითხა უცხოებს ვერშიგორა.

ტყვეებმა პასუხს დუმილი ამჯობინეს.

საოცარი ის იყო, რომ იმ ღამეს ჩვენმა მზვერავებმა შტაბში კიდევ ხუთი ასეთი პატიმარი მოიყვანეს. ამრიგად, სულ შვიდი ჯაშუში წარსდგა პარტიზანთა სამსჯავროს წინაშე. ერთი მათგანი ვერშიგორამ ბელგარაიაში მდგარ გერმანელების გარნიზონის უფროსს გაუგზავნა. თან წერილი გააყოლა, რომელშიაც პეტრო ასე სწერდა გესტაპოს და გარნიზონის უფროსს:

* გაგრძელება. „მნათობი“ № 7.

„ტყუილად შეიწუხეთ თავი, არაფერი გამოგვიდათ! თქვენ რომ აგენტები გამოგზავნეთ, შვიდივე დავატყვევეთ... მათ ყველაფერი შეგვატყობინეს... ყველაფერში გამოტყდნენ. ერთ აგენტს ამ წერილთან ერთად უკან გიბრუნებთ. ჩვენც მალე გეახლებით: კოვპაკის მთელი არმიით რამდენიმე დღეში ვიქნები ბელგარაიაში, მანდ, ადგილზევე გავერკვევით ყველაფერში, შენაერთის უფროსი“.

ბელგარაიას გარნიზონი ამ წერილის მიღებას ძლიერ შეეშფოთებინა. დიდი და პატარა ყველა ფეხზე დამდგარიყო. მთელი ღამე მაშხალების შუქით ანათებდნენ თურმე ქალაქს.

შემდეგში ბელგარაიას მცხოვრებლებმა სარწმუნოდ გვითხრეს, რომ ის კომენდანტი, რომელმაც ბოროვეცში ჯამუშები გამოგზავნა, საქმის ცუდი ორგანიზაციისათვის გერმანელებმა თითოხვე დახვრიტესო.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ პოლონეთის მშრომელი მოსახლეობა ძალიან მეგობრულად და გულთბილად გვეცქეოდა. ჩვენც ყოველმხრივ ვზრუნავდით ეს კარგი განწყობილება უფრო გაგვემტკიცებინა.

სწორედ იმ ხანებში ჩვენს შენაერთს ქერი და თივა შემოაკლდა. მცხოვრებლებს შევუთანხმდით და ამიერიდან მათგან ვიძენდით ქერს და თივას: რაც ღირდა, იმაზე გაცილებით მეტს ვაძლევდით.

გერმანელებმა ეს რომ შეიტყეს, პირდაპირ ცოფი დაანთხიეს: მათ ველურად გაუსწორეს ანგარიში პოლონელ გლეხებს, არ აპატიეს, რომ ჩვენ ქერსა და თივას გვაწვდიდნენ, ამისათვის მთელი სოფლები გადაწვეს და გადაბუგეს.

გასაგები იყო, თუ რატომ ჩადიოდნენ ამას ჰიტლერელები: მათ სურდათ ისე დაეშინებინათ ხალხი, რომ ჩვენ ახლოსაც არავინ გაგვკარებოდა. მაგრამ ამაო იყო მტრის ცდა.

პოლონელმა ხალხმა ზემოხსენებული რეპრესიების შემდეგ უფრო მეტად შეიძულა გერმანელი დამპყრობლები. მოსახლეობა მზად იყო, თუ კი შემთხვევა მიეცემოდა, კბილებით დაეგლიჯა ისინი. ვერშიგორამ მტრის ვერაგულ საქციელს ასე უპასუხა: დაბეჭდვინა შენაერთის სტამბას ათი ათასობით ფურცლები და სოფლებსა და ქალაქებში გაავრცელა. ამასთან ერთად გავშალეთ ფართო ხასიათის აქტიური მოქმედებაც. შტაბმა შეიმუშავა და გამოსცა ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა თვრამეტი სადივერსიო ჯგუფის შექმნას. სამოქმედო ასპარეზად ავირჩიეთ სოფელ ბოროვეცის მიდამოები. ორმოციდან სამოცდაათი კილომეტრის რადიუსით ამ მიდამოებში რკინიგზის მრავალი კვანძი იყო. ჩვენ მიზნად დავისახეთ მწყობრიდან გამოგვეყვანა ლვოვ-პერემიშლის, ლვოვ-რავა-რუსკაია-რამოსტიეს და ზამოსტიე-რავა-რუსკაიას გზები.

სადივერსიო ჯგუფების ხელმძღვანელებს დავალება მიეცათ: როცა რკინიგზებზე ეშალონებს გაანადგურებდნენ, სამგზავრო დოკუმენტები შტაბში უნდა წარმოედგინათ, შენაერთის შტაბს უნდა სცოდნოდა, თუ სად, რა საქონელით და დანიშნულებით მიდიოდა ეშელონი და ა. შ. სადივერსიო ჯგუფის მოქმედების დაწყების დღედ თოთხმეტი თებერვალი იყო დანიშნული, ხოლო უკან დაბრუნების დღედ შერჩეული იყო ოცი თებერვალი.

პატარა სოფელი ბოროვეცი სამხედრო ცენტრად იქცა. აქ იწერებოდა ბრძანებები პარტიზანთა ჯგუფების საბრძოლველად გაგზავნაზე, აქ იდგა მტრისათვის თავზარდამცემი კოვპაკის სახელობის პარტიზანული ნაწილი. სოფელი ისე იყო გამაგრებული, რომ მტერს შიგ ცხვირის შემოყოფა არ შეეძლო. მარტო სოფელი, კი არა, ირგვლივ მდებარე რკინიგზები და შარა გზებიც საგანგებოდ გვქონდა მოვლილი და დაცული.

შტაბის ბრძანებით, ლენკინის ცხენოსანთა ესკადრონი, სრული შემადგელობით, რკინიგზის ლვოვ-რუდეკიაგელუნსკის გადასარბენზე საგანგებო დავალებით გაიგზავნა. ოთხი ეშელონის განადგურება დაევალა ლენკინს, — ამასთან მას იანუვშკლოს შარა გზა უნდა გამოეყვანა მწყობრიდან, თანაც ავტომანქანების განადგურება უნდა მოეწყო.

ლენკინთან ერთად ჩემი ბატალიონის ერთი ასეული, ჩემი მოადგილის სერდიუკის და ოცმეთაურის ბოკარევის

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲞᲝᲓᲙᲝᲕᲐᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲕᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲡ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲛᲝᲕᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔ, ᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲐᲡᲔᲣᲚᲡ ᲐᲮᲚᲓᲜᲔᲜ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲞᲝᲓᲙᲝᲕᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲔᲪᲘᲗ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲞᲝᲓᲙᲝᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲞᲝᲓᲙᲝᲕᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲛ ᲮᲐᲜᲐᲓ, ᲓᲦᲔ-ᲦᲐᲛᲔ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲗ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲓᲐ, ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲚᲕᲝᲕᲘᲡ ᲞᲚᲐᲪᲓᲐᲠᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲘᲓᲒᲐ. ᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲮᲠᲐ ᲨᲐᲠᲐᲒᲖᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲐᲜᲫᲝ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲕᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ.

ᲚᲕᲝᲕ-ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲖᲠᲓᲝᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲫᲐᲠᲦᲕᲘ ᲘᲧᲝ. ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲘᲢᲔᲗ ᲐᲥᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲔᲭᲠᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲞᲧᲠᲝ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲡᲢᲐᲕᲗᲐᲜ ᲐᲚᲛᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲮᲘᲓᲛᲐ. ᲐᲛ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲘᲧᲝ ᲚᲕᲝᲕ-ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲐᲒᲖᲘᲡ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲐᲓ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ.

ᲨᲔᲜᲐᲔᲠᲗᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲮᲘᲓᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘ ᲘᲪᲐᲕᲓᲐ.

ᲡᲔᲠᲓᲘᲣᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤ ᲛᲔᲜᲐᲚᲛᲔᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲜᲐᲚᲛᲔ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲓᲣᲑᲘᲚᲘᲜᲘ. ᲔᲡ ᲘᲡ ᲓᲣᲑᲘᲚᲘᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲐᲚᲔᲥᲡᲙᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲓᲣᲑᲘᲚᲘᲜᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘ ᲣᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲝᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲩᲔᲜᲘᲐ, ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝᲓ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲣᲚ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ.

ᲮᲘᲓᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲔᲠᲓᲘᲣᲙᲡ ᲡᲐᲕᲘᲡᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲗ, ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ, ᲡᲐᲛᲝᲪᲘ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲕᲚᲝ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠ ᲘᲧᲝ. ᲡᲔᲠᲓᲘᲣᲙᲛᲐ ᲣᲕᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲐᲠᲐ ᲔᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘ. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲑᲘᲡᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲛᲐ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲖᲠᲓᲝᲗᲘ ᲓᲐ ᲑᲘᲜᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲚᲛᲝᲣᲩᲘᲜᲔᲡ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲡᲢᲐᲕᲨᲘ ᲞᲝᲓᲙᲝᲕᲐᲛ ᲓᲐ ᲡᲔᲠᲓᲘᲣᲙᲛᲐ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲐ ᲛᲝᲐᲬᲧᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝ ᲛᲣᲨᲐᲕᲔᲡ. ᲘᲛᲐᲕᲔ ᲦᲐᲛᲔᲡᲕᲔ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲚᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲔᲡᲮᲜᲔᲜ, ᲢᲧᲕᲘᲐᲛᲤᲠᲥᲕᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲬᲧᲘᲢᲔᲡ ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲔᲠᲓᲘᲣᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲓᲙᲝᲕᲐᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲑᲠᲫᲝᲓᲜᲔᲜ, ᲓᲣᲑᲘᲚᲘᲜᲛᲐ ᲓᲐ ᲝᲚᲔᲘᲜᲘᲙᲛᲐ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲐᲨᲘ ᲐᲡᲘ ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲐᲛᲓᲔ ᲢᲝᲚᲘ ᲩᲐᲐᲬᲧᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲘᲓᲘ ᲐᲐᲤᲔᲗᲥᲔᲡ. ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲤᲔᲠᲛᲐ ᲨᲐᲠᲐᲒᲖᲐᲖᲔ ᲓᲐᲔᲪᲐ — ᲒᲖᲐᲖᲔᲪ ᲨᲔᲬᲧᲓᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ.

ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲑᲝᲠᲝᲕᲔᲪᲘᲓᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲝ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲛ ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲐ ᲕᲔᲠᲨᲘᲒᲝᲠᲐᲡ: ᲕᲘᲚᲐᲪ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲘᲡᲐᲝ. ᲞᲔᲢᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲔᲪᲐᲚᲐ, ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲝ ᲯᲒᲣᲤᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲐ.

— ᲮᲕᲐᲚ ᲓᲘᲚᲘᲗ, ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡᲝ,—ᲗᲥᲕᲐ ᲕᲔᲠᲨᲘᲒᲝᲠᲐᲛ. ᲓᲘᲚᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲛᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲞᲔᲢᲠᲝᲛ. ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲐ, ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲡ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲐᲓ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ — ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲭᲘᲠᲘᲕᲘᲗ ᲔᲖᲘᲖᲦᲔᲑᲝᲓᲐ.

— ᲛᲔ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲐ. ᲐᲛ ᲐᲛᲑᲐᲕᲛᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲮᲐᲠᲐ. ᲛᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲫᲐᲚᲐᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲑᲡ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲡ. ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲗ ᲛᲔ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲘᲮᲡᲜᲘᲡ.

ᲨᲢᲐᲑᲨᲘ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔᲜᲘ ᲡᲣᲚᲒᲐᲜᲐᲑᲣᲚᲘ ᲕᲣᲡᲛᲔᲜᲓᲘᲗ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚ ᲛᲝᲮᲣᲪᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲢᲝᲜᲘᲪ ᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲪᲘ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲐ, ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲬᲐᲓᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ.

— ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲐᲜᲓᲝᲗ, — ᲗᲥᲕᲐ ᲛᲮᲣᲪᲛᲐ, — ᲚᲕᲝᲕ-ᲙᲠᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ, ᲒᲝᲠᲘᲜᲔᲪᲡ ᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜ. ᲐᲛ ᲒᲖᲘᲗ ᲦᲦᲔ-ᲦᲐᲛᲔ ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠ-

თულებით დასტობით გარბიან მტრის ეშელონები, ყველა მატარებელმა გორინეცზე უნდა გაიაროს. არა ნაკლები ოცი წუთისა დგებიან ამ სადგურზე მატარებლები. ორთქლმავლები აქ წყალს ღებულობენ, ისეთი მძლავრი წყალთსაქაჩი, როგორიც ეს გორინეცშია, მთელ ხაზზე არ არის. გერმანელებმა კარგად იციან გორინეცის ფასი და ძნიშვნელობა, ამიტომ მას დაბა ლუბაჩევიდან და იაროსლავიდან გამოძახებული მცველებით იცავენ.

მოხუცი ამბობდა, რომ კოშკის და წყალსაქაჩის გაუქმებით შესაძლებელი იქნებოდა მთელი მაგისტრალი მწყობრიდან გამოგვეყვანა.

ავწონ დავწონეთ ყველაფერი და წყალსაქაჩის განადგურება მიზანშეწონილად და დროულად ვცანით. ვერშიგორამ მოხუცს თანხმობა მისცა, გორინეცის წყალსაქაჩი განადგურებული იქნებაო, უთხრა.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ გორინეცის ოპერაციაში მონაწილეობის მიღება მეც მსურს! — განაცხადა მოხუცმა.

— არ დაგწყვეტთ გულს, ესეც ადვილი საქმეა! — უთხრა მოხუცს ვერშიგორამ.

მეხუთე ასეული ლარიონოვის ხელმძღვანელობით და ნაცად მენაღმეების თანხლებით გორინეცის მიმართულებით გაიგზავნა. სამოცი-სამოცდაათი კილომეტრი ჩვენებმა შეუმჩნევლად გაიარეს, პარტიზანებს მოხუცი პოლონელი ახლდა, ის ადგილმდებარეობაში კარგად ერკვეოდა.

ჩვენი პარტიზანები ხუტორ სოვტუსში დაბანაკდნენ. პირველ დღეს ასეულმა სადგურის საფუძვლიანი დაზვერვა მოაწყო.

შუაღამისას გორინეცის სადგური მცირე ბრძოლის შემდეგ ჩვენებმა დაიკავეს. სადგურს გერმანელების ერთი ოცეული და ათი პოლონელი იცავდა. მეტი წილი გერმანელი მცველებისა ადგილზე არ აღმოჩნდნენ, დაბა ლიუბაჩევში იყვნენ წასული.

დატყვევებული მცველები ჩვენმა პარტიზანებმა სარდაფში მოათავსეს. მენაღმე კალნიცკი, რამდენიმე მებრძოლის თანხლებით, სადგურზე დარჩა. ერთი წყება მენაღმეებისა წყალსაქაჩის კოშკის ასაფეთქებლად წავიდა, მეორე წყებამ ლიანდაგი დანაღმა.

ამ დროს ორთქლმავლის საყვირის შორეული ხმა მოისმა. საყვირის ხმის გაგონებაზე სადგურის უფროსმა და მორიგემ ცახცახი დაიწყეს. იცოდნენ ეშელონი აფეთქდებოდა და განადგურდებოდა.

— რა მატარებელია? — შეეკითხა სადგურის უფროსს კალნიცკი.

— რაკოვიდან არის, ბატონო, რით არის დატვირთული არ ვიცი! — ენის ბორძიკით უპასუხა კალნიცკის სადგურის უფროსმა.

— მატარებელი არ შემოუშვათ სადგურში, ჩაკეტეთ ახლავე სემაფორი, გესმის? — მტკიცედ მიმართა რკინიგზის მოხელეს კალნიცკიმ.

— ახლავე, ბატონო, — აცახცახებული ხმით უპასუხა მორიგემ, ის რომელიღაც ბერკეტს დააწვა და შემდეგ ერთ წერტილს ხანგრძლივად დააკვერდა.

საყვირის ხმა უკვე გარკვევით ისმოდა. მტრის ეშელონი სადგურიდან ნახევარ კილომეტრის დაშორებით შეჩერდა და საყვირის ნიშნით გზის გახსნა მოითხოვა. სიმწრის ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სადგურის მორიგეს, ლამის იყო ეს კაცი ატირდა კიდეც.

— როდემდე უნდა იდგეს ეშელონი ჩაკეტილ სემაფორთან? — ამოილუღლუღა მან დაბოლოს.

— ამას ჩვენ გეტყვით! — უპასუხა კალნიცკიმ.

— როდის?

— მოთმინება იქონიეთ!

უეცრად, ორთქლმავლის მახლობლად, ლიანდაგზე მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა. სანახევროდ დაზიანებულმა ორთქლმავალმა ძლივს-ძლივობით შესძლო ახალ ადგილზე გადანაცვლება, ეშელონიც თან გადაიყვანა. სამინელმა პანიკამ მოიცვა სადგურის ტერიტორია, უთავბოლოდ აქეთ-იქით დარბოდნენ სადგურის თანამშრომლები. ეშელონის გადანაცვლების ადგილზე ნელი მოქმედების ნაღმები იყო ჩაწყობილი, ამიტომ ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ნაფოტებად ქცეული რონოდების ნაწილები ბაგა-ბუგით ცვიოდა მიწაზე. ერთი წუთი გავიდა კიდევ და დიდის

სიძლიერით აფეთქდა წყალსაქაჩი და კოშკი.

— ეს მართლაც კარგი საქმეა; ესეც ასე, ჩემი წადილი ხომ განხორციელდა, რაღას იზამენ ახლა ეგ ძაღლისშვილები, მეც ხომ მიძევს წილი ამ ოპერაციის ჩატარებაში, — ჩაილაპარაკა აღფრთოვანებულმა პოლონელმა.

ასე წარმატებით შესრულდა გეგმით გათვალისწინებული დივერსია. ბრძოლის მონაწილენი იმ ღამესვე ყველანი უვნებლად დაბრუნდნენ ბოროვეცში.

მენალმეებმა—დუბილინმა და ლებედევმა რკინიგზის ერთ-ერთ გადასარბენზე გერმანელებს ასეთი ოინი მოუწყეს: დიდი მრგვალი პური დადვეს და დასტოვეს გადასარბენზე. გერმანელების ეშელონი, ავტოურიკის წინამძღოლობით, მიუახლოვდა ლიანდაგს, რომელზედაც პური იდო, როგორც ეტყობოდა ეშელონიდან შეამჩნიეს პური. ავტო-ურიკიდან სამხედრო პირები გადმოეშვნენ და გაოცებულებმა იწყეს პურის თვალიერება, მერე პურს საჩქაროთ წვეტიანი ჯოხებით წრე შემოავლეს და თან წარწერა გაუკეთეს: „ახტუნგ! მინენ!“ (ფრთხილად! დანაღმულია). სინამდვილეში პური დანაღმული არ იყო, გერმანელების ასაფორიაქებლად მიმართა ასეთ ოინს დუბილინმა:

როგორც შემდეგ მზვერავებმა შეგვატყობინეს, ეს პური რამდენიმე დღე იდვა რკინიგზის გადასარბენზე. შემდეგში პურს შორიდან დაუწყეს ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების სროლა და ასე სულ დაფლითეს იგი.

ზემოხსენებული ბრძოლების დროს ორი საუკეთესო ამხანაგი დავკარგეთ: მეავტომატე კომკავშირელი ქალი ტანია განჟასი და უშიშარი ცხრამეტი-ოცი წლის მეტყვიამფრქვევე ჟორა იგნატევი. ტანია და ჟორა მეოთხე ბატალიონში ირიცხებოდნენ. ამ ბატალიონის უფროსი ამხანაგი ტოკარი ჩვენს შენაერთში უშიშარ მეთაურად იყო ცნობილი. მებრძოლებზე იგი ბევრს ზრუნავდა, უფრთხილდებოდა მათ სიცოცხლეს. კრიტიკულ წუთებში ტოკარი არ იბნეოდა, განსაცდელისაგან თავის დაღწევა ემარჯვებოდა.

ამ დადებით თვისებებთან ტოკარს ზოგი ნაკლიც გააჩნდა: ბრძოლის დროს ის ხანდისხან ზედმეტ სითამამეს იჩენდა. სითამამე, როცა ის მხოლოდ გარეგნული, თუ შეიძლება ასე ვთქვას, თეატრალური ეფექტისათვისაა გამიზნული, თუ საქმე ამას არ მოითხოვს — ცხადია, ბრძოლის დროს, ზედმეტია, რადგან ამან შეიძლება ზედმეტი მსხვერპლი გამოიწვიოს.

ჩვენი მიზანი იყო მაქსიმალური რაოდენობით დივერსიების ჩატარება მინიმალური რაოდენობის მსხვერპლის გაღებით. შენაერთში მტკიცე კონსპირაცია გვქონდა: ხშირად ათი დღით ვიყავით დაბანაკებული სადღაც მივარდნილ სოფელში და ეს მეტწილად, მტრისათვის გაუგებარი რჩებოდა. შენაერთის ბანაკის ახლოს დივერსიებს არ ვაწყობდით. დივერსია ცეცხლთან და აფეთქებებთან არის დაკავშირებული. ჩვენ თოფის გასროლასაც ვერიდებოდით დაბანაკების ტერიტორიაზე. ვიცოდით, ხმაურს მტერი უკან მოჰყვებოდა და ძალაუნებურად საკუთარ თავს გავცემდით.

ტოკარი კი ხშირად არღვევდა ამ შესანიშნავ პარტიზანულ ტრადიციას.

როდესაც დაბანაკების ადგილს საბოლოოდ ვტოვებდით და ერთი ადილიდან მეორეზე გადავდიოდით, თუ საჭიროდ დავინახავდით, გამგზავრების წინ ახლო-მახლო ადგილებში სახელდახელო დივერსიებს მოვაწყობდით და თვალს მივეფარებოდით ხოლმე. ერთ საღამოს სოფელ ნუჟანეცკაიას მხრიდან ძლიერი აფეთქების ხმა მოისმა. ნუჟანეცკაიაში ტოკარის ბატალიონი იდგა.

— ნამდვილად ნუჟანეცკაიაში მოხდა ეს აფეთქებაო, — თქვეს გლეხებმა. გამოირკვა, რომ სოფელ ნუჟანეცკაიას მახლობლად ტოკარს რკინიგზის ორი ხიდი აეფეთქებინა.

მალე ისიც სარწმუნოთ გავიგეთ, რომ ხიდების ასაფეთქებლად ტოკარს არავისაგან ნებართვა არ მიუღია, თვითნებურად გაუკეთებია ეს საქმე. ძალზე ეწყინა ვერშიგორას:

— როგორ, ბატალიონის უფროსი, ნდობით აღჭურვილი პირი, აკრძალულ ზონაში, ცხვირწინ გვიწყობს დივერსიებს? დაუყოვნებლივ შეამოწმეთ ფხიზელი იყო, თუ მთვრალი კაპიტანი ტო-

კარი, როცა ბრძანება გასცა ხიდების აფეთქებაზე!

პეტრომ შენაერთის პარტიულ კრებაზე და შემდეგ შტაბის სხდომაზე მკაცრად დაჰგმო ტოკარის საქციელი, შენაერთის ყველა დანაყოფში სათანადო ბრძანება დაიგზავნა. ამ ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ შენაერთის დაბანაკების ახლო-მახლო ტერიტორიაზე ხიდები არ უნდა აფეთქდეს და საზოგადოთ შენაერთის უფროსის განკარგულების გარეშე დივერსია არ უნდა მოხდეს. ამ ჟამად კი წესრიგი დარღვეულია, — აღნიშნავდა პეტრო—ჩვენი დაბანაკების მახლობლად ორი ხიდი აფეთქდა. ამ აქტით საბოლოოდ გაცემულია მტრის მიერ ისედაც ეჭვმიტანილი ჩვენი ადგილსამყოფი ტერიტორია.

ამრიგად, მეოთხე ბატალიონმა, სადაც მეთაურად კაპიტანი ტოკარი იყო, კომისრად — კაპიტანი შუმეიკო და შტაბის უფროსად—ლეიტენანტი სლუნსკი, მოგვცა უდისციპლინობის და უდარდელობის ნიმუში. იმ დროს, როდესაც შენაერთის შტაბი წყვეტდა საკითხს, თუ სად, რომელ ადგილზე დაერტყა მტრის კომუნიკაციებზე, რომ უფრო მეტი ზიანი მიეყენებინა, ბატალიონის უფროსმა ტოკარმა ეს საკითხი თავისებურად გადაჭრა: მან ორი ხიდი თვითნებურად ააფეთქა ბატალიონის ცხვირის წინ. ამ ყოვლად გაუმართლებელმა და უმგვანო საქციელმა თავისი უარყოფითი შედეგი მალე გამოიღო: მეოთხე ბატალიონს მინდობილი დავალებები შეუსრულებელი დარჩა, მტერმა რკინიგზის ყველა ხიდზე გამოიყვანა გაძლიერებული დაცვა, ამას გარდა, ორი ხიდის აფეთქების შემდეგ მოწინააღმდეგემ მოგვაყარა ახალი ძალები და ბრძოლა დაგვიწყო.

ასე ჩაშალა შენაერთის სადივერსიო გეგმა ტოკარის უდისციპლინობამ. მეოთხე ბატალიონის ხელმძღვანელობამ სცადა რაღაც მიკიბ-მოკიბული ახსნა-განმარტებით თავი დაეღწია ბრალდებისაგან: „აუცილებლად საჭიროთ ვცანით ხიდების აფეთქება და სოფელ რუდა რეჟანეცკაიას მტრისაგან საბოლოოდ გაწმენდაო“ — მოახსენა ვერშიგორას ტოკარმა.

ვერშიგორამ კი ტოკარის მოქმედება შეაფასა, როგორც თავხედობა, რომელიც საქმისათვის მავნებელია, ჩვენ სამას ვებრძვით და კვლავაც შეებრძოლებითო.

ვერშიგორას ბრძანებით დაუდევრობისათვის და უდისციპლინობისათვის მეოთხე ბატალიონის მეთაურთა შემადგენლობა მთლიანად მოიხსნა. კაპიტანი ტოკარი გადმოყვანილი იქნა ჩემთან პოლიტხელად, კაპიტანი შუმეიკო დაინიშნა მეოთხე ბატალიონის უფროსის მოადგილედ დაზვერვის დარგში, ხოლო ლეიტენანტი სლუნსკი გადაყვანილ იქნა დაზვერვის ასეულში ათეულის მეთაურის თანამდებობაზე.

როგორც კი ეს საქმე დავამთავრეთ, იძულებული ვიყავით სოფელი ბოროვეცი დაგვეტოვებინა და სხვა სოფლებში გადავსულიყავით. ახლა ყოველი მხრიდან მოაწყდა მტერი ჩვენს ადგილსამყოფელს. გასამგზავრებლად მზად ვიყავით, როცა მტერმა შემოგვიტია, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. მიუხედავად გააფთრებული ბრძოლისა, შენაერთში არავითარ პანიკას არ ჰქონდა ადგილი. მტერი დავამარცხეთ, სოფელ ბოროვეცის სტუმართმოყვარე მცხოვრებლებს გამოვემშვიდობეთ და გზას გავუდექით. მით უფრო აუცილებელი იყო ამ სოფლიდან წასვლა, რომ აქ, ამ ტერიტორიაზე ჩვენი ამოცანა უკვე შევასრულეთ. ჩემი ნაწილის სამმა ოცეულმა, სერდუკის ხელმძღვანელობით, იაროსლავ-რავა რუსკაიას რკინიგზაზე, მდებაზე ტანევზე ორმოცდაათი მეტრის სიგრძის ხიდი ააფეთქა. მესამე ბატალიონმა სოფელ ლიუბინეცში, მდინარე ვირვაზე, სამოცი მეტრი სიგრძის ხიდი ააფეთქა, მდინარე ლუცვზე-კი ოცი მეტრის სიგრძის ხიდი. ამრიგად 1944 წლის თორმეტიდან თვრამეტ თებერვლამდე აფეთქდა ყველა ხიდი მდინარე ტანევზე, სოპოტზე და ლოსიცოზე. ხიდების აფეთქებასთან ერთად მოეწყო დივერსიები, რომლის შედეგად რავა-რუსკაია-ზამოსტიეს, რავა-რუსკაია-იაროსლავის რკინიგზებზე მოძრაობა მთლიანად შეწყდა.

აშკარაა, მტერს არ შეეძლო გულდამშვიდებით ეცქირა ამ სურათისათვის. მან სახელდახელოდ მოაგროვა მსხვილი

სამხედრო ძალები. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ იმ ხანად მტერი ჩვენს წინააღმდეგ საჰაერო ძალებსაც ამზადებდა.

ამიტომ იყო, რომ ასე სწრაფად წავედით ბოროვეციდან.

ცხადია, პოლონეთის ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს მეტი სიფხიზლე გვმართებდა. ბოროვეციდან გასვლის დროს ეს კვლავ გავითვალისწინეთ: წინ შენაერთის დაზვერვა წაგვიძღვა, რომ ყველა მოსალოდნელი ხიფათი დროზე ეცნობებინა ჩვენთვის. ახლაც, როგორც წინათ, ჰიტლერელმა ცრუპენტელებმა ტრაბახით აღსავსე შინაარსის ფურცლებით გადაათეთრეს სოფელ-ქალაქები და მინდვრები. პარტიზანები უკვე მოვსპეთო, — წერდნენ ეს უბადრუკები. ამ ამბებს ჩვენ შეჩვეული ვიყავით და ამიტომ არაფრად ვაგდებდით.

ჩემი ნაწილის კომისარი იოსებ იოსების-ძე ტოუტი ჩემს მარხილზე იჯდა, უცებ შემობრუნდა ჩემსკენ და მითხრა: იცი, ამხანაგო დავით, ომამდე, მშვიდობის დროს მტკიცე ჯანმრთელობით ვერ დავიკვეხნიდი. უბრალო ნიავი საკმაო იყო, რომ ავად გავმხდარიყავი. ახლა კი, ხომ ხედავ, უკვე ორი თვე სრულდება თქვენთან ვარ, ასეთი საშინელი ამინდებია, თოვლისაგან და სიცივისაგან თვალები ვერ გაგვიხელია და როგორც ხედავ, ერთხელაც ავად არ ვყოფილვარ! გამეცინა და ვუპასუხე: ასეა მეგობარო, როგორც ჩანს, შენ სანატორიუმში წამოსულხარ... ამ ჩემს სიტყვებზე იოსებმა გადაიხარხარა.

მივაღწიეთ მდინარე სანს, ამ მდინარეზე გადავედით, მერე ხიდი ავაფეთქეთ და გზა განვაგრძეთ. მთელი ამ დროის მანძილზე ერთი სადარდებელი მოსვენებას არ მაძლევდა: ჩემს მებრძოლებზე ვფიქრობდი. ისინი ოპერაციაზე იყვნენ წასული სერდიუკის და ბოკარევის ხელმძღვანელობით. ნეტავი როდის დაბრუნდებიან? წარა-მარა ვეკითხებოდი ჩემს თავს. იმ ღამეს ოთხმოცი კილომეტრი გავიარეთ და სოფელ დომოსტავს მივაღწიეთ. გზაზე ბევრი წვალება გამოვიარეთ, მეგზაურებმა ქარბუქის გამო გზა დაჰკარგეს; აგერ ერთისა და იმავე გზაზე ორჯერ შემოგვატარეს. სიცივეა, წეკოს შეხვევა მინდა, მაგრამ თითები არ მემორჩილება, ჩემი მემარხილე ციმბირელი ვალოდია მიხვდა ჩემს გაჭირვებას, გამოშართვა ქალალდი, შემიხვია წეკო და შომაწოდა. ასეთ მძაფრ ყინვაში ჩემი მოკავშირე ვასია მირონკინი თავისი ტანმორჩილი ცხენით ისე გარბოდ-გამორბოდა კოლონის თავში, და ბოლოში, თითქოს მაისის დღეები ყოფილიყოს.

შტაბი სოფელ სამუგაში დაბანაკდა, მეხუთე ასეული და ჩემი ნაწილი სოფელ დომოსტოვში, დანარჩენი ბატალიონები და ასეულები სხვადასხვა ხუტორებში განლაგდნენ.

*
* *

პოლონეთის ტერიტორიაზე მოთარეშე გერმანელებს და სიკორსკის აგენტებს რატომღაც ეგონათ, რომ საბჭოთა ქვეყნის პარტიზანებს მალე უკან დაბრუნება დაგვჭირდებოდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ პოლონეთის ხალხი ზურგს შეგვაქცევდა, მაგრამ აქაც მწარედ მოტყუვდნენ. ხალხი ჩვენს მხარეზე იყო. მართალია, ჰიტლერელებმა და მათმა დამქაშებმა გააფთრებული მავნე აგიტაცია გასწიეს მაგრამ არცერთი პატიოსანი ადამიანი მათს ფეხის ხმა არ აჰყოლია. დამპყრობლებს მხარი დაუჭირეს მარტო გენერალ სოსნოვსკის და ზომბის ამქრებმა პოლონეთის ხალხის მტრებმა. ეს გარეწრები, შემთხვევა რომ მისცემოდათ, ცხადია არ დაგვინდობდნენ მათ ხომ ოკუპანტების კალთაში ედოთ თავი.

ვერ გასჭრა გერმანელების მავნე აგიტაციამ. პოლონეთის ხალხი გარკვეულად და გადაჭრით დადგა ჩვენს მხარეზე, ადგილობრივმა პარტიზანულმა რაზმებმა ჩვენი დახმარებით და ხელის შეწყობით გააძლიერეს მტრის წინააღმდეგ მოქმედება. ყოველივე ეს ცოფს ჰგვრიდა გერმანელებს და მათს დამქაშებს.

შენაერთის შტაბის განკარგულების თანახმად ჩემი ნაწილი და მეხუთე ასეული სოფელ დომოსტოვში მოეწყო, იქვე მეზობლად მახლობელ სოფელ იაროჩინში შტაბი დაბინავდა.

მზვერავებმა გვაცნობეს, რომ იქ, სადაც მეხუთე ასეული დაბანაკდა, ტყეში უზარმაზარი სახერხი ქარხანაა.

ეს ქარხანა თურმე მტრის ავიაციისათვის ამზადებდა საჭირო მასალას.

— პირველ რიგში ეს ქარხანა უნდა განადგურდეს! — ასეთი იყო შტაბის ბრძანება, ამ ობიექტის მწყობრიდან გამოყვანა მეხუთე ასეულს მიენდო.

ქარხანა ტყის სიღრმეში იყო. ირგვლივ მას გაძლიერებული დაცვა ეხვია. აქვე მოეწყოთ სიმაგრეებიც. ამ სიმაგრეების აღება ტყვიამფრქვევებით და ავტომატებით შეუძლებელი იყო. ასეულის მეთაურმა ლარიონოვმა შტაბიდან არტილერია გამოითხოვა. შენაერთის შტაბმა ქვემეხები მას საჩქაროდ გაუგზავნა. არტილერიის ცეცხლით გაანადგურეს ჩვენმა ბიჭებმა, როგორც სიმაგრეები, ისე ქარხანა. უკანასკნელ წუთამდე გააფთრებით წინააღმდეგობას გვიწევდნენ ქარხნის მცველები, ცდილობდნენ მოეგერიებინათ პარტიზანების იერიშები. დაბოლოს, როდესაც ქარხანა ყუმბარებმა გააცამტვერეს, ცოცხლად დარჩენილმა მცველებმა ამოიკრეს ფეხებზე თხილამურები და ტყეში შესრიალდნენ. მათ ჩვენი მზვერავი ცხენოსნები გამოუდგნენ, გაქცეულებს დაეწივნენ და დღე დაუბნელეს. ხუთი ტყვე უვნებლად ხელთ იგდეს ჩვენებმა. ამ ბრძოლაში ჩვენმა მებრძოლებმა მოჰკლეს ქარხნის გარნიზონის უფროსი, ჩინით კაპიტანი. ამ ბრძოლის დროს დაიღუპა ორი ჩვენი სახელოვანი პარტიზანი, ისინი ცოლქმარი იყვნენ. სამწუხაროდ მათი გვარი აღარ მახსოვს. ცოლიც და ქმარიც წელიწადნახევრის განძავლობაში ავტომატით ხელში ლომებივით იბრძოდნენ პარტიზანთა რიგებში, მათ ყველას ნდობა და სიყვარული ჰქონდათ დამსახურებული, ისინი სულ უბრალო შემთხვევის, უფრო სწორად გაუფრთხილებლობის მსხვერპლი გახდნენ: როდესაც მტერი ტყის სიღრმეში შეიჭრა, ისინი სხვა მებრძოლებთან ერთად უკან დაედევნენ. უცებ შედგნენ და თოვლზე მოფანტულ ხელთყუმბარებს დააცქერდნენ. ქალი ერთი ხელთყუმბარის სახელურს დასწვდა, იარაღი დანაღმული აღმოჩნდა, აფეთქდა და ორივე იქვე დაეცა. ცხადია, მათ მძიმე და გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინეს: განა ერთხელ და ორჯერ გაგვიფრთხილებია პარტიზანები, მტრის მიერ გადაგდებულ ნივთთან თამაში არ ვარგა, ღილი რომ ღილია, მისი ხელება-კი შეიძლებაო! პარტიზანებმა — ხომ კარგად იცოდნენ, თუ რა ცბიერ მტერთან გვქონდა საქმე. მით უმეტეს მდევარს უდიდესი სიფრთხილე მართებს. მტრის დადევნების დროს მან სრულიად არ უნდა ახლოს ხელი გზაში მოფანტულ ნივთებს.

ამ ცხარე ბრძოლის დროს განსაკუთრებით თავი ისახელა მეხუთე ასეულმა. ამხანაგ ლარიონოვს მივულოცე ბრწყინვალე გამარჯვება.

— ჩვენი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, ამხანაგო დავით,—მითხრა ლარიონოვმა — რომ ვეფხვებივით იბრძოდნენ. ჩემი მეხსიერებიდან მუდამ წარუშლელი დარჩება განვლილი ბრძოლები. საოცარი გულადობა გამოიჩინა მთელმა ასეულმა. მიუხედავად მოწინააღმდეგის მრავალი უპირატესობისა, ჩვენებმა ისინი მალე გასტეხეს და დაჯაბნეს. ჩემთან, მეხუთე ასეულში ირიცხება პარტიზანი მოროზი, მტკიცე მებრძოლია მედგარი და გაბედული, შიშირა არის, მან არ იცის. ერთ-ერთი იერიშის დროს მოროზი თავში დაიჭრა, ჭრილობა სერიოზული აღმოჩნდა, უკან გაბრუნდი მეთქი, წინადადება მივეცი. ისიც მალე ასეულს ჩამორჩა. ის-ის იყო მტერი ალყაში მოვიქციეთ, სამკვდრო-სასიცოცხლე ბრძოლაში ჩავებით თუ არა, ამ დროს მებრძოლთა შორის თავშეხვეული მოროზი შევამჩნიე. გავვოცდი, აქ მოროზს რა უნდა, აკი დაიჭრა-მეთქი!

— მოროზი ხარ? — ვეკითხები.

— დიახ, ამხანაგო მეთაურო, მოროზი გახლავარ?

— შენ ხომ მძიმედ დაიჭერი, აქ რა გინდა, საიდან გაჩნდი?

— ის ხომ რწყილის ნაკბენი იყო, ამხანაგო მეთაურო, სახელდახელოდ გადავიხვიე ჭრილობა და ისევ ბრძოლაში ჩავები!

— ეს კარგი, მაგრამ ჭრილობასთან ხუმრობა რომ არ შეიძლება, არ იცი?

— თავს ჩინებულად ვგრძნობ, გავასწორებთ მტერთან ანგარიშს და დასვენებას მოვესწრებიო, — ასე მიპასუხა, — მართლაც ოპერაციის დასრულებამდე ჯარასავით ტრიალებდა მოროზი.

— როგორ არის ის ამ ჟამად? — შევეკითხე ლარიონოვს.

— ქურციკივით დახტის, ჭრილობა აღარ აწუხებს, ახალი ბრძოლებისათვის ემზადება.

პარტიზანული ბრძოლების თავისებურებაზე მე ზევით ბევრჯერ მქონდა ლაპარაკი. თავის დროზე აღვნიშნე, რომ პარტიზანებს რეზერვი არა გვყავდა. რეგულარულ ნაწილს მუდამ გააჩნია რეზერვი, ამიტომ დანაკლისის შევსებას ადვილად ახერხებს. ბრძოლის დროს მწყობრიდან გამოსულ პარტიზანს კი შემცვლელი არ ჰყავს, ეს გარემოება საქმეს ართულებს.

ეს სუსტი მხარე ყველა პარტიზანს ჰქონდა გათვალისწინებული, ამიტომაც იყო, დაიჭრებოდა თუ არა პარტიზანი, თუ კი მას ოდნავ ექნებოდა მოძრაობის საშუალება, მებრძოლთა რიგებს არ სტოვებდა, ჭრილობას სახელდახელოდ შეიხვევდა და კვლავ ბრძოლაში ებმოდა.

გერმანელები რომ სამხედრო დანიშნულების ქარხნის დაკარგვას ადვილად არ შეურიგდებოდნენ და შურს იძიებდნენ — ეს ჩვენ კარგად ვიცოდით. მოსალოდნელი იყო, რომ მტერი დამხმარე ძალებს გამოიძახებდა და ჩვენზე იერიშს მოიტანდა. ამიტომ შტაბის წინადადების თანახმად, გავაძლიერეთ თავდაცვა, სახელდახელოდ ავაგეთ სიმაგრეები და დავნაღმეთ ახლო-მახლო ადგილები. როდესაც ჩვენი ნაწილი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, თუ ეს ნაღმები ხელშეუხებლად დარჩებოდა, ვხსნიდით და თან მიგვქონდა. ასეთ შემთხვევებში პარტიზანები ორი მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით: მოსახლეობას მოსალოდნელ მარცხს ავაცდენდით და მეორე მხრივ ნაღმის ისედაც მცირე მარაგს ვუფრთხილდებოდით.

ჯერ კიდევ არ ჩანდნენ დაზვერვაზე წასულები — სერდიუკი, ბოკარევი და ლენკინი თავისი ცხენოსანთა ესკადრონით. ეს ამხანაგები შორეული ადგილების დასაზვერავად გავგზავნეთ, როცა ბოროვეცს ვტოვებდით. ახლა ჩვენ მათთვის აღარ დაგვიცდია, საჩქაროთ დავტოვეთ სოფელი და წავედით. უკვე სამი დღე გავიდა და არავითარი ცნობა არ გვქონდა მებრძოლებზე, მე პირადათ ველარ ვისვენებდი, მზად ვიყავი მზვერავების საძებრად წავსულიყავი.

— ამხანაგო მეთაურო, ჩვენი ბიჭები გამოჩნდნენ, — ქშენით მოირბინა და მომახარა მეკავშირე ვასია. — ჩემი თვალით ვნახე ისინი, ცხენების ჯირითით შემოვიდნენ სოფელში.

— ვასია, შენ ყოჩაღი ბიჭი ხარ, — ვეუბნები პატარა მეკავშირეს, — შენს თვალებს არაფერი გამოეპარება, ნამდვილი შევარდენი ხარ, — ბავშვს თავზე ხელი გადავუსვი და მოვუალერსე.

მართლაც, სამ-ოთხ წუთში სწორი და განიერი გზის ბოლოში მზვერავები გამოჩნდნენ. მათ წინ ჩვენი დარდიმანდი ტოუტი მოუძღოდათ, ტოუტი სოფლის ბოლოს მიგებებოდა მზვერავებს.

— ვინ იცის რა არ გავივლეთ გულში, თუმცაღა თქვენი იმედი გვქონდა, აბა ვინ რას დაგაკლებდათ, მაგრამ მაინც საფიქრალი იყო, — ეუბნებოდა მებრძოლებს ტოუტი.

— დალხინებული ვიყავითო, რომ გითხრათ, ეს მართალი არ იქნება, დიდი გაჭირვება გამოვიარეთ, მაგრამ ერთი მებრძოლი არ დაგვიკარგავს, უკლებლივ და უვნებლად დავბრუნდით, — პასუხობდნენ ტოუტს მზვერავები.

— აი, ყოჩაღ, ბიჭებო, აგრე უნდა პარტიზანული ღირსების დაცვა, იძახოდა გახარებული ტოუტი.

— საბჭოთა კავშირისათვის, საყვარელი ბელადის სტალინისათვის მზად ვართ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვებრძოლოთ ვერაგ მტერს, უპასუხეს ტოუტს პარტიზანებმა.

მზვერავთა შორის პოდკოვა და ლენკინი არა ჩანდნენ; ისინი თურმე შენაერთის შტაბში წასულიყვნენ. სერდიუკმა გვიამბო, რომ ამ დაზვერვის დროს პოდკოვამ ძალიან დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინაო. სხვა მებრძოლებმაც იგივე გაიმეორეს; ისინი სიხარულით აქებდნენ ამ პოლონელ პატრიოტს. მზვერავებმა გვიამბეს, რომ პოლონელმა პარტიზანებმა, პოდკოვას ხელმძღვანელობით ლვოვ-ვარშავას რკინიგზაზე, დაბა კრასნოტავის უზარმაზარი ხიდის განადგურებაში დიდი როლი ითამაშეს. პოლონელებმა კარგად იცოდნენ ხიდის ადგილმდებარეობა, მისავალი გზები, იცოდნენ სად იმყოფებოდა მტრის თავდაცვა.

პოდკოვას ჯგუფში იმ დროს ჩესანუელი პოლონელებიც ირიცხებოდნენ.

მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ჩესანუელებმა ჩვენთან წამოსვლის სურვილი განაცხადეს, ისინი ჩვენ შემდეგ პოდკოვას გადავაბარეთ. ახლად ჩარიცხული პარტიზანები საქმის ერთგული იყვნენ, მებრძოლის მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ, მხოლოდ ერთმა მათგანმა სულმოკლეობა გამოიჩინა, თავი შეირცხვინა, ამხანაგების რიგებს გამოეთიშა და გაიპარა. ამ ამბის გაგებაზე პოდკოვა საშინლად აღელდა:

— მდევარი გამოჰყავთ და საჩქაროდ დაადევნეთ, დაიჭირეთ და წარმომიდგინეთ ის ავაზაკი! — ყვიროდა გაწიწმატებული პოდკოვა, — თავიც შეირცხვინა და ჩვენც შეგვარცხვინა, საჯაროდ უნდა გავასამართლოთ.

საუკეთესო ბიჭები გამოჰყვეს და გაპარულს გამოუყენეს. მოთმინება არ ყოფნიდა პოდკოვას, მდევრის დაბრუნების მოლოდინში იყო.

როდესაც დაინახა დაბრუნებული ბიჭები, პოდკოვამ შესძახა:

— რა ჰქენით, ოთხმა კაცმა ერთი კაცის დამორჩილება ვერ შესძელით?

— დავეწიეთ, წინადადება მივეცით დაგვმორჩილებოდა მაგრამ გზიდან გადაუხვია და ტყეში შევარდა.

— მერე, მიიმალა არა?!

— მიმალვა ვერ მოასწრო, ძვირად დაუჯდა თავხედობა.

— როგორ, ესროლეთ?

— სხვა გამოსავალი არ იყო, რომ ასე არა, ხელიდან გაგვისხლტებოდა.

— კარგი გიქნიათ, თქვენს ნაბიჯს ვიწონებ, სამშობლოს მოღალატე სიკვდილის ღირსია, — სთქვა პოდკოვამ.

ამის შემდეგ ჩვენი სიმპატიები პოდკოვას მიმართ გაათკეცდა. სამშობლოს მოღალატემ კი საკადრისი სასჯელი მიიღო!

დაზვერვიდან დაბრუნებულმა სერდიუკმა და ლენკინმა საინტერესო ამბავი გვითხრეს: თურმე როცა ჩვენმა შენაერთმა ბოროვეცი დატოვა, ეს ამბავი გერმანელებმა პირველ ხანებში ვერ გაიგეს. პარტიზანები საზოგადოდ ერთი ადგილიდან მეორეზე გაუხმაურებლად, ღამით გადავინაცვლებდით ხოლმე, ასეთი ჩუმი გადანაცვლება მოწინააღმდეგესათვის უმეტეს შემთხვევაში, დიდხანს გაუგებარი რჩებოდა.

გერმანელებს, რაკი დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენ ისევ ბოროვეცში ვართ დაბანაკებული, თვითმფრინავები გაუგზავნიათ და სოფელი დაუბომბავთ. ერთდროულად ქვეითი ნაწილი ორი მხრიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან შეჭრილიყვნენ სოფელში, აქეთ-იქითა მხრიდან შემოჭრილებს ღამით თავისიანები პარტიზანებად მოსჩვენებოდათ და ბრძოლა გაემართათ ერთმანეთისათვის, რამდენიმე ათეული დაეხოცათ. მოგვიანებით მიხვედრილიყვნენ, რომ თავისიანებს ებრძოდნენ, მაგრამ საქმეს რაღას უშველიდნენ.

ჩვენი მზვერავებისათვის ბოროვეცის მეზობლად მდებარე სოფლელ გლეხებს ეთქვათ, თუ როგორ დაბომბეს ბოროვეცი გერმანელებმა, ეთქვათ ისიც, თუ როგორ ამოხოცეს ერთი-მეორე მტრის ნაწილებმა. გლეხებს საკუთარი თვალით ენახათ, რომ ავტომანქანებით გაჰჰქონდათ სოფლიდან გერმანელებს დახოცილი ჯარისკაცები.

ორი დღის დაბანაკებული ვიყავით სოფელ ზამოსტოვაში, როცა უკრაინის ცენტრალური პარტიზანული შტაბიდან ცნობა მივიღეთ. ცენტრალური შტაბი გვატყობინებდა — მტრის ახალი პროვოკაციებია მოსალოდნელი და ფრთხილად იყავითო.

იმ მიდამოებში მართლაც მაშინ აუარებელი პროვოკატორები დაძრწოდნენ. ეს ნაძირალები, მტრის მოსყიდული აგენტები, მხოლოდ იმაზედ ფიქრობდნენ, თუ რა ზიანი მიეყენებინათ პარტიზანებისათვის; „ერიდეთ პროვოკატორებს! — გვიკარნახებდა შტაბი, — ჰიტლერელები და მათი დამქაშები ყოველი ფეხის ნაბიჯზე მოგიწყობენ პროვოკაციას, პროვოკატორები შეეცდებიან მოყვარედ მოგვაჩვენონ თავი, ამიტომ დიდი სიფრთხილე გმართებთო!“ ამ საშიშროებას ჩვენც ნათლად ვგრძნობდით.

შტაბის განკარგულების აღსრულების მიზნით პირველ რიგში დაზვერვა გავაუმჯობესეთ, მზვერავთა რიცხვი გავაათკეცეთ. კარგად მოწყობილი დაზვერვის მეოხებით ვიცოდით სად იდგა და რა ძალას წარმოადგენდა მტრის გარნიზონი, როგორი იყო მოსახლეობის სულისკვეთება.

დაზვერვიდან დაბრუნებულმა მებრძოლებმა მიამბეს:

— პატარა სოფელში მივედით. პოლონელმა გლეხმა გვთხოვა მის ქოხში შევსულიყავით. მასპინძელი რძით და ახლად გამომცხვარი პურით გაგვიმასპინძლდა. მან მეტად საყურადღებო ამბავი გვიამბო; აი რა გვითხრა მან:

— დაახლოებით ერთი თვე იქნება მას შემდეგ რაც გერმანელი ჯარისკაცი მესტუმრა. საჭმელი მომთხოვა. მოვუტანე, არაყი გექნებაო, მითხრა. ისიც მივაშავე, გადაჭკრა, შეხურდა და ტრაბახი დაიწყო. ჩვენ მორიდებულად ვუსმენდით. როდესაც ტრაბახით გული იჯერა, ქალებს ხელის ფათური დაუწყო, ვერ მოვითმინე და წესიერებისაკენ მოვუწოდე. არაფრად ჩააგდო ჩემი გაფრთხილება, საკოცნელად წაიწია ქალებისაკენ. მათ წივილი-კივილი ატეხეს აქ ავენთე და შევძახე: ტუტუცობას და უზრდელობას თავი დაანებე, თორემ ინანებ-მეთქი. ჩემს გაფრთხილებაზე მან ენა გამომიყო. ამის დამნახველს თავრეტი დამესხა, მოთმინების ფიალა აივსო, აი იქ, იმ კუთხეში ნაჯახი ეგდო, დავავლე ხელი და შუაზედ გავუპე თავი იმ არამზადას. შემდეგ კარში გავათრიე და საჩეხეში დავმარხე. მისი ავტომატი კი ჩვენს პარტიზანებს გადავეცი. ვიცოდი ეს შემთხვევა უშედეგოდ არ ჩაივლიდა. გავიდა ოთხი-ხუთი დღე და გერმანელების დამსჯელი ნაწილი მოადგა ჩვენს სოფელს. იწყეს მოსახლეობის დაკითხვა. მშვიდობიანი გზით რომ ვერას გახდნენ, გლეხების აწიოკებას მიჰყვეს ხელი: „თქვენს სოფელში დაიკარგა ჩვენი ჯარისკაცი აქედან ის უკან არ დაბრუნებულაო“. ვერც მუქარამ და ვერც ცემა-ტყეპამ ვერ გაჭრა, ჯალათები ხელცარიელი დაბრუნდნენ უკან. აი ასეთი ამბავი შემემთხვა. აბა სხვანაირად როგორ უნდა მოვქცეულიყავი — წარმოსთქვა გლეხმა.

— ჩინებულად მოქცეულხართ, — ვუთხარით მას, — თავხედი ჯარისკაცი ღირსეულად დაგისჯია.

დაზვერვიდან დაბრუნებულმა სერდიუკმა დაწვრილებით გვიამბო ლენკინის ცხენოსნების გმირული თავგადასავალი. ლენკინის ცხენოსანმა ესკადრონმა ამ ბრძოლების დროს მწყობრიდან გამოიყვანა ლვოვ-პერემიშლის რკინიგზა, ამ გზაზე მდებარე უზარმაზარი ხიდი ააფეთქეს, [illegible]საკენ მიმავალი ტანკებით [illegible]ული მატარებელი გაანადგურეს, სოფელ ვოლიაში ლვოვის ორთქლმავლების ცხელი წყლით მომმარაგებელი წყალსაქაჩი მიწასთან გაასწორეს.

— არც ჩვენ ვყოფილვართ უმოქმედოდ, ამხანაგო მეთაურო, — მეუბნება ჩემი მებრძოლი, — ისეთ ნადირობას ვაწყობდით მტრის ავტომანქანებზე, რომ გერმანელები შიშით ცხვირს ვეღარ ჰყოფდნენ გარეთ. იმ ადგილებში, სადაც ავტომანქანების ხშირი მოძრაობა იყო, გზის ორივე მხარეზე ჩავსაფრდებოდით. აჰა, მოქროლავს უდარდელად ავტომანქანა, მოგვიახლოვდებოდა თუ არა, პირველ რიგში შოფერს ვესროდით, ამას მანქანის გაჩერება მოჰყვებოდა. თუ სულიერი ვინმე იქნებოდა მანქანაში, ხელების ზევით აწევას და უსიტყვოთ დამორჩილებას მოვთხოვდით. აბა სხვა რა ჯანი ჰქონდათ, ძირს ჩამოდიოდნენ და წიწილებივით ხელში გვივარდებოდნენ. აღარც მახსოვს რამდენი მანქანა გავანადგურეთ, რამდენი ტყვე ხელთ ვიგდეთ, რა ნივთიერი ზარალი მივაყენეთ მტერს! რამდენიმე საბჭოთა ქვეყნის ქვეშევრდომი იყო.

— თქვენ საიდან მოხვედით პოლონელი პარტიზანების რიგებში? — შევეკითხე თანამემამულეებს.

— ყოფილი ტყვეები ვართ, პოლონეთში წამოგვიყვანეს გერმანელებმა, აქაურ საკონცენტრაციო ბანაკში მოგვათავსეს. მერე ტყვეობას თავი დავაღწიეთ და ერთი თვე ტყეში ვიმალებოდით. ამასობაში გავიგეთ აქაც პარტიზანები მოქმედებენო და დიდი ვაი-ვაგლახით მათს ბანაკს მივაგენით. მათ სიხარულით მიგვიღეს თავიანთ რიგებში, იარაღი და ტანსაცმელი მოგვცეს....

— აქტიურად ებრძოდა მტერს თქვენი პარტიზანული რაზმი?

— არც ისე აქტიურად, აქა-იქ და იშვიათად უმართავდა ბრძოლებს.

— ღებულობდით თქვენ მონაწილეობას ამ ბრძოლებში?

— მუდამ. არც დივერსია, არც სხვა სახის ბრძოლა უჩვენოდ არ ჩატარებულა.

— ახლა რა გინდათ, როგორია თქვენი გეგმა?

— ჩვენი სურვილია თქვენ შემოგიერთდეთ, — მორიდებულად მითხრეს პარტიზანებმა. თავაზიანობა მოითხოვდა პოლონელ პარტიზანებს შევკითხებოდით: მათი ხელმძღვანელები წინააღმდეგნი ხომ არ იქნებოდნენ, თუ მათივე რაზმის წევრ რუს პარტიზანებს ჩვენს რიგებში ჩავრიცხავდით!

პოლონელებმა მიპასუხეს: თქვენმა თანამემამულეებმა როცა პოლონეთში თქვენი მოსვლის ამბავი გაიგეს, თქვენთან წამოსვლის სურვილი გამოსთქვეს. ამაზე ჩვენი ხელმძღვანელებიც დათანხმდნენო.

ამის შემდეგ პარტიზანები ჩავრიცხეთ ჩემს ნაწილში.

პოლონელ პარტიზანებთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ მათ იარაღი ძალზე ცოტა ჰქონდათ, აკლდათ ტყვია-წამალიც. ეს ასეც იყო მოსალოდნელი, აბა ვინ მისცემდათ მათ ტყვია-წამალს? იარაღით და ტყვია-წამალით დავტვირთეთ პოლონელი ამხანაგები და გავისტუმრეთ.

მალე ჩვენს დანაყოფს პეტრო ესტუმრა. ჩემი ყურადღება მისმა გალიფეს შარვალმა მიიქცია. გალიფეს თითო ტოტს ტომარის სიგანე ჰქონდა. ეგ რა ფასონის შარვალია, პეტრო პეტრესძევ, მე ჯერ არ მინახავს არაფერი ამის მსგავსი! — ვუთხარი ვერშიგორას.

— აქაურმა თერძებმა შემიკერეს, განა ვერა ვხვდები, რომ საზიზღარი რამ არის? თითქოს კაბა მეცვას, ისე ვგრძნობ თავს, მინდა გადავაკეთებინო, ტოტები დავავიწროვო, — თქვა პეტრომ.

პეტრო პაპიროსს არ ეწეოდა, მაგრამ გაზეთის ქაღალდი და ასანთი მუდამ ჯიბეში ედო. იცოდა, რომ ბიჭებს ერთი შეხვევა წეკო და ქაღალდი პურს ერჩივნათ. ტოუტმა წეკო ჯიბიდან ამოიხვეტა, ხელის გულზე დაიყარა და ქაღალდი მთხოვა, პეტრომ გაისვა გალიფეს ჯიბეზე ხელი, წელში მოიხარა და ასე ძლივს დაწვდა ჯიბის ძირს. სხვათა შორის შარვალს შესაფერი მოცულობის ჯიბეები ჰქონდა, შამფურზე წამოგებული გოჭი შიგ ადვილად მოთავსდებოდა. დიდის ვაი-ვაგლახით ამოიღო პეტრომ ჯიბიდან ქაღალდი, ტოუტს მიაწოდა და თან დასძინა: — ჯარისკაცს მუდამ უნდა ჰქონდეს ჩექმის ყელში კოვზი, პაპიროსს ეწევი? მაპასუხეთ, — წეკოსთან ერთად ქაღალდიც უნდა გქონდესო....

პეტროს ვუთხარი, რომ ჩემი ნაწილი ახალი მებრძოლებით შეივსო. მას ეს ამბავი ძალიან გაუხარდა. რაც შეიძლება მეტი მებრძოლები მოვიზიდოთ და ჩვენი რიგები გავზარდოთ, მოსალოდნელია ჩვენი ნაწილი დივიზიად გადაიქცეონო — მითხრა მან. წასვლის წინ პეტრომ დავალება მომცა — გადამწყვეტი ზომები მიიღე და სამხედრო დანიშნულების ქარხანა აღმოაჩინეო. თურმე მას სარწმუნოდ გაეგო, რომ აქ ახლოს, მდინარე სანის გაღმა ნაპირას, ტყის სიღრმეში სამხედრო დანიშნულების ქარხანა მუშაობდა.

— ჯერჯერობით კი ვერაფერს გავხდით, — მითხრა პეტრომ, — ვერ აღმოვაჩინეთ ის ქარხანა.

მართლაც დღე-ღამე დაძაბული დაეძებდნენ ამ ქარხანას ჩვენი მზვერავები და ვერ პოულობდნენ.

პეტროს აღუთქვი — ქარხნის აღმოსაჩენად მეც ყველა ზომას მივიღებ-მეთქი. ის იყო შეღამდა. ტოუტი ვიხმე. პეტროს დავალება გავაცანი.

— ნეტავი სად არის და რას ამზადებს ის ქარხანა?! პირველად მესმის, რომ ჩვენს რაიონში სამხედრო ქარხანაა. მცხოვრებლებისაგან არაფერი მსმენია მის არსებობაზე, — წარმოსთქვა ტოუტმა და დაუმატა:

— ამხანაგო დავით, მოდი მზვერავები გავგზავნოთ და ამ რაიონის ტყეები საფუძვლიანად შევისწავლოთ!

— უსათუოდ!

მებრძოლების ბინების ჩამოვლას, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაცნობას მეთაურები დიდ ყურადღებას ვაქცევდით. ახლაც ტოუტს წინადადება მივეცი ბინები ჩამოგვევლო. ორივენი გავეშურეთ, პირველად ყველაზე მახლობელ ქოხში შევიარეთ.

ღამის წყვდიადში ქოხი ლანდივით ჩანდა. კარები შევაღეთ თუ არა ღუმელთან მჯდარი პარტიზანები ზეზე წამოიშალნენ. დასხედით, განაგრძეთ საუბარი, — მივმართე ბიჭებს, მათ ღუმელის კარი გაეღოთ, ცეცხლის მკრთალი

შუქი ბუნდოვნად ციმციმებდა მებრძოლების სახეებზე.

ბიჭებმა არყის ხის მოზრდილი ნაპობი შეუკეთეს ღუმელს, ოთახში საკმაოდ განათდა.

— სად არის ლამპა? — ვეკითხებიო ბიჭებს. პარტიზანებს მუდამ თან ჰქონდათ ქონი, შიგ პატრუქს ჩასდებდნენ და მამა-პაპური ნათურა მზად იყო. ვიკითხე, სად არის თქვენი მომმარაგებელი-მეთქი. ყველა გაჩუმდა, სიჩუმე ერთმა ენაწყლიანმა პარტიზანმა დაარღვია.

— ქონი შემოგველია ამხანაგო მეთაურო, ამიტომ იძულებული ვართ ბნელში ვისხდეთ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ცეცხლის შუქზე ტოლმაჩევი შევნიშნე, ისიც ღუმელის ახლოს იჯდა. ტოლმაჩევი განთქმული მსროლელი იყო, არავის ახსოვს, რომ მის მიერ გასროლილ ტყვიას უშედეგოდ ჩაევლო. უსიტყვო კაცი იყო ტოლმაჩევი, დღე-ღამეები ისე გადიოდნენ, რომ ორი სიტყვა არ წამოსცდებოდა. როდესაც ის ამხანაგთა წრეში იჯდა, განზე იცქირებოდა, გეგონებოდა ამხანაგების საუბარს ყურს არ უგდებსო, მხოლოდ საუბრის ცოცხალ და საინტერესო ადგილებზე წყნარად გაიღიმებოდა, და თითქო ეშინიან არავინ შემამჩნიოსო, ხელს ჩამოიფარებდა ხოლმე ტუჩზე. თუ ამხანაგები გამოელაუბრებოდნენ, მოკლედ უპასუხებდა, ერთს ან ორ სიტყვას გაიმეტებდა. პარტიზანთა წრეში ის მიღებული და პატივცემული კაცი იყო. როგორც სერიოზულს და საქმის მცოდნე მებრძოლს, მას ყველა ანგარიშს უწევდა. ის ახლა წყნარად იჯდა. მოულოდნელად სწორედ მან დაარღვია სიჩუმე და მკითხა:

— თუ არის ამხანაგო, მეთაურო, ცნობა იმაზე, როდის არის მოსალოდნელი თვითმფრინავების მოსვლა?

— მტკიცედ ვერ გეტყვი, ვფიქრობ მალე გამოჩნდებიან. ამინდზეა ეს დამოკიდებული.

— შეყვარებულის წერილს შეაგვიანდა. ამაზედ დარდობს ჩვენი ახალგაზრდა, ამხანაგო მეთაურო! — სიტყვა დაურთო ენაწყლიანმა პარტიზანმა, რომელსაც ბიჭები ვასია რაიაბოის ეძახოდნენ. მის სიტყვებს პარტიზანების სიცილი მოჰყვა. „ესეც საქმეა, ვუპასუხე ვასიას, — პარტიზანი ოჯახზედაც უნდა ფიქრობდეს“.

იმ ხანად ჩვენი შტაბი თვითმფრინავების გამოჩენას მოუთმენლად მოელოდა. საგრძნობლად განვიცდიდით ტყვიაწამლის ნაკლოვანებას, თვითმფრინავებმა დაიგვიანეს და დანაკლისის შევსება არ ხერხდებოდა.

მეორე დილით პეტროს სანახავად წავედი. შტაბში იმ დროს მივედი, როდესაც ვერშიგორა მზვერავებს — კაშიცკის და დიმჩენკოს ქალს ქარხნის აღმოსაჩენად დავალებას აძლევდა. ახლა ვერშიგორამ უკვე იცოდა, თუ რა სახის პროდუქციას ამზადებდა ქარხანა, მხოლოდ მის ადგილმდებარეობაზე წარმოდგენა მაინც არ ჰქონდა.

— მაშ აგრე, — უთხრა გასტუმრების წინ პეტრომ მზვერავებს, — გამარჯვებით იარეთ, თქვენ იცით როგორი გამჭრიახობას გამოიჩენთ!

საიდუმლოებით მოცული ქარხანა, როგორც ეს პეტროს გაეგო, ქვემეხებს ამზადებდა.

დიმჩენკოს ქალს ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. ერთ დროს მან მტრის თავდაცვაში შეუმჩნევლად გაიარა და კოვპაკის საგანგებო დანიშნულების ბარათი ჩეხოსლოვაკიის გარნიზონის უფროსს იოზეფს მიუტანა.

თვითმფრინავების დაგვიანება და მოუსვლელობა იმიტომაც გვაწუხებდა, რომ იმხანად მედიკამენტების კრიზისი გვქონდა. მარაგის შევსება არ ხერხდებოდა; მარტო დაჭრილთა რიცხვი სამას კაცამდე აღწევდა. მეთაურებს წარამარა მოგვმართავდნენ ექიმები გვთხოვდნენ როგორმე ბინტი შეგვეძინა. ჩვენს საჭიროებას ადგილობრივი მოსახლეობა გამოეხმაურა; როცა გაიგეს რომ ბინტი გამოგველია, გლეხებმა მოგვიტანეს დარეცხილ-გამოხარშული ტილოს ზეწრები, პირსახოცები და სხვა თეთრეული, რომლებსაც ჭრილობის შესახვევად ვიყენებდით. ასეთი შემთხვევაც მახსოვს: ოთახში, სადაც დაჭრილების ერთი ჯგუფი გვყავდა მოთავსებული პოლონელი გლეხის ქალი შემოვიდა და ექიმს ქაღალდში გახვეული ნივთი გადასცა. გამოგადგებათ, — უთხრა მან ექიმს, — ეს გამოხარშული მარლაა.

— ო, ეს კარგი საქმეა, — უპასუხა ექიმმა და ქალს მადლობა გადაუხადა,—მარლა დღეს ჩვენთვის ძალიან საჭიროა!

— მე მგონი არც ღვთისათვისაც უნდა იყოს საწყენი ჩემი საქციელი, ეგ მარლა ხატის ფარდაა, ხატს ავხსენი და წამოვიღე.

— ჩინებულად მოქცეულხართ... ჩვენ ამას კარგად გამოვიყენებთ.

ისევ შტაბში ვარ. ღამის მყუდროება ტყვიამფრქვევების შორეულმა კაკანმა დაარღვია. შტაბიდან ყველანი კარში გამოვედით. სამხრეთისაკენ ცის ჰორიზონტი წითლად ელვარებდა სქელი კვამლის ქუდები ნაპერწკლებს უხვად აფრქვევდნენ.

— ნეტა რა ამბავია, — წარმოსთქვა ვერშიგორამ, — ეს არც ისე ახლოა, ღამით ხანძარი კაცს ახლო ეჩვენება. შესაძლოა ჩვენი მზვერავები ჩაითრია ტიალმა მტერმა ბრძოლაში. ვინ იცის რა ხდება ახლა იქ ვაი თუ რომელიმე დაჭრილი პარტიზანი მიწაზე გდია, სიკვდილს ებრძვის და თვალებს ნელ-ნელა ხუჭავს!

პეტროს ამ სიტყვებმა უცნაურად გამკრა გულში, აკაკი წერეთლის „დედის სიმღერა“ მომაგონა. კიბეზე ჩამოვჯექ, მუხლებზე ხელები შემოვისალტე და ფიქრებში წავედი.

— დავით, რას ჩაფიქრდი? — შემეკითხა ვერშიგორა.

— არაფერი, თქვენმა სიტყვებმა ერთი ქართველი მწერლის ლექსი მომაგონა...

— რა ლექსია, რა შუაშია აქ ლექსი, — უცებ დაინტერესდა ვერშიგორა, — აბა ერთი წამიკითხე...

მე ზეპირად წავიკითხე შემდეგი სტრიქონები:

„ეგებ გდიხარ ბრძოლის ველზე,
გულს გასვია მტრის ისარი,
და რომ წყლული შეგიხვიოს,
დედა-შენი არსად არის!
ვაი თუ შენს ლამაზ თვალებს,
ყვავი ჰკორტნის და ყორანი,
და უნაგრით, უპატრონოდ,
დაგხვიხვინებს თავს მერანი!“

— რა კარგად ჟღერს ეგ სიტყვები, საინტერესოა, ალბათ არსებობს რუსული თარგმანი,—მეუბნება პეტრო. სიტ-ვა-სიტყვით ვუთარგმნე... პეტროს ძალიან მოეწონა.

ჯერ ისევ ხანძრის ელვარების ქვეშ ვიყავით, როდესაც — მზვერავების მეორე წყება მოვიდა. ბიჭების აღფრთოვანებული სახეები უტყუარად მეტყველებდნენ, რომ კარგი ამბით იყვნენ მოსულნი.

— აბა, გვიამბეთ რა იცით ახალი? — შეეკითხა მზვერავებს ვერშიგორა.

— ის ვიცით, რომ მტრის ჯარი ცხვრის ფარასავით თავშეუკავებლად მირბის დასავლეთისაკენ, მირბიან გერმანელებიც და მათი სატელიტებიც...

— თქვენი თვალით ნახეთ?

— დიახ, საკუთარი თვალით.

— აუწვეს ზურგის კანი?

— ასე გამოდის... მოსახლეობის შეკითხვაზე, თუ საით გარბიან, სატელიტების ჯარისკაცებს უპასუხნიათ: გერმანია მარცხდება, თავს ვშველით, ჩვენ ჩვენს ქვეყნებში მივდივართო!

ეს მართლაც სასიხარულო ცნობა იყო: მტრის არმია თიხის თოჯინასავით იშლებოდა. ჰიტლერელებმა ვერ გაუძლეს საბჭოთა არმიის შეტევას და ზურგი უჩვენეს.

პოლონელი მოსახლეობის პროგრესიულ ნაწილს ამ ამბავმა ფრთები შეასხა, უკვე ანგარიშს აღარ უწევდნენ ისინი რეაქციულ ელემენტებს, სიკორსკის აგენტებს, • აშკარად გამოდიოდნენ მტრის წინააღმდეგ, აქტიურად ებრძოდნენ ჰიტლერელებს, დაურიდებლად აწარმოებდნენ დივერსიებს. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებზე მოთხოვნილება ერთიანად გადიდდა, როგორც მწყურვალი წყაროს წყალს. ისე დაეწაფა პოლონელი ხალხი ჩვენს მიერ გამოშვებულ ფურცლებს. ჩვენი სტამბა დღეღამე მუშაობდა და მაინც კიდევ ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. სტამბის ბინასთან რიგები იყო გამართული, ხელიდან ხელში გადადიოდა ფურცლები.

ვერშიგორას განკარგულების თანახმად ჩემი ნაწილით მახლობელ სოფელში უნდა გადავსულიყავი. სასწრაფოდ გამოვიყვანე ნაწილი და დანიშნულების ადგილზე გავეშურე. გზაში გაცხოველებული მსჯელობა იყო პარტიზანთა შორის:

— უთუოდ გაქცეულ მტრის დასადევნად გადავყავართ! — ამბობდა ერთი წყება პარტიზანებისა.

— ჭკუასთან ახლოა თქვენი შეხედულება, ეს ასეა მოსალოდნელი, — დასტურს აძლევდნენ დანარჩენები.

— დავით ილიას-ძევ, სალამი! — მომესმა ღამის წყვდიადში ნაცნობი ხმა.

— საშა ხარ?

— დიახ, საშა ტუტერევი ვარ! გარბიან არა?

— როგორც ხედავთ! უღალატეს „ფიუერერს“ მოკავშირეებმა!

— ისევ მაგარი სიცივეებია, ამხანაგო დავით! ახლა ალბათ საქართველო ყვავილების ზღვაში ცურავს. აბა ჩემს ქვეყანაში, ტაიგაში, ჯერ კიდევ ზამთარი ისევ უცვლელი იქნება. ეხ, ერთი რამდენიმე საათით დამსვა ჩემს ტაიგაში! მიყვარს ის მიდამოები, მე ხომ იქ დავიბადე და აღვიზარდე, ვერ წარმოიდგენ, ამხანაგო დავით, რა სანადირო ადგილებია ჩემს ქვეყანაში. ძალიან ლამაზია იქაურობა, დამთავრდება ომი თუ არა, პირველ რიგში ტაიგაში წავალ, გადავიკიდებ სანადირო თოფს და მოვივლი ნაცნობ მინდვრებს და ტყეებს.

დანიშნულ ადგილს ჩქარა მივაღწიეთ. ადგილობრივმა გლეხებმა თავაზიანად მიგვიღეს. ჩვენს თვალწინ გადაიშალა მოზრდილი და შემკული სოფელი, სუფთა განიერი ქუჩებით და ლამაზი კეთილმოწყობილი სახლებით.

ამ ხანებში ვილეტი ისევ ჩემთან იყო.

— ახალი ამბავი თუ იცი, ამხანაგო ვილეტ? — შეეკითხენ მას ბიჭები.

— არ ვიცი, აბა ერთი გამახარეთ!

— აი, იტალიელები, ფრანგები, რუმინელები და „ფიუერერის“ სხვა „მოკავშირეები“ თვითნებურად რომ სტოვებენ გერმანელების სამხედრო ნაწილებს და გარბიან სახლში.

— კარგი ამბავია! მართალს ამბობთ თუ ხუმრობთ?

— სრულ სიმართლეს გელაპარაკებით, ხუმრობა რა შუაშია!

ვილეტმა ჩემთან მოირბინა, რათა უფრო ღრმად დარწმუნებულიყო ამ ცნობის სიმართლეში. ცხადია, მეც დავუდასტურე, რომ ფაქტის წინაშე ვდგევართ, მტრის არმია დაშლის გზაზეა დამდგარი.

გლეხებმა გვითხრეს, რომ მეზობელ სოფელში მტრის გარნიზონი დგასო, მხოლოდ რა ძალას წარმოადგენდა გარნიზონი, მის რაოდენობაზე გარკვეულად არაფერი იცოდნენ. გადაუდებელ ამოცანად დავისახე პირველ რიგში გამეგო, რა ძალა ჰყავდა მტერს, მოვიხმე ჩემი ჰატარა ვასია მიროშკინი.

— ვასია, — ვუთხარი ბავშვს, — შენ ერთხელ კიდევ უნდა დაგვანახვო შენი გამჭრიახობა და გულადობა... აი აქვე, მეზობელ სოფელში მტრის გარნიზონი ყოფილა დაბანაკებული, შენ კარგად იცი, მტერი შორს რომ არის, მაშინაც არ გვაძლევს მოსვენებას და აბა ასე ახლო ხომ იცი, აგვაფორიაქებს.

— რას მიბრძანებთ?

— აი რა უნდა გითხრა: შენებურად გაძვერი მტრის თავდაცვაში და გაიგე რამდენი არიან იმ სოფელში ჰიტლერელები, როგორი დამოკიდებულება აქვთ მოსახლეობასთან.

ბავშვი შეჩერდა, დაფიქრდა, მერე უეცრად, თავაუღებლად წარმოსთქვა:

— კარგი!

— ხომ არ გეშინია? — შეეკითხე ვასიას.

— არა, ამხანაგო მეთაურო, შიში რა შუაშია. აი რა მოვიფიქრე: თქვენ კარგად იცით, რომ მე დიდიხანია ერთი ბატი მყავს, სამნეო ნაწილში კოლია ბოგოლიუბოვს მივაბარე... ჰოდა, მე ჩემს ბატს ამოვიდებ იღლიაში და ისე წავალ სოფელში, თუ ვინიცობაა ვინმე შემეკითხა სად მიგყავს ეგ ბატიო, ვუიდიმეთქი. მე მგონი ასე უფრო ნაკლებ ყურადღებას მომაქცევენ....

— მართალი ხარ ჩემო ვასია, შენ ჭკვიანი და გამჭრიახი ბიჭი ხარ.... აბა გაემზადე და შენი ბატით დროულად გაემგზავრე.

ბავშვს ბევრი არ დაუყოვნებია, მან ბატი იღლიაში ამოიჩარა და კუნტრუშით მოკურცხლა მეზობელი სოფლისაკენ.

მეორე დღეს გრძელი და განიერი ქუჩის თავში ვასია გამოჩნდა, ის ჩიტივით მოფრინავდა.

— ვასია მოდის, ვასია დაბრუნდა, — თითქმის ერთხმათ შესძახეს სახლის ბანზე მდგარმა პარტიზანებმა. — ბიჭოს, ხედავ, ბატი გაუყიდია! — შესძახეს ბიჭებმა.

— საინტერესოა რა ფასში გაყიდა, ხომ არ იზარალე ძმობილო? — ხუმრობდნენ პარტიზანები...

პატარა მზვერავი მაშინვე ჩემთან მოიჭრა და სხაპა-სხუპით დაიწყო:

— ზუსტად შევასრულე თქვენი დავალება, ამხანაგო მეთაურო, სოფელში ვიყავი, გერმანელების გარნიზონზე უტყუარი ცნობები შევკრიბე და გამოვიქეცი.

— აი, ყოჩაღ ბიჭუნავ, აბა მაინც რა გაიგე, რას იტყვი, ბევრნი არიან გერმანელები?

— არც ცოტანი, ოთხას-ხუთას კაცამდე იქნებიან. მათი არტილერია მე თვითონ დავინახე, ბრეზენტ-გადაფარებული ქვემეხები მინდვრის ბოლოში იდგა, ჯარისკაცები გარბოდ-გამორბოდნენ ქუჩებში. ავტომანქანებით სავსე იყო შარა გზები და ეზოები. გერმანელებს სურსათ-სანოვაგე მოეკრიფათ სოფელში, გლეხები ძლიერ უკმაყოფილნი არიან მტრის ასეთი ძალმომრეობით.

მტრის რაოდენობაზე ვისგან და როგორ მიიღე ცნობა?—შეეკითხე ბავშვს.

— უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ გლეხები: „ხუთას ჯარისკაციანი გარნიზონის რჩენა ჩვენ არ შეგვიძლიაო“, ამბობდნენ, მე ეს ჩემი ყურით გავიგონე.

— ბატი გაყიდე ალბათ. — ბავშვმა განზე გაიხედა და აიბუზა: წამართვეს,— ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა შან.

— ვინ წაგართვა?

— გერმანელმა ჯარისკაცმა, ხელიდან გამომტაცა, ჯერ სინჯვა იწყო, შემდეგ ხელი ამიქნია, და მიყვირა „ცურუკ-ცურუკო“, ხელი მკრა, წადიო მანიშნა, თვითონ კი გზას გაუდგა. მე მას გამოუდექი, ტირილი დავიწყე, მაგრამ როდი შემეპუა, ერთი ისეთი მიბიძგა, რომ კინაღამ თხრილში ჩავგორდი.

ბავშვს თვალის უპეები ცრემლით აევსო. ახალგაზრდა ბიჭები ოხუნჯობდნენ. „ეხ, ძმობილო, ალბათ ახლა შენი მსუქანი ბატის ძვლებს გერმანელები ცერებზე იმტვრევენ, იქ ჭიქების ტრიალია, უთუოდ შენი სადღეგრძელო მათ სუფრაზე გრძელი სიტყვებით შეისმება“.

— ეგ არ იჯავრო, ჩემო, ვასია, — ვეუბნები ბავშვს, სამხედრო კაცს და ისიც პარტიზანს ბატზე ჯავრი განა შეშვენის? თავსლაფი იმ ჯარისკაცს, რომელმაც ბავშვისათვის ბატის წართმევა იკადრა.

ვასიამ გაიღიმა, თვალები შეუმჩნევლად ამოიწმინდა და მხიარული საუბარი განაგრძო.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედება.

აკაკი გეწაძე

*

უწყლო წისქვილი

როცა ზაფხულის მზისგან ხევში შრებოდა მთის წყალი,
წისქვილი იდგა მუნჯივით ღარგამშრალი და პირმშრალი.
და მეწისქვილე მუდარას გზავნიდა ზეცის თაღისკენ;
ცაო, მიწა ნუ დაგვიწვი, შხაპუნა წვიმა გვაღირსე.
და მაშინ ჩვენში ანაზდად ხშირად ამბობდნენ სიცილით,
— წისქვილი უწყლოდ ვინ ნახა, უღაროდ ვინ თქვა წისქვილი?
ცაზე მზე ბევრჯერ აინთო, მრავალჯერ ჩაქრა ვარსკვლავი
და გაცვდა ძველი ანდაზა ძველი წისქვილის ქვასავით.
ვნახე წისქვილი უღარო, უქაროდ, უწყლოდ მბრუნავი
და მეწისქვილე მოხუცი ბეჭებში მოუღუნავი.
—სოფლად საფქვავმა იმატა, დავფქვათ, არ ვჭამოთ სირცხვილი!
— ხითხითითა და სიცილით ამბობს ელექტროწისქვილი.
და ღამით, როცა ქედები ზეცასთან მასლაათობენ,
ღელე ღარიან წისქვილზე ზღაპრებს უყვება მნათობებს.

ვარსკვლავები

*

ეს ხეობა და მდინარე ხევში
მხოლოდ კალმახით იყო განთქმული.
ვარსკვლავებიან კალმახის ეშხი,
მის ლურჯ ტალღებში მეც მაქვს
ნახული.
აქ ძველად ზეცას ებურა ჩადრი
და შავ ღრუბლებში ეძინა ღამეს.
სიბნელე, როგორც ვეება ქვაბი
თავზე ეხურა სოფლებს და ხრამებს.
მერე მორეკა წყალმა მორები
და ზღვად მოვიდა მოსახლეობა,
მთებში დაგუბეს დიდი მორევი
და გაანათა ჰესმა ხეობა.
ეს წყალი ხევში ხვნეშით რომ გარბის,
მხოლოდ კალმახით იყო განთქმული,
ღღეს ხევი თვით ჰგავს ვეება კალმახს,
ურიცხვ ვარსკვლავით ტანმოხატული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოგოლაშვილი

ჩვენ გვიყვარს ჩვენი დიდი სამშობლო

★

სტალინის დროშის სინათლეს ვაქებთ,
მსოფლიოში რომ შუქად გაშლილა,
სტალინის სიტყვამ, სტალინის საქმემ
ჩვენ სამუდამოდ დაგვაკავშირა.
ჩვენ სიყვარული ერთ-ურთის
გვანთებს,
ხალისით სავსე გულები გვიცემს,
ლიტველი კაცი შეხვდება ქართველს
და საბჭოეთის მზეს დაიფიცებს.

ამურის პირად, დუნაის პირად,
გვაქვს სიყვარული წმინდა და თბილი,
დიდი მოსკოვი კითხულობს ხშირად,—
ხომ არაფერი სჭირდება თბილისს.

ამ დიად ძმობას როგორ ვდარაჯობთ
თვალნათლივ მოჩანს; ნახეთ,
დახედეთ,
რომ კაუნასის ყველა ხარაჩო
ბაქოს უმატებს ღიმილს სახეზე.

მტერს ყველა ერთად დავხვდებით
მაგრად,
ბოროტი თვალით თუ კი მოგვხედა,
ჩვენს უკრაინას ფეხი რომ დაჰკრან,
გააჟრიალებს ტანში სომხეთსაც.

მეგობრობას და ძმობას არ ვმალავთ,
ყინვაში გვათბობს, ბნელში გვინათებს;
ირემი ირემს გაუწვდის ბალახს,
გულს შეყვარებულს ტაჯიკი
ქართველს.

ჩვენ სიყვარულის გვედება ალი,
ვერც შური მოთხრის, ვერც მტერი
მოსპობს,
გული გულთან გვაქვს და ყველას
თვალი
მისჩერებია მშობლიურ მოსკოვს.
დიადი კრემლის სინათლეს ვაქებთ,
მსოფლიოში რომ შუქად გაშლილა,
იქ სტალინია, ჩვენ მისმა საქმემ
სამარადჟამოდ დაგვაკავშირა.

ხემიდ ხალვაში

გაზაფხული

★

მტრედისფერია მოსკოვის ზეცა,
იგი ხსნის ქვეყნის ოთხივე კედელს,
მზე მდინარეზე ყინულებს ლეწავს
და გაზაფხული შემოაქვთ მტრედებს.

აქ ავდრიანი ქარი არა ქრის,
და ყველა დილა თვალს ახელს აქვე,
დგას გაზაფხულის დედაქალაქი
და მსოფლიოზე სინათლეს აფრქვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვისაკენ მიდიან გზები

★

გახურებულნი,
მღელვარე გულით
და შფოთიანი ომების წლებით
დამძიმებულნი, დამშვიდებულნი
მოსკოვისაკენ მიდიან გზები.

ქარაფიანი კავკასის კიდე
მიაპობს ნისლს და ჩერდება ზღვასთან,
აი, ქედებმა მოიხსნეს რიდე,
გავაღეთ მთა და გაიხსნა ფარდა.

ლაღად იშლება რუსეთი ვრცელი
და აღარ უჩანს ტრამალს ნაპირი,
ბაღებში უკვე სათუთი ხელით
მშვიდობის ფერებს ხატავს აპრილი.

უკვე ჯეჯილმა გაშალა ფრთები
და კვირტიც უბეს სიცოცხლით
ივსებს,
მალე გასკდება და აფეთქებით
ყვავილისფერად შეღებავს სივრცეს.

მზე ჰორიზონტზე ოქროს ხაზს ავლებს,
ველს ვარდისფერი აისი ბურავს,
სარკმლიდან ვხედავ ნამიან ყანებს
და დედამიწა ჩემს თვალწინ ბრუნავს.

ვით არტერიის მდუღარე თქეში,
ლიანდაგს მიაქვს სიცოცხლე
მკვეთრი...
მოჩანს მოსკოვი,
დგას ლალისფერში,
როგორც მსოფლიოს ამაყი მკერდი.

ჩემს მიწას არსად საზღვარი არ აქვს,
ჩემია ირგვლივ, რაც კი რამ მხვდება,
უახლოვდები მე დედაქალაქს
და მზის ამოსვლას ახლოდან ვხედავ.

ბედია ქახიძე

მშენებელი-ინჟინერი

★

ორთაჭალჰესისკენ მივდივარ,
მდინარის დუდუნით ვერთობი,
— თბილისზე ოცნება დიდია,
სიმღერით ჩავლიე ფერდობი.
ფიქრები ერთმანეთს შეებნენ,
ბექობზე შევდექი უეცრად,
ღიმილით ვუთხარი მშენებლებს;
— რკინების ჯავშნები თუ გეცვათ?
ნეტავი რა ხელმა ამსხვრია,
მტკვრის ფსკერს მაგარი შრეები.
თქვენ, ალბათ, რიჟრაჟზე ადრიან
სიპ ლოდებს გულდაგულ შეებით!
ერთმანეთს ღიმილით გახედეს,
— ბიჭებო, გვეწვია სტუმარი!
ღიმილი დააჩნდა სახეებს
— ახალი ოსტატი თუ არის?
როდესაც შევბედე უარი,
შევატყვე გაოცდნენ ძალიან,
— რად გიკვირთ? აქ ბევრი ქალია,
არ იცნობთ ინჟინერს? ქალია.
ქალიო? ქალი კი არ არის,
მცხუნვარე მზის ნაპერწკალია.
ჩანდა, თუ მშენებლებს რაოდენ
უყვარდათ პატარა გოგონა.
ვგრძნობდი, მას მუშებთან ყოველდღე
ჯანსაღი სიცოცხლე მოჰქონდა.
გოგონას თუმცა ვერ მივაგენ,
ფიქრებით ვიყავი მასთან და
ვუცქერდი თბილისის ჩირაღდნებს,
სიბნელეს შუქით რომ ფანტავდა.
ოცნებით ვხედავდი გოგონას
დაუღლელ ინჟინერ-მშენებელს,
რამდენი სიკეთე მოჰქონდა
თბილისის ამ დამამშვენებელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გიგაური

მეგაღე

★

შვილებივით უვლი ნერგებს
ხალისით და სიხარულით,
სიყვარულის ქვეყანაში
ხეშიც ჰპოვე სიყვარული.
ქარი როცა აშრიალებს
შენ გამოზრდილ ფიჭვებს, ნაძვებს,
ეს ხმა შვილის მღერად გესმის, —
გულში იტყვი:
— გავიმარჯვე!
შვილი არ გყავს, ხეებს შვილობ,
ვაჟი ომში დაგკარგვია,
მის სახელზე ტურფა ბაღი
შენი ხელით ნაქარგია.
ქარი ჭადრებს აშრიალებს,
შენ ჭადრებთან დგეხარ გამრჯე.
ჰყვავის ბაღი მხრებგაშლილი, —
გულში იტყვი:
— გავიმარჯვე!
ხეშიც ჰპოვე სიყვარული.
აი შენი თავდადება
და შენს ბაღში დასვენება
ჰგავს მეორედ დაბადებას.
როცა უვლი კვიპაროსებს
და ჩაგესმის ხმა შრიალით,
გაგონდება მზეჭაბუკი
ცეცხლის ხაზზე ჯავშნიანი.
მაგრამ ფიქრი ვერ გიმონებს,
ისე საქმეს ეშურები,
გეგულვებით ღვიძლ შვილებად,
შენ კი მამად გვეგულვები!

—.—

სანაპირო ქუჩაზე

★

მისი სიტურფით ბავშვივით ვღელავ,
სიცოცხლეს მმატებს ქუჩა კრიალა,
თითქოს ვუსმენდე საყვარელ ბელადს,
მტკვრის ამღერებულ ტალღებს კი არა.
თვალს გავაყოლებ, არ სწვდება თვალი,
ფარად არტყია ჭადრის ხეები,
ვხარობ, ცხოვრების სიამით მთვრალი,
მთვრალი თბილისის თბილი დღეებით.
თავქვე გავყვები ტალღის დინებას,
გულში ჩამიკრავს ბაღი შრიალა,
თავზე ნათელი დამეფინება,
ჯუღაშვილს ვხვდები, ქუჩას კი არა.
გაჰყურებს მტკვარის მარცხენა მხარეს,
გალიმებული მისი შენებით,
დამშვენებია ავსებულ ხრამებს
ელნათურების ცისარტყელები.
ბორგავს ფოლადი, მიწის მჩხვერავი
და ლოდებს ამსხვრევს მძლავრი ხმაურით,
ვერ შეაჩერებს წინსვლას ვერავინ,
მზისკენ გვეძახის ფოლადაური.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ბეგაშვილი

ჩვენ გვაქვს ატომზე უფრო ძლიერიც

★

ჯერ ცბიერობდით მოყვრობის ფიცით,
მერე ჩუმჩუმად გზავნეთ მსტოვრები,
ჩვენ მეგობრული მოპყრობაც ვიცით
და ვართ მტრებთანაც შეუპოვრები.

დღეს ბოროტ ზრახვებს ველარ დამალავთ
მშვიდობის სიტყვის ყალბ სამოსელით,
ვიცით, თქვენა ხართ მხეცთა ამალა,
ჩვენს მყუდრო ხალხზე მტრად წამომსვლელი.

მაგრამ იცოდეთ, არის ურგები,
სისხლის ნდომით რომ ენა გიშრებათ,
რაც უნდა გეშოთ მყრალი თურქები, —
მტრებს არ დავხვდებით ჩვენ აქ მშიშრებად.

ნუ იცქირებით ამაყ იერით,
სჯობს საბჭოეთის ბჭეს გარიდება,
ჩვენ გვაქვს ატომზე უფრო ძლიერი
და უფრო ბასრი: ჭეშმარიტება!

ჯერ ცბიერობდით მოყვრობის ფიცით,
მერე ჩუმჩუმად გზავნეთ მსტოვრები,
ჩვენ მეგობრული მოპყრობაც ვიცით
და ვართ მტრებთანაც შეუპოვრები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გოცირიძე

დაჭრილი მწყემსი

★

მხედარმა აქაფებულ ზვირთებში შეაგდო ცხენი. ცივი შხეფები შეესხა სახეზე და ტანზე. შეაკრეჭოლა, მდინარესა და ხეობის პირქუშ კედლებს შესცინა.

არ შეაყოვნა ნაპირზე: თავის ნებაზე მიუშვა პირუტყვი. ფერდობზე თქარათქურით გაიჭრა.

ცხვარი შეფენოდა მთის კალთებს.

სიხარულით უცემდა გული მხედარს... მშობლიური მთები, ნაცნობი ხევხუვები, ნაცნობი ხმები. მალე ფერდობის ძირას გომურის წინ მიაგდო ცხენი. უმალვე ფარეხების ყოველი მხრიდან ნაგაზები გამოიჭრენ, ღრენით მისცვივდნენ უცნობს.

გომურიდან ბერიკაცი გამოვიდა, მოსულს დააკვირდა.

— კაცო, ეს რა მემართება, თვალი ხომ არ მატყუებს! — შესძახა გაოცებულმა. მერე ნაგაზებს მრისხანედ მიუბრუნდა: — მოსცილდით, თქვე სამგლეებო, თქვენა. — იაგორი მოულოდნელი სიხარულისაგან ერთხანს გახევებული იდგა. მერე ხელგაშლილი გაექანა შვილისაკენ, უნაგირიდან გადმოიყვანა და გულში ჩაიკრა.

მწყემსები შორიდან ათვალიერებდნენ მათ, იღიმებოდნენ.

— უ, შე ქაჯო, შენა! ცხენზე ჯდომა მაინც არ მოგიშლია, როგორ გაზრდილხარ, როგორ გამოცვლილხარ, დაქალებულხარ... — ბერიკაცი გომურში შეუძღვა შვილს.

ნანიმ თავსაფარი მოიხადა, კოსტუმის ღილები შეიხსნა, კაბის საყელო შეისწორა, შეჭრილი გიშრისფერი თმა ოდნავ შეარხია და წყლიანი თვალები მამას შეანათა.

— შენ კი, მამი, თითქოს უფრო ჩამკვრივებულხარ.

— ჰო, გეთაყვა, ასე იცის ჭუთხაროს მთებმა, — იაგორმა ორი თითით მოისრისა გაუპარსავი წვერი, ის იყო ოჯახის ავისა და კარგის გამოკითხვას შეუდგა, რომ კარების მოულოდნელმა ჯახუნმა სიტყვა შეაწყვეტინა. ოთახში შეშინებული მწყემსი შემოვარდა.

— სარქალო, ცუდი საქმე დაგვემართა, საჯიშე დედაცხვარს ფეხი ძოტყდა ჩანჩქერთან!

— რაო, ბიჭო, რა თქვი?! — წამოიჭრა ბერიკაცი, კომბალი აიტაცა და ფარეხის უკან დაკლაკნილ ვიწრო ბილიკს გაჰყვა, მიიჩქაროდა. ნანიც ფეხდაფეხ მისდევდა. უკან ტანდაბალი, მზისაგან გარუჯული მწყემსი მიჰყვებოდათ და ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— მხოლოდ ერთი წუთით შევედი ტყეში, იქ საურმისთვალი თელა მეგულებოდა, მოვნახე, თვალით გავზომე, არ მომიჭრია, უმალვე გამოვბრუნდი და დედაცხვარი ადგილზე აღარ დამხვდა, გულს შემომეყარა, გავიქეცი და, ვაჰმე, სარქალო, რას ვხედავ! მუხლები მომეჭრა წაქცეული ცხვრის დანახვაზე!

ბერიკაცი მოუთმენლად შემოტრიალდა.

— ბიჭო, ცარიელი ლაპარაკი განა საქმეს შველის? ერთ მობარებულ დედაცხვარსაც ვერ მოუარე, ეს არის კაცობა?

მინდვრად გაფენილი ნახირი უკან მოიტოვეს, ვიწრო ბილიკიც კლდესთან დამთავრდა. იაგორმა შორიდანვე შენიშნა ერთ ადგილას თავმოყრილი მწყემსები.

ნანიმ ოფლი ხელსახოცით შეიშრო და შედგა. ცივი ჰაერი ესიამოვნა, მაღლა აიხედა და ეამა: თვალუწვდენელი კლდიდან გადმოვარდნილი ჩანჩქერი ძირს ჩაჩეხილ, გამოხრულ ლოდებში შხეფებად ოვრებოდა, ყრუდ ხმაურობდა. პირდაპირ, გაღმა, ტყის თავზე, გაცრეცილი ნისლი ნელა მიცურავდა...

ბალახში დედაცხვარი იწვა, ფეხზე ველარ დგებოდა, საცოდავად ცახცახებდა.

ერთმა მწყემსმა ჩაილაპარაკა: აქტი გავაფორმოთ და დავკლათ, ცოდია, იტანჯება ცხოველი, მეტი გზა არ არისო. მესტიელმა სარქალმა ეჭვიანად გამოთქვა აზრი: ვინ იცის, იქნებ მორჩეს, ცდა ბედის მონახევრეაო. მესამემ რაიონიდან ვეტექიმის სასწრაფოდ მოყვანა არჩია.

იაგორი გაშრა, ფერი დაკარგა.

— რაც მოხდა, მოხდა, ვაჟკაცის წარბს განა შეშვენის წუხილი? — გაამხნევა ყაზბეგიდან გადმოსულმა მწყემსმა.

— ვაჰმე, ბიჭებო, ეს რა ჭირის მეხი დაგვატყდა! — შემოიკრა ხელი მუხლზე და მის გარშემო თავჩაქინდრულ მწყემსებს თვალმოჭუტვით გახედა ბერიკაცმა.

— მოხდების, მოხდების, მთაში ბევრი, რამ მოხდების, — კვლავ გააგონა მეგობარმა.

როცა ნანი ძირს დაიხარა, დანარჩენებმა უკან დაიხიეს, ერთმანეთს რაღაც წასჩურჩულეს. დინჯად მოსინჯა მოტეხილი ადგილი ნანიმ. თითები თბილი სისხლით შეეღება, მერე უცბად შემოტრიალდა.

— კაჟიანი ქვისათვის გაუკრავს ფეხი, ალმასივით გადაუსერავს, — ჩაილაპარაკა მან. მერე მწყემსებს გადახედა და თითქოს ბრძანების კილოთი თქვა:— სასწრაფოდ მომიტანეთ ჩემი პატარა ჩემოდანი!

მის სიტყვებს პირველი ტანბრგე მწყემსი გოლა ხიდიშელი ენის ბორძიკით გამოეხმაურა:

— სად არის?

— გომურში, მაგიდაზე!

ნანიმ ცხვარს ფეხი გაბანა, წამალი მოაყარა, ფრთხილად შეუხვია.

— ვფიქრობ, ჭრილობა არ გაუღიზიანდება, მალე შეუხორცდება და ტკივილიც გაუვლის!

— ჰო, ჰო, ხომ გითხარი, იაგორ, — მხიარულად წასჩურჩულა ყურში ბერიკაცს ყაზბეგელმა მწყემსმა.

მწყემსები წავიდ-წამოვიდნენ.

— თავის მოჭრა თუ გინდა, სწორედ ეს არის, შე კაცო! — თქვა გოლამ და ისე ამოიკვნესა, რომ გვერდით მდგომმა მეგობრებმა გაოცებით გადახედეს, გადახედეს და თვითონაც ამოიოხრეს, თავი გააქნიეს.

ყაზბეგელი მწყემსი ვერ ისვენებდა.

— კაცი კაცური უნდა იყოს! რა იყო, ბიჭო, ერთ ცხვარს ვერ უგდე ყური!..

— მართალი ხარ, დათიკ! — ვერი დაუკრა გოლამ.

— ზოგი იტყვის, ერთი ბატკანი რა არისო, მაგრამ თავს იკატუნებს, თუ ზღვას წყალი არ შესდის, ისიც დაშრება! — უთხრა მეგობარს ბერიკაცმა.

ნანი და მამამისი კი ნელი საუბრით მიყვებოდნენ ტყისპირს.

ჯერ მწვანე ჭალის შეღმართსაც არ გასცილებოდნენ, რომ გრილი ნიავი უღელტეხილიდან გამოვარდნილმა ქარმა შესცვალა. უმალე ახმაურდა გარინდული ტყე, ხმელი რტოები ერთმანეთს ეხეთქებოდა, ტკაცუნობდა. ქარი ჩანჩქერიდან მოტაცებულ შხეფებს უხვად აპკურებდა მახლობელ ფერდობებზე ამოზრდილი შქერის ბუჩქებს.

მალე შავი ღრუბლები ჭუთხაროს ხეობასაც შემოჰყვა, ფრთამარდი გულთეთრა მერცხლები მწვანე მინდვრებს გაეკვრნენ. იაგორმა თვალი წარბშეკვრით გააყოლა მათ.

— კაცმა თოხლები რომ საჩეხისაკენ გარეკოს, სწორედ ის დროა, მე და ჩემმა გამჩენმა. — თქვა და ფეხს აუჩქარა.

უცებ გაიელვა და უმალ მრისხანე ჭექა-ქუხილმა შეარყია ხეობა, მთა და უღელტეხილები.

— რაღა ვქნა, შვილო, როგორღა წაგიყვანო ასეთ ამინდში შინ, სოფელში, ა?

— მე აქ, შენთან ვრჩები, მამი.

— ჰო, გეთაყვა, კარგი იქნება, ამაღამ აქ მოისვენე, ხვალ გამოიდარებს და გულმშვიდად ჩაგაცილებ.

ნანიმ ღიმილით შეხედა:

— აკი გითხარი, აქ ვრჩები-მეთქი, მამი... მე თქვენთან გამომგზავნეს სამუშაოდ!

— რა თქვი, შვილო?! — შედგა ბერიკაცი. — რა თქვი, გოგო? განა იმისათვის გასწავლე, რომ ისევ ამ ტყეღრეს, ცხვარს დაბრუნებოდი? მაინც, რა უნდა გააკეთო აქ?

— ფერმის ვეტექიმად ვარ დანიშნული.

— ჭუთხაროს საძოვრებზე?

— ჰო, მამი.

იაგორს ხმა არ ამოუღია. უხმოდ მიდიოდნენ. კოკისპირული წვიმა დაიწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ ზათქითა და ღრიალით დაეშვა მოვარდნილი ნიაღვარი. ჯერ სადღაც დარჩენილი შარშან-

დელი სპილენძისფერი ფოთლები წამოატივტივა, ქმერე ახლადმოგლეჯილი ჯირკვები და ქარისაგან დალეწილი რტოები მოაყოლა. ბოლოს დიდრონი ლოდები, სიპი ქვები და ტალახი ერთად მოაგორა ქეჩოაყრილმა ზვირთებმა.

მრისხანედ ღმუოდა ჭუთხაროს ხევი.

მწყემსებმა ძლივს დააბინავეს ნახირი. ფეხნატკენი დედაცხვარი ბუხრის მახლობლად თივაში მოასვენეს. მთელ ღამეს თვალი არ დაუხუჭავთ მწყემსებს. გარეთ იყვნენ, ფხიზლად იცავდნენ ჯოგს. სწორედ ასეთ ამინდში იცის ნადირმა დროის შერჩევა. ნაბადშიგახვეული იაგორი მალიმალ შესძახებდა ძაღლებს:

— ა, თქვე არამზადებო, სად შეყუჟულხართ, გაახილეთ თვალი!

*
* *

ნანი ბურდული მეორე დღესვე შეუდგა მუშაობას. ერთ დილით, ყველით გატენილი სუფთა გუდები რომ შეათვალიერა, ეამა, ხოლო დიდრონ ხის კასრებთან უხალისოდ შეჩერდა.

— ყველს სუნი აქვს. რატომ დროზე არ ჩაიტანეთ სოფელში?

გოლა ხიდიშელს არ ესიამოვნა შენიშვნა.

— ჩვენს ტატოს ჩიტის გაფრენა არ გამოეპარება, ფხიზელი კაცია, ეგ როგორ დაემართა? — იწყინა ჭაბუკმა.

ქალიშვილს პასუხი არ გაუცია, პირდაპირ შეხედა: მის წინ წარბშეკრული, ოდნავფერმიხდილი ახოვანი ვაჟკაცი იდგა. ახლად პირგაპარსულს მარცხენა ყბაზე გარკვევით ეტყობოდა დიდი ჭრილობა. ცალი თვალი სახის ოპერაციას შეევიწროებინა, შეებოჭა; ფართო შუბლზე და ლოყებზე ჭორფლივით ეყარა თოფის წამლის შავი ლაქები; მეტისმეტად დინჯად ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც შესამჩნევად კანკალებდა მისი ხმა, სიტყვის დამთავრება ეძნელებოდა და უფრო ჯავრობდა.

— მართალი ბრძანდებით, საჭიროა მწყემსს მეტი ცოდნა ჰქონდეს, შრომაც უფრო სასახელო იქნება, მეტად გამოჩნდება...

გომურში ტატო შემოვიდა და ჩამქრალი ჩიბუხი ხელის გულზე დაიბერტყა. — „მუცლიდან კი არავის გამოჰყოლია მატყლის შერჩევის ოსტატობა“,— თქვა მან და ჩიბუხი უბეში ჩაიდო. ღია კარებიდან შემოჭრილი ქარი გაცრეცილ-რუხ წვერს ნელა ურხევდა.

— ტატო! პასუხი გაეცი — ჩვენს ექიმს! — მიაგება სიტყვა გოლამ და ქალიშვილს გადახედა.

— რაო, შვილო, რაშია საქმე? — მიუბრუნდა მოხუცი ნანის. ქალიშვილმა უხერხულობა იგრძნო, მაგრამ პასუხი მაინც არ დააგვიანა.

— მგონი ოდნავ შელახულა ყველის ზოგიერთი ნაჭერი, კარგი იქნებოდა, დროზე ჩაგვეტანა საწყობში...

— მართალი ხარ, ჩემო ნანული, ცოტა არ იყოს — დაგვიგვიანდა ჩაზიდვა, მედღე-მეხვალიას ხომ გაგიგონია, რა ემართება, სწორედ ეგრეა ჩვენი საქმე...

ერთი წუთით ველარ ისვენებდა ნანი, ხან სად იყო, ხან სად. მწყემსები მას რომ დაინახავდნენ, ქვიშითა და ნაცრით ხეხავდნენ სარძევე ქვაბებს.

— მაგის შენიშვნას, თითები რომ გადავიტყავო, ის მირჩევნიაო, — ფიქრობდა ყოველი მათგანი.

თუ სადმე ცხვარი ან ძროხა უგუნებოდ იდგა, ქალიშვილი იმ წუთშივე იქ გაჩნდებოდა, ნახირიდან გამოჰყოფდა, დააკვირდებოდა, მთელი დღეღამე აღარ მოსცილდებოდა. მწყემსი ბიჭები ღიმილით აყოლებდნენ თვალს:

— მე და ჩემმა გამჩენმა, სულს არ დავიზოგავთ მაგისათვის.

— ხანდაკი ცხვარიც გამოაცოცხლა.

— გვერდით რომ ჩამივლის, სიხარული მიპყრობს!

— მეგობარს ვერ ვუღალატებ, თორემ ყაზბეგს გავიტაცებდი, ჩემი შვილიც ნასწავლია, ძაუჯიკაუში სახლებს აშენებს. ქალაუ, რა კარგი ხარ, მაისის ყვავილს გევხარ, — ღიმილით ეტყოდა დათია.

მხოლოდ გოლა სდუმდა, მხოლოდ ის არიდებდა თვალს ქალიშვილს. „მე რა ვარ, რიღას მაქნისი, ჩემთვის ღიმილსაც ვერ გაიმეტებს“, — უგულოდ იტყოდა და გასცილდებოდა, მერე შორიდან ქურდულად უთვალთვალებდა და კვნესოდა.

იმ საღამოს იისფერი ბურუსი ეხვეოდა მინდვრებს. გამაძღარი ნახირი ზოზინით მოდიოდა სადგომებისაკენ და თან მოჰქონდა ბალახის სურნელება. ნაგაზები ძუნძულით წინ უსწრებდნენ დაწინაურებულ, ამაყად მომავალ რქადაგრეხილ ბუღებს.

ნანი ბექობზე იდგა და მამასთან ერთად ნახირს გაჰყურებდა.

— ბიჭოს, დასწყევლოს ღმერთმა, ეს თოხლები ხომ სულ კალიებივით ირევიან, ბიხტიან და მიკუხტრუშობენ, მესამედ დავითვალე, მაგრამ ანგარიში მაინც ამერია...

— სიბერემ გიწია, მამა!! — გაუღიმა ნანიმ.

მწველავები მიუჯდნენ ძროხებს, ცხვრებს. გაისმა რძის საამური ჩხრიალი. ძალი-ძალ ავსებდნენ ვეებერთელა ქვაბებს. ბატკნები დედაცხვრებს ეკვროდნენ, სციოდათ.

— ერიჰაა, აწი, გეთაყვა, ამათი ღია ცის ქვეშ გაჩერება აღარ შეიძლება. — თქვა ტატომ. — ბიჭოს, დახე როგორ აბუზულან! აქ ხუმრობა საქმე აღარ არის, საქონელი ხორცს დაჰკრის, ხაფაკი გახდება, ბეწვი დაუჩიავდება, შეჯიბრებაში გამარჯვების ნაცვლად, გასაკილი და სალაპარაკო გავხდებით... ახალი სადგომის აშენებაა საჭირო!

— გაუძლებენ! სადა გვაქვს ახლა მაგის დრო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე უარზეა, ხომ იცით? — გამოეხმაურა ფერმის გამგე და ცხენებს შეუტია, ისინი უმალვე თქარათქურით გაედევნენ ერთმანეთს და საქონლის ჯოგში ჰიხვინით შეერივნენ.

ნანიმ მამას წარბშეკვრით შეხედა, გასცილდა.

— რას დაეძებს... — თქვა გოლამ და წამოდგა, თვალი გააყოლა.

— რამ დაგაღონა, გეთაყვა, ავი სული ხომ არ აგყვა მიწიდან? ამ ბოლო ხანებში ერთობ უქმური დღეები დაიკავა, წვიმს და ჟინჟღლავს,—უკანასკნელ სიტყვაზე ღიმილი შეეპარა ტატოს, თვალი გაუსწორა იაგორის შეფიქრიანებულ სახეს, დააკვირდა.

— ბოლმამ შეჭამა გული, ტატო! ბიჭი მაინც გამჩენოდა! ნუთუ ამისათვის გამოვზარდე?! ქალია, რა უნდა მთაში? გინდა თუ არა, ეს საქმე ასე არ ვარგა, ასე სჯობსო... ვინა ჰკითხავს მაგას, ვინ?

— მაშ გული გატკინა, ჩემო იაგორ? — ტატომ მელიას თვალებით შეხედა მეგობარს, — ჭუჭყიანი ბოსლები აღარც მე მომწონს, იაგორ. გახა დასაძრახისია ნანის მისწრაფება ახალი სადგომების მშენებლობის შესახებ! შენ თუ გაწუხებს, არ ვიცი, და სხვისი ჯულისწყრომა კი ჯერ არ გამიგია...

იაგორს თითქოს ეწყინა ტატოს ნათქვამი და რაღაც წაიბუტბუტა. გულის სიღრმეში კი სიამოვნება იგრძნო. — ქვაზე ჩამოსხდნენ. აქედან — გარკვევით ჩანდა ფერდობებს შეფენილი ნახირი.

*
* *

— ყველი და რძე ვზიდო, ამოდენა ნახირს ვუგდო ყური, სიმინდი ვთოხნო, თუ თქვენ გიყუროთ, — გულნატკენად ეუბნებოდა ტატოს სოფლიდან ამოსული კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ხიდიშელი, — გაგიგონია ასეთი? რა ექიმის საქმეა ბოსელს ავაგებთ, თუ საქათმეს? არ მოგიკვდეს თავი, სანამ ქვეყანა არ შემიყარა, არ მომეშვა. ამბობდა, ხანდახან დადგენილება მხოლოდ ფორმალურად გამოგაქვთო. კორესპონდენტიც მომიგზავნა, რესპუბლიკის გაზეთში ჩვენი ფერმის მშენებლობის შესახებ პირველ გვერდზე დაბეჭდეს ცნობა, და ამის შემდეგ ბიჭი ხარ და ნუ შეასრულებ! მერე აღარ გინდა თავი გამოყო სადმე?

— რას იზამ, მიხეილ ჩემო, ის კი ცხადია, რომ გოგო ფეხზე დაგვაყენებს. აქამდეც უნდა გაგვეკეთებინა ყველაფერი ეს... გულს უხარია, ალალი, პატიოსანი შრომა მახარებს, დღეს ბოსელს ავაგებთ, ხვალ რადიოს დავდგამთ, მერე გზას შევაკეთებთ, უღელტეხილს კი არა, პატარა ქალაქს დაემსგავსება ყოფილი მიუვალი ჭუთხარო! — შეესიტყვა ტატო.

თავმჯდომარემ ჩაიქნია ხელი და მუშაობას შეუდგა თავაუღებლივ.

ძველ ფარდულთან, ფარეხის გვერდით, კოლმეურნეობებმა მიწა გაჭრეს, ქვა-კირი ათქვიფეს და საძირკველში ჩაასხეს, საქონლის ახალი სადგომის მშენებლობა დაიწყეს.

— ამას გარდა, გეთაყვა, გაისად კიდევ ახალი ბოსლები დაგვჭირდება, — ეუბნებოდა ტატო იაგორს, — ცხვრისა ცალკე, ცხენებისა ცალკე და დეკეულებისა ცალკე. ძველ ბინაში ვეღარ ეტევა ნახირი... მომეშვით, თუ ღმერთი გწამთ... აგერ თითქმის სამოცდაცამეტ წელიწადს მივაღწიე და ამდენი ჯოგი თვალით არ მინახავს ჭუთხაროში.

— ნუ გეშინია, ტატო! აქა ვართ, იმრავლოს და იმრავლოს ჩვენმა დოვ-

ლათმა, იზეიმოს ჭუთხარომ, — ჩაერია საუბრში გოლა.

ქალები ჩანჩქერის მახლობლად ამოტეხილ ქვებს ერთ ადგილზე აწყობდნენ. ტყის პირას ნაღმი მეშვიდედ ააფეთქეს. ქვის ნამსხვრევები ჰაერში აიჭრა, გაიბნა და წიფლნარის რტოები შეარხია.

*
* *

— ვინა ხარ მანდ?

— ვერ მიცანი?...

ტატო ნელა წამოდგა.

— ნანი, რა გინდა, შვილო, ამ დროს აქეთ?

ნანიმ ცოტა არ იყოს უხერხულობა იგრძნო, რა ეპასუხნა არ იცოდა, ბოლოს გაბედა:

— არაფერი, მომწყინდა ოთახში ყოფნა და აქეთ გამოვწიე, ვიფიქრე: ბატკნებს დავხედავ-მეთქი. ესეც არ იყოს, ისეთი მშვენიერი ღამეა, რომ...

— გოგო! — გააწყვეტინა ტატომ და გრძელი კომბალი გვერდით მიაყუდა. — როგორ თქვი, ბატკნებიო? მე აქ არა ვარ, ა? მორჩა, მიგიხვდი, მეც ბევრჯერ გამომიცდია ჭაბუკის სილაღე. მოდი აქ, ჩამოჯექ ჩემს გვერდით, უკეთესს გეტყვი, ნამდვილს.

ნანი ჯირკზე ჩამოჯდა.

ბერიკაცმა ჩიბუხი გააწყო, მოუკიდა.

— ერთ დროს ნადირობას ვიყავი გადაყოლილი. ბევრი ნადირი მომიკლავს, უფრო მეტს გავუწბილებივარ. ერთ სისხამ დილას მონადირის საგზალი გავამზადე. ხეობებს გავყევ, აგერ იქ, — ხელი გაიშვირა სიბნელეში, თუმცა იქ არაფერი ჩანდა. — და იმ ფერდობში ფრთხილად გავედი. მთელი დღე ვუდარაჯე ჯიხვებს. მზის ჩასვლისას დაღლილ-დაქანცული კლდის ძირას მწვანე ბალახზე წამოვწექ, ჩანჩქერი ჰქუხდა, როგორც ახლა, მაშინაც თეთრ ქაფს ჰყრიდა... უცებ გავშტერდი. სულ ახლოს, ჩემს პირდაპირ, ჯიხვთა ჯოგმა შურდულივით გაიქროლა. ბოლოს ისინი ჩამავალი მზის სხივებზე გამოეფინენ. მერე ხარბად დაეწაფნენ ჩანჩქერს. ერთმანეთს ლოკავდნენ, ეალერსებოდნენ და ელამუნებოდნენ: მათმა ცქერამ სატრფოს ნახვის წადილი გამიღვიძა. ერთი ჯიხვი განცალკევებით, ამაყად გადმომდგარიყო და თვალს არ აშორებდა ჩაჩხერილ ხეობას, ყურს უგდებდა გარემოს, ქანდაკებას ჰგავდა. მამაშვილობას გეფიცები, მისი ცქერით თვალის გუგები გამიდიდდა, სუნთქვა შემეკრა, თოფის ცივი ლულა მორიდებით გავუსწორე. უცებ რატომღაც ჩემი დასანიშნი სატრფო მომაგონდა, ერთი წუთით თოფი ძირს დავუშვი და ჯიხვი გადარჩა.

— **რა კარგია! — მძიმედ ამოიხვნეშა** ქალიშვილმა.

— მეც იმიტომ გიამბე. ყველაფერს თავისი დრო აქვს. სიყვარული, როგორც სიცოცხლე, აუცილებელია...

— რა დროს ეგ არის, — დარცხვენით უთხრა ნანიმ.

— განა არ გამომიცდია! ვისაც ემალები, უფრო ახლოს მიდიხარ მასთან. იქნებ შორს არის ის? გავიგე წერილიდა სურათი მიგიღია ამასწინათ თრიალეთიდან თქვენი სტუდენტობის მეგობარისაგან, კარგია, კარგი ახალგაზრდობა, — ერთი წუთით შეჩერდა, მერე ისევ განაგრძო, — თუ კი ის არაგსურს, მაშინ... აფსუს, რა ვაჟკაცები დაგვიჩაგრა ომმა, მაგრამ მე ისეთ ლამაზ, თვალწარმტაც, მხარგანიერ ჭაბუკს მოგინახავ, რომ...

— რას ამბობ, — თავი მორცხვად ჩაღუნა ქალიშვილმა.

— ხომ არ გეწყინა, ნანი, ჩემი ლაპარაკი? ჰო, გეთაყვა, თრიალეთელი თუ ჭუთხარელი ვაჟკაცი იქნება, სულ ერთია, სადაც სიყვარული არ არის, იქ არც სიხარულია!

ნანიმ ტკბილი ღიმილით გაუმართა თვალი ბერიკაცს.

*
* *

— ცოცხალი დილაც ამასა ჰქვია, — ჩაილაპარაკა ტატომ და მკერდგაღეღილი აივანზე მთქნარებით გადმოდგა. ეზოში მოფუსფუსე მეუღლეს გადახედა: — აბა, შენ იცი, ჩემო ბებრუხუნა, არავინ დაგჯაბნოს, მერინოსის ბეწვი უნდა გავამზადოთ, ტყუილად კი არ ამოგიყვანე სოფლიდან, ცვარი-ცვარსა ვკრათ — ზღვა გახდება! მალე მაკრატლების ხმარებით აღარ დავიღლებით. ნანი ამბობს, ჩანჩქერს ძალას წავართმევთ, ელექტროსადგურს ავაშენებთო. ანდა გასაკვირია თუ? ზღვასავით მდინარეს ვოლგას და დონს აერთებენ, ჩვენი ჭუთხაროს ჩანჩქერები მასთან რა

მოსაგონია! მე შენ გეტყვი, ახლანდელ დროში ითქმება რამე და არ გაკეთდება!

— რა ვიცი, პირველად იმ გოგოს ძალიან ქირდავდით, საძოვრებზე აღარ აყენებდით, ახლა თვალში რომ ჩაგივარდეთ, თითს არ ამოისვამთ, — ჩაიქირქილა დედაკაცმა.

— სახუმროდ მცალია? — იწყინა ტატომ. აივნიდან ჩამოვიდა, ცხვარს შეერია. ერთ წმინდა ბეწვიან ვერძს წაატანა ხელი, შებოჭა, ფეხქვეშ მოიგდო და მუხლი დააჭირა. მალე მეუღლეც შეუდგა ცხვრის კრეჭას. თავი არ აუღია, ისე ჩაულაპარაკა ტატოს:

— ჭორად არ ჩამომართვა, გეთაყვა, უბანში გავიგე, თურმე ჩვენს გოლას კრებაზე საქვეყნოდ დაუკვეხნია, პირველი თუ არ ვიქენი, მაშ ეს ულვაში არ იყოსო, მართლა, კაცო?

— რას ჩამაცივდი, რა ცეცხლს მიკიდებ, ისედაც ველარ ვისვეხებ კაცი. — დაამთავრა თუ არა ერთი ცხვრის კრეჭა, მეორე მოიგდო ფეხქვეშ. საძოვარზე ყველგან სიცილ-კისკისი ისმოდა. სტუმრები, გამვლელი და გამომვლელი, ტატოს მიერ დაგროვილი მატყლის ბარაქაზე ლაპარაკობდა. სალამოს მატყლით დატვირთული ათი ცხენი სოფლისაკენ გაგზავნეს ქარავანს წინ გოლა მიუძღოდა...

— აკი გითხარი, კაცო, — არ უსვენებდა დაძინების წინ მეუღლე ტატოს, — ხანდახან ბაქა-ბუქობა გიყვარსმეთქი... რა გინდოდა, რა გალაპარაკებდა კრებაზე, მეზობლებს შეჯიბრებაში ვიწვევო? რა ძალა გადგა, რომ ახლა ვერ გაგიმართლდეს ნათქვამი, მაშინ, ხომ იცი: თორმეტ კბილს რომ სიტყვა გამოსცდება, თორმეტ მთას გაივლის.

— მომასვენე, თუ გიყვარვარ,—წაიბუტბუტა ტატომ და კედლისაკენ გადაბრუნდა, გაიტრუნა, ძილი არ მიეკარა.

. . . . .

ერთ მშვენიერ სალამოს, როცა სოფლის თავზე თეთრი მტრედები დაფარფატებდნენ, კოლმეურნეობის ახალ კლუბში ტატოც მივიდა. ჩაახველა, შინდის ჯოხი გვერდით მიაყუდა და სკამზე ჩამოჯდა, მოზეიმე ხალხს გადახედა, ვისაც თვალი შეავლო, მიესალმა კიდეც.

რაიონის წარმომადგენელმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების სიგელი პირველად გოლას მიულოცა და გადაკოცნა. ჭაბუკი თავჩაქინდრული იდგა, განიერ მკერდზე წითელი ვარსკვლავის ორდენი უელვარებდა. ელექტროჭაღის შუქზე ჯარისკაცის ჩექმები პრიალებდა. ნანი პრეზიდიუმში იჯდა, თვალს არ აშორებდა გოლას.

გოლა ნელ-ნელა ჩამოდიოდა სცენიდან. მქუხარე ტაში დარბაზს აყრუებდა.

— არც შემდეგში დავიშურებ ძალონეს, — თქვა მან გაიღიმა და მეზობლებს გადახედა.

— უ, შენ გენაცვალე, ბიჭო, — შესძახა ტატომ და საკოცნელად გაიწია.

ამ დროს რაიონის წარმომადგენელმა ტატო გამოიძახა სცენაზე.

ახმაურდა დარბაზი.

ტატო სახეგაბრწყინებული გაემართა სცენისაკენ. პარტერის პირველ რიგში მჯდარ ცოლს თავმომწონედ გადახედა და ულვაშზე ხელი გადაისვა.

ზეიმი გრძელდებოდა.

მალალი ჯილდოთი წახალისებული და გახარებული ტატო და გელა იმ საღამოსვე დაბრუნდნენ მთაში.

*
* *

შემოდგომაზე, რაიონიდან დაბრუნებული ნანი გაოცდა: მთელი მინდორი თეთრი ყვავილებით იყო მოფენილი, დაიხარა და ერთი მათგანი მოწყვიტა, დააკვირდა.

— ბავშვობაში გამიგონია, მაგრამ არ მინახავს, — წაილაპარაკა.

— ლამაზია, მხოლოდ უსუნო და გამოუყენებელი, სუსხის მაუწყებელი, — უპასუხა ტატომ. — მთის ყვავილს — უცუნს რომ იტყვიან, ჩემო ნანული, სწორედ ეგ არის, მაგას თოვლის ყვავილსაც უწოდებენ. მართლაც, აგერ სამოცდაცამეტს მიწეული ვარ და ყოველ წელიწადს, როცა კი ეგ ყვავილი მინდორს მოფენილი მინახავს, სწორედ იმ დღეებში დაუთოვია.

— ვაი თუ მართლაც ასე მოხდეს, მაშინ დავიღუპეთ, თოხლებისათვის ბინა ჯერაც არ დაგვიმთავრებია...

— დარდი ნუ გაქვს, ახლა ეგ საქმე ისეთ ბიჭს მიანდეს, რომ ორ-სამ დღეში სადგომს კარ-ფანჯრებსაც ჩაუსვამს და მოათავებს კიდეც. დაილოცოს იმის მარჯვენა, გამრჯე ვაჟკაცია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს: ცოტა მახინჯია ჩვენი დაჭრილი მწყემსი!..

ნანიმ ყვავილები უხალისოდ დაყარა და ნაბიჯს აუჩქარა, მიხვდა, რის თქმაც უნდოდა მოხუცს, როგორ არ მიხვდა, მაგრამ პასუხს ჯერ მაინც ვერ გაუმხელს. რაო, როგორ თქვა, მახინჯია დაჭრილი მწყემსიო? მას ამის თქმა არ უნდოდა. სულ სხვა იდუმალი ფიქრი ალაპარაკებდა. ქალიშვილის გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. ვეღარ ისვენებდა. მთელი საძოვრები ფეხდაფეხ შემოიარა. ბინდი ჩამოწვა, მაგრამ მოქანცულს მაინც არ ეძინებოდა. ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი გადაჰყურებდა ხეობას. თეთრი ღრუბლები გამალებით მიეშურებოდნენ აღმოსავლეთისაკენ. სიწყნარე იდგა.

უცებ ახლოს, მის წინ, ფანჯრის ქვემოთ, რაღაც შენიშნა, ნანი შეკრთა. შავი ლანდი კედელს გაეკრა: ნეტავ ვინ არის?

სახლის კარები გაიღო და ტატოც გამოვიდა, მიაშტერდა:

— ვინა ხარ მანდ?

— მე... მე ვარ, ტატო! — მოისმა ყრუდ.

— ბიჭო, შენ ხომ ხვალ მორიგეობ?

ჭაბუკმა პასუხი ვეღარ გასცა, დაიბნა.

— ხო... ხო, მარა დეკეულს დავხედე! — თქვა ბოლოს და ტატოსაკენ ნაბიჯი გადადგა.

— გოლა! — წაიჩურჩულა გაოცებით ნანიმ და ფანჯარა ნელა მიხურა. ახლა კი მთლად აენთო, რაღაც გაურკვეველმა ეჭვებმა შებოჭა და კვლავ ფანჯარასთან მიიყვანა. — გოლა, ჩემო გოლა! — წამოცდა და შიშით მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გაიგონაო.

გოლა ღობეზე გადახტა, ნაბადი ორკეცად გაშალა და დანამულ ბალახებში მიწვა.

— გული არ მისვენებს, თითქო იმედი აქვს კიდეც, ხანდახან მის ღიმილში ვკითხულობ ამას, — თქვა და თავი ასწია, დახურულ ფანჯარაში გამომკრთალ ლამფის შუქს მოჰკრა თვალი, დაკვირდა და განაგრძო თავისთვის, — მაგრამ სტუდენტობის დროინდელი მეგობრისაგან გამოგზავნილი წერილი და სურათი რაღას ნიშნავს? როგორ გავიგო, რისი მთქმელია ისინი? ამის პასუხი მხოლოდ ნანის შეუძლია. მან კი ფანჯარა მიხურა, იქნებ ვერც შემამჩნია, იქნებ საუბარიც აღარ სურს ჩემთან?

* * *

— რა გაეწყობა, სჩანს ასე სჯობს! — ხელი-ხელს შემოჰკრა ფერმის გამგემ, თავი მძიმედ გააქნია. ჭაბუკი წარბეკრული იდგა, ბოლოს კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილების ამონაწერი ორად მოკეცა, უბეში ჩაიდო და ცხენს აღვირში ხელი წაატანა:

— სადაც მეტყვიან, მეც იქ ვიმუშავებ!

გოლა სოფელში გადაყავდათ მეფრინველეობის ფერმის გამგედ.

გუშინ ჭაბუკს თითქოს ეჩქარებოდა წასვლა, დღეს კი გულდაწყვეტით უყურებდა ყველაფერს, ვეღარ თმობდა შეჩვეულს. თვალს არიდებდა მეგობრებს, მწყემსებს, — არაფერი შემამჩნიონო.

ტატო ბოლმისაგან იხრჩობოდა: იცოდა, რა ნაღველიც მიჰყვებოდა ჭაბუკს, უხუთავდა სულსა და გულს.

— ეს ბიჭი ყოველდღე რომ არ ვნახო, სიბერე გამტეხს, — წაიდუდუნა ბოლოს და ჯოხის ნატეხს ფეხი გაჯავრებით წაჰკრა.

გოლა ცხენს კოხტად მოახტა, უნაგირზე გასწორებისას იაგორს გადახედა, მერე ტატოს დააკვირდა, ცხენს ქუსლი ოდნავ შემოჰკრა და ერთბაშად დასძრა.

— აფსუს, რა ვაჟკაცი დაგვკილდა! — ნაღვლიანად ჩაიქნია ხელი იაგორმა. ტატომაც გაიგონა ეს სიტყვები, გულში ჩამარხული საიდუმლოების თქმა დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა.

ხეობის გალმა, შქერის ყვავილებთან, ცხენოსანს ნანი შეეფეთა.

— საით გაგიწევია, გოლა?

— სოფელში ვარ გამოძახებული, — უპასუხა ჭაბუკმა. — სხვა სამუშაოზე გადამიყვანეს...—კარგა ხანს არც ერთს ხმა არ ამოუღია. ბოლოს ერთმანეთს

გაუსწორეს თვალი, გაირინდნენ. უცებ ცხენმა დაიჭიხვინა, ნანის წინ გაჩერებული ბატკნები უმალვე დაფრთხნენ, თავქვე დაეშვნენ... გოლა ცხენიდან გადმოხტა და მათ დაედევნა. — ვერ გამექცევიან, ნანი, — მხიარულად მოაძახა ქალიშვილს. ქალიშვილს მხოლოდ მამისაგან გაუგონია ასე ტკბილად თქმული სიტყვა.

— სად წამიხვალთ, სად!.. — იძახდა გოლა და ბატკნებს მკერდზე იხუტებდა. ნანიმ დაბნევით შეხედა მის პირდაპირ ალმართულ ჭაბუკის გაფითრებულ სახეს.

— მგონი იწვიმებს, — თქვა ქალიშვილმა და თვითონვე გააკვირვა ამ უადგილო სიტყვამ. გოლამ ცას ახედა.

— ვითომ იწვიმებს?!

— ჰო, იწვიმებს, ჭირიმე.

„რაო, რა თქვა?“ — ქალიშვილის ხმაში გოლას რატომღაც მწარე დაცინვის კილო მოელანდა. უცბად პირსახეში შეანათა თოფის წამლისაგან დამწვარი სახე, წყნარ თვალებში ხარბად ჩაჰხედა, დააკვირდა, უნდოდა ამოეკითხა რაღაც, მერე ნანის ღიმილზე მწარედ ამოიკვნესა:

— ვაჰმე! განა დასაცინიც გავხდი?

— რას ამბობ, ბიჭო? — თავრეტდასხმულივით შეიოცა ქალიშვილმა, — ან როგორ გამიბედე მაგის თქმა. ნუთუ ასე მიცქერი, ეგ რა გამაგონე, ეგ რა მითხარი...

— დასცინი ისა მაქვს, რომ დამახინჯებული ვარ.

— თქვენ რომ არა, ჩვენ ცოცხლებიც არ ვიქნებოდით! — მიაგება მოურიდებლად ქალიშვილმა და განაგრძო: — გოლა... ჩვენი სკოლის წლები გამახსენდა, ჩვენი ბავშვობა, ჭალაში ჭიამაიებს ვეძებთად რომ ვიჭერდით, ის მომაგონდა, იმაზე გამეღიმა. — და ნანიმ ხელი შეახო ჭაბუკს.

— ბავშვობის წლები წავიდა, ნანი.

— არა გოლა. ისინი არასოდეს არ წავლენ.

ჭაბუკს სუნთქვა შეეკრა. ყურებს არ უჯერდა. ნუთუ ეს ნანის სიტყვებია!..

ამ დროს მახლობლად ფიჩხი გატყდა. ბარდებიდან დათია გამოვიდა.

— შორი-შორ რისთვის დადიოდით, ახლა რაღას იტყვით, ან რა გეთქმით? კლდეებს ყური აქვს, მინდორს თვალი. ცხვარს დავკლავ, ჯიხვებს დაგიხოცავთ, ქორწილში პირველი მოვალ! ჭუთხაროელთა ზეიმი, ჩვენი ზეიმია, ძაგიკვდეთ დათია, თუ ალალი გულით არ გითხრათ, არ მოგილოცოთ! მაშ რას ფიქრობდით, რა გეგონათ? როგორც ცეცხლი, ისე სიყვარული ხალხისაგან არ დაიმალება. ჰაი, ჰაი, რომ ჭაბუკი არა ვარ, თორემ განანებდი, ნანის მოგტაცებდი! — შესძახა მან და გოლას ხელი ჩასჭიდა: — ბედნიერ იყავ, კაცური კაცი ხარ!

— ბატკნები სად გაგვეპარნენ, სად წავიდნენ? — გოლას ბანზე უნდოდა აეგდო სიტყვა.

— ვაჟკაცი ხარ, ბიჭო, — განაგრძობდა დათია. — ალალი ხარ...

— შენი ჭირიმე, — მხოლოდ ეს წამოსცდა ნანის, გაიღიმა და ჭაბუკის განიერ მკერდს მიეყრდნო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა ოსეთის პოეტები

რევაზ ასაევი

★

ბათუმი

მშობლიურო ბათუმო, საყვარელო ქალაქო,
ოსეთიდან მოსულმა დღეს გიხილე პირველად;
მწიბლავს შენი წარსული, როგორ ძალმიძს არ ვაქო,
თვალწარმტაცი გამხდარხარ, შრომობ გასაკვირველად.
დიდ ბრძოლების მოწამევ, მშრომელთ სისხლით ნალაქო,
ჩემი გულის ალერსო, მშობლიურო ქალაქო!

ჰე, ბათუმო წარმტაცო, ღელავს შენი შავი ზღვა,
დგეხარ სილაჟვარდეში, ვით ხომალდი აფრითა;
მზად ხარ ქარხნის მილებით კვამლის თექა ჩაიცვა.
გახსოვს, შენს მიდამოში მძლე არწივი აფრინდა,
შენი თავისუფლება წინამძღოლმა დაიცვა,
დაარბია მტრის ურდო, ყორანთ გუნდი დაფლითა.

გახსოვს, ბრძოლის ბაირაღს სიამაყით რომ შლიდი,
დიად მომავლისათვის ჭაბუკი რომ იბრძოდა!
გახსოვს დიდი გაფიცვა და ქარხანა როტშილდის,
მშრომელთ დროშა ძღელვარე ცეცხლის ალში იწვოდა.
შენ წარსულის წყვდიადი ბრძოლით გადაგილახავს,
გმირთა დროშას დაფლეთილს ახლაც წმინდად ინახავ!...

ივანე ცხოვრებოვი

პუშკინი

★

კავკასიონის მწვერვალზე მდგარი
ცა კაშკაშებდა ნაზი და წყნარი,
მე დავსცქეროდი მხარეს მთვლემარეს,
ველს ანათებდა პირბადრი მთვარე.

არ ვაცილებდი თვალს მის დასავალს
და ვიღაც თითქოს დამიდგა თვალწინ,
ვისაც ველოდი — შეხვდა ჩემს სალამს
ხუჭუჭთმიანი მგზნებარე კაცი.

გადავეხვიე საყვარელ სტუმარს,
მან სიხარულით ამივსო გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პოეზიით შთამბერა უმალ
ლექსის ალერსი და სიყვარული.

როს ირხეოდა გრძნეული სიმი,
მთა გადმოსცემდა უცნაურ ბგერებს,
ის გავდა ჩემი სამშობლოს ღიმილს,
მას ბანს აძლევდა წყარო და ღელეც.

და ვიგონებდი, რა იყო წინათ,
სამშობლოს აწვა ღრუბელი სევდის,
ცაზე არ ჩანდა სხივების ბრწყინვა,
წყვდიადში თვლემდა ჩაგრულთა ბედი.

მეფობდა მტრობა და სისხლის ღვარი
უერთდებოდა დედათა ცრემლებს,
აღარსად ჟღერდა ხმატკბილი ქნარი,
ატრიალებდა სიკვდილი ცელებს.

დღეს სულ სხვა არის სამშობლო-მხარე,
გვესალბუნება ზაფხულის სიო,
გაჰქრა წყვდიადი და სიმწუხარე
ვხედავთ ბრწყინვალეს ჩვენს კავკასიონს.

გულს უხარია სამშობლოს წინსვლა,
საამურია ცხოვრება ჩვენი,
ახალგაზრდობავ, შენს დიად მიზანს
თან გაჰყვებიან საუკუნენი!

გაჰქრა აჩრდილი და ის, ვინც ვნახე
გაუჩინარდა, დაჰფარა ნისლმა
და ადიდებდა პუშკინის სახელს
ჩემი სიმღერა, ხმა ჩონგურისა...

—— . ——

ყაზაზები

მშვიდობის სიმღერა

★

ჩვენს სამშობლოს ეხლა
მზე უგზავნის ამბორს,
მრავალია ქვეყნად,
რომ სიმშვიდეს ნატრობს.
ძლიერი ხმა ისმის:
არ გვსურს ომის რისხვა,
არ გვსურს ვღვარეთ სისხლი,
არც გვსურს მიწა სხვისა!
გვსურს ვიშრომოთ მშვიდად,
შრომა გვაძლევს რწმენას,
ჩვენ სიმშვიდე გვინდა,
იმედად და ლხენად!

ვისაც უნდა ომი,
დავატყდებით მეხად,
არ ვართ სისხლის მდომი,
არ გვსურს ცეცხლთან შეხლა!
წინ პარტია გვიძღვის,
მტერი რაღას გვიზამს,
დიდ ბელადის სიბრძნით
გვწამს, მივაღწევთ მიზანს.
ყველგან ისმის ხმები:
მშვიდობა სურთ ხალხებს,
ოა არხევენ ძმები
შრომის ბაირაღებს.

თარგმანი **ალეკ ბოგატიროვისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უილიამ შექსპირი

სონეტები

*
* *

მე არ ვეკუთვნი იმ მეხოტბე ლექსის მჩმახველებს,
ვინც საღებავით ხატავს სატრფოს მშვენიერებას,
ვინც წამდაუწუმ ქვეყანას და ცას ასახელებს
  და თავის ლექსებს ალამაზებს ნაირფერებად;
ვინც მაღალ-მაღალ შედარებებს გაიადვილებს,
მზესა და მთვარეს უბოდიშოდ წაავლებს ხელებს,
ხშირად მოიხმობს ხან აპრილის პირველ ყვავილებს,
ხან თვალმარგალიტს ესესხება ზღვასა და ხმელეთს.
სიყვარული და სიტყვა ჩემი მართალს ღაღადებს,
ჩემს სატრფოს ამკობს ეს სიმართლე ცხოველმყოფელი;
არ საჭიროებს ცის მნათობთა ოქროს ნახატებს,
ვისაც ჰყავს მართლაც მიწიერი მისებრ მშობელი.
  არა სჭირდება ჩემს სიყვარულს დიდება დიდი:
  მე მას არავის არც ვაწონებ და არცა ვყიდი.

*
* *

როცა მდუმარე სამსჯავროს წინ გარდასულ დღეთა
ძველ მოგონებას მოუწოდებს ფიქრი მყივარი, —
რასაც ვეძებდი, უიმედოდ დაკარგულს ვხედავ
და მიახლდება პირგახსნილი კვლავ სატკივარი.
ჩამოსცვივდება მაშინ ცრემლი ჩემს დამშრალ თვალებს
მათთვის, შთაუნთქავს ვინც სიკვდილის ღამეს უძიროს;
ისევ დავტირი სიყვარულის ჩაფერფლილ ალებს
და ვგოდებ მათთვის, ვისაც თვალმა ვეღარ უმზიროს.
გულისტკივილით ძველ ჭრილობებს დავითვლი მაშინ
და შიშით ვხედავ დანაკარგი რა რიგ დიდია;
ისევ ვასწორებ ძველ ანგარიშს მწუხარე თვლაში
და ისე ვიხდი, თითქოს წინად არ გადმიხდია.
  მაგრამ მე შენში მევლინება ჩემი წარსული
  და ისევ ვხარობ და ვმდიდრდები მთლად გაძარცული.

*
* *

წლის იმ დროს ხედავ ჩემში, როცა განმარტოებით
აშრიალებენ ყვითელ ფოთლებს შტოები ხეთა;
სიცივისაგან კანკალებენ ქარში შტოები —
დიდი ხანია იქ ჩიტების გალობა შეწყდა.
შენ ჩემში ხედავ შეღამების დაბინდულ წამებს,
როცა საღამო მომაკვდავი წევს ფერმიხდილი;
მზის ჩასვლის შემდეგ მას წაიღებს შავბნელი ღამე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლისშთანმთქმელი ღამე ბნელი, როგორც სიკვდილი.
შენ ჩემში ხედავ გარდასული ნაპერწკლის ბრწყინვას —
იმასთან ერთად ჩაიფერფლა ყრმობის ალმური,
იმ სარეცელზე მწოლიარე, რომელზეც წინათ,
ესმოდა ნანა სიცოცხლისა მას საამური.
ყველაფერს ხედავ, მაგრამ უფრო ამძაფრებ ალებს,
და უფრო ეტრფი იმას, რასაც დაჰკარგავ მალე.

*
* *

როცა ვიხილე, ჟამი როგორ მცირედ აფასებს
მის ხელში გაძრცვნილ შესამოსელს გარდასულ დროთა,
როგორ აოხრებს ზეაღმართულ ციხე-დარბაზებს
და სპობს ბრინჯაოს, ოდესღაც რომ ბრწყინვალედ კრთოდა;
როცა ვიხილე: ოკეანემ წაართვა ძალით
ნაპირის ქვეყნებს მიწა ტალღით ჩამოგლეჯილი,
და შემდეგ მიწამ უკუაგდო მშიერი წყალი
და დანაკარგი შეიმტკიცა კვლავ მოხვეჭილი;
როცა ვიხილე სამეფოთა ბევრი ცვლილება,
ან სახელმწიფო გადასული დაღუპვის გზაზე, —
მე ნანგრევებმა მანდვეს მათი გამოცდილება,
მითხრეს, რომ ჟამი ჩემს სატრფოსაც წაიყვანს ასე.
ეს სიკვდილია!.. და ცრემლები თვალში გროვდება.
მე დამრჩენია მხოლოდ შიში, მხოლოდ გოდება.

*
* *

იმ დღისთვის, როცა სიყვარული ჩემი გაიგებს
დროის მკაცრ წესებს და სასტიკ ხელს იგრძნობს ჩემსავით,
დრო რომ დააშრობს სიცხლს და დინჯათ ჩამოარიგებს
სახის ნაკვთებზე ღრმა ნაოჭებს, სევდის მთესავი;
როდესაც სატრფოს სიყმაწვილის ნათელი დილა
იმდენს იმგზავრებს, რომ მიაღწევს სიბერის ღამეს,
და სილამაზის მეფეს ჟამი მოჰპარავს ფრთხილად
ძვირფას საუნჯეს — გაზაფხულის მხიარულ წამებს, —
იმ დროისათვის მინდა ჩემი ციხე ავიგო,
რომ ვეღარ გავნოს ჟამთა სრბოლის გადამტერებამ,
ვერ დაავიწყოს, თუნდ სიცოცხლე შენი წაიღოს,
შთამამავლობას ჩემი სატრფოს მშვენიერება.
შავი სტრიქონი დავიწყებას ჩამოგაცილებს
და კვლავ აცოცხლებს შენს მშვენებას და სიყმაწვილეს.

*
* *

შენ მიცხრობ ფიქრებს, როგორც ჩემი სიცოცხლის საზრდო,
როგორც ნიადაგს აცხრობს წვიმა დროზე მოსული,
ისეთი ბრძოლა გაგვიმართავს მე და შენ მარტო,
როგორც განძს ებრძვის ძუნწი განძით გარემოცული:
ზოგჯერ ბედნიერს ეჭვიანი შემიპყრობს განცდა —
ქურდი დროისგან მოპარული განძი მგონია,
ხან ვამჯობინებ მარტოდ დავრჩე საყვარელ განძთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან — მთელ ქვეყანას დავანახვო, რაც კი მქონია.
ზოგჯერ ვგრძნობ ცხადად, შიმშილისგან ძალა მელევა,
ნადიმის შემდეგ შემოგყურებ ისევ მშიერი,
რადგან არ არის ჩემთვის ქვეყნად ბედნიერება,
რაც არ იქნება შენებური და შენსმიერი.
ასე ხან დავძრწი დამშეული, ხანაც მაძღარი,
ხან უმდიდრესი, ხან ყველაზე უფრო საწყალი.

*
* *

ნურვინ დაარქმევს ჩემს სიყვარულს წარმართულ სახელს,
ნურც ჩემს საყვარელს წარმოიდგენს წარმართულ კერპად,
ჩემი სიმღერა მიეძღვნება მხოლოდ ერთ სახეს,
ერთზე, ერთისთვის, ერთის გამო შექმნილი ქება.
დღეს კეთილია ჩემი სატრფო, ხვალაც კეთილი,
მუდამ უცვლელი არად აგდებს ჟამთა მსვლელობას
და ჩემი ლექსიც მისდა ხოტბად გამოკვეთილი
უგალობს სატრფოს ერთგულებას და უცვლელობას.
ლამაზი, ქველი და ერთგული — აი სიტყვები,
ისინი მართლაც მიხატავენ მის სულს და ზრახვას.
სამებას ერთში მოთავსებულს დავეკითხები
და ჩემი ლექსი ერთში ფარულ სიმრავლეს ნახავს.
რადგან ქველობა, სილამაზე და ერთგულება
მის გარდა სხვაში ერთად მყოფი არ მეგულება.

*
* *

უმშვენიერეს ქმნილებათგან ნაყოფს მოველით,
რათა არ დაჭკნეს სილამაზის ვარდის სახება;
თუმცა ჟამთასვლით სიმწიფეში ჭკნება ყოველი,
მის მემკვიდრეში მისი ხსოვნა შეინახება.
შენ კი, საკუთარ მშვენებაში შეყვარებული,
შენივე ცეცხლით საზრდოობის გახდი მდომელი,
ჰქმნი სიღატაკეს, თუმც სიმდიდრით ხარ ავსებული,
თავის მტერი ხარ, სასტიკი და დაუნდობელი.
სამკაული ხარ დღეს ქვეყნისა, ცოცხლად მავალი,
და ერთადერთი მაცნე ჭრელი გაზაფხულისა,
მაგრამ კვირტშივე ჩაგიმარხავს შენ მომავალი,
ამ სიძუნწეში გაგიფლანგავს განძი გულისა.
აწ შეიბრალე ეს ქვეყანა, განძის საფარო,
ქვეყნის წილხვედრი მიწას მაინც არ მიაბარო.

*
* *

რაოდენ მიმძიმს სიარული ამ მტვრიან გზაზე,
რომლის ბოლოში აღარაფერს აღარც მოველი;
რომლის ნუგეში ისღა არის, რომ ვთვალო ასე,
როგორ მაშორებს მეგობრისგან მილი ყოველი.
ცხენიც კი, თითქოს ჩემი სევდით დაღლილი იყოს,
ძლივს მიჩანჩალებს, თუმცა ვიცი, სხვა დროს ქარია,
ასე მგონია, ეს საბრალოც მიმხვდარა თითქოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შენგან წასულს აღარსაით მიმიჩქარია.
აღარ უგონებს ჩემი ცხენი სისხლიან დეზსაც
და პასუხს მაძლევს მხოლოდ მძიმე ამოკვნესებით;
მე გულს მიკოდავს უფრო მეტად ეს მძიმე კვნესა,
ვიდრე მას გვერდებს, — შერჭობილი ბასრი დეზები.
ისაა ჩემთა გულის ხმათა გამომსახველი:
ჩემს უკან დარჩა სიხარული, წინ კი — ნაღველი.

*
* *

როცა დევნილი ბედისგან და ხალხის თვალთაგან
გამწარებული ვწყევლი ჩემი გაჩენის დღესაც,
როცა მგონია ჩემი ცოდვით ზეცას დავდაგავ
და გულგრილ სივრცეს გავაგონებ ამაო კვნესას:
როცა მსურს მქონდეს იმედებით მდიდარი ბედი,
მეგობართაგან გალაღებულს ვემსგავსო რაინდს,
მინდა გამაჩნდეს ხელოვნება და ნიჭი მეტი
და კმაყოფილი ვიხარებდე ცოტათი ძაინც;
როდესაც ჩემს თავს შემაზიზღებს ჩემივე ფიქრი, —
უეცრად თვალწინ დამიდგება შენი სახება,
როგორც ტოროლა გარიჟრაჟზე, ზეცისკენ მიქრი,
ზეციურ ჰანგებს ჩემი სული ცაში გაყვება:
მე თურმე შენი სიყვარულის განძი მქონია;
და ჩემი ბედი მეფის ბედზე დიდი მგონია.

*
* *

დამიხსნას ღმერთმა (ვინც შენს მონად დამნიშნა მკაცრად)
შენდამი ეჭვი მქონდეს გულში შემონახული,
ან შენი დროის შემოწმება მომსვლოდეს აზრად.
როგორ გავბედავ ამაზე ფიქრს შენი მსახური!
შენს დაძახებას მოთმინებით მოველოდები
და მზად ვარ მხოლოდ შენს ნიშანზე მოვიდე ახლო,
არ ვაგრძნობინო საყვედურით ანუ გოდებით,
შენს მიერ ტანჯვას მიჩვეული რაოდენ ვნაღვლობ.
უფლება შენთვის ისე დიდი გაგიჩენია,
თითონ განაგებ საკუთარ დროს — კარგსაც და ავსაც;
და თუ შესცოდავ საკუთარ თავს, ნება შენია:
თვით მიუტევებ დანაშაულს საკუთარ თავსაც.
მე კი სულ გიცდი, თუმც ლოდინი ჯოჯოხეთია,
და საყვედური შენთვის ვერც კი გამიბედია.

*
* *

ჩემი სიკვდილი შენ მანამდე იგლოვე მწარედ,
ვიდრე ქვეყანას ამცნობს ზარი სამგლოვიარო,
რომ დავუტევე უკვე ქვეყნის მდაბალი მხარე,
რათა მატლების უფრო მდაბალ მხარეს ვიარო.
და თუ ოდესმე წაიკითხავ ამ ჩემს სტრიქონებს,
გახსოვდეს: შენი ტრფობა მქონდა ისე ძლიერი,
გემუდარები: მათ დამწერ ხელს ნუ მოიგონებ —
არ დაგიბუროს მძიმე ფიქრმა სახის იერი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად არ მსურს ჩემს საყვარელს, ამ ლექსის მნახველს —
მკვდრის მოგონებამ დაგიჩრდილოს სინაზე ფერთა;
სრულიად არ მსურს იგონებდე საბრალო სახელს;
სჯობს შენი ტრფობაც გაჰქრეს მგოსნის სიკვდილთან ერთად!
თორემ მწუხარეს დაგინახავს ქვეყანა ბრძენი
და სასაცილოდ არ ეყოფა ტრფიალი ჩვენი.

*
* *

მეუფეო ჩემო, მე, ვისაც გზა არ მაქვს შენს იქით,
ვინც თავს შენდამი მოვალედ თვლის და გემონება,
ამ წერილს ელჩად მოკრძალებით გიგზავნის იგი,
თუმცა არ ახლავს მას არც ნიჭი, არც შთაგონება.
ვერსად ვიპოვე საკადრისი შენთვის სიტყვები —
ჩლუნგმა გონებამ მეტყველება ვერ შესძლო ბასრი —
მაგრამ მე ვიცი, ჩემ განსაცდელს თვითონ მიხვდები
და შიშველ ელჩებს გონებაში შემოსავ აზრით.
ვიდრე ვარსკვლავი, წინამძღოლი ჩემი ბედისა
გამიყვანს გზაზე და მიძღვება შუქი ცხოველი,
თუ კი ოდესმე ჩემს გაძარცულ ტრფობას ეღირსა
შესამოსელი და ქებათა შესხმა ყოველი,
მაშინ ჩემ თავსაც გაბედულად გამოვყოფ ქვეყნად
და სიყვარულით უსირცხვილოდ დავიწყებ კვეხნას.

*
* *

ვით დავიბრუნებ ბედნიერი სიცოცხლის წამებს,
როცა სიმშვიდით მოსვენებას ვარ მოკლებული?
როცა დღის ჯავრი გასაფანტად არ მიაქვს ღამეს,
და ღამეს მოსდევს დღის ფიქრების შავი კრებული!
დღეცა და ღამეც — ერთმანეთის მოსისხლე მტრები —
ჩემს წამებაში დაემგვანენ თითქოს ორეულს:
დღით დამაშვრალი, ღამით შავბნელ ფიქრებთან ვრჩები
და შემოგჩივი ჩემს სიმძიმილს ისევ შორეულს.
ღღეს ვეუბნები: არ გიხდება სახის დაღვრემა;
მინდა ვაამო და შენს ბრწყინვას უხვად ვპირდები;
და ვაიმედებ უვარსკვლავო ღამეს შავგვრემანს,
რომ ბნელ ღამეში მის ვარსკვლავად გამობრწყინდები.
მაგრამ სულ უფრო დღე მიგრძელებს ამ მწუხარებას
და მეტი სევდით ღამით ძილი არ მეკარება.

*
* *

ვერას დაგაკლებს, საყვარელო, ბებრის ჭაღარა,
ისეთივე ხარ, რანაირიც პირველად გნახე,
საძმა ზამთარმა თოვლი სამჯერ გადმოაყარა,
სანი ზაფხულის სიამაყეს უცვალა სახე.
სამი წარმტაცი გაზაფხული, როგორც თილისმა,
სამ შემოდგომად გარდაიქმნა სამი წლის დროში;
სამი აპრილის სურნელება დასწვა ივნისმა
და შენ დაგტოვა ისეთივე ნედლი და ნორჩი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერება, ვით საათის ოქროს ისარი,
მიიპარება უხილავი ფერისცვალებით.
შენი ცვლილება, შენი სრბოლა ვერ შევიცანი,
მგონია დგახარ და ტყუვდება ჩემი თვალები.
ალბათ შენამდე სილამაზის დაჭკნა ზაფხული
და მოგვევლინა შენში ახლად წარმოსახული.

*
* *

ხშირად მინახავს: მოალერსე ბრწყინვალე დილა
მოწყალედ ავლებს მთის მწვერვალებს თვალებს ამაყებს,
ოქროს ტუჩებით მწვანე მინდვრებს დაჰკოცნის ტკბილად
და ფერგამკრთალ წყლებს ოქროსფერად მოავარაყებს.
ხშირად თავის თავს მოქარავნე ღრუბლებში გახვევს
და ზეციური პირი ნისლით დაებურება,
შთენილ ქვეყანას შემომწყრალი უმალავს სახეს
და უხილავად დასავლისკენ მიეშურება.
ასე ჩემი მზეც ამობრწყინდა და გამინათა
გამარჯვებულის ბრწყინვალებით მჭმუნვარე შუბლი,
მაგრამ ვაგლახ, რომ სულ ერთ საათს ჩემთვის ბრწყინავდა
და შემდეგ ისიც დაიბურა შავბნელი ღრუბლით.
მაგრამ საყვედურს სატრფოს მაინც არ ვეუბნები:
არიან ქვეყნად, როგორც ცაში, შავი ღრუბლები.

*
* *

მშვიდობით! ვხედავ, დამიკარგავს ყველა უფლება —
დაფასებულხარ მეტისმეტად დიდი ღირსებით,
როგორც საწინდარს, მე გიბრუნებ თავისუფლებას
და შენს წინაშე მორჩილების გრძნობით ვივსები.
ან რანაირად დავეუფლო ასეთ საჩუქარს,
რა ღირსებათა ჩამოვთვალო ბრწყინვალე რიგი?
შენმა მშვენებამ მხოლოდ წუთით შემომაშუქ
და შეგიძლიან ნებით უკან წაიღო იგი.
უხვად გასცემდი — განძის ფასი როდი იცოდი,
არც მე მიცნობდი, შენი თავი მომიძღვენ ვისაც,
და ნიჭი დიდი, რაც შეცდომით გამომიწოდე,
ღღეს გიბრუნდება — არ ვითვლები საუნჯის ღირსად.
ალბათ სიზმარში შენი მეფე-მპყრობელი გავხდი,
გამოვიღვიძე და უეცრად დავკარგე ტახტი.

თარგმანი ინგლისურიდან **გივი გაჩეჩილაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. გორგილაძე

ქართველი სამოციანელები და მუშათა მოძრაობა

★

ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიასა და ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში თერგდალეულთა მნიშვნელობის შესაფასებლად საჭიროა დავახასიათოთ მათი მოღვაწეობა არა მარტო 90-იან წლების დამდეგამდე, არამედ მას შემდეგაც.

„მესამე დასის" უმრავლესობამ ჯერ კიდევ 90-იან წლებში ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობა თვითნებურად ორ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ პერიოდად გაჰყო და მას შემდეგ, რაც ჩვენში მარქსიზმის პირველი თესლი იქნა შემოტანილი და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დაარსდა, თერგდალეულები რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოათავსა. ეს მცდარი შეხედულება შემდეგ არაერთმა მკვლევარმა გაიზიარა.

გავარკვიოთ, როგორია ქართველ სამოციანელთა როლი საქართველოში მარქსისტულ, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის წამოშობამდე და როგორია მათი როლი მას შემდეგ, რაც საქართველოში მარქსიზმი დამკვიდრდა და მუშათა მოძრაობა დაიწყო?

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის XX კონფერენციაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა დიდი პროგრესული მწერლები ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი მოიხსენია როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელები.

ამ განსაზღვრას ორმა აზრი აქვს. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთელის შემოქმედებას ხალხური, დემოკრატიული საფუძველი ჰქონდა და მათი სამოღვაწეო პროგრამაც პროგრესულ-დემოკრატიული იყო.

ამ დიდმნიშვნელოვანი განსაზღვრით გადაწყდა ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის შემოქმედებისა და მოღვაწეობის სოციალური საფუძვლის ძიების საკითხი, რომელიც ასე დიდ კამათს იწვევდა.

60-იან წლებში დაწყებულმა პროგრესულ-დემოკრატიულ, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადმა ნიშნებმა თავისი გამოხატულება უმთავრესად ილ. ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის, აგრეთვე ი. გოგებაშვილის მოღვაწეობაში ჰპოვეს. სწორედ მათ შესძლეს ამაღლებულიყვნენ თავისი დროის ამოცანების გაგებამდე და თავისი ლიტერატურული შემოქმედების საგნად გაეხადათ არა მარტო ქართველი ხალხის საერთო-ეროვნული ამოცანები, არამედ სოციალური ბრძოლის ამოცანებიც.

მათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ქართველი ხალხის სულიერ განვითარებაზე. ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის შემოქმედებამ ასახა ქართველი ხალხის სულიერი თავისებურებანი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენისა და ეროვნული კულტურის შექმნისა და დამკვიდრების საქმეში.

ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მშრომელი გლეხობის განწყობილების გამომხატველნი იყვნენ. მათ შემოქმედებაში მეტყველებდა ქართველი მშრომელი გლეხი, რომელსაც სასტიკად სძაგდა ბატონყმობა და მისი დამცველები, ებრძოდა მათ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ასულიყო მჩაგვრელთა წინააღმდეგ თანმიმდევარი, რევოლუციური ბრძოლის შეგნებამდე.

ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი სამოღვაწეო ასპარეზზე იმ დროს გამოვიდნენ, როცა ჩვენი ქვეყანა იდგა დიდ სოციალურ ცვლილებათა წინაშე, როცა გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა ლიბერალურ-მონარქიულ და რევოლუციურ-დემოკრატიულ ტენდენციათა შორის, ძველსა და ახალ თაობას შორის.

ძველსა და ახალ თაობას შორის ბრძოლა ლიტერატურის საკითხებით დაიწყო. რამები შვილებს ენის წახდენას უსაყვედურებდნენ, ჰგმობდნენ „მდაბიო“, „გლეხურ“ ენას და მოითხოვდნენ „დარბაისლური“ ენით წერას. ძველი თაობა განსაკუთრებით იმით იყო აღშფოთებული, რომ „ვიღაც ჭავჭავჭავაძე“ „სწუნობს ნეტარხსენებულ ანტონ კათალიკოსის სიტყვიერებას“, „ჩვენს მამა-პაპათ, დარბაისლურს ენას“, რომელიც „დიდი ხანია სისრულეშია მოყვანილი“ და „არც ამაღლება ეჭირვება და არც დამდაბლება“.

ილ. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა და ი. გოგებაშვილმა სავსებით გახდევნეს დრომოჭმული არქაული ენა, რომელსაც ხელოვნურად იცავდნენ ფეოდალური არისტოკრატიის ლიტერატორები და დაამკვიდრეს ახალი ლიტერატურული ენა, რომელიც მათ შექმნეს „ქართული ლექსიკური მასალისა და ქართული ენის მიერ შეთვისებული პირველ რიგში რუსული სიტყვების, აგრეთვე გავრცელებული უცხო სიტყვების საფუძველზე“ (კ. ნ. ჩარკვიანი).

ქართველი სამოციანელები სავსებით იზიარებდნენ რუს რევოლუციურ-დემოკრატების შეხედულებებს ლიტერატურის როლისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ. ამ პოზიციებიდან აწარმოებდნენ ისინი შეურიგებელ ბრძოლას არისტოკრატიული ესტეტობის, „ხელოვნება — ხელოვნებისათვის“ თეორიისა და უიდეო მწერლობის წინააღმდეგ. თერგდალეულების აზრით, ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს ხალხს, აძლევდეს პასუხს თანამედროვეობის ყველა საჭირბოროტო საკითხს და ხელს უწყობდეს ცხოვრების განკარგებისათვის ბრძოლას.

მაგრამ ქართული ენისათვის გამართულ ბრძოლას მარტო ლიტერატურული მნიშვნელობა როდი ჰქონდა. გერცენი აღნიშნავდა, რომ იმ ხალხისათვის, რომელსაც პოლიტიკური თავისუფლებანი არ მოეპოვება, ლიტერატურა ერთადერთი ტრიბუნაა, რომლის სიმაღლიდანაც მას შეუძლია გააგონოს ყველას თავისი გულისწყრომისა და თავისი სინდისის ხმა. ამავე აზრისა იყო ჩერნიშევსკიც.

იგივე ითქმის იმდროინდელ საქართველოს შესახებაც.

„იმ ძალთა შორის, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — რომელნიც ერს ზრდიან და ამაღლებენ, მწერლობას ერთი უპირველესი ალგთაგანი უკავია. უფრო განვითარებულ ქვეყანაში ბევრი სხვა იარაღი აქვს ერს, მწერლობაზე უფრო ძლიერი და ადვილად სახმარი: სრული თვითმმართველობა, წარმომადგენლობა, ყრილობანი და სხვა და სხვ. ჩამოქვეითებულ ქვეყანაში კი, საცა თითქოს ერთიანად დახშულია ყოველი სხვა გზა განვითარებისა, მწერლობა ერთადერთი იარაღია საზოგადო სიკეთის დაცვისა და შემატებისათვის. ჩვენც ამ მდგომარეობაში გახლავართ, როგორც მოგეხსენებათ“ („მოამბე“ № 1, 1895 წ.).

ჩვენი პროგრესულ-დემოკრატიული მწერლები გამსჭვალულნი იყვნენ ხალხისადმი ღრმა და გულწრფელი სიყვარულითა და მეფის თვითმპყრობელური რეჟიმისაგან ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დიადი მისწრაფებით.

მაგრამ საქართველოში განმათავისუფლებელ მოძრაობას გარდა ზოგადი ნიშნებისა ახასიათებდა თავისი ნაციონალურ-სპეციფიური და ნაციონალურ-თავისებური ნიშნები, რომლებიც განსაკუთრებულ ბეჭედს ასვამდნენ თვით ამ მოძრაობასა და, მაშასადამე, საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას, მოწინავე ქართველ მოღვაწეთა პროგრამასა და ტაქტიკას.

იმ დროს ჩვენში ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულმა პროგრესულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფორმა მიიღო და მასში გამოვლინდა. იგი წარმოადგენდა ორი ნაკადის — ფეოდალურ-ბატონყმური გადანაშთებისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობათა შეერთებას.

რუსი ხალხი ეროვნულ ჩაგვრას არ განიცდიდა, ამიტომ რუს სამოციანელთათვის ნაციონალური საკითხი არ შეიძლებოდა დიდმნიშვნელოვანი საკითხი ყოფილიყო.

საქართველოში კი ეროვნული ჩაგვრის პირობებში ნაციონალური საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საზოგადოებრივი პრობლემა იყო. საქართველოს იმდროინდელმა ისტორიულმა ვითარებამ ეროვნული საკითხი თვალსაჩინო ადგილზე წამოაყენა. ქართველ სამოციანელებს კარგად ესმოდათ ეროვნული საკითხის სერიოზულობა და ცდილობდნენ გამოენახათ მისი გადაწყ-

ვეტის სწორი გზა. ნაციონალური მოძეტი ერთიან ბანაკად აერთიანებდა უმთავრეს პროგრესულ ძალებს, განსაზღვრავდა მათ ურთიერთობას და მათი ბრძოლის ხასიათს ცარიზმის წინააღმდეგ.

მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა განსაკუთრებული ყურადღების საგნად გამოაცხადეს „დაბალი წოდება", „რომელსაც ნიადაგი არ გამოსცლია ფეხქვეშ და არ გახუნებულა ზედაპირივით" (აკაკი). „ჩვენი საქმე, — წერდა ილია, — საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია".

ქართველი სამოციანელები საქართველოს მომავლის, მისი ეროვნული აღორძინების მტკიცე საფუძველს ხალხის კეთილდღეობაში ხედავდნენ. „ვაჭართა წოდება ჩვენში თითქმის არ არსებობს. — წერდა ი. გოგებაშვილი, — თავადაზნაურობას, როგორც წოდებას მომავალი არა აქვს. ერთი სიტყვით მთელი ჩვენი ქვეყანა შესდგება თითქმის მარტო მეოთხე წოდებისაგან. ამიტომ ჩვეხის ქვეყნის ბედი და უბედობა დამოკიდებულია ამ წოდების აღორძინებაზედ, ხალხის წარმატებაზედ".

მაგრამ მათ მთლად მაინც ვერ გასწირეს ერთდროს ერის მეთაური, ახლა კი ზედაპირივით გახუნებული წოდება — თავადაზნაურობა და შეუდგნენ ისეთი საშუალებების ძებნას, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა თავადაზნაურობის გადაქცევა ხალხის მსახურად. მათ წამოაყენეს წოდებათა შერიგებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის საფუძველზე ეროვნული აღორძინების იდეა, შეეცადნენ მემამულეთა მეურნეობის შეგუებას კაპიტალიზმთან და ლიბერალურ თავადაზნაურობას მოუწოდეს სათავეში ჩასდგომოდა საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებას. ეს იყო ამკარა გადახვევა დემოკრატიზმიდან ლიბერალიზმისაკენ.

მაგრამ მიუხედავად ამ მერყეობისა დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის, რაც ერთნაირად ახასიათებდა ილ. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელსა და ი. გოგებაშვილს, — თუ გავითვალისწინებთ მათი შემოქმედების საერთო მიმართულებასა და ძირითად ტენდენციას, ნათელი გახდება, რომ მათში მაინც დემოკრატი იმარჯვებდა.

მათ გაიგეს თავისი დროის სოციალური ბრძოლის დიდი ამოცანები და მოგვცეს მათი ჯეროვანი ასახვაც. მაგრამ მათ წინ წამოწიეს ... ადგილი დაუთმეს იმ საერთო ეროვნულ ამოცანებს, რომლებიც ერად ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართველი ხალხის წინაშე იდგა.

ეკონომიური აყვავება და ეროვნული აღორძინება რომ იყო „ორი დედა-ბოძი ხალხის ცხოვრებისა", როგორც გოგებაშვილი ამბობს, „ეს კარგად ესმოდათ ჩვენს ინტელიგენციას და ამიტომ იგი ცდილობდა, რომ ეროვნულ საქმეებთან ჯეროვანი ყურადღება მიექცია სოციალურ და ეკონომიურ კითხვებისათვის". მაგრამ ი. გოგებაშვილი იქვე ამბობს, სოციალური და ეკონომიური საკითხების მოსაგვარებლად ზრუნვა ეროვნულთან „ტოლად არ მიდიოდა" და „თვალსაჩინოდ უკან რჩებოდაო". ამას იგი იმით ხსნის, რომ ჩვენი ეროვნული მდგომარეობა უფრო მძიმე და მტკივნეული იყო: „ქონებით ჩვენი გლეხობა არ ჩამორჩებოდა რუსეთის გლეხობას, მაგრამ აბა შეადარეთ ჩვენის ენის, ლიტერატურის, ჩვენის მეცნიერების და სხვა ეროვნულ ძალთა უფლებანი რუსეთისას და თქვენ მათ შორის დაინახავთ გაუზომელს მანძილსა" („რჩეული ნაწერები", ტ. II, გვ. 130).

ილ. ჭავჭავაძემ ყოველი ქართველის უპირველეს მიზნად გამოაცხადა: „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველთვის მოსალოდნელი ფათერაკისაგან" (ტ. VI, გვ. 126).

გოგებაშვილმა ქართველ მოღვაწეთა პროგრამა ეროვნულ საკითხში ასე განსაზღვრა: „ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომლის გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა" („რჩეული ნაწერები" ტ. II, გვ. 113).

ქართული განმანათლებლობა (თერგდალეულობა) თავის დროზე ღრმაი პროგრესული მოვლენა იყო, როგორც პირველი დაყენება ეროვნული პრობლემისა დემოკრატიულ ნიადაგზე. მაგრამ მან თავი ვერ დაალწია ისტორიულ შეზღუდულობას. მან ვერ შესძლო დაენახა ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა, რომელიც მის პროგრამას განახორციელებდა. მაგრამ „ისტორიული

დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით" (ლენინი, ტ. 2, გვ. 217).

აღსანიშნავია, რომ ქართველი სამოციანელები, რომლებიც მოღვაწეობდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის მთელ მანძილზე, არ დაკმაყოფილებულან რეფორმამდელი წყობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანით.

მათ დადებითად გადაწყვიტეს „კაპიტალის" გამოქვეყნების შემდეგ მწვავე კამათის საგნად გადაქცეული მთავარი თეორიული საკითხი, საკითხი „კაპიტალიზმის ბედისა რუსეთში".

ქართველმა სამოციანელებმა წინააღმდეგ ნაროდნიკებისა, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარება პროგრესულ მოვლენად მიიჩნიეს, ხოლო ზოგმა მათგანმა, რამდენადაც ეს მათი პოზიციებიდან იყო შესაძლებელი, კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებზეც კი მიუთითა და აღიარა, რომ ეს წინააღმდეგობები მშრომელთა სასარგებლოდ უნდა გადაწყდესო.

ცნობილია, რომ ლენინი დიდ რუს რევოლუციურ დემოკრატებს (ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი) სოციალ-დემოკრატიის წინამორბედებად სთვლიდა.

ამასთან დაკავშირებით ფრიად საგულისხმოა ის, რომ მოწინავე ქართველი მოღვაწენი ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, თვით გოგებაშვილის სიტყვებით, რომ ვსთქვათ: „ნატრობდნენ იმასვე, რასაც მოისურვებდნენ ჩვენს ქვეყანაში, რომ ემოქმედათ, რუსეთის უნიჭიერესნი მოდასავლეთენი (ზაპადნიკები): ბელინსკი, დობროლუბოვი, ავტორები რომანებისა: „ვინ სტყუის?" და „რა ვქნათ?", შჩედრინი და სხვანი. ჩვენის პატრიოტების მოქმედება იმ ეროვნულს გზასვე ადგია, რომელიც ხსენებულს მეორე რომანის ავტორმა ჩერნიშევსკიმ ვალად დაადო უკრაინელებს, სახელდობრ — ეროვნულ ენის, ლიტერატურის და მეცნიერების აყვავება შემდეგი თავისებური გამოხატულებით: „სტუმრად ყოფნა ხანდახან საამურია, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვისმე თავისი საკუთარი კუთხე არა ჰქონდესო" („რჩეული ნაწერები" ტ. 2, გვ. 114).

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მედროშენიც ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი იყვნენ, რამდენადაც მას დემოკრატიული საფუძველი ჰქონდა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა, ისტორიულად წინ უსწრებდა და, შეიძლება ითქვას, ერთგვარად გზას უკაფავდა, ნიადაგს უპოხიერებდა ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას.

მნიშვნელოვანია ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობა იმას შემდეგაც, რაც საქართველოში XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს განმათავისუფლებელი მოძრაობა თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა და მის შესაბამისად საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში პრინციპულად სრულიად ახალი ხანა დაიწყო.

ცნობილია ის დიდი პოლემიკა, რომელიც თავის დროზე გამართული იყო „მესამე დასის" უმრავლესობასა და ქართველ სამოციანელთა შორის. განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა ქართველი ლეგალური მარქსისტების კამათი ილ. ჭავჭავაძესთან.

ჯერ „კვალი", ხოლო შემდეგ „მოგზაური" დიდი ქართველი მწერლების წინააღმდეგ აწყობენ ლაშქრობას და აშკარად ცილისწამებლურ და შეურაცხმყოფელ წერილებს აქვეყნებენ. მათთვის უბრალო საბაბიც კი საკმარისი იყო, რომ აუგად მოეხსენებინათ ჩვენი დიდი საზოგადო მოღვაწენი — ილია და აკაკი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამხანაგი სტალინი არ იზიარებდა „კვალის" ცალმხრივ გალაშქრებას ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ (ორდანიას „პრესა") და მოითხოვდა გარჩეული ყოფილიყო მისი მხატვრული შემოქმედებაც, რომელსაც დიდად აფასებდა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ არამცთუ ი. სტალინის ნაშრომებში, არამედ იმდროინდელ ბოლშევიკურ პრესაში, იმ მრავალ ბოლშევიკურ გაზეთებში, რომლებსაც ი. სტალინი რედაქტორობდა, ვერ იპოვით ვერცერთ სტატიას, უბრალო შენიშვნას ან კორესპონდენციასაც კი, რომელიც

ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის პიროვნებას რითიმე შეურაცყოფდეს.

ქართველი სამოციანელები იმ დროს მოღვაწეობდნენ, როცა საქართველოს ეკონომიური კონსოლიდაცია მოხდა, ქართველი ხალხი ერთ მთლიანად გაერთიანდა და საქართველო ერად ჩამოყალიბდა. მოწინავე საზოგადოებრივმა აზრმა გამოხატა და ხელი შეუწყო ამ ისტორიულ პროცესს, რომელიც გზას უხსნის სხვაგვარ გამიჯვნას, კლასების მიხედვით გამიჯვნას.

როგორც მარქსი აღნიშნავს მუშათა კლასს არ შეეძლო გამტკიცებულიყო, დავაქაცებულიყო, დარაზმულიყო, თუ „ერის ფარგლებში არ მოეწყობოდა“, თუ „ნაციონალური“ არ იქნებოდა.

მართალია, ქართველი სამოციანელები ვერ ჩაწვდნენ ახალი ეპოქის ძირითად ტენდენციას, მათ ვერ გაიგეს ბურჟუაზიულ დემოკრატიიდან მუშათა კლასის გამოყოფისა და დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობის წარმოშობის პროცესი, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა იმას, რომ მათ უღალატეს ძველ მრწამსს, რომ თითქოს მეფის მთავრობასთან შერიგების გზას დაადგნენ და პროგრესიულ მოძრაობის საწინააღმდეგო ბანაკში მოხვდნენ. ახალ ხანაში, როცა მარქსისტული მოძღვრება დამკვიდრდა და მუშათა პოლიტიკური მოძრაობა გაჩაღდა, სამოციანელთა მოღვაწეობა, მიმართული საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ, ობიექტურად პროგრესულ მოვლენად რჩებოდა.

ილია ჭავჭავაძეს თავის ცხოვრების უკანასკნელ წლებში საქართველო ისევ ერთ მთლიან ეროვნულ ორგანიზმად ჰქონდა წარმოდგენილი, ხოლო თავის თავს მთელი ქართველი ხალხის წარმომადგენლად სთვლიდა.

1906 წელს პეტერბურგში მყოფ ილიას კორესპონდენტისათვის განუცხადებია: „სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, — ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელი საქართველოსა და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს“ (იხ. ჟურ. „განათლება“ № 3-4, 1908 წ.).

ილია ჭავჭავაძე აღშფოთებული იყო იმით, რომ მაშინ, როცა ქართველ გლეხს ადგილი არა აქვს თონე ჩააგდოს, მეფის მთავრობამ ქართველთა სისხლით მორწყული მიწა-წყალი სხვა ტომის ხალხს მისცა დასახლებლად.

ილია აღშფოთებული იყო იმით, რომ მეფის მთავრობა, წინააღმდეგი იყო რა ადგილობრივი თვითმმართველობისა, ანგარიშს არ უწევდა ქართველი ხალხის ვინაობასა და თავისებურ ... ებებს, ერეოდა მის შინაგან ცხოვრებაში და ავიწროებდა მას.

ილ. ჭავჭავაძე იცავდა „ფართო თვითმართველობას კანონმდებლობითი უფლებებით“. თავადაზნაურობის კერძო კრებაზე, რომელიც 1905 წლის მარტში შესდგა თბილისში, ილ. ჭავჭავაძე გულისწყრომით ამბობდა: „ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლიან თამამად მოვითხოვოთ უბრალო, ბუნებრივი რამ, რომ ქართველის მიწა ქართველისათვის იყოს. ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომლებიც ეხლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ იწერებოდეს, რადგან, რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისთვის მავნე იყოს“ („ივერია“ № 20, 1905 წ.).

ილია იმ აზრისაა, რომ „...გლეხკაცი და ღარიბი უფრო მეტად საზრუნველია, უფრო მეტად გაჭირვებული, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი და ვაჭარი“ (ტ. IX, გვ. 182); მას ისიც კარგად ესმის, რომ „თავად-აზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა, დიდი ხანია თავისი დრო მოიჭამა“ (იქვე), მაგრამ იგი მაინც იმის მომხრეა, რომ მთელი ერი ყველა წოდების გაერთიანებული ძალით დაუპირისპირდეს გარეშე მტერს — მეფის თვითმპყრობელობას: „...დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხე-სიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდან გავტეხოთ“ (იქვე, გვ. 191).

ილ. ჭავჭავაძე, ბოლომდე ინარჩუნებს რა თავის მსოფლმხედველობის ძირითად პრინციპებს, მოითხოვს ერის ყველა ძალის, ყველა წოდების გაერთიანებასა და შეკავშირებას ერთიანი თანასწორუფლებიანობის მოპოებისათვის ბრძოლაში.

იგივე უნდა ითქვას აკ. წერეთლის შესახებაც. აკაკიმაც რევოლიუციას განიცადა როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ბედს მად-

ლობას ვწირავ, ამბობდა აკაკი, რომ „მომასწრო იმ ბედნიერებას, რასაც ამ ნახევარ საუკუნის წინათ ვნატრობდი და მხოლოდ იდეალად ვისახავდიო“ („ივერია“ № 195, 1905 წ.).

აკაკი ამტკიცებდა, რომ ქართველი ხალხის მტერი „ერთია, შორეულ-გადამთიელი“ და მთელ საქართველოს მოუწოდებდა: „მტერს დაუხვდით გარეშესო“. ეს მოწოდება იარაღით ხელში ბრძოლას ნიშნავდა. აკაკი ამკარად წერდა: „ძირს მთავრობა უსამართლო“ და ასევე ამკარად მოითხოვდა: მახვილო, „დროა, ამოდი ქარქაშით“.

ამრიგად, აკაკი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა წოდების ერთიანი მოქმედების მომხრეა. მისი აზრით, შინაური უთანხმოება მიუტოებელი შეცდომაა: ძალების დაქსაქსვა მტრისთვის იქნება სასარგებლო. მტერი საერთოა და მის წინააღმდეგ ბრძოლაც საერთო საქმეა, „მეცხვარის ძაღლებმაც კი იციან, რომ ჯერ გარეშე მტრის მოგერება უნდა შეერთებული შრომით და მერე შინაური ბრძოლა“. რევოლუცია არღვევს იმ შენობას, რომელშიაც ქართველობა იყო გამომწყვდეული. მის ნაცვლად ახალი, დროის შესაფერი უნდა აიგოს. „შეერთებულად უნდა მივადგეთ ყველა ახალ შენობას“ — ამბობს აკაკი.

ასეთივე პოზიცია ეკავა ი. გოგებაშვილს, რომელიც ქართველ მარქსისტებისადმი თანაგრძნობით იყო გამსჭვალული და მხარს უჭერდა მათ, რამდენადაც მათი წადილია „დაეხსნათ მუშა ხალხი იმ მონობის უღლისაგან, რომელიც მას ადგა კისერზე კაპიტალისტების წყალობით“. მაგრამ ი. გოგებაშვილი შორდება მარქსისტებს, რამდენადაც მათ ეროვნული საკითხის უგულვებელყოფას მიაწერს. იგი ამბობდა: „მარტო სოციალური ცვლილება არ არის საკმარისი ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის, ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე ეროვნული თავისუფლება“ („რჩეული ნაწერები“, ტ. 11. გვ. 441).

ლენინი, ლაპარაკობდა რა იმ მიზნებზე, რომელთა გამო რუსული საზოგადოებრივი აზრი ვერ ჩაწვდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მნიშვნელობას, წერდა:

„..რუსული საზოგადოებრივი აზრი ძალიან ხშირად დიდად ცდება რუსი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის ნამდვილი ამოცანებისა და ხერხების შესახებ: ამნაირი შეცდომები ნაწილობრივ ბუნებრივად წარმოშობა ხოლმე ჩვენი ცხოვრების პოლიტიკური დამყაყებულობის ჭაობზე, ნაწილობრივ კი მათ ხელოვნურად ჰქმნიან სოციალ-დემოკრატიის მოწინააღმდეგენი. ყოველ შემთხვევაში ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაეწიოს. მუშათა მოძრაობამ, თავისი შეერთებით სოციალიზმთან და პოლიტიკურ ბრძოლასთან, უნდა შექმნას პარტია, რომელიც გაჰფანტავდა ყველა ამ გაუგებრობას, თუ კი მას სურს სათავეში ჩაუდგეს რუსი საზოგადოების ყველა დემოკრატიულ ელემენტს“ (ტ. 4, გვ. 274-275).

ის, რასაც აქ ლენინი რუსული საზოგადოებრივი აზრის მისამართით ამბობს, მთლიანად შეიძლება ითქვას იმ დროინდელ ქართულ საზოგადოებრივ აზრზეც. ჩვენი საზოგადოებრივი აზრის მიერ მარქსიზმის და მუშათა მოძრაობის შეფასების საქმეში დაშვებული სერიოზული შეცდომები აიხსნება ჩვენი მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობითა და ჩვენი ქვეყნის კოლონიური მდგომარეობით. აქ მცირე როლს როდი თამაშობდა ისიც, რომ პუბლიცისტები მოწინააღმდეგე ბანაკიდან შეგნებულად ასხვაფერებდნენ და ამახინჯებდნენ მარქსისტთა შეხედულებებს და ხელოვნურად ამწვავებდნენ მდგომარეობას. გარკვეული როლი ითამაშა აგრეთვე ქართული საზოგადოებრივი აზრის მიმართ „მესამე დასის“ უმრავლესობის ცალმხრივმა და არაობიექტურმა პოზიციამ, მათმა ოპორტუნისტულმა თვალსაზრისმა და შემკვიდრეობისადმი ვულგარულ-სოციოლოგიურმა მიდგომამ.

„მესამე დასის“ უმრავლესობამ, ყველა თავისი ნაკლის მიუხედავად, ერთგვარი დადებითი როლი ითამაშა იმით, რომ მან ჩვენში პირველმა გაატარა კლასობრივი დიფერენციაციისა და კლასთა ბრძოლის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შინაარსის, იდეა და მოგვცა მკაცრი კრიტიკა ფეოდალურ-აზნაურული და ლიბერალურ-ხალხოსნური მიმართულებისა, რომლებმაც შეითვისეს რუს და ქართველ სამოციანელთა სუსტი მხარეები, თავგამოდებით იცავდნენ დრომოჭმულ, შემცდარ და მავნე შეხედულებებს და ყოველნაირად ცდილობდნენ

ზელი შეეშალათ და შეეფერხებინათ მარქსიზმის გავრცელება საქართველოში.

მაგრამ ქართველი ლეგალური მარქსისტების მიერ ძველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმართულებებთან წარმოებული ეს ბრძოლა გადაიზარდა სამოციანელების წინააღმდეგ არაობიექტურ, ცალმხრივ და ტენდენციურ ლაშქრობად და კლასიკური მემკვიდრეობის ნიჰილისტურ უარყოფად. მათ კრიტიკულად კი ვერ აითვისეს მემკვიდრეობა, არამედ განზე გადააგდეს როგორც გამოუსადეგარი რამ. მათ უარყოფითად შეაფასეს ილ. ჭავჭავაძის შემოქმედება, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის სულიერ განვითარებაზე.

ქართველ სამოციანელთა (ილია, აკაკი) მიმართ უარყოფით დამოკიდებულებაში გამომჟღავნდა, რომ „მესამე დასის“ უმრავლესობისათვის ყოველგვარ მნიშვნელობასა და აქტუალობას იყო მოკლებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ეროვნულ საკითხში მათი ნაციონალისტური პოზიცია უარყოფის შებრუნებული მხარე იყო. იმის გამო, რომ ისინი წინააღმდეგი იყვნენ პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის და ნაციონალურ საკითხს არ იხილავდნენ რევოლუციურ პერსპექტივასთან განუყოფელ კავშირში, ისინი მტრულად ეკიდებოდნენ პროლეტარული მოძრაობის შესაძლებელ მოკავშირეთა საკითხს.

საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატია მოწოდებული იყო, რომ გაეფანტა ყველა ის გაუგებრობა, რაც მარქსისტების მოღვაწეობის ხასიათის, მიზნებისა და ამოცანების გარშემო იყო შექმნილი; ყოველგვარი დახმარება გაეწია, მიემხრო და მოკავშირედ მიეზიდა ყველა პროგრესული ძალა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ლენინი რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას ასწავლიდა, რომ მან „უნდა ააფრიალოს ს ა ე რ თ ო-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი დროშა, რათა თავის გარშემო დარაზმოს ყველა ფენა და ელემენტი, რომელთაც უნარი შესწევთ იბრძოლონ პოლიტიკური თავისუფლებისათვის ანდა თუნდაც მხოლოდ რითიმე მხარი დაუჭირონ ასეთ ბრძოლას“ (ტ. 4, გვ. 283 — 284).

90-იან წლების ლიბერალი ნაროდნიკები ირწმუნებოდნენ, რომ თითქოს მარქსისტები უარყოფდნენ რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილის საუკეთესო ტრადიციებს.

ლენინმა ნაშრომში „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ ამხილა ნაროდნიკების ცილისწამება და გვიჩვენა, რომ რუსი განმანათლებლების ნამდვილ მემკვიდრეებს წარმოადგენენ არა ნაროდნიკები, არამედ მარქსისტები.

ანალოგიური ამბავი საქართველოშიც განმეორდა: მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩვენში წარმოშობილი ფეოდალურ-აზნაურული და ლიბერალურ-ხალხოსნური მიმდინარეობანი იკვეხნიდნენ, წინააღმდეგ მარქსისტებისა ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის ტრადიციას ვიცავთ და ვანვითარებთო.

ნამდვილად კი ფეოდალურ-აზნაურული დასი და ლიბერალურ-ხალხოსნური მიმართულება საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში დიდად ჩამორჩნენ სამოციანელებთან შედარებით. მათ არათუ ვერ შესძლეს დაეყენებინათ ახალი საკითხები, არამედ იმ საკითხების გადაწყვეტაც კი შეაფერხეს, რომლებიც სამოციანელებმა წამოაყენეს. მათ ნაბიჯი გადადგეს უკან იმით, რომ შეითვისეს სამოციანელთა სუსტი მხარეები და უარყოფითი თვისებები, ხოლო დადებითი თვისებები და ძლიერი მხარეები ან უარყვეს ან დაამახინჯეს.

სამოციანელები, მიუხედავად თავიანთი მერყეობისა და ლიბერალიზმისკენ გადახვევებისა, დემოკრატები იყვნენ. ლიბერალურ-ხალხოსნური და ფეოდალურ-აზნაურული მიმართულებებმა, გამოხატავდნენ რა გლეხობის შეძლებული კულაკური ფენისა და ლიბერალ თავადაზნაურობის ინტერესებს, მეფის მთავრობასთან ბრძოლაზე ხელი აიღეს და მასთან შერიგების გზას დაადგნენ.

სამოციანელები მატერიალისტები იყვნენ, მათ ჰქონდათ საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი დიალექტიკური მიდგომისა და მისი მატერიალისტური გაგების ზოგიერთი მიხვედრა. მათგან განსხვავებით ლიბერალი ხალხოსნები იდეალიზმისა და ნაროდნიკული სუბიექტივიზმის პოზიციებზე იდგნენ.

აქ არაფერს ვამბობთ სოციალ-ფედერალისტებზე, რომლებიც სამოცია-

ნელთა მემკვიდრეობისადმი ერთგულებას ფიცულობდნენ, სინამდვილეში კი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმითა და მოდური რეაქციულ ფილოსოფიურ მოძღვრებათა გამოდევნებით მათ უკან დაიხიეს და სამოციანელებთან ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს.

როგორც ნაროდნიკები არ ყოფილან რევოლუციური დემოკრატების ნამდვილი მემკვიდრენი, ისე ლიბერალურ-ხალხოსნური და ფეოდალურ-აზნაურული მიმართულებანი არ ყოფილან ქართველ სამოციანელთა ნამდვილი მემკვიდრენი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობისა და ტრადიციების ერთგული და თანმიმდევარი დამცველები მხოლოდ ქართველი რევოლუციური მარქსისტები იყვნენ.

ი. სტალინმა უკუაგდო ლიტერატურის კლასიკოსებისადმი ნიჰილისტური, ეულგარულ-სოციოლოგიური მიდგომა და დაიცვა მემკვიდრეობა. მაგრამ „მემკვიდრეობის დაცვა სრულიადაც არ ნიშნავს მხოლოდ მემკვიდროებით დაკმაყოფილებას“ (ლენინი).

ი. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი ძოასწავებდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ხანის დაწყებას და რევოლუციურ გადატრიალებას ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში.

ი. სტალინმა გაფანტა ის ბურუსი, რომელიც ეროვნულ საკითხს საიდუმლო სახეს აძლევდა, და ნათლად აღნიშნა ის გზა, რომელსაც დაადგა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დროს. მან ეროვნული საკითხი ცალკე ნაწილებად დაჰყო, მისცა თითოეულ მათგანს კლასობრივი სახე და განსაზღვრა ის პოზიცია, რომელიც რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ დაიჭირა ეროვნულ საკითხში.

რა ნაწილებისაგან შესდგება ეროვნული საკითხი და როგორ უნდა მოხდეს მათი დადებითი გადაწყვეტა?

რა აღელვებდა მოწინავე ქართველ საზოგადოებრივ აზრს, რა სურდა და რას მოითხოვდა იგი?

მას აღელვებდა ის, რომ ქართველ ერს წართმეული ჰქონდა მოქალაქობრივი უფლებები. იგი მოითხოვდა რუსეთში გამეფებული უთანასწორობის მოსპობასა და ერებისთვის მოქალაქობრივ თანასწორობის აღიარებას.

განა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ამ მოთხოვნის წინააღმდეგი იყო? პირიქით, იგი მთელი ძალღონით იბრძოდა რუსეთის ერთა მოქალაქობრივი თანასწორობისათვის. ამასთან დაკავშირებით აი, რას წერდა ამხანაგი სტალინი: „წაიკითხეთ ჩვენი პარტიული პროგრამის მე-7 მუხლი, სადაც პარტია ლაპარაკობს „ყველა მოქალაქის სრულ თანასწორობაზე, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა. გვარტომობისა და ეროვნებისა“ — და დაინახავთ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის თავზე იღებს ამ მოთხოვნის განხორციელებას“ (ტ. 1, გვ. 43).

მოწინავე ქართულ საზოგადოებრივ აზრს აღელვებდა დედაენის, სკოლის, და სხვ. უფლებათა უქონლობა და მოითხოვდა ამ უფლებებს.

მერე და როგორ უყურებდნენ ამ მოთხოვნას რევოლუციური მარქსისტები? ამხანაგი სტალინი მიუთითებს პარტიული პროგრამის მე-8 მუხლზე, რომლის ძალითაც ჩვენი პარტია მოითხოვს: „სამშობლო ენაზე სწავლა-განათლების მიღების უფლებას ყველა მცხოვრებთათვის, ამისთვის საჭირო სკოლების დაარსებას სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯით; თვითეული მოქალაქის უფლებას ილაპარაკოს სამშობლო ენაზე კრებებზე; სამშობლო ენის შემოღებას სახელწიფო ენის თანასწორად, ყველა ადგილობრივ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში“ და ამბობს: „წაიკითხეთ ყველაფერი ეს და დარწმუნდებით, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის თავზე იღებს ამ მოთხოვნის განხორციელებასაც“ (იქვე, გვ. 43 — 44).

მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა თვითმმართველობას, თუმცა მას ბუნდოვანობის და გაურკვევლობის ბურუსში ხვევდა.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატია არა თუ წინააღმდეგი არ იყო ამ მოთხოვნის, არამედ „თუ გადაიკითხავთ ჩვენი პარტიული პროგრამის მე-3 მუხლს, სადაც ჩვენი პარტია მოითხოვს „ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას; საოლქო თვითმმართველობას იმ ადგილებისთვის, რომლებიც

განსხვავდებიან თავისებური ყოფაცხოვრების პირობებით და მცხოვრებთა ვინაობით", — დაინახავთ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ჯერ ნაციონალისტური ბურუსისგან გაუთავისუფლებია ეს მოთხოვნა და მერე თავს უდვია მისი განხორციელება" (იქვე, გვ. 45).

მოწინავე ქართველი საზოგადო მოღვაწენი შეშფოთებული იყვნენ მეფის თვითმპყრობელობის ძალმომრეობით დაჩაგრულ ერთა მიმართ, ნაციონალური კულტურის დევნით, ერების საშინაო ცხოვრებაში ჩარევით და მათი შევიწროებით, და მოითხოვდნენ ცარიზმის ამ ძალმომრეობათა წინააღმდეგ ბრძოლას.

იმათ საპასუხოდ, რომლებიც მიუთითებდნენ მეფის თვითმპყრობელობის იმპერიალისტურ-კოლონიურ პოლიტიკაზე და მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის ავაზაკური ძალმომრეობის აღკვეთას, ამხანაგი სტალინი წერდა: „დღეს ყველასთვის თვალსაჩინოა, თუ როგორ ავიწროებს და სულს უხუთავს დღევანდელი მთავრობა რუსეთის „უცხო" ერებს. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ მთავრობის ასეთი პოლიტიკა დღედადღე რყვნის და განსაცდელში ავდებს რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას. მაშასადამე, ჩვენ ყველგან და ყოველთვის შევებრძოლებით მეფის მთავრობის გამათახსირებელ პოლიტიკას. მაშასადამე, ჩვენ ყველგან და ყოველთვის დავიცავთ თვითმპყრობელობის პოლიციური ძალმომრეობისგან ამ ერთა არამც თუ სასარგებლო, არამედ უსარგებლო დაწესებულებებსაც კი, რადგან რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები გვეუბნებიან, რომ მარტო თვით ერებს აქვთ უფლება მოსპონ ან განავითარონ თავიანთი ნაციონალური კულტურის ესა თუ ის მხარე" (იქვე, გვ. 45-46).

ამხანაგმა სტალინმა ასე განსაზღვრა ჩვენი პარტიის პროგრამის დედაარსი ნაციონალურ საკითხში:

„მე-9 მუხლის ძალით „უცხო" ერებს ეძლევათ უფლება თავიანთი სურვილების თანახმად მოაწყონ თავიანთი ნაციონალური საქმეები. ჩვენ კი, ამავე მუხლის ძალით, ვალდებული ვართ შევეცადოთ, რომ ამ ერთა სურვილები ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული იყოს, რომ ეს სურვილები პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდეს. ამისთვის კი საჭიროა სოციალ-დემოკრატიულად გავანათლოთ ამ ერთა პროლეტარები, სოციალ-დემოკრატიული კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ ზოგიერთი რეაქციული „ნაციონალური" ზნე-ჩვეულება და დაწესებულება, რაც სრულიადაც არ შეგვიშლის ხელს პოლიციური ძალმომრეობისგან დავიცვათ იგივე ზნე-ჩვეულებები და დაწესებულებები" (იქვე, გვ. 51).

ამ მითითების შესაბამისად ქართველმა რევოლუციურმა მარქსისტებმა გააკრიტიკეს სხვადასხვა ქართულ საზოგადოებრივ მიმდინარეობათა შემცდარი შეხედულებები. რევოლუციურმა მარქსისტებმა ითავეს ეროვნული თანასწორუფლებიანობის განხორციელებისათვის ბრძოლა. და პროგრესულ-დემოკრატიულ ძალებს მოუწოდეს სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ გაერთიანებისა და საერთო ძალღონით საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ქართულმა პროგრესულმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ შესაფერი ადგილი დაიკავა იმ ბარიკადებზე, რომლებიც აღმართა საქართველოს მუშათა კლასმა ცარიზმის წინააღმდეგ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაუკავშირდა იმ დიდ ბრძოლას, რომელიც მარქსიზმის დროშით მუშათა კლასმა გააჩაღა და განსაკუთრებით ენერგიული გახადა მეფის თვითმპყრობელობაზე შეტევა.

საქართველოს ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ ჩაგრული ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ეროვნულ თანასწორუფლებიანობისათვის. მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შეუერთეს გლეხურ-დემოკრატიულ მოძრაობას მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებისათვის, დაუმორჩილეს მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის და მთელი რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან განუყრელ კავშირში მედგარი იერიში მიიტანეს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, დაამხეს ექსპლოატატორთა ბატონობა და შექმნეს ახალი დამოუკიდებელი და თავისუფალი საბჭოთა სოციალისტური საქართველო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭ. ხუნდაძე

ნასესხები სიტყვების მართლწერისათვის

*

ცნობილია, რომ უცხოური სიტყვები, ხშირად შეცვლილი ფორმით, ზოგჯერ — დამახინჯებულადაც, ვრცელდება ხალხში და იქიდან — მწერლობაშიც. ამ გზით ძალიან ბევრი სიტყვა დამკვიდრებულა ძველად ქართულ ენაში. ხდება პირუკუც: მწერლობას თვითონვე შემოაქვს უცხოური სიტყვა შეცვლილი ფორმით და შემდეგ ეს სიტყვა იმავე ფორმით ვრცელდება მასებში.

ამ უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე ფართოდ გაიშალა მუშაობა ჩვენი ენის მართლწერის ნორმების დასადგენად, კერძოდ, ნასესხები სიტყვების მართლწერის დასადგენადაც.

.სამწუხაროდ, ამ საქმეში თავი იჩინა არათანამიმდევრობამ, ერთიან სახელმძღვანელო პრინციპებიდან გადახვევამ.

ბეჭდვითი პროდუქციის რა ნიმუშიც არ უნდა ავიღოთ,—ყველგან ვხვდებით ორთოგრაფიულ შეცდომებს: მათი ამოკრება შორს წაგვიყვანდა. აქ განვიხილავთ მხოლოდ სასკოლო ორთოგრაფიულ ლექსიკონს,[1] მისი პირდაპირი დანიშნულებაა მართლწერის მოწესრიგება; მაგრამ ამ წიგნში ყველგან არ არის დაცული მართლწერის ერთიანი პრინციპი.

მაგალითად, ო-ნით გამოსათქმელი (პირველ მარცვალში) უცხოური სიტყვები ზოგი გადმოცემულია ო-ნით, ზოგი ა-ნით: მაგალითად, „ვაგზალი“ (უნდა ყოფილიყო „ვოგზალი“), „პამიდორი“ (პომიდორი).

სამაგიეროდ, სწორად არის მოცემული „ოფიცერი“ „კონდუქტორი“ „კონტროლი“ და სხვა.

რამ გამოიწვია ასეთი არათანმიმდევრობა მართლწერის წარმოებაში? შესაძლოა, ლექსიკონის ავტორები ხალხურ გამოთქმას ემყარებოდნენ? მაგრამ ხალხი ხომ, ისევე როგორც „ვაგზალს“, ამბობს, „აფიცერსაც“, „კანდუქტორსაც“ და „კანტროლსაც“.

ლექსიკონის ავტორებს ყველა ასეთ შემთხვევაში ერთი პრინციპით უნდა ეხელმძღვანელნათ და აღნიშნული უცხო სიტყვები ან ა-ნით დაეწერათ (რაც, ჩვენის აზრით, მართებული არ იქნებოდა), ან ო-ნით.

ასეთივე არათანამიმდევრობაა უცხო სიტყვების დაბოლოვების მართლწერის ნორმებშიც. მაგალითად, სიტყვა „დეპეშის“ ქართული დაბოლოვება (სახ. ბრუნვაში) იქნება ი-ნი, ვინაიდან იმ ენაზე, საიდანაც ეგ სიტყვაა წამოღებული, იგი გამოითქმის — „დეპეშ“ (depêche), მაშასადამე, ქართულად მას ბოლოში უნდა მოემატოს ი ნი და არა ა-ნი.

იგივე ითქმის „ანკეტისა“ (ფრ. enquête) და „ბლუზის“ შესახებაც: „ბლუზი“ (ფრ. blouse) და არა „ბლუზა“. აღსანიშნავია, რომ „ბლუზი“ ხალხში სწორი ქართული გამოთქმით არის გავრცელებული („ბლუზი ჩავიცვი“, „ბლუზი შევიკერე“); სხვა ლექსიკონებშიაც „ბლუზი“ სწორია, მხოლოდ „ორთოგრაფიულ ლექსიკონშია“ — „ბლუზა“.

ამავე დროს კი, სიტყვა „ციტატი“ „ორთოგრაფიულ ლექსიკონში შეტანილია სწორი ქართული გამოთქმით, თუმცა ეს სიტყვაც იმავე გზით არის ჩვენში შემოსული, როგორითაც „დეპეში“, „ანკეტი“, „ბლუზი“ და ხშირად უმართებულოდ იწერებოდა და იწერება კიდეც „ციტატა“.

ჩვენის აზრით, ნასესხები სიტყვა უნდა იწერებოდეს იმ გამოთქმის მიხედვით, რომელიც შეესაბამება მას ეტიმონში[1] ქართული სახელობით ბრუნვის ნიშ-

[1] ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი— ორთოგრაფიული ლექსიკონი, მესამე გამოცემა, სახელგამი, 1949 წ.

[1] ეტიმონი — საწყისი სიტყვა, საიდანაც წარმოდგა ნასესხები სიტყვა.

ნის — ი-ნის მიმატებით, თუ ფუძე (ეტიმონი) თანხმოვანზე (ან მუნჯ ხმოვანზე) ბოლოვდება; ხოლო ხმოვანზე დაბოლოებული საწყისი (ეტიმონი) კი უნდა შემოვიტანოთ თავისივე ბოლო-ხმოვანითურთ.

გეოგრაფიული სახელებიც, რომელნიც ეტიმონში თანხმოვანზე ბოლოვდებიან, მაგალითად: Hol-land, Jn-land, Scnott-land და სხვა უნდა შემოვიტანოთ ქართული გაფორმებით, ე. ი. ბოლოში სახ. ბრუნვის ნიშნის ი-ნის მიმატებით. მაშასადამე, გვექნება: ჰოლანდი, ირლანდი, შოტლანდი, ისლანდი და ა. შ.

მაგრამ „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ რომელიც განკუთვნილია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ზემოაღნიშნული გეოგრაფიული სახელები მოცემულია ქართული ენისათვის უმართებულო ფორმით: „ჰოლანდია“, „ირლანდია“, „ისლანდია“... და მათგან წარმოებულნი — „ჰოლანდიელი“, ჰოლანდიური“, ირლანდიელი“, „ირლანდიური“ და ა. შ.[1] ლექსიკონის ავტორები ყოველივე ამას ამართლებენ იმით, რომ „სიტყვის მართლწერის დადგენისას ტრადიციებსაც გავუწიოთ ანგარიში“-ო[2]. მაგრამ, ჩვენის აზრით, ცუდი ტრადიციებისადმი საუკეთესო ანგარიშის გაწევა ის იქნება, თუ მათ აღმოვფხვრით. რუსეთში, მაგალითად, უკვე დაწყებულია ბრძოლა ენის ამ უბანზე ცუდი ტრადიციების წინააღმდეგ. იქ მოითხოვენ, რომ უცხოური სახელ-გვარებისა და გეოგრაფიული სახელების გამოთქმა და წერა ისეთივე იყოს, როგორიც შეესაბამება მათ ეტიმონში. ამიტომ არის, რომ Тифлис (ძველი რუსული მართლწერით) დღეს რუსულად იწერება Тбилиси. Рюи де Мопассан — Гиде Мопассан და ა. შ.

მალე, ალბათ, ტრადიციით მონახული დამახინჯებული ფორმების მქონე სხვა სახელებსაც სწორად გამოთქვამენ და დასწერენ. მაგალითად, ვაშინგტონი კი არა — უოშინგტონი, პარიჟი ან პარიზი კი არა—პარი, ლისაბონი კი არა—ლიჟბონი, ჰიუგო (რუს. — Гюго) კი არა — იუგო და სხვა.

რუსი მწერალი კორნეი ჩუკოვსკი, რომლის წიგნიდან მოგვაქვს ეს ცნობები, წერს: „საერთოდ, ტრადიცია ჩვენთვის არც ისეთი საფრთხობელაა. გიუი დე მოპასანი უმტკივნეულოდ გავხადეთ გი დე მოპასანი, თუმცა ნახევარსაუკუნოვანი ტრადიცია გიუის მხარეზეა. და, მართლაც, საშინელება არ იქნება თუ ფრანგ ლუდოვიკებს ლუის გადავარქმევთ, ჰენრიხებს — ანრის, ვალტერ სკოტს — უოლტერ სკოტს, კამოენსს — კამუინშს და ლისაბონსაც კი — ლიჟბონს, ვინაიდან არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ ფსიქოლოგიას საბჭოთა მკითხველებისას, რომელნიც ასე ვთქვათ, აღზრდილნი არიან ცუდი ტრადიციების დარღვევაზე. რა და რა ტრადიციები — ათასწლოვანებიც კი — რომლებიც მარადურყევი გვეგონა, არ გაცამტვერებულა ჩვენს თვალწინ. ამიტომ ჩვენთვის უფრო ადვილია, ვიდრე ევროპის სხვა რომელიმე ხალხისათვის, უარი ვთქვათ ლისაბონსა და ვიქტორ ჰიუგოზე (Гюго) ლიჟბონისა და იუგოს სასარგებლოდ“[1].

ცნობილი რუსი მწერლის — ჰერცენის — გვარი „ორთ. ლექსიკონში“ მოცემულია რუსული გამოთქმის მიხედვით — „გერცენი“, უნდა იყოს — „ჰერცენი“, ვინაიდან ეს გვარი წარმომდგარია berzen — იდან და, მაშასადამე, ქართულად უნდა დაიწეროს ისე, როგორც იწერება და გამოითქმის მსოფლიოს ყველა იმ ენაზე, რომელთაც ანბანში მოეპოვებათ ჰ ბგერის გამომხატველი ასო. რუსულ ანბანში ასეთი ასო არ არსებობს და ამიტომ იგი შენაცვლებულია Г-თი.

---

[1] აღსანიშნავია, რომ არსებობს გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომელშიც ზემოთჩამოთვლილი სახელები მოცემულია მართებული ქართული მართლწერით (იხ. გ. ი. ივანოვი — ქვეყნის ნაწილების გეოგრაფია, 6 კლასის სახელმძღვანელო, ქართულად თარგმნილი დ. დონდუას მიერ, 1949 წ., გვ. 5, 6, 17, 31 და სხვ.). რა ქნას მასწავლებელმა, ან მოწაფემ, რომელსაც გეოგრაფიის სახელმძღვანელოში აქვს „ჰოლანდელი“, „ირლანდი“, „ირლანდელი“ და „ორთოგრაფიულ ლექსიკონში კი — „ჰოლანდია“, „ჰოლანდიელი“, „ირლანდია“, „ირლანდიელი“? ორივე ეს წიგნი კი გამოცემულია განათლების სამინისტროს ნებართვით.

[2] იხ. „ორთოგრაფიული ლექსიკონის“ წინასიტყვაობა.

[1] კორნეი ჩუკოვსკი — Высокое искусство. მოსკოვი, 1941 წ., გვ. 219.

უცხოური სიტყვიდან წარმომდგარი გვარის ქართულად წერის შესახებ საერთოდ უნდა მივიღოთ წესად, რომ, თუნდაც ამ გვარის მატარებელი ქართველი (გინდ რუსი) იყოს, — იგი ვწეროთ იმ გამოთქმის მიხედვით, რომელიც შეეფერება ამ სიტყვას ორიგინალში. მაგალითად, ცნობილი რუსი კომპოზიტორის გვარი რუბინშტაინი ქართულად უნდა გამოითქვას და დაიწეროს ისე როგორც ყველა სხვა ასეთი დაბოლოების მქონე გვარი: აინშტაინი, ბერნშტაინი და სხვა., და არა — რუბინშტეინი, ე.ი. არა ისე რომ ერთ შემთხვევაში ვწეროთ „შტაინი“ და მეორეში — „შტეინი“.

აღნიშნულ „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ არის სხვა შეუსაბამობაც. მაგალითად, ერთის მხრივ — მიღებულია: „ქაოსი“—„ქაოსური“, მეორე მხრივ — „კოსმოსი“, „კოსმიკური“; ერთიანი წესის მიხედვით აქაც უნდა იყოს—„კოსმოსური“.

ქართული მართლწერის მოწესრიგების საქმეზე მომუშავე ზოგიერთი პირი მოითხოვს, ნასესხები სიტყვების მართლწერის დადგენისას ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გზას, რომლითაც შემოვიდა უცხოური სიტყვა, და ვწეროთ იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი გავრცელებულიაო.

ამ პირებს ავიწყდებათ ნასესხებ სიტყვათა მართლწერის უკვე მიღებული ნორმები, რომლებიც აბსოლუტურად საწინააღმდეგოა მათი აზრისა: „ექსპერიმენტული“, „პრინციპული“ და სხვა, „ექსპერიმენტალურისა“, „პრინციპიალურისა“ და სხვა ასეთი ალ-ჩასართთიანი უცხოური ზედსართავების ნაცვლად; „შტრაიკბრეხერი“, „კაპელმაისტერი“, „ლაიფციგი“, „ჰაინე“ და სხვ., „შტრეიკბრეხერისა“, „კაპელმეისტერისა“, „ლეიპციგისა“, „ჰეინესი“ და სხვა ასეთების (გერმანული ei — კომპლექსიანი სიტყვების) ნაცვლად; „ენთუზიაზმი“, „ფსიქოპათი“, „ფაქტობრივი“, „ტიპობრივი“,[1] ნაცვლად წინათ გავრცელებული ფორმებისა: — „ენტუზიაზმი“, „პსიხოპატი“, „ფაქტიური“, „ტიპიური“.... განა ეს ფაქტები არ ღალადებენ, რომ ნასესხები სიტყვების მართლწერის დადგენისათვის ის კი არ უნდა მივიღოთ საფუძვლად, სიტყვა ამ გზით თუ იმ გზით შემოვიდა, არამედ ის, თუ რამდენად მართებულია შემოტანილი სიტყვის ფორმა და რამდენად შეთანხმებულია ქართული ენის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ კანონებთან? აგრეთვე არ შეიძლება საფუძვლად მივიჩნიოთ ის, რომ ნასესხები სიტყვა უკვე გავრცელებულია უმართებულო ფორმით. გავრცელებული შეიძლება ბევრი უხამსი სიტყვა და სიტყვის ფორმა იყოს, მაგრამ ეს სრულიადაც არ გვავალებს, რომ ჩვენი სალიტერატურო ენა გავავულგაროთ, დავუმორჩილოთ უმართებულო ფორმათა სტიქიას.

რა თქმა უნდა, ამ პრინციპებით ვერ ვიხელმძღვანელებთ საერთოდ მთელი ნასესხები სიტყვების მართლწერის დადგენისათვის. ძველად წიგნიერი მასა არა გვყავდა, მწერლობაც კარჩაკეტილი იყო. წიგნი მხოლოდ სამღვდელოებამ და თავადაზნაურობამ იცოდა. ამიტომ უცხოური სიტყვები ზეპირად ვრცელდებოდა და მახინჯდებოდა. დღეს შეიძლება გვეუცხოვოს, რომ ქართული „ბერი“ თურმე სპარსული „ფირ“-იდან ყოფილა წარმომდგარი. ასეთი გაქართულებული უცხოური სიტყვები ჩვენში მრავლადაა. ცხადია, ამ სიტყვების მართლწერის გასწორება მათი ეტიმონების მიხედვით დღეს შეუძლებელია და არც საჭიროა. მაგრამ იმ ახალი ნასესხები სიტყვების მართლწერის სწორად დადგენას, რომლებიც იმ უცხოური ენებიდან მოდის, რომლებთანაც დღეს ჩვენს ენას აქტიური კულტურული კავშირი აქვს, — წინ არაფერი უდგას, გარდა რუტინისა. „ბერის“ დაბრუნება „ფირად“ დღეს შეუძლებელია, მაგრამ „პამიდორის“ ნაცვლად „პომიდორის“ დაწერა, „დეპეშას“ ნაცვლად — „დეპეშის“, „ბლუზას“ ნაცვლად — „ბლუზის, „ჰოლანდიას“ მაგივრად—„ჰოლანდის“—უმტკივნეულოდ შეიძლება.

---

[1] ნასესხები სიტყვები, მართლწერის ახალი ფორმებით, აქ ამოწერილია იმავე „ორთოგრაფიული ლექსიკონიდან“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

★

ოთარ ჭელიძე. „კომუნიზმის ჯარისკაცები“

„საბჭოთა მწერალი“, 1951 წ.

„დიდი სამამულო ომის მოვლენებმა, — აღნიშნავდა ამხანაგი კ. ჩარკვიანი საქართველოს ბოლშევიკების მე-14 ყრილობაზე, — ახალი შინაარსით გაამდიდრეს ქართული საბჭოთა ლიტერატურა და უფრო დაუახლოვეს იგი ხალხის მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს“.

სამამულო ომისა და ომისშემდგომი პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ მოვლენათა მხატვრული ასახვით პოეტმა ო. ჭელიძემ საკმაოდ გააფართოვა თავისი შემოქმედების თემატიკური არე და მთელი რიგი ნიჭიერად დაწერილი ლექსებით უფრო მკაფიოდ გამოავლინა თავისი ინდივიდუალური პოეტური სახე.

წიგნი, რომელიც 34 ლირიკული ლექსისა და ერთი პოემისაგან შედგება, ატარებს მასში მოთავსებული პოემის სახელწოდებას. ლირიკული ნაწარმოებნი, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ეხებიან თანამედროვეობას, ჩვენი დროის აქტუალურ საკითხებს. ლექსების უმეტესობა დათარიღებულია 1950-51 წლებით, ხოლო ზოგიერთი ლექსი, რომელიც კრებულში უთარიღოთაა შეტანილი, თავისი შინაარსით სამამულო ომისა და შემდგომი პერიოდის საბჭოთა ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს ასახავს.

ო. ჭელიძე თავის ლექსებში უმღერის ჩვენს ბედნიერ აწმყოს, დიდი სტალინური ეპოქის სიდიადეს და ძლევამოსილებას, ბოლშევიკური წრთობისა და გმირული საქმის ადამიანებს, კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის მებრძოლ ჯარისკაცებს. ამიტომაც შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ავტორმა თავისი ლექსების წიგნს „კომუნიზმის ჯარისკაცები“ უწოდა.

წრფელი გრძნობითა და ლირიკული უშუალობით დაწერილ ლექსში „დიდი ბელადი“ პოეტი ღრმად განგვაცდევინებს ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას თანამედროვეობის დიდი ადამიანის — ამხანაგ სტალინის მიმართ. პოეტი წერს:

„მზემდის ასულა შენი დიდება,
შენთვის სიცოცხლეც არ დავინანო,
გული საგულეს შენთვის მიფეთქავს,
ყველაზე დიდო ადამიანო“.

საყურადღებო პოეტურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს ლექსი „ბოლშევიკები“. ეს ლექსი პოეტისათვის შთაუგონებია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის წიგნს. ამ ლექსით პოეტი მხატვრულად სწორად განაზოგადებს ბოლშევიკების გმირულ საქმიანობას და მაღალ ადამიანურ თვისებებს. პოეტი მათ გვიხასიათებს, როგორც ახალი წყობის ადამიანებს, ლენინურ-სტალინური პოლიტიკის მტკიცედ და განუხრელად გამტარებლებს; როგორც ისეთ ადამიანებს, რომლებმაც მშრომელი ხალხის საუკუნოებრივი ოცნება სინამდვილად აქციეს და მოუპოვეს მას დიდი ხნით ნანატრი თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ბედნიერი ცხოვრება.

კომუნიზმის ამ აქტიურ მშენებლებს და ჯარისკაცებს, „სულით ძვლებამდე ბოლშევიკებს“, როგორც თვით ავტორი უწოდებს, ახლა მიზნად დაუსახავთ გარდაქმნან და დაიმორჩილონ ბუნება, ჩააყენონ იგი ხალხის კეთილდღეობის სამსახურში და თვალწარმტაც წალკოტად აქციონ ოქტომბრის რევოლუციის პირმშო — სოციალისტური სამშობლო.

„ახლა სამგორის გვალვას აგდებენ,
როგორც სისხლიან მეფეს, ტახტიდან.
უკაცურ ველებს გაბაღებენ,
მათი სიტყვა და საქმე ნაღდია...
თბილისი, ბაქო და სტალინგრადი...
მათმა მარჯვენამ ბაღად აქცია,
დავიწყებიათ რაა პირადი,
ყველა საქვეყნო საქმის კაცია“.

ო. ჭელიძის ლექსებს ახასიათებს თემატიკური სიახლე და კონკრეტულობა, ცხოვრების მოვლენებისადმი ნათელი მიდგომა და თავისებურ მხატვრულ ასპექტში მათი წარმოსახვა. მაგალითისათვის ავიღოთ მისი ლექსები: „დედულეთი — ზღვისპირეთი“, „არქიტექტორი“, „კომბაინერი“, „კახაბრიძე“, და სხვა. აქ ჩამოთ-

ვლილი ლექსების თვით სახელწოდებაც კი გვაჩვენებს, რომ ავტორს შეუძლია პოეზიის საგნად აქციოს ჩვენი ცხოვრების ყოველი კონკრეტული მოვლენა.

ერთ მთლიან თემატიკურ რკალადაა შეკრული ლექსები: „ზღვა გლდანთან“, „დედულეთი — ზღვისპირეთი“, „ჯოხტნის წყალი“ და სხვა. ამ ლექსებში ავტორი, ხელმძღვანელობს რა სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდით, მხატვრულ სახეებში გვიხატავს თბილისისა და მის მახლობლად მდებარე ადგილების სოციალისტურად გარდაქმნის სურათებს, რეალისტურად წარმოგვიდგენს ამჟამად იქ წარმოებულ დიდ სამუშაოებს. და როდესაც მშენებლობის გრანდიოზული გეგმა რეალობად იქცევა.

„ძეათასეჯერ დალოცავთ მაშინ, —
დიად საქმისთვის ვინც გაგამხნევათ,
ბელადს ახსენებთ, მხარ-მკლავებს გაშლით,
ნატვრა ქართველთა როცა ახდება,
ჩახედეთ მაშინ თბილისის ზღვაში:
შიგ კომუნიზმის მოჩანს სახება“.

პოეტის ნატვრა და გულისწადილია, როდესაც აქამდე „მკვდარი მიწა უკვდავებად, ზღვისპირეთად გადიქცევა“, ჩასახლდეს დედულეთში, იქ, სადაც „ხართუთებით, ნარინჯებით, გალავნებით, ქონგურებით, გამოჩნდება გლდანი ჩემი ზღვისპირ, როგორც ქობულეთი“. კომუნიზმის დიად მშენებლობათა საქმეში დღეს აქტიურად არიან ჩაბმული ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის მშრომელი ადამიანები. ამ ერთგულ მშენებელთა შრომითი ენთუზიაზმი და საზოგადოებრივი საქმიანობა, მათსავე მდიდარ სულიერ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში, თავისებურადაა გააზრებული და პოეტურად განზოგადებული ავტორის რამდენიმე ლირიკულ ნაწარმოებში. ლექსში „არქიტექტორი“ დახატულია საბჭოთა არქიტექტორის ტიპიური სახე — „მოხუცი შემოქმედისა“, რომელიც თავდადებით და დაუღალავად შრომობს, —

„ებრძვის ღამეებს ჯანის განწირვით“,

„რომ კომუნიზმში მისი შენობაც
ჩადგეს რიგითი ჯარისკაცივით...“

„რომ დაამშვენოს დედაქალაქი,
რომ უკეთესი გახდეს თბილისი“.

უაღრესად შინაარსიანი და მხატვრული სახეებით მდიდარი ლექსია „კახაბრიძე“. სამამულო ომის დროს კავკასიის ფრონტზე ანაგელი ინჟინერი კახაბრიძე სწრაფად და სახელდახელოდ აგებდა ხიდებს, რითაც დიდ დახმარებას უწევდა და გზას უხსნიდა საბჭოთა ჯარის ნაწილებს, რომ მათ დაუბრკოლებლად,

„ძლევამოსილი მარშით“ ევლოთ წინ, ვერაგი მტრის შესამუსრავად. ომის დამთავრებას შემდეგ მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში ინჟინერი კახაბრიძე აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის დიად მშენებლობათა საქმეში:

„თელავისკენ, სიღნაღისკენ, ახმეტისკენ,
აგებს ხიდებს, გაჰყავს გზები“.

საკოლმეურნეო შრომის ფრონტზე გაჩაღებულ მუშაობაში ასევე აქტიურადაა ჩაბმული, — დღენიადაგ თავის კომბაინზე ტრიალებს საბჭოთა კომბაინერი — „ჯარისკაცი კომუნიზმის, კომუნიზმის მშენებელი“. (ლექსი „კომბაინერი“).

ლექსში „ჭიდაობა“ პოეტი მოგვითხრობს, თუ როგორ ატარებს გლდანელი ახალგაზრდობა თავისუფალ დროს მუშაობის შემდეგ და როგორ ხვდება სამუშაო დღის დაწყებას. შებინდებისას, ჭიდაობის შემდეგ გლდანელები „იშლებიან, რომ ცისკრისას ნათელს ყველა ფეხზე დახვდეს“ და, რომ კოლექტივის ბაღებში კვლავ გააჩაღონ ხალისიანი და სასიცოცხლო ენერგიის მომცემი შრომა, „ჩაუხტენ კოლექტივის ბაღებს მკრეფავ-მტვირთავებად“.

ლაღად მოშრიალე ალაზნის ჭალებს, მდიდარ და ბარაქიან პურის ყანებს, საკოლმეურნეო შრომის მიღწევებსა და სოფლის მეაბრეშუმეობას უმღერის პოეტი ლექსებში „ალაზნის ჭალები“, „თავთუხის ყანა“, „რას ბუბუნებს ბერი მუხა“ და სხვა. ორიგინალური გააზრებით ხასიათდება ლექსი „ისევ შევხვდებით“, რომელიც ეძღვნება ალბანელ ახალგაზრდა კომუნისტ მწერალს ლაზარ სილიჩს. ქართველი მეზღვაურის ნაამბობის მიხედვითაა აგებული ლექსები „განთიადი გემბანზე“ და „გემის ნიღაბი“. პირველი ლექსი მხატვრულად ასახავს გემბანზე მეზღვაურებთან დიდი ბელადის მისვლას, რაც პოეტის მიერ ქვეყნად განთიადის მოვლინებასთანაა შედარებული. პოეტი წერს:

„მეზღვაურებთან ბელადის მოსვლას
ტაშით ხვდებოდა ზღვა ლურჯტალღება.
გემზე გვესტუმრა მშვიდობის დროშა,
მზე კომუნიზმის და უკვდავება“.

მეორე ლექსში „გემის ნიღაბი“ პოეტი ფარდას ხდის ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულ მისწრაფებას: — გასტეხონ მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის საბრძოლო ნებისყოფა და წინააღმდეგობა. ამ ბნელი საქმის განსახორციელებლად ისინი არ იშურებენ ადამიანებს და სამხედრო საჭურველს, თითქოს შეუმჩნევლად, შენიღბულად გზავნიან „ჯარით, ტანკებით დატვირთულ“ გემებს კორეისაკენ, სადაც მშრომელი ადამიანები იარაღით ხელში იბრძვიან მშვიდობიან და თავისუფალ ცხოვრებისათვის. კრებულში შეტანილ სხვა ლექსები-

დან გამოირჩევიან ლექსები „ვენერა“, რომელიც მიძღვნილია სამამულო ომში დაღუპულ ქართველი გოგონასადმი, „ჩვენი მამები“, „ჩენს ქვეყანაში“ და ბალადა „თამარ მეფის საფლავი“.

პოემა „კომუნიზმის ჯარისკაცები“ შედგება სამი ნაწილისაგან, რომელთა შორის სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით მჭიდრო კავშირი არსებობს. პოემის პირველ ნაწილში ავტორი მოგვითხრობს აჭარის ერთერთ საბჭოთა მეურნეობიდან ყირიმისაკენ ხეხილის ნერგების გაგზავნის შესახებ. პოემის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი (პოემაში სულ ორი პერსონაჟია) სამამულო ომის მონაწილე შოთა გერაძე აქტიურად ეწევა მშვიდობიან შემოქმედებით შრომას საბჭოთა მეურნეობაში. როგორც ამ მეურნეობის პარტორგი იგი „ხეხილს მიჰყვება ყირიმისაკენ, მიაქვს ქართული ოქრო ხომალდით“. ომგადახდილი ყირიმის მხარეელის ძვირფას საჩუქარს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკიდან, რათა, სულ მოკლე ხანში, ისიც გახდეს „საქართველოსებრ ბალ-ვენახებით მკერდმოხატული, მოჩარდახული“. პოემის მეორე ნაწილში მკითხველი თითქოს გრძნობს ძირითადი სიუჟეტური ხაზიდან ერთგვარ გადახვევას და დამატებითი სიუჟეტური ხაზის შექმნას. მართალია, აქ მოქმედების ასპარეზი იგივე რჩება, მაგრამ შინაარსი და დანიშნულება მოქმედებისა, განსხვავებულია. გემის გამგზავრება ყირიმისაკენ — ძირითადი ხაზი — გამოწვეულია ომისშემდგომი მშვიდობიანი პერიოდის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და აღორძინების ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებით, ხოლო მეორე, დამატებითი, ხაზი — რაც ავტორს სიუჟეტის დრამატიზაციისათვის სჭირდება, — ასახავს სამამულო ომში გერმანელ ოკუპანტებთან ჩვენი ჯარისკაცების ბრძოლის ერთერთ მომენტს. ღამით გემზე მგზავრობისას ამ ამბის გახსენებამ ძლიერი ზეგავლენა მოახდინა გერაძეზე და შეუქმნა ისეთი ასოციაციები და წარმოდგენები, რომ მთლიანად მის „თვალწინ წარსული დადგა“, რეალურად წარმოესახა ზღვაზე სიკვდილთან მისი ბრძოლის საშინელი სურათი. აქ მეტად მძაფრად და ამაღელვებლადაა დახატული შავ ზღვაზე საბჭოთა მედესანტე ჯარისკაცებზე გერმანელ ყუმბარმზიდთა თავდასხმის სურათი და მათი საბედისწერო თავგადასავალი. მძიმედ დაჭრილ გერაძეს იხსნის და ზღვაში დახრჩობისაგან გადაარჩენს ერთ-ერთი მედესანტე ჯარისკაცი, ყირიმელი მედროვი. შემდეგ იგი საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ხდება და გმირულად იღუპება მშობლიური მიწის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. პოემის მესამე, უკანასკნელი ნაწილი, ასახავს ყირიმში გერაძის ჩასვლის სურათს. ყირიმში ჩასული გერაძე მეგობრისათვის გადაარჩევს საუკეთესო ხეხილის ნერგებს და მანქანით გაემგზავრება მისკენ. მაგრამ, მისდა მოულოდნელად, მეფარეზეს ეზოში ის დაინახავს „ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ“ მეომრის ქანდაკებას, „სახალხო ძეგლს“, გმირი მეგობრის სამარადისო ხსოვნისა და დიდების სიმბოლოს. პოემის დასკვნითს სტრიქონებში ქართველი პატრიოტი გერაძე ამბობს: „ომი თუ ატყდა — რისხვად აღსდგება ის ქანდაკებაც ჯარისკაცისა“. ასეთია მოკლედ, სქემატურად მოხაზული, ამ პოემის ძირითადი აზრი, მისი შინაარსობრივი ქარგა. პოემის ღირსებას შეადგენს: ამბის დამაინტერესებლად და თავისუფლად გადმოცემა, თხრობის ეპიკური ხასიათი და სიუჟეტის საკმაოდ დინამიკური განვითარება. პოემაში მოკლედ, მაგრამ მხატვრული დამაჯერებლობითაა ნაჩვენები გერაძისა და მედროვის მეგობრული ურთიერთობა და ერთმანეთისათვის თავგანწირვა, რაც სოციალისტური სახელმწიფოს ხალხთა ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის კონკრეტული გამოვლინების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. პოემა დაწერილია ტრადიციული ათმარცვლოვანი ლექსით და საკმაოდ მდიდარია მხატვრული სახეებითა და ლამაზი პოეტური გამოთქმებით.

პოემის ნაკლად უნდა ჩაითვალოს მოქმედ პირთა, როგორც კომუნიზმის აქტიური მშენებლების, „კომუნიზმის ჯარისკაცების“ ხასიათების ნაკლები გამოკვეთილობა. გარდა ამისა, აღსანიშნავია პოემის პერსონაჟთა რიცხვის განსაზღვრულობა (სულ ორი მოქმედი პირია).

ო. ჭელიძის წიგნში წარმოდგენილ მხატვრულ პროდუქციას თემატიკური აქტუალობა და იდეური გარკვეულობა ახასიათებს. პოეტის ნაწარმოებების მხატვრული ფორმა ძირითადში შეესიტყვება მისი შემოქმედების იდეურ კონცეპციას, პოლიტიკურ გამიზნულობას. ლექსების რიტმი საკმაოდ დინამიკურია და იშვიათად თუ გრძნობთ რიტმის მოდუნებას ან გაწყვეტას, ე. წ. ნახტომისებურ გადასვლებს სტროფებს შორის; პოეტური ფრაზა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ლაპიდარული და აზრის ზუსტად გამომხატველია. მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს რომ ლექსებში ბევრი კარგი და კეთილხმოვანი რითმები გვხვდება, როგორიც მაგალითად: „არ ღირსებია — აღივსებიან“, „ბარით არხები — ბაირაღები“, „გაიმეორებს — მეომრებს“, „ჯანის განწირვით — ჯარისკაცივით“, „გალმა ნაპირზე — ამხანაგისებრ“, „გაჰყავთ ხეხილი — ტალღა მეხივით“ და სხვა. მაგრამ, გვხვდება აგრეთვე მუსიკალურად სუსტი და ყრუ ჟღერადობის რითმები: „სიღნაღში — წყვდიადში“, „სამეფო — საერთო“, „საყვარი — ძახილი“, „მშვიდობა — გაისმოდა“, „მიწყდა მერცხლე-

ბის — წმინდა მერხებით", „ოქროს თვალეგა — როგორ აებათ", „მტვირთავებად — დიდძარება", „ისე მიიღო — მიხვედრილიყო" და სხვა. ხელოვნურად არის გაკეთებული ასეთი შერითმება „რუში დადის — ქუდი ნაბდის", რაც, ჯერ ერთი, მუსიკალურად ძალზე ყრუდ ჟღერს, ხოლო, მეორეს მხრივ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სტრიქონში გამოხატულ აზრს უკარგავს ბუნებრივობას. ყალბ მუსიკალობაზეა აგებული შემდეგი სტროფი ლექსიდან „სპეროზას მთა":

„ყოველ დილით ენახვები,
მათი ნახვა გაგამხნევებს,
ქისტაურის ვენახები,
ნამყენ ვაზებს განახვებენ".

ო. ჭელიძის ლექსებში საკმაოდ ვპოულობთ კარგ პოეტურ შედარებებს, მხატვრულ სახეებსა და გამოთქმებს, მაგალითად, კარგია „ჩვენ შორის ჩადგა მამა დიადი, ვით უკვდავება და განთიადი". ასევე მოხდენილი შედარებებია: „და აშაქრებს კაცი აწმყოს, როგორც თუთას მზე ივნისის", „ხევზე ხიდი გაჩნდა, როგორც გამარჯვების ცისარტყელა გაჭიმული".

მაგრამ ავტორი თავის ლექსებში ზოგგან გვთავაზობს უცნაურ შედარებასა და გამოთქმებს. მაგალითად, „ყივის აპრილი — საგანთიადო მამლის ყივილით". გაუმართლებელია სატრფოს მიმართ ასეთი შედარების გამოყენება: „შორით მინათებს მერცხლის ხალვით". არა ზუსტი შედარებაა „წყალი... იქრჩრება ვით შადრევანი". ბუნდოვანია: „ხმა რიონივით დატალღობდა", ანდა კიდევ „მკლავით ტალღა გადახნა". შეუსაბამო და უხეირო ასეთი გამოთქმები „მანქანები დიდძარება", „წმინდა დღეო, წამოჭრილო". რას ნიშნავს „წამოჭრილი დღე"? აგრეთვე „ჯახირი გადაულახავთ". კონტექსტში სიტყვა „ჯახირი" უადგილოდაა ნახმარი. ლექსებში აქა-იქ შეინიშნება ასეთი გამოთქმებიც, მაგალითად: „ქალაქელებო დაბახევით", „ნაჭრილობარი" (ნაჭრილობევის ნაცვლად), „ზღვასებრ" (ზღვისებრ) და სხვა.

*
* *

ერთ-ერთ თავის ლექსში პოეტი ასე მიმართავს ამხანაგ სტალინს:

„შენი დროშის ქვეშ დავბადებულვარ
ერთი მუშაკი დიდი ქვეყნისა",

ეს სტრიქონები შესანიშნავ ეპიგრაფად გამოდგება პოეტის მთელი წიგნისათვის. კრებული „კომუნიზმის ჯარისკაცები" ნათლად მოწმობს ო. ჭელიძის შემოქმედებით ზრდას და წინსვლას. ოთარ ჭელიძე ქართული ახალგაზრდა საბჭოთა პოეზიის ნიჭიერი წარმომადგენელია.

სიმონ არველაძე

დიმიტრი გულია. „კამაჭიჭი".

„საბჭოთა მწერალი". 1951 წ.

★

მხცოვანი აფხაზი მწერლის დიმიტრი გულიას რომანი „კამაჭიჭი" რელიეფურად ასახავს რევოლუციამდელი აფხაზეთის ხალხის ცხოვრების სიდუხჭირესა და უკუღმართობას.

ნაწარმოების ერთ-ერთმა მთავარმა მოქმედმა პირმა ალიასმა, რომელსაც კარგად ესმოდა სწავლის დიდი მნიშვნელობა, მოინდომა ერთადერთი შვილი კამაჭიჭი მიებარებია სკოლაში, მაგრამ ვერაფერს გახდა. გლეხობას ამ სურვილის განხორციელებაში წინ ეღობებოდნენ თვითმპყრობელობის მოხელეები.

მაგრამ ხალხი განა მარტო ამით იყო შეწუხებული და დაჩაგრული? სახელმწიფო და აღგილობრივი გადასახადები და ბეგარები, მოხელეებისა და თავადების მიერ გლეხებისაგან ქრთამების აღება, მათი ღაპატიმრება და აწიოკება — ყველაფერი ეს ნაწარმოებში მხატვრული სიძლიერით არის ასახული. რომანში ივრძნობა აფხაზეთის ხალხის ცხოვრების უახლესი წარსულის კარგი ცოდნა; ავტორი იმდროინდელ ამბებში პოლიტიკურად კარგად ერკვევა.

გლეხის მძიმე მდგომარეობას მკაფიოდ ახასიათებს ნაწარმოების ერთი ეპიზოდი. გლეხმა მისიმ უსიერ ტყეში ხის ფუღუროდან თაფლი გამოიტანა. აზნაურმა მურზაყანმა გლეხი აიძულა საუღლე ხარი მოეყვანა მისთვის. მონადირე კაცმა იმავე ტყეში ერთი ძელა და გარეული კატა მოკლა, მურზაყანმა აიძულა იგი მისთვის ძროხა მიერთმია. ამავე ტყეში პატარა მდინარეში გლეხს ფაცერი გაუწყვია და რამდენიმე წყვილი თევზი დაუჭერია. მურზაყანს აქაც მოუთბია ხელი და ამ ლიფსიტა თევზის სამაგიეროდ ერთი ცხენი და ერთი ცხვარი წაურთმე-

ვია გლეხისათვის. ეს ტყე კი სრულებით არ ეკუთვნოდა მურზაყანს, იგი არც სახელმწიფო იყო, იგი ვიღაც უფლისწულის ყოფილა.

კამაჭიჭის მამის ალიასის და დედის ესმას ცხოვრების მაგალითზე ავტორს ფართოდ აქვს გადაშლილი და რელიეფურად ნაჩვენები მაშინდელ გლეხთა ცხოვრების მთელი ტრაგიზმი. ერთხელ ალიასს თავს დაესხა ცნობილი ყაჩაღი სალათბეი, თავისი ამხანაგებით. ღამე გათენეს და ალიასის საყვარელი ცხენი თან წაიყვანეს. მეორე დღეს ჩაფრებმა, ვითომდა ყაჩაღის შენახვისათვის, ალიასი გაბაწრეს, პირუტყვივით წინ გაიგდეს და მთელი წლით ციხეში გამოამწყვდიეს. ჩაფრების სისასტიკე და მხეცობა, პატარა კამაჭიჭის საშინელი კივილი და შეწუხება ავტორს მხატვრულად ძლიერად აქვს აღწერილი. ალიასის დაპატიმრებას მოჰყვება მისი ოჯახის განადგურებაც. ქურდობა და ყაჩაღობა, რომელსაც მაშინ თავადები და აზნაურები უწყობდნენ ხელს, ძალიან აწუხებდა ხალხს. მთავრობა არამც თუ არ იცავდა ხალხს ქურდებისა და ყაჩაღებისაგან, არამედ პირიქით ამისათვის თვით ხალხს სჯიდა და აწიოკებდა. მთავრობა ხალხს სთხოვდა დამნაშავეების გაცემას, მაგრამ ხალხი მათ გაცემას ვერ ბედავდა, ვინაიდან ეს ქურდები და ყაჩაღები ნათესაობით გავლენიან თავად-აზნაურებთან იყვნენ დაკავშირებული. მაგალითად, ნაწარმოებში აღწერილია ტოტლასტანის კავშირი ქურდებთან.

ტოტლასტანს მოეწონება გლეხის ქალი კამაჭიჭი. ეს მშობლებისათვის უბედურებაა. ამიტომ მშობლები ჩქარობენ ქალის დროზე გათხოვებას. გადაწყვეტილია მისი გათხოვება ალხასზე. ამას გაიგებს ტოტლასტანი და მათ ქურდებს მიუგზავნის. გლეხი ტორკანი პირდაპირ ამბობს: — „თავადები და აზნაურები თავისი ხელებით ჩვენ არაფერს გვართმევენ, ისინი ჩვენივე ძმების ხელებით გვღუპავენ. მათ გლეხებში ბევრი ყავთ ძიძიშვილები, რომლებსაც აბრიყვებენ და ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებენ“.

ტოტლასტანმა გლეხის ქალი კამაჭიჭი მოიტაცა, მაგრამ ცოლად კი არ ითხოვა და მურზაყანის საყვედურზე, ქორწილს რატომ არ იხდიო, უპასუხა, როდესაც მე ჩემს შესაფერ ქალს ვითხოვ, ქორწილსაც მაშინ გადვიხდიო. კამაჭიჭი მიუხედავად თავისი სილამაზისა, გონებრივი გამჭრიახობისა და მაღალი ადამიანობისა, როგორც გლეხის ქალი, მაინც დაიჩაგრა ტოტლასტანის ოჯახში. ტოტლასტანმა თავისი წოდების ქალებში მალე გამონახა ტოლი, კამაჭიჭს კი შვილი წაართვა და ოჯახიდან გააგდო. ეს ამბავი სიუჟეტურად კარგად არის განვითარებული. მკითხველს აღელვებს ამ ამბავის ფინალი. ბავშვის უდედოდ გატანჯვა, დედის სიკვდილი, მხატვრულად ძლიერად არის ასახული.

ნაწარმოებში მთავრობასა და ხალხს შორის კონფლიქტი თანდათანობით ვითარდება და ძლიერდება. გლეხები ერთად იკრიბებიან და თავიანთ გაჭირვებაზე მსჯელობენ, ისინი მწარე გამოცდილებით რწმუნდებიან, რომ „ეს სოვდაგრები და თავადები მათ კისერზე აზიან და ძალა მათ ხელშია და რატომ ჩამოვლენ ძირს“. მაგრამ, იმედი აქვთ, რომ ერთხელაც იქნება, მათ ყველაფერს აზღვევინებენ. „ქვა ხომ ქვაა, მაგრამ რომ გაცხელდება, ისიც კი იფეთქებსო“, — ამბობს ტორკანი. გლეხი ძიკურა სასოფლო კრებაზე თავადებსა და აზნაურებს მიმართავს: „თქვენ რა გენაღვლებათ, სასოფლო საქმეებს შორიდან უცქერით, ჩვენს ზურგზე გადადის მთელი სიმძიმე. საკუთარ საოჯახო საქმესაც ხშირად გლეხებს აკეთებინებთ“.

ნაწარმოებში რუანას და მეიას სახით მოცემულია რევოლუციონერთა მუშაობა. მაგრამ ეს მუშაობა ნაწარმოებში პირველ პლანზე არ არის ნაჩვენები. ხალხის უკმაყოფილება თავისთავად იბადება, ვითარდება და აგიტატორების მუშაობა მათთან მჭიდროდ დაკავშირებული არ არის. ეს აგიტატორები ხალხს არ რაზმავენ, მათ მოძრაობას სათავეში არ უდგებიან, მხოლოდ თანაუგრძნობენ ხალხს და ესარჩლებიან მას. ეს კი რეალური ცხოვრების სინამდვილის და ისტორიული განვითარების კანონზომიერების დარღვევაა, რითაც ნაწარმოები ბევრს აგებს. ნაწარმოებში უხვად არის მოცემული აფხაზური მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა ხალხის უახლესი წარსულის ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების შესახებ.

რომანი კარგი ქართული ენით არის ნათარგმნი რ. გვეტაძის მიერ.

გ. მეგუკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ნეიმანი, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“.

სახელმწიფო გამომცემლობა, 1951 წ.

★

სტალინურ საენათმეცნიერო მოძღვრებაში ენათმეცნიერების სხვა საკვანძო თეორიულ საკითხებთან ერთად ახალი, ღრმა მეცნიერული გაშუქება ჰპოვა ლექსიკოლოგიის პრობლემატიკამ. გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი ენის საფუძველია, მისი სპეციფიკის არსია, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი. ენის ბუნების სტალინური განსაზღვრება შინაგანი აუცილებლობით მიუთითებს სიტყვის პრობლემის კვლევა-ძიების გზებსა და ამოცანებზე.

მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ამოცანები ისახება, კერძოდ, ლექსიკოგრაფიის წინაშე.

სინონიმიკა ლექსიკის უმნიშვნელოვანესი უბანია, — მისი მრავალფეროვნება ენის სიმდიდრის მაჩვენებელია. აქედან გასაგებია, რომ ლექსიკონის ამ ფართო დარგის მეცნიერულად შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ენის სიტყვობრივი შემადგენლობის თეორიული საკითხების კვლევა-ძიებაში.

„ცოცხალი ხალხური სალაპარაკო ენა ლიტერატურული ენის გამდიდრების დაუშრეტელი წყაროა“ (კ. ჩარკვიანი), ხოლო სინონიმიკის მრავალფეროვანი შედგენილობა სწორედ ხალხური მეტყველების სინამდვილეშია უმთავრესად შემუშავებული. ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თბილისის ბოლშევიკების მეცხ პარტიულ კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში სავსებით მართებულად აღნიშნა, რომ, მართალია, ქართული ლიტერატურული ენის საფუძველს—ქართლ-კახური დიალექტი წარმოადგენს, მაგრამ ისტორიულად იგი „შევსებულია სხვა ქართული კილოების ენობრივი მასალით“. სალიტერატურო ენა ის დედამდინარეა, რომელსაც სათავე ერთ კილოურ სინამდვილეში აქვს, მაგრამ თანდათანობით მას ერთვიან სხვადასხვა კილოების საუკეთესო შენაკადები. ლიტერატურული ენის შენებაში დიალექტების მონაწილეობა, სხვა ნიშნებთან ერთად, სინონიმების შექმნაშიც გამოიხატება; სინონიმიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სხვადასხვა დიალექტური გარემო წარმოადგენს, — დროთა ვითარებაში სინონიმთა გარკვეული ნაწილი თავს იყრის ლიტერატურულ ენაში.

ქართული ენის სინონიმები დღემდის თავმოყრილი და დალაგებული არ ყოფილა. სარეცენზიო ლექსიკონი პირველი ნაშრომია, რომელიც მიზნად ისახავს მკითხველს წარმოუდგინოს ქართული სინონიმების ძირითადი მარაგი. მართალია, ნაშრომი უნაკლო არ არის, მაგრამ ის, როგორც პირველი სერიოზული ცდა ამ დარგში, უთუოდ დამაკმაყოფილებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ სინონიმიკის თეორიული საკითხები ჯერჯერობით სათანადოდ დამუშავებული არ არის. სინონიმების შესახებ მსჯელობას ადგილი ეთმობა ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოებში და, ამავე დროს, ენათმეცნიერების პროპედევტიკულ კურსებში. მონოგრაფიულად სინონიმიკის პრობლემა არავის შეუსწავლია და, ამასთანავე, არც არის გამიჯნული ენათმეცნიერული (resp. ლექსიკოლოგიური) მიდგომა ამ საკითხისადმი პოეტიკის თვალსაზრისისაგან. ნათელია, რომ სინონიმთა კლასიფიკაციისა თუ გენეზისის საკითხები ლექსიკოლოგიის სფეროში ძევს, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცნობთ შრომას, სადაც სინონიმიკის კითხვა ამომწურავად გაშუქებული იყოს ენათმეცნიერული თვალსაზრისით.

წიგნის მეორე უმთავრესი ღირსება ისაა, რომ შრომის პოზიტიურ ნაწილს შესავლის სახით წინ უძღვის გამოკვლევა სინონიმების შესახებ. ესაა ცდა სინონიმიკის საკითხების ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით დალაგებისა.

ავტორი თავს უყრის საგნის შესახებ არსებულ ლიტერატურას სათანადო კრიტიკული შეფასებით და განიხილავს სინონიმიკის საკვანძო თეორიულ საკითხებს. სახელდობრ, მოცემულია სინონიმიკის ცნების განსაზღვრება (კრიტიკულად მიმოხილულია სხვადასხვა ავტორის შეხედულებანი), დახასიათებულია აბსოლუტური და რელატიური სინონიმები, გაშუქებულია სინონიმების წარმოქმნის საკითხები, და სხვ.

ავტორი ფართოდ მიმოიხილავს საგნის ლიტერატურას. მოცემულია სინონიმთა შესახებ ანტიურ ავტორთა შეხედულებანი, ვრცლადაა დახასიათებული რუსული ლექსიკოლოგიური ლიტერატურა ამ თვალსაზრისით; განხილულია რამდენიმე ნაშრომი თანამედროვე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ ავტორს მხედველობიდან გამოჰპარვია ქართული გრამატიკული ლიტერატურა. რა ადგილი უკავია ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში სინონიმების საკითხს? მართლაც, მთელ რიგ ძველ გრამატიკებში ვრცლადაა ეგ კითხვა განხილული, მოცემულია მნიშვნელოვანი მასალა ქართული სინონიმებისა. ნაშრომში უნდა ყოფილიყო გაცემული პასუხი კითხვაზე: რა ადგილი უჭირავს ძველ ქართულ გრამატიკებში სინონი-

მიკის პრობლემას, როგორ უყურებდნენ ჩვენი გრამატიკოსები ამ საკითხს.

შესავალ ნაწილში დიდი ადგილი ეთმობა აბსოლუტური და რელატიური სინონიმების საკითხს. ავტორისათვის ამოსავალია დებულება აბსოლუტური სინონიმების არსებობის შესახებ.

შრომის ამ ნაწილში ზოგი რამ სადაოდ მიგვაჩნია.

ალ. ნეიმანი ეკამათება „მცირე საბჭოთა ენციკლოპედიაში“ მოთავსებული სტატიის ავტორს, ერთი მხრით, და რეფორმატსკის, მეორე მხრით. „ენციკლოპედიაში“ ნათქვამია: „В действительности в живом языке почти не существует синонимов. Слова, обозначающие один и тот же предмет мысли, различаются по оттенкам значения и эмоциональной окраске. Эти различные оттенки допускают употребление каждого из якобы синонимических выражений лишь в известной связи, в определенном контексте. В основе своей различия синонимы объясняются первоначальной принадлежностью их к различным социальным диалектам, напр. „украсть“ (литературный язык), „совершить кражу“ (канцелярский жаргон)... „работать“, „райзен“, „скакать“, „купить“ (обозначение разных видов кражи на воровском жаргоне“). ალ. ნეიმანი ამ ამონაწერში ლოგიკურ წინააღმდეგობას ხედავს: ავტორის მიერ წამოყენებულ დებულებასთან „в живом языке почти не существует синонимов“, — შეუთავსებელიაო იქვე ნათქვამი: „синонимы объясняются первоначальной принадлежностью их к различным социальным диалектам“ და დასახელებული მაგალითები. „და განა ჩამოთვლილი გამოთქმები სწორედ ცოცხალი მეტყველების ნაირსახეობის სინონიმები არ არის? მაშ როგორ შეიძლება ითქვას, რომ ცოცხალ ენაში არ არის, ან თუნდაც თითქმის არ არის სინონიმები?“ — კითხულობს ალ. ნეიმანი (გვ. 23).

აქ გაუგებრობაა. საქმე ისაა, რომ, როდესაც ვამბობთ აბსოლუტური სინონიმები არ არსებობსო, ეს ნიშნავს: ცოცხალ მეტყველებაში, ერთი დიალექტური თუ სოციალური წრის, ანდა ერთი ინდივიდის მეტყველებაში აბსოლუტურად იდენტური მნიშვნელობის სიტყვები არ იხმარება, — მთლიანად ენაში არსებულ აბსოლუტურ სინონიმთაგან ერთ-ერთი იხმარება მოცემულ ერთ ენობრივ წრეში. მაგ., **ფელამუში** და **თათარა** აბსოლუტური სინონიმებია მთელი ქართული ენის მასშტაბით, მაგრამ დასავლეთ საქართველოში **ფელამუში** იხმარება მხოლოდ ამ სინონიმთაგან, აღმოსავლეთ საქართველის მეტყველებაში კი მხოლოდ **თათარა**. აი, ამდენად არ არსებობს აბსოლუტური სინონიმიკა. ალ. ნეიმანი კი ტყუილად ხედავს ლოგიკურ წინააღმდეგობას იმ ავტორებთან, რომლებსაც ის ეკამათება.

ბიბლიოთეკა

ავტორს მოჰყავს რამდენიმე საბუთი თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად. ეს საბუთები ჩვენ დამაჯერებლად არ მიგვაჩნია.

იმის საილუსტრაციოდ, რომ აბსოლუტური სინონიმები არსებობს, დასახელებულია მაგალითები: მრეწველობა — ინდუსტრია, ცდა — ექსპერიმენტი, ჭლექი — ტუბერკულოზი, თვითმფრინავი — აეროპლანი და სხვ. (გვ. XXVI). ესენი ხომ ადეკვატური შინაარსის სიტყვებიაო, გვეუბნება ავტორი, რომლებიც ერთი მეორეს არ აძევებენ, არც სტილისტიკურად, არც სემასიოლოგიურად დიფერენცირდებიან, არც სხვადა სხვა დიალექტის მოვლენებად გადაიქცევიან.

საქმე ისაა, რომ ზემომოყვანილ სინონიმურ წყვილებში ერთი უცხოურია, მეორე, ენის საკუთარი კუთვნილება. გარდა ამისა, ეს ფაქტები ლიტერატურული, მეცნიერული, ენის ფაქტებია და არა სასაუბრო, ცოცხალი ენისა. აბსოლუტური სინონიმების უარმყოფელნი კი ერთხმად აღნიშნავენ, რომ აბსოლუტურად ერთნაირ სიტყვებს გაურბის სწორედ ცოცხალი ენა.

მეორე საბუთად დასახელებულია ტერიტორიული, დიალექტური წარმოშობის სიტყვები: პაპა — ბაბუა, ჩურჩხელა — ჯანჯუხი, კოშში — ბია, გოგრა — კვახი, იფანი — კოპიტი და სხვ. არც ესაა სადავო, რომ ამ რიგის ფაქტები აბსოლუტური სინონიმები არიან, მაგრამ აქაც იმავე გაგებასთან გვაქვს საქმე: ისინი აბსოლუტური სინონიმებია მთელი ენის მასშტაბით, ერთ დიალექტურ წრეში კი აბსოლუტურ სინონიმებად არ გვევლინებიან; ცოცხალ, რეალურ მეტყველებაში ეს სიტყვები ერთსადაიმავე დროს არ იხმარებიან.

მესამე საბუთად თავისი აზრის დასამტკიცებლად ალ. ნეიმანი იმოწმებს ერთ ადგილს ამ სტრიქონების ავტორის წერილიდან: „ცნება სინონიმური პარალელიზმისა“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 7, 1941). ნებას მივცემ ჩემს თავს აქაც მოვიყვანო ეს ციტატა, რადგანაც იგი არ ლაპარაკობს ალ. ნეიმანის სასარგებლოდ; ამ წერილში საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული, ავტორი კიმას პოზიტიურად იმოწმებს. აი ეს ციტატაც: „დებულება — აბსოლუტური სინონიმები არ არსებობსო — ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საერთოდ არ არსებობდეს ენაში აბსოლუტურად იდენტური შინაარსის ლექსიკური ოდენობები. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ სინონიმებს, რომლებიც შეღებულია საკუთარი და ნასესხები სიტყვებისაგან. განა ყოველი ნასესხები სიტყვა ემიჯნება „დამხვდურ“ ეკვივა-

ლენტს გარკვეული სემანტიკური ნუანსით? ოღონდ ამ შემთხვევაში ეს ნასესხები სიტყვა ამოტივტივებულია გარკვეული ენობრივი წრის სიტყვახმარებაში, თანდათანობით ვიწროვდება ეკვივალენტის გამოყენების რკალი, — ეკვივალენტისა, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში მაინც არსებობს მთქმელის სამეტყველო ცნობიერებაში პოტენციურად. მხოლოდ ამდენად არ არსებობს აბსოლუტური სინონიმები, თორემ, თუ მთელი ენის მასშტაბს ავიღებთ, აბსოლუტურ სინონიმებს, რასაკვირველია, შევხვდებით". ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ცნება აბსოლუტური სინონიმებისა მე მესმის სხვანაირად, შედარებით იმ გაგებასთან, რომელიც მოცემულია ალ. ნეიმანის შრომაში.

ამრიგად, ნაშრომში არ არის მკაცრად შეზღუდული და შემოფარგლული აბსოლუტური სინონიმების გამოყენება-გავრცელების არე, — ავტორი არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ცოცხალ მეტყველებაში resp. რომელიმე დიალექტურ სინამდვილეში არ შეიძლება არსებობდეს აბსოლუტური სინონიმები, ყველა მათგანი პარონიმური ხასიათისაა. ხოლო სხვაა მთელი სახალხო-ეროვნული ენის სინამდვილე: სხვადასხვა დიალექტში წარმოქმნილი სინონიმები შეიძლება აბსოლუტურად იდენტური შინაარსის იყოს, ისევე როგორც აბსოლუტურ სინონიმებს შეიძლება ჰქმნიდნენ თანამედროვე და არქაული სიტყვებიც. სინონიმები უნდა წარმოვიდგინოთ არა სიტყვიერი პრეპარატების სახით, არამედ უნდა განვიხილოთ ისინი ცოცხალ მეტყველებაში.

„ქართულ სინონიმთა ლექსიკონი" არსებითად ასახავს ახალი ქართული ენის მასალას. მაგრამ მასში თვალსაჩინო რაოდენობით არის შესული არქაული სიტყვებიც. ძველი ქართულის ეს ფაქტები, როგორც ეტყობა, აღებულია, უმთავრესად, ძველი ქართული ენის არსებულ ლექსიკონებიდან. რა თქმა უნდა, ავტორისათვის ძნელი იქნებოდა ვრცლად წარმოედგინა ძველი ქართული ენა სინონიმიკის თვალსაზრისით, რადგანაც, როგორც ვიცით, ძველი ქართული ენის ლექსიკური შედგენილობა შესწავლილი არ არის სათანადო სიღრმით. ამდენად, სარეცენზიო ლექსიკონი რამდენადმე შერეული ხასიათისაა.

ლექსიკონი შედგენილია ასეთნაირად: სინონიმები დალაგებულია ერთი გარკვეული წევრის მიხედვით, რომელსაც ავტორი დომინანტ-სიტყვას უწოდებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, სინონიმთა გრძელ ჯაჭვში ამორჩეულია ძირითადი მნიშვნელობის წევრი და ისაა გატანილი სალექსიკონო ერთეულად. ბუდეში მოქცეული წევრები კი სათითაოდ, ცალ-ცალკეა ლექსიკონში მოცემული სალექსიკონო ერთეულებად და მითითებულია დონიმანტ-სიტყვაზე. მაგალ., სინონიმები ინჯილაკი, წილჩავატი, ქუქუ, ჯიბლიბო, ზინზიბა დაჯგუფებულია ჯიბლიბო-ზე, ხოლო ბუდეში მოქცეული ქუქუ, ზინზიბა და სხვა ცალ-ცალკეა გატანილი ლექსიკონში და მითითებულია ჯიბლიბო-ზე.

აღსანიშნავია, რომ ომონიმური ხასიათის სიტყვები ცალ-ცალკეა გამოტანილი და დანომრილი. მაგალ., I — **დაცვა** — ასრულება, შესრულება (კანონისა და სხვ.); II — **დაცვა** — დარაჯობა, ყარაულობა, გუშაგობა; III — **დაცვა** — თავდაცვა, დაფარვა (სამშობლოსი); IV — დაცვა-შენახვა, მოვლა-პატრონობა (ქონებისა) **და ა. შ.**

შეიძლება ითქვას, რომ წიგნში მოცემულ წესს სინონიმების დალაგებისას გარკვეული უპირატესობა აქვს იმ წესთან შედარებით, რომელიც გვხვდება ანალოგიური ტიპის ლექსიკონებში.

გარკვეულ შენიშვნებს იწვევს ნაშრომის ფრაზეოლოგიური ნაწილი. ფრაზეოლოგია საზოგადოდ არაა წარმოდგენილი აქ, ოღონდ აქაიქ, ძალიან იშვიათად ბუდეში მოქცეული რომელიმე წევრისათვის მოყვანილია კონტექსტები ამა თუ იმ მწერლის თხზულებიდან. ეს მწერლებია: ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, ილ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი. რ. ერისთავი, ნ. ლომოური, ე. ნინოშვილი, ალ. **ყაზბეგი, თ. რაზიკაშვილი** და სხვ.

გაუგებარია, რა პრინციპზეა დაყრდნობილი ეს ლიტერატურული დამოწმებანი. რომელიმე სინონიმურ პასაჟიდან რატომ ერთ სიტყვასთან ვასახელებთ კონტექსტებს და, ვთქვათ, მეორესთან არა? გასაგები იქნებოდა, რომ მეტად იშვიათი სიტყვისათვის მოეტანა ავტორს მაგალითი მწერლობიდან, ანდა კონტექსტით ნათელიყო ამა თუ იმ სიტყვის სინონიმურობა იმ შემთხვევაში, როცა მთლად ნათელი არაა სიტყვის დაკავშირება სინონიმურ ერთეულებთან. დაბოლოს, შეიძლებოდა კონტექსტისათვის მიგვემართა მაშინ, როდესაც ბუდეში სინონიმიკის ერთ-ერთ კომპონენტად ფრაზეოლოგიური სინონიმიკის ნიმუშია მოცემული. არც ერთი ეს პირობა არ უდევს საფუძვლად შრომაში წარმოდგენილ ფრაზეოლოგიურ მასალას. მაგალითად ავიღოთ სინონიმები, რომლებიც დაჯგუფებულია სიტყვასთან ვაკე: ბარი, დაბლობი, ქვედი, ჩოლი, დუბე, დაცემული ადგილი, ტაფტალოვანი ადგილი, ტაფობი. აქ მოცემულია მაგალითი: „ამ ტაფობზედ ოციოცდაათიოდ კაცი მოთავსდებოდა" (ყაზბეგი). რა უპირატესობა ენიჭება სინონიმთა ზემომოყვანილ წყებაში ტაფობ-სიტყვას, — რად სჭირდება ავტორს ლიტერატურული დამოწმება მაინცადამაინც ამ სიტყვისათვის, მაშინ როდესაც უკონტექსტოდ მოცემულია სხვა წევრები (ჩო-

ლი, ქვედი, დუბე და სხვ.). სინონიმთაგან: ველი, კორდი, მდელო, ნოღა კონტექსტი მოცემულია მხოლოდ ველისათვის. მამალი ცხოველის მწკრივში მოცემულია: ხვადი, ახტა, ულაყი, აჯილლა, ურა, ვაყა, ბოტი, ვერძი, კერატი, ტახი, ბოჩოლა, ბოიკი, ხარი, ბუღა, კურატი, ზვარა. ამათგან ავტორს მაგალითი მოჰყავს მხოლოდ სიტყვისათვის — ხარი („მწუხარის თქვან: კიდევ თორღვასა გუშინ მოუკლავს ხარია“: ვაჟა).

ამრიგად, ფრაზეოლოგიური დამოწმებანი წიგნში შემთხვევითი ხასიათისაა და გარკვეულ პრინციპულ საფუძველზე არ არის დაფუძნებული.

ზემოაღნიშნული ცალკეული ნაკლოვანებანი არ ამცირებენ ნაშრომის საერთო მნიშვნელობას. ეჭვსგარეშეა, ამ სახითაც „ქართული სინონიმთა ლექსიკონი“ მაგიდის წიგნი იქნება ყველა მათთვის, ვისაც აინტერესებს ქართული ლექსიკონის ერთი უმდიდრესი უბანი — სინონიმიკა, რომლის მრავალფეროვნებას ნათლად დაინახავს ჩვენი მკითხველი ამ სასარგებლო წიგნიდან.

სინონიმიკის საკვანძო თეორიული საკითხების დამუშავება სტალინური საენათმეცნიერო მოძღვრების საფუძველზე გადაუდებელი საქმეა.

სარეცენზიო ლექსიკონი უნდა გამოდგეს, როგორც მასალა, ქართული სინონიმიკის ზოგადი საკითხების შესასწავლად.

წიგნის რედაქტორია პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილი.

შოთა ძიძიგური

ა. ს. მაკარენკო „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა, 1950 წ.

★

ა. ს. მაკარენკო საბჭოთა პედაგოგიკის, ყველაზე იდეური, მოწინავე, მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის წარმომადგენელია. იგი იყო პირველი საბჭოთა პრაქტიკოსი — მასწავლებელი, რომელმაც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გენიალური შეხედულებების საფუძველზე გადაჭრით აღიმაღლა ხმა სწავლა-აღზრდის მოძველებული მეთოდების წინააღმდეგ და მოგვცა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მთელი რიგი აქტუალური პრობლემების სწორი თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაკარენკოს ორიგინალურ, ნოვატორულ შეხედულებებს სოციალისტური საზოგადოებისათვის შესაფერისი, ყოველმხრივ განვითარებული, სიძნელეებთან ბრძოლაში უშიშარი, გაბედული, ბოლშევიკური ნებისყოფითა და ხასიათით აღჭურვილი ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ. თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მუშაობის პრაქტიკაში მაკარენკო ემყარებოდა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ძირითად პრინციპს — აღზრდა კოლექტივში, კოლექტივის საშუალებით და კოლექტივისათვის. ამ მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში იგი აღწევდა უმაგალითო, გასაოცარ წარმატებებს.

გორკისა და ძერჟინსკის სახელობის ბავშვთა შრომითს კოლონიებში თექვსმეტი წლის მუშაობის მანძილზე მაკარენკომ შესძლო ქუჩიდან პირდაპირ კოლონიაში მოხვედრილი, უპატრონო ბავშვებისაგან აღეზარდა საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი იდეით, ლენინ-სტალინის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით გამსჭვალული ათასობით ადამიანი, რომლებიც დღეს მიმოფანტული არიან ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში და პატიოსნად იხდიან თავიანთ მოვალეობას სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

ამაშია ძირითადად მაკარენკოს პედაგოგიკური მოძღვრების ძალა და სიდიადე, მის მიერ საბჭოთა პედაგოგიკური მეცნიერებაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილი და ამაგი. მაგრამ მაკარენკოს მრავალმხრივი მოღვაწეობა სცილდება პედაგოგიკის ფარგლებს. მისი ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებები „პედაგოგიური პოემა“, „ალმები კოშკებზე“, მთელი რიგი სტატიები და ლექციები წარმოადგენენ საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებებს, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე შექმნილ საუცხოო შემოქმედებითს ნიმუშებს, რომლებზედაც მილიონობით საბჭოთა ახალგაზრდები იზრდებიან.

მაკარენკოს, როგორც მწერლისა და პედაგოგის, სახელი განუყრელად არის დაკავშირებული დიდი ჰუმანისტისა და გენიალური საბჭოთა მწერლის, საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის სახელთან. გორკი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც

მაკარენკოს პრაქტიკულ პედაგოგიურ მოღვაწეობასა და ორიგინალურ თეორიულ მოსაზრებებში დაინახა „მსოფლიო მნიშვნელობის“ მოვლენა. მან შთაგონა მაკარენკოს იმ ლიტერატურულ-პედაგოგიური თხზულებების შექმნა, რომლებშიაც მწყობრ პედაგოგიურ სისტემად ჩამოყალიბდა მაკარენკოს მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკური მოძღვრება. ამიტომ თვით მაკარენკოსათვის გორკი იყო ცხოვრების დიდი მასწავლებელი, გზის მაჩვენებელი და მეგობარი.

ქართულ ენაზე მაკარენკოს პედაგოგიური შეხედულებებისა და ლიტერატურულ-პედაგოგიური თხზულებების ფართო მკითხველებისათვის გასაცნობად უკანასკნელ ხანებში ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, რომელმაც გამოსცა მთელი რიგი შრომები, მიძღვნილი მაკარენკოს ცხოვრება-მოღვაწეობასა და პედაგოგიკური მემკვიდრეობის ათვისების საკითხებისადმი (პროფ. ე. ნ. მედინსკის „ანტონ სიმონის-ძე მაკარენკო“, დოც. ემ. გოგინავასი „ბავშვთა კოლექტივი და მისი აღზრდის საკითხები ა. ს. მაკარენკოს მოძღვრებაში“ და სხვ.). თვით მაკარენკოს საუკეთესო პედაგოგიური თხზულებანი კი დღემდე არ იყო თარგმნილი ქართულ ენაზე.

ამ ხარვეზს ავსებს გასულ წელს ინსტიტუტის მიერ დოც. ვ. ქაჯაიას წინასიტყვაობითა და რედაქციით გამოცემული ა. ს. მაკარენკოს „რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“, რომელშიაც თავმოყრილია უმთავრესად რუსულ პერიოდულ გამოცემებში გაფანტული მაკარენკოს წერილები, სტატიები და სხვადასხვა დროს საჯაროდ წაკითხული ლექციები.

წიგნი შედგება ოთხი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მოთავსებულია მაკარენკოს ძირითადი სტატიები აღზრდის ზოგად საკითხებზე, მეორე განყოფილებაში განხილულია საბჭოური აღზრდის ცალკეული პრობლემები, მესამე განყოფილებაში მოცემულია ზოგიერთი დასკვნა მაკარენკოს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებიდან და მეოთხე განყოფილებაში ჩამოყალიბებულია ოჯახური აღზრდის თეორიული საფუძვლები.

წიგნის წინასიტყვაობაში ვ. ქაჯაია აშუქებს მაკარენკოს ცხოვრებისა და პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითადი ეტაპებს და იძლევა მისი პედაგოგიკური მოძღვრების დახასიათებას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მაკარენკოს „რჩეულ პედაგოგიურ თხზულებანში“ მოთავსებული სტატია „მაქსიმ გორკი ჩემს ცხოვრებაში“. 1925 წლიდან მაკარენკოსა და გორკის სახელობის კოლონიის აღსაზრდელებს მჭიდრო წერილობითი ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ალექსი მაქსიმეს-ძე გორკისთან. გორკის თითქმის ყოველდღე მოსდიოდა კოლონიის აღსაზრდელთა ასობით წერილი, იგი ალტაცებით და სიხარულით ეხმარებოდა თითოეულ მათგანს, იძლეოდა რჩევა-დარიგებებს, და შემოქმედებითი მუშაობის კიდევ უფრო ნაყოფიერად გაშლის დიდ სტიმულს აძლევდა თვით კოლონიის უფროსს ა. ს. მაკარენკოს. მაკარენკო თავის სტატიაში იგონებს ერთ მეტად საინტერესო დეტალს: გორკი მაკარენკოსაგან თავის წერილებში ყოველთვის მოითხოვდა ეცნობებინათ მისთვის კოლონიის მდგომარეობის ყოველი წვრილმანი. „მაგრამ ჩემმა უღრმესმა პატივისცემამ და სიყვარულმა გორკისადმი, ჩემმა შიშმა მისი ჯანმრთელობის შესახებ ნება არ მომცა გადაჭრით ჩამეთრია ალექსი მაქსიმეს-ძე ჩემს პედაგოგიურ დავიდარაბაში. მე სულ უფრო და უფრო ვცდილობდი ეს დავიდარაბა შეძლებისდაგვარად მის ნერვებს აცილებოდა“. გორკიმ კოლონიის მდგომარეობის შესახებ ისედაც ყველაფერი იცოდა. აი, რას წერდა ის 1928 წლის 9 მაისს მაკარენკოს:

„ნება მიბოძეთ მეგობრულად გისაყვედუროთ: რათ არ გინდათ მასწავლოთ როგორ და რით შემიძლია დაგეხმაროთ თქვენც და კოლონიასაც? თქვენი სიამაყე, როგორც თქვენი საქმისთვის მებრძოლისა, მე მესმის, ძალიან მესმის; მაგრამ ეს საქმე ხომ როგორღაც დაკავშირებულია ჩემთან, და მრცხვენია, უხერხულია ჩემთვის პასიური დავრჩე იმ დროს, როცა ეს საქმე დახმარებას საჭიროებს“ (გვ. 62).

და მართლაც გორკიმ იხსნა მაკარენკო უკრაინის განსახკომის სისტემაში იმ დროს მოკალათებული უსულგულო ჩინოვნიკთა დევნისაგან, ლენინ-სტალინის პარტიის დახმარებით გზა გაუკაფა ნიჭიერ შემოქმედსა და საბჭოთა პედაგოგიკის ნამდვილ ნოვატორს და მისი მდიდარი პედაგოგიურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა აქცია მთელი საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კულტურის საყოველთაო კუთვნილებად.

მაკარენკო გორკის შემოქმედებაში განსაკუთრებულ მაღალ შეფასებას აძლევდა ე. წ. გორკისებურ ოპტიმიზმს და ადამიანში დადებითი თვისებების სწრაფად დანახვას. „ადამიანში მუდამ უნდა ვივარაუდოთ კარგი რამ, და პედაგოგიც ვალდებულია გააკეთოს ეს, — წერს მაკარენკო — იგი მოვალეა ადამიანს მიუდგეს თუნდაც შეცდომის ჩადენის ერთგვარი რისკით. და, აი, ეს უნარი ადამიანში უკეთესი, უფრო ძლიერი, უფრო საინტერესო რამის ეარაუდისა უნდა ვისწავლოთ გორკისაგან“. და შემდეგ: „გორკის ეხერხება ადამიანში დადებითი ძალების დანახვა, მაგრამ არასდროს არ ამცირებს თავის მოთხოვნას ადამიანისადმი და არასდროს დაერიდება უაღრესად მკაცრ გაკიცხვასაც კი“ (გვ. 58).

სტატიაში „საბჭოთა სკოლაში აღზრდის პრობლემები“ მაკარენკო არკვევს სკოლის ერთიანი, მტკიცედ შემჭიდროებული პედაგოგიური კოლექტივის შექმნისა და აღმზრდელობითი სისტემის თეორიულ პრინციპებს, რასაც კომუნისტური აღზრდის საერთო სისტემაში უალრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საზოგადოებრივი აზრის ძალა ბავშვთა კოლექტივში მაკარენკოს მიაჩნდა რეალურად ხელშესახებ ისეთ მძლავრ ფაქტორად, რომელსაც შეუძლია აამაღლოს მოსწავლის პასუხისმგებლობა მთელი კლასისა და სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წინაშე, ე. ი. აღზარდოს მასში საბჭოთა ადამიანის კეთილშობილური თვისებები. ბავშვი უნდა გრძნობდეს გარემო წრის, ამხანაგების, მეგობრების, კოლექტივის მუდმივ კონტროლს, იდეურ და მორალურ ზეგავლენას და თავის ხასიათს, მოქმედებას, ზრდილობისა და ქცევის ნორმებს უფარდებდეს სკოლის მთელი კოლექტივისათვის დადგენილ ერთიან წესებს. „ყოველი მოწაფე, — წერს მაკარენკო, — უნდა ცხოვრობდეს არამარტო თავისი კლასის პატარა ჯგუფის ინტერესით, არამედ მას უნდა აღაფრთოვანებდეს სკოლის საერთო მიზნები, უნდა განიცდიდეს სკოლის საერთო სიხარულს“. მაკარენკოს აზრით, ამხანაგობისა და ერთმანეთისადმი პატივისცემის გრძნობის აღზრდა შეიძლება მხოლოდ სკოლის ერთიანი მტკიცე კოლექტივის შექმნით, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის გონებაში საზოგადოებრივი აზრის „როგორც აღზრდის მომწესრიგებელი და დისციპლინის დამამყარებელი ფაქტორის“ განმტკიცებას.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-აღზრდის საბჭოთა სისტემაში მოსწავლეებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას. ხშირად ცალკეულ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის შინაარსი ზოგიერთ მასწავლებელს არასწორად ესმის. მაკარენკო მისთვის ჩვეული გაბედულებით არკვევს ამ საკითხს და აძლევს მას სწორ და საფუძვლიან განმარტებას.

„ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომა სრულიადაც არ ნიშნავს განცალკევებულ ჭირვეულ პიროვნებასთან დავიდარაბას, — ინდივიდუალური მიდგომის საფარით არ უნდა გავაპაროთ მეშჩანური ინდივიდუალური აღზრდა. უმწეოა ის პედაგოგი, რომელიც მფარველობს მოწაფის ნაკლოვანებებს, ბრმად აყოლია მის კაპრიზს, ეთაძაშება და ენას უსლექს იმის ნაცვლად, რომ აღზარდოს და გარდაქმნას მისი ხასიათი. უნდა შეგეძლოს უკომპრომისო მოთხოვნების წაყენება ბავშვისათვის, რომელსაც განსაზღვრული ვალდებულებები აღწევს საზოგადოების წინაშე და პასუხისმგებელია თავისი მოქმედებისათვის. ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესაბამისად გავხადოთ იგი თავისი კოლექტივის ერთგულ, ღირსეულ წევრად, საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქედ“ (გვ. 37).

ლექციების ციკლში „სასკოლო საბჭოური აღზრდის პრობლემები“ (ეს ლექციები მაკარენკოს მიერ წაკითხულ იქნა რსფსრ განსახკომის თანამშრომლებისათვის 1938 წლის იანვარში) საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების საფუძველზე, საბჭოთა პედაგოგიკის დიდმნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, მაკარენკო აყენებს სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნის მთელ რიგ სადღეისო ამოცანებს. წიგნის ამ ნაწილში მკითხველის ყურადღებას იქცევს განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც გადმოცემულია მაკარენკოს შეხედულებანი აღზრდის მეთოდების, შეგნებული დისციპლინის განმტკიცების, სასჯელისა და წახალისების, კოლექტივში ურთიერთობისა და ტონის ფორმებისა და საშუალებების შესახებ. მაკარენკო სკოლაში შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საკითხს განიხილავს როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების, საზოგადოებრივი მორალის განუყოფელ ნაწილს.

„ჩვენს საზოგადოებაში უდისციპლინობა, უდისციპლინო ადამიანი, — წერს იგი, — ეს ისეთი ადამიანია, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგ გამოდის, და ასეთ ადამიანს ჩვენ ვუყურებთ არა მარტო გარეგანი ტექნიკური მოხერხებულობის თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური და ზნეობრივი თვალსაზრისით“. „ჩვენი დისციპლინა, — განაგრძობს იქვე მაკარენკო, — ძველი დისციპლინისაგან განსხვავებით, როგორც ზნეობრივი და პოლიტიკური მოვლენა, უნდა გამომდინარეობდეს შეგნებიდან, ე. ი. იმის სრული გაგებიდან, თუ რა არის დისციპლინა და რისთვის არის იგი საჭირო“ (გვ. 95 — 96).

მაკარენკოს მოძღვრებაში დიდი ადგილი უჭირავს ოჯახური აღზრდის საკითხებს. მან მოგვცა მშობელთა როლისა და ავტორიტეტის შესახებ მთელი რიგი საყურადღებო მითითებანი, რომელთა გატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის. ა. ს. მაკარენკო ოჯახსა და სკოლაში ბავშვთა აღზრდის მთელ პროცესს განიხილავს, როგორც მიზნების მხრივ ერთიან პედაგოგიურ საშუალებათა რთულ სისტემას. ოჯახი და სკოლა ავსებენ და ეხმარებიან ერთმანეთს კომუნისტური აღზრდის საერთო მიზნის მიღწევაში. ამიტომ თითოეული მშობელი კარგად უნდა იცნობდეს პედაგოგიკის ზოგად საკითხებს და აღზრდის საბჭოთა იდეებს, რომ პირნათლად მოიხადოს თავისი ვალი ქვეყნის წინაშე. „მუდამ უნდა გახსოვდეთ, — მიმართავდა

მაკარენკო მშობლებს, — რომ თქვენს ოჯახში და თქვენი ხელმძღვანელობით იზრდება მომავალი მოქალაქე, მომავალი მოღვაწე, მომავალი მებრძოლი. თუ თქვენ ცუდ ადამიანს გამოზრდით, ამით შეწუხდებით არა მარტო თქვენ, არამედ მრავალი სხვაც და მთელი ქვეყანაც" (იხ. გვ. 305-306).

მაკარენკოს „რჩეული პედაგოგიური თხზულებანის" ქართულ ენაზე გამოცემით საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა უეჭველად სასარგებლო საქმე გააკეთა. ქართველ მკითხველ საზოგადოებრიობას ახლა საშუალება აქვს ახლოს გაეცნოს საბჭოთა პედაგოგიკის გამოჩენილი წარმომადგენლის უაღრესად საყურადღებო თეორიულ და პრაქტიკულ შეხედულებებს. ინსტიტუტს განზრახული აქვს უახლოეს მომავალში ქართულ ენაზე გამოსცეს მაკარენკოს დიდმნიშვნელოვანი ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოები „პედაგოგიური პოემა".

აკ. თოფურია

აკ. ჩავლეიშვილი — „კორეელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის".

სახელმწიფო გამომცემლობა. 1951

★

ერთ წელზე მეტია, რაც კორეელი ხალხი გმირულად იბრძვის უცხოელ ინტერვენტების წინააღმდეგ. ლისინმანის მარიონეტული მთავრობის, ამერიკელი იმპერიალისტების და მათი სატელიტი ქვეყნების ჯარები ელეტენ ათასობით უდანაშაულო ადამიანს, წვავენ და ანგრევენ კორეის ქალაქებსა და სოფლებს. ომის გამჩაღებლები ვარაუდობდნენ იოლ და სწრაფ გამარჯვებას, კორეელი ხალხის დამონებას და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ საომარი პოზიციების განმტკიცებას. მაგრამ იმპერიალისტთა გეგმებს განხორციელება არ უწერიათ. ისინი ომის წლის თავზეც კვლავ 38-ე პარალელთან იმყოფებიან, ინტერვენტთა შეიარაღებულ ძალებს გამანადგურებელი დარტყმა აგემა კორეის სახალხო არმიამ ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით.

კორეელი ხალხის ცხოვრებაზე, მათ კეთილშობილურ და სამართლიანი მიზნისათვის ბრძოლაზე მოგვითხრობს აკ. ჩავლეიშვილის წიგნი — „კორეელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის".

წიგნი თოთხმეტი თავისაგან შესდგება. პირველ თავში მოცემულია კორეის სახელმწიფოს ზოგადი ეკონომიური და გეოგრაფიული დახასიათება, გაშუქებულია მოსახლეობის წარმოებისა და მათი ყოფაცხოვრების საკითხები. კორეა მდებარეობს აზიის აღმოსავლეთ ნაწილში, მისი ტერიტორია 220. 740 კვადრატულ კილომეტრს უდრის. კორეა მთაგორიანი ქვეყანაა, მდიდარია ძვირფასი მადნეულის საბადოებით. მეტად მრავალფეროვანია კორეის მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. ტყით განსაკუთრებით მდიდარია ჩრდილოეთ კორეა.

აკ. ჩავლეიშვილი, ცნობილი საბჭოთა გეოგრაფის ვ. ზაიჩიკოვის, ი. სტრელბიცკის, ნ. გარინის და სხვათა მასალების საფუძველზე, საინტერესო ცნობებს იძლევა კორეელი ხალხის შესახებ. „კორეელი ხალხი მონღოლური წარმოშობისაა. კორეელები რამდენადმე ჩინელებსაც გვანან და იაპონელებსაც, მაგრამ ორივე მათგანისაგან განსხვავდებიან... როგორც სიმაღლით, ისე გარეგნობით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ჩრდილოეთ კორეელები სამხრეთ კორეელებისაგან. სამხრეთ კორეელებისათვის დამახასიათებელია უფრო მკვეთრად გამოსახული მონღოლური ტიპი... ჩრდილოეთ კორეელები რამდენადმე ემსგავსებიან კავკასიელის ტიპს" (გვ. 10).

კორეა ძველი კულტურის ქვეყანაა. იგი ძველთაგანვე ჩინეთის დიდ გავლენას განიცდიდა. ოფიციალურ დამწერლობად მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე ითვლებოდა იეროგლიფური დამწერლობა, რომელიც ჩინეთიდან იყო შემოტანილი. კორეელი დამწერლობა მხოლოდ 1895 წელს გამოცხადდა ოფიციალურ დამწერლობად. „იაპონელი კოლონიზატორები ცდილობდნენ გადაეგვარებინათ კორეელი ხალხი. კორეაში გაბატონებისთანავე მათ სკოლებშიც კი აკრძალეს კორეული ენა, ბავშვებს მხოლოდ იაპონურ ენაზე ასწავლიდნენ, აიძულებდნენ გვარიც კი გამოეცვალათ. მიუხედავად ამისა კორეელმა ხალხმა მაინც შეინარჩუნა თავისი ენა და დამწერლობა" (გვ. 13).

კორეა ძირითადად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. მისი მთელი მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტს გლეხობა შეადგენს. მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა ქვეყნის სოფლის მეურნეობა ვერ ვითარდება, რადგან „გაბატონებული ფეოდალური ურთიერთობა კორეაში არ იძლეოდა სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას... სახნავ-სათესი მიწების 0,6 ნაწილი იაპონელ პლანტატორებს, კორეელ მემამულეებსა და კულაკებს ეკუთვნო-

დათ“ (გვ. 20). სოფლის მეურნეობა არც იაპონელთა განდევნის შემდეგ გაუმჯობესებულა, ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ სამხრეთ კორეაში, სადაც იაპონელი იმპერიალისტები ამერიკელმა კოლონიზატორებმა შეცვალეს სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

სულ სხვა მდგომარეობაა ჩრდილოეთ კორეაში. აქ იაპონელ დამპყრობელთა განდევნის შემდეგ, 1946 წელს განხორციელდა მიწის რეფორმა. ბოლო მოეღო მიწათმფლობელობის ფეოდალურ სისტემას. მემამულეებს ჩამოერთვათ მიწები და გლეხობას გადაეცა. „დემოკრატიულმა გარდაქმნებმა და მიწის რეფორმამ, — წერს ავტორი — კორეელი გლეხობის წინაშე თავისუფალი შემოქმედებითი შრომის ფართო ასპარეზი გადაშალა... რეფორმის შემდეგ ჩრდილოეთ კორეაში სოფლის მეურნეობა სწრაფ აღმავლობას განიცდის“. (გვ. 21). ავტორს მოყავს ფაქტიური და ციფრობრივი მასალები იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ განვითარდა ჩრდილოეთ კორეის სოფლის მეურნეობა, როგორ გაიზარდა მისი პროდუქცია. სოფლის მეურნეობაში სწორი პოლიტიკის განხორციელების შედეგათ რესპუბლიკის მთავრობამ ძირითადად გადაწყვიტა სასურსათო პრობლემა.

გადადის რა მრეწველობის განხილვაზე, ავტორი აღნიშნავს, რომ კორეა წიაღისეულით მდიდარი ქვეყანაა. იქაური ქვანახშირის საბადოები რკინის მადანი, ფერადი ლითონები და დიდძალი ჰიდროენერგეტიკული რესურსები მრეწველობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ ჩრდილოეთ კორეაში მრეწველობის ნამდვილი განვითარება მხოლოდ იაპონელ ინტერვენტთა განდევნის შემდეგ დაიწყო. სახალხო კომიტეტებმა ჯერ კიდევ 1946 წელს განახორციელეს მრეწველობის ნაციონალიზაცია. 1949 წლის იანვარში კორეის უმაღლესმა სახალხო კრებამ მიიღო ჩრდილოეთ კორეის სახალხო მეურნეობის განვითარების ორწლიანი გეგმა, რომელიც პროდუქციის ზრდასთან ერთად ითვალისწინებდა მრავალი ახალი საწარმოს მშენებლობას. კორეელმა ხალხმა ორწლიანი გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. სამხრეთ კორეაში კი ამერიკელ იმპერიალისტთა თარეშის გამო მრეწველობის განვითარება ჩიხში მოემწყვდა, შემცირდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, რამაც თავის მხრივ მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ამის შედეგად „კორეელი ხალხი არაერთგზის დარწმუნდა, რომ სახალხო მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა და მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვების გზით, ამერიკელ იმპერიალისტთა განდევნის შედეგად, ერთიანი სახალხო მთავრობის ხელმძღვანელობით“ (გვ. 28).

დიდი ინტერესით იკითხება წიგნის ბოლო თავი, სადაც გადმოცემულია კორეელი ხალხის ისტორიული წარსული. „ლეგენდარული გადმოცემით კორეის პირველი სახელმწიფო ჩოსენის სახელწოდებით შეიქმნა მესაძე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე... X — XIV საუკუნეებში ქვეყანას განაგებდა კორიოს დინასტია. აქედან წარმოსდგა ქვეყნის სახელწოდება — კორეა“ — წერს წიგნის ავტორი. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და ბუნების სიმდიდრით კორეა ყოველთვის იქცევდა კოლონიზატორთა ყურადღებას. კორეა საუკუნეებიც განმავლობაში ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ჩინეთთან. კორეის დაპყრობაში ერთმანეთს ეცილებოდა მონღოლები, იაპონელები, მანჯურელები და სხვ. მაგრამ კორეაში ყველაზე მეტად ერთმანეთს ეჯახება იაპონიისა და ჩინეთის ინტერესები. იაპონია ყოველგვარ ხრიკებს მიმართავდა შეესუსტებინა ჩინეთის გავლენა კორეაში და განეხორციელებინა კორეის სრული დამონების გეგმა. მას შემდეგ რაც იაპონელმა იმპერიალისტებმა შესძლეს კორეის საკითხში ჩინეთის წინააღმდეგობის დაძლევა, მთავარ მოწინააღმდეგედ ამიერიდან გამოდის რუსეთი, რომელიც დაპყრობით პოლიტიკას ახორციელებდა შორეულ აღმოსავლეთში. ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები მზარს უჭერდნენ და აქეზებდნენ იაპონიას კორეის დაპყრობაში.

1904-5 წლების რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხდა მეფის რუსეთი. მაგრამ იაპონიამ მხოლოდ 1910 წელს შესძლო საბოლოოდ კორეელი ხალხის დამონება. დაახლოებით ორმოცი წლის განმავლობაში იმყოფებოდა კორეელი ხალხი იაპონელ დამპყრობთა უღლის ქვეშ. კორეა იარაღით ხელში იბრძოდა უცხოელთა წინააღმდეგ, მაგრამ კორეელი ხალხის ყველა გამოსვლა მარცხით მთავრდებოდა. მიუხედავად ამისა გმირი ხალხი ბრძოლას განაგრძობდა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოებისათვის.

ავტორი გვიჩვენებს თუ რა დიდი გავლენა მოახდინა კორეელ ხალხზე ოქტომბრის რევოლუციამ. საბჭოთა ქვეყნის მშრომელების მაგალითმა კორეელ ხალხს განუმტკიცა მტერზე გამარჯვების რწმენა. მათი ბრძოლაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდა კომუნისტური პარტია, რომელიც 1925 წელს შეიქმნა.

წიგნში მოკლედ მოთხრობილია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის, შრომის პარტიის თავმჯდომარის და სახალხო არმიის მთავარსარდლის — კიმ ირ სენის ცხოვრების შესახებ. კიმ ირ სენი დაიბადა 1912 წელს სოფლის მასწავლებლის

ოჯახში. 1930 წელს იგი შევიდა კორეის კომუნისტურ პარტიაში. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მან შექმნა კორეელი პარტიზანთა პირველი დივიზია. საშობლოს ამ დიდი პატრიოტის ხელმძღვანელობით კორეელი პარტიზანები დაახლოებით 15 წლის მანძილზე ეწეოდნენ დაუნდობელ ბრძოლას იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ. მაგრამ მათ ვერ შესძლეს დამპყრობელთა გაძევება. კორეელი ხალხს თავის გამათავისუფლებელ ბრძოლაში დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა არმიამ, რომელმაც ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ ბრძოლა გააჩაღა იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, დაამარცხა კვანტუნის მილიონიანი არმია და 1945 წლის 15 აგვისტოს გაათავისუფლა კორეა უცხოელი დამპყრობლებთაგან. კორეელ ხალხს გზა გაეხსნა დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად. მაგრამ „კორეელი ხალხის კეთილოღეობას წინაღუდგნენ ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც კორეის განთავისუფლებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გადასხდნენ სამხრეთ კორეაში და ხალხს კვლავ წაართვეს თავისუფლება. იმ დღიდან კორეა გაყოფილი აღმოჩნდა ორ ნაწილად. 38-ე პარალელის სამხრეთით განლაგდნენ ამერიკის ჯარები და კორეის ეს ნაწილი გამოაცხადეს ამერიკის შეიარაღებულ ძალათა საოკუპაციო ზონად. ჩრდილოეთ ნაწილში დროებით დარჩნენ საბჭოთა კავშირის ჯარები“ (გვ. 49).

38-ე პარალელი არ შეიძლებოდა კორეელი ხალხის გამყოფ ზღუდედ გადაქცეულიყო. 1945 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე მიღწეულ იქნა შეთანხმება კორეის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისა და ერთიანი დემოკრატიული მთავრობის შექმნის შესახებ. მაგრამ ამერიკელი იმპერიალისტები აშკარად არღვევდნენ მოსკოვის შეთანხმებას, 1948 წლის მაისში ამერიკელმა კოლონიზატორებმა მოაწყვეს სამხრეთ კორეის ეგრეთწოდებული ეროვნული კრების „არჩევნები“ და შექმნეს მარიონეტული მთავრობა, რომლის მეთაურად დანიშნეს კორეელი ხალხის მოღალატე, პირწავარდნილი რეაქციონერი ლი სინ მანი. ავტორი აღნიშნავს, რომ ამერიკელებმა სამხრეთ კორეაში დაამყარეს ტერორისტული რეჟიმი. ციხეები აივსო კორეელი პატრიოტებით, უმიწაწყლო გლეხობა შიმშილით სულს ღაფავდა. დაეცა კორეის სახალხო მეურნეობის დონე.

სულ სხვა ამბები ხდებოდა ჩრდილოეთ კორეაში, სადაც განხორციელდა დემოკრატიული გარდაქმნები და თავისუფალი ხალხი შეუდგა ბედნიერი ცხოვრების შენებას. 1946 წლის აგვისტოში კომუნისტური და სახალხო პარტიის გაერთიანების შემდეგ შეიქმნა შრომის პარტია— კორეის ყველაზე პროგრესული პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს კიმ ირ სენი და კიმ დუბონი. 1948 წლის აგვისტოში ჩატარდა სახალხო კრების არჩევნები. უმაღლესმა სახალხო კრებამ მთელი კორეელი ხალხის მოწონებით კორეა გამოაცხადა სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად, მიიღო ახალი კონსტიტუცია და შექმნა მთავრობა კიმ ირ სენის მეთაურობით. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების გამო 1948 წლის ოქტომბერში თავის მისალმებაში ამხანაგი სტალინი წერდა: „საბჭოთა მთავრობა, რომელიც ყოველთვის იცავს კორეელი ხალხის უფლებას, რომ შექმნას თავისი ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მიესალმება კორეის მთავრობის ჩამოყალიბებას და უსურვებს წარმატებას მის მოღვაწეობაში კორეის ეროვნული აღორძინებისა და დემოკრატიული განვითარების სასარგებლოდ“.

საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილა რა კორეელი ხალხის მოთხოვნა, 1948 წლის ბოლოს მთლიანად გამოიყვანა საბჭოთა ჯარები კორეიდან. ამ ამბით აღფრთოვანებულმა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის მოსახლეობამ დიდ სტალინს მისწერა წერილი, რომელშიც გამოხატულია უდიდესი მადლობა და გულწრფელი სიყვარული ამხანაგ სტალინისადმი. ავტორს მოყვანილი აქვს ამ წერილის ტექსტი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა პირველმა ცნო და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირმა. 1948 წლის განმავლობაში კორეასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა. 1949 წელს დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა კორეასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. 1949 წლის მარტში დაიდო შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. თავისუფლების მოყვარე სახელმწიფოების ეს გულწრფელი თანამშრომლობა განამტკიცებს ანტიიმპერიალისტურ ბლოკს, აძლიერებს მსოფლიო მოწინავე პროგრესული ძალების ბრძოლას საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ.

წიგნის შემდეგ თავში გაშუქებულია კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის საკითხები, საბჭოთა კავშირის დახმარება კორეის სახალხო მეურნეობის აღმავლობის საქმეში. მრეწველობის ნაციონალიზაცია, რაც ჯერ კიდევ 1946-წელს განხორციელდა, საფუძვლად დაედო სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფ განვითარებას. გაიზარდა მრეწველობის პროდუქცია. სოფლად აგრარული რეფორმის ჩატარების შემდეგ გადაიჭრა სასურსათო პრობლემა. სწრაფად გაიზარდა სასკოლო ქსელი, გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლები. დიდი ყურა-

დღება დაეთმო ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ამრიგად, როგორც ავტორი მიუთითებს, ჩრდილოეთ კორეა საბჭოთა კავშირის დახმარებით დაადგა სწრაფი აღმავლობის გზას.

წიგნში სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი სამხრეთ კორეაში ამერიკელ იმპერიალისტთა ბატონობის შედეგების განხილვას. ამერიკელმა ოკუპანტებმა სამხრეთ კორეაში დაამკვიდრეს სასტიკი კოლონიური რეჟიმი, რომელიც თავისი შედეგებით კიდევ უფრო საშინელი აღმოჩნდა კორეელი ხალხისათვის, ვიდრე იაპონელთა ბატონობა. ყოველივე ამან გამოიწვია მშრომელთა აღშფოთება და მასობრივი მოძრაობა ლი სინ მანის მარიონეტული მთავრობისა და ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ. 1948 წელს სამხრეთ კორეის ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო მშრომელთა აჯანყებები. ლი სინ მანის ხროვა იძულებული გახდა ჯარები გამოეყვანა აჯანყების ჩასაქრობად. აჯანყებულთა ნაწილი მთებს შეეხიზნა. დაიწყო პარტიზანული ბრძოლები.

წიგნის მეთორმეტე თავში გაშუქებულია კორეელი ხალხის ბრძოლა კორეის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის. კორეელი ხალხი ვერ ურიგდებოდა ქვეყნის ორ ნაწილად გაყოფას, იგი მოითხოვდა კორეის სრულ გაერთიანებას. ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარა კორეის ერთიანმა დემოკრატიულმა სამამულო ფრონტმა, რომელიც 1948 წლის ივნისში შეიქმნა. მაგრამ კორეელი ხალხის მშვიდობიანი გაერთიანების მოთხოვნა განუხორციელებელი დარჩა. ლი სინ მანის ბანდიტური ხროვა ამერიკელ მრჩეველთა აქტიური მონაწილეობით და ამერიკელი იმპერიალისტების წაქეზებით ამზადებდა ჩრდილოეთ კორეის დაპყრობის გეგმას.

1950 წლის 25 ივნისს სამხრეთ კორეის მარიონეტულმა მთავრობამ, დაიწყო ომი ჩრდილოეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამერიკის მმართველი წრეები ტრუმენის მეთაურობით აშკარად დაადგნენ აგრესიის გზას. უცხოელი ინტერვენტები, ლი სინ მანის არმიასთან ერთად, კორეის ტერიტორიაზე ეწევიან ბრძოლას კორეელი ხალხის წინააღმდეგ. ისინი ანგრევენ კორეის ქალაქებსა და სოფლებს, ხოცავენ და ძარცვავენ მშვიდობიან მოსახლეობას. ამერიკელ რეაქციონერთა ცდას— დაიმონონ კორეა კორეელმა ხალხმა გმირული ბრძოლით უპასუხა. წიგნის უკანასკნელ თავებში ავტორი აშუქებს კორეელი ხალხის ბრძოლას ამერიკელი ინტერვენტების წინააღმდეგ. წიგნში დაწვრილებითაა ნაჩვენები კორეელი ხალხის გმირული ბრძოლა კომ ირ სენის ხელმძღვანელობით ქვეყნის განთავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და გაერთიანებისათვის.

ამერიკელ ინტერვენტებს, მხოლოდ კორეა რომ აინტერესებთ. „ისინი ოცნებობენ — წერს ავტორი — მსოფლიო ბატონობაზე, უნდათ პირველ რიგში დაიმონონ აზიისა და ევროპის ხალხები. აზიის ხალხთა დამონების საქმეში ისინი უდიდეს როლს ანიჭებენ კორეას, როგორც მნიშვნელოვან სტრატეგიულ ბაზას“ (გვ. 100). მაგრამ ამერიკელმა იმპერიალისტებმა მარცხი განიცადეს კორეაში. მათ ძვირად დაუჯდათ კორეას ავანტიურა და კორეელ ხალხთან დიპლომატიური თამაში. ახლოვდება კორეის ხალხის გამარჯვების დღე.

ამ წიგნის გამოცემით სახელგამმა კარგი საქმე გააკეთა. წიგნს ნაკლიც გააჩნია. წიგნში ადგილი აქვს განმეორებებს. მაგალითად სპეციალური თავები მიძღვნილია სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საკითხებისადმი. მაგრამ ავტორი ამ საკითხების განხილვას ხელმეორედ უბრუნდება შემდეგ თავებშიც. შემდეგ, საჭირო იყო მერვე თავის — „კორეელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის“ — კიდევ უფრო ფართოდ გაშუქება.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: წიგნი ხელმოწერილია დასაბეჭდად 1951 წლის 25 მაისს. კორეაში საომარი მოქმედების მიმოხილვა კი მოცემულია ომის დაწყებიდან 1951 წლის იანვრამდე. წიგნში ვხვდებით კორექტურულ შეცდომებსაც.

მიუხედავად ამისა ეს წიგნი ქართველ მკითხველს კარგ დახმარებას გაუწევს კორეის შესწავლის საქმეში.

მ. ჯინჭველაშვილი

საოჯახო სამკურნალო წიგნი

საქართველოს სამედიცინო გამომცემლობამ გამოსცა „საოჯახო სამკურნალო ცნობარი“. წიგნის მიზანდასახულობის შესახებ რედაქტორი პროფ. ნ. ყიფშიძე წერს: „საოჯახო სამკურნალო ცნობარი“ მიზნად ისახავს გააცნოს მოსახლეობის ფართო წრეებს ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. მასში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული პროფილაქტიკას, ე. ი. იმ ღონისძიებებს, რომლებიც დაიცავს ადამიანს დაავადებიდან; წიგნში განხილულია აგრეთვე

მკურნალობის (კერძოდ, ავადმყოფის მოვლის) ის საკითხები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მოსახლეობისათვის". (გვ. 3).

წიგნში წარმოდგენილია თეორიული და კლინიკური მედიცინის ძირითადი დარგები.

„ადამიანის სხეულის აღნაგობა (ანატომია) შედგენილია პროფ. ა. ნათიშვილის მიერ.

ადამიანის ანატომიის ცოდნა აუცილებელია ფიზიოლოგიური პროცესების გაგებისათვის. ანატომიისა და ფიზიოლოგიის ცოდნის გარეშე კი ადამიანის პათოლოგიის რთულ საკითხებში გარკვევა შეუძლებელია. სწორედ ასეთი თანმიმდევრობითაა დაწერილი წიგნის ეს თავი.

ადამიანის სხეულის აღნაგობის შემდეგ აღწერილია „ადამიანის სხეულის სასიცოცხლო მოქმედება (ფიზიოლოგია)", რომლის ავტორია პროფ. დ. გედევანიშვილი. აქ, ფიზიოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მიღწევების შესაბამისად, პოპულიარული ენით აღწერილია ზოგიერთი ფიზიოლოგიური პროცესი, ლაპარაკია პირადი ჰიგიენის ცალკეულ საკითხზე, განსაკუთრებით კარგადაა გაშუქებული შემდეგი საკითხები: გამოყოფა, შინაგანი სეკრეცია და ვიტამინები, ძილი და სხვ.

პროფილაქტიკური მედიცინიდან წიგნში წარმოდგენილია „ჰიგიენა", რომლის ავტორია პროფ. ა. ხმალაძე. „ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭიროა ცხოვრების ყველა პირობის — საზოგადოებრივ-პოლიტიკურის და ბუნებრივის — შეხამებული მოქმედება — წერს ავტორი, — ერთ და იმავე ბუნების ძალას, ჰაერს, მზეს, წყალს და სხვას შეუძლია სასარგებლოდაც იმოქმედოს და მავნედაც, ეს დამოკიდებულია იმისაგან, თუ ის ძალა რა ზომით მოქმედებს ადამიანზე და როგორაა იგი დაკავშირებული გარემოს სხვა პირობების მოქმედებასთან". (გვ. 110.).

ამ ზოგადი განსაზღვრის შემდეგ, პრაქტიკული გამოყენების თვალთახედვით, განხილულია შემდეგი საკითხები: ჰაერი, წყალი, საცხოვრებელი ბინა და სამოსახლო ადგილი, კვება, პირადი ჰიგიენა, ჯანმრთელობის დაცვა მუშაობის დროს და სასკოლო ჰიგიენა. ჰიგიენისადმი მიძღვნილ თავში ლაპარაკია პროფილაქტიკური მედიცინის ძირითად საკითხებზე და ჰიგიენური წესების დაცვაზე, რის განხორციელებაც ადამიანის ჯანმრთელობის და ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარია.

საკმაოდ არის გაშუქებული ჰიგიენის პრიმიტიულობა და პროფილაქტიკურ მედიცინისადმი სრული უყურადღებობა მეფის დროინდელ რუსეთში და კაპიტალისტურ ქვეყნებში. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, პირიქით საბჭოთა ადამიანი თვითონ განაგებს თავის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ზოგიერთი ქვესათაური ჰიგიენური წესების დაცვისაკენ მოუწოდებს მკითხველს. ასე მაგალითად, ძილი ღია ჰაერზე, ფეხები თბილად! ისუნთქეთ ცხვირით!, ისუნთქეთ ღრმად! სვეთ ნადუღი წყალი! და სხვ.

ადამიანის შინაგანი ორგანოების დაზიანება ყველა დაავადებაზე უფრო ხშირად გვხვდება. ამიტომ კლინიკური მედიცინის განყოფილებიდან შინაგანი სნეულებანი წიგნში საკმაო ადგილს იჭერს და მკითხველის ყურადღებას იპყრობს თავისი პრაქტიკული-გამოყენებითი მნიშვნელობის გამო.

„შინაგანი სნეულებანი" შედგენილია პროფ. ნ. ყიფშიძის და დოც. მხეიძის მიერ. აღწერილია თითქმის ყველა შინაგანი სნეულება, თვითეული ავადმყოფობის გამომწვევი და ხელისშემწყობი მიზეზები, ავადმყოფობის მიმდინარეობა, ავადმყოფისა და მახლობლებისათვის შესამჩნევი ცალკეული სნეულების დამახასიათებელი ნიშნები, თვითეული ავადმყოფის მკურნალობის და მოვლის წესები.

წიგნში ცალკე აღწერილია „ჭლექი (ტუბერკულოზი)", რომლის ავტორია პროფ. გ. მესტიაშვილი. აქ ვრცლად არის გაშუქებული ტუბერკულოზის გავრცელების მიზეზები და პროფილაქტიკური ღონისძიებები ამ სენის ასაცილებლად. ავტორი უმთავრესად ეხება ფილტვის ტუბერკულოზს, ხოლო სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი მოკლედაა განხილული. ლაპარაკია აგრეთვე ტუბერკულოზის მკურნალობის უახლოესი მეთოდების შესახებ, როგორიცაა — მკურნალობა სტრეპტომიცინით და „პასკ"-ით, რაც თანამედროვე მედიცინის დიდ მიღწევას წარმოადგენს.

გასაგები ენითაა დაწერილი და ინტერესით იკითხება „ტროპიკული სნეულებანი", რომელიც შედგენილია დოც. გ. მარუაშვილის მიერ. ამ თავში განხილულია მალარია, ბრუცელოზი, პარაზიტული ჭიებით გამოწვეული დაავადებანი, კალა აზარი და აღმოსავლეთის წყლული. დიდი სახელმწიფოებრივი, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შედეგად, ჩვენში ტროპიკული სნეულებები ძლიერ შემცირდა. ჭაობების დაშრობა, არხების გაყვანა, ჭაობიანი ადგილების მაზუთით მოსხურება, თევზგამბუზიის გამრავლება, პროფილაქტიკის მიზნით ქინაქინის მასობრივი გამოყენება, საერთო და ინდივიდუალური ჰიგიენური წესების დაცვა — ტროპიკული სნეულებების შემცირებისა და მათი სრული ლიკვიდაციის საშუალებებია. ამ ღონისძიებების განხორციელება, ფართო მოსახლეობის საქმეა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ტროპიკულ სნეულებათა წინააღმდეგ საბრძოლველად პროფილაქტიკურ ღონისძიებების გატარებას ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, სავსებით გამართლებულია ტროპიკულ სნეულებების აღწერისას

აღნიშნულ დაავადებათა წინააღმდეგ პროფილაქტიკის საკითხების ვრცლად გაშუქება.

წიგნში გადმოცემულია უმთავრეს გადამდებ სნეულებათა (ავტორი პროფ. მ. კანდელაკი) კლინიკა, მკურნალობა, პროფილაქტიკა და ასეთი სნეულებით შეპყრობილის მოვლა. *განხილულია: წითელა, ხუნაგი, ქუნთრუშა, ეპიდემიური გრიპი, ყივანა ხველა, ჩუტყვავილა, ყბაყურა, პარტახტიანი ტიფი, შებრუნებითი ტიფი, მუცლის ტიფი და პარატიფები, დიზენტერია, ყვავილი, ცოფი, გაშეშება (ტეტანუსი), წითელი ქარი და ციმბირის წყლული. მოსახლეობისათვის ამ დაავადებების არსის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის წესების ცოდნა, ცხადია, გადამდებ სნეულებების თავიდან აცილების მთავარი პირობაა.

ცალკეა წარმოდგენილი „ბავშვის მოვლა და ბავშვის სნეულებანი" (ავტორი ი. რცხილაძე). აღწერილია ბავშვის კვება, ჰიგიენური წესების დაცვა, ბავშვის ფიზიკური და გონებრივი განვითარება, ბავშვთა დაავადებანი და ჩვილ ბავშვთა მოვლის წესები.

ბავშვი დაბადებიდან სრულ ასაკოვანამდე, ყოველდღიურ მზრუნველობასა და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ბავშვის წესიერი მოვლა-აღზრდა შეუძლია მხოლოდ სათანადო ცოდნით აღჭურვილ მშობელს. ბავშვი უფრო მიდრეკილია ავადმყოფობისადმი, ვიდრე მოზრდილი. ავადმყოფი ბავშვი კი განსაკუთრებულ მოვლასა და მკურნალობას საჭიროებს. ბავშვის მოვლისა და ბავშვის უმთავრეს დაავადებების შესახებ წიგნში მოიპოვება საკმაო ცნობები; მათი ცოდნა კი ყოველი მშობლისა და აღმზრდელისათვის აუცილებელია.

„ქირურგიული სნეულებანი" (ავტორი, პროფ. კ. ვეფხვაძე) მოიცავს უმთავრეს ქირურგიულ დაავადებებს. მათი ამოცნობა, პირველი დახმარების აღმოჩენა და ავადმყოფის მოვლის მთავარი წესების ცოდნა აუცილებელია ყოველი შეგნებული მოქალაქისათვის. აღსანიშნავია, რომ ეს თავი შედარებით მოკლედაა წარმოდგენილი, მას სულ უჭირავს 26 — გვერდი და აქედან კი 11 — გვერდი მხოლოდ კიბოს აღწერას აქვს დათმობილი, რაც, რა თქმა უნდა, მიზანშეუწონელია.

პროფ. პლ. შუშანიას წერილში — „ქალის სნეულებანი და ქალის ჰიგიენა" — კარგადაა აღწერილი ყველა ის, რაც ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი საჭიროა იცოდეს ქალმა მისი სნეულებების, ჰიგიენის, ორსულობის, მშობიარობის, ლოგინობის და სხვათა შესახებ.

„თვალის მოვლა და თვალის სნეულებანი პროფ. ი. სიხარულიძის მიერ არის დაწერილი. ადამიანის მხედველობის ორგანოს შორის თვალს, როგორც მხედველობის ორგანოს, ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს. ეს პატარა, მაგრამ ფრიად უძვირფასესი ორგანო მხედველობით შეგრძნობებს აწვდის ცენტრალურ ნერვულ სისტემას და ამით აკავშირებს ადამიანს გარემოსთან, კარგადაა გადმოცემული თვალის უმთავრესი დაავადებანი, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც ადამიანის სიბრმავეს ავითარებენ. ყურადღებას იპყრობს თვალში მიმდინარე რთული პათოლოგიური პროცესების ფრიად გასაგები ენით გადმოცემა.

„ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი" ეკუთვნის პროფ. გ. ხუციშვილს და აღწერილია ამ ორგანოების უმთავრეს დაავადებათა კლინიკური სურათი, ავადმყოფების მოვლა და პროფილაქტიკა.

პროფ. ა. ურუშაძის წერილში „პირის ღრუს ჰიგიენა და მისი დაავადებანი" აღწერილია პირის ღრუს და კბილების მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, პირის ღრუს გაჯანსაღება (სანაცია), პირის ღრუს და კბილების ჰიგიენური მოვლის ძირითადი წესები.

ნერვიულ სნეულებებიდან (ავტორი პროფ. პ. ქავთარაძე) აღწერილია ტვინში სისხლის ჩაქცევა, სისხლის ჩაქცევა ქსელისებრ სივრცეში, ტვინის არტერიების თრომბოზი, ტვინის არტერის ემბოლია, ეპილეფსია (ბნედა), ნევროზები: ნევრასთენია, ფსიქასთენია, ისტერია. წიგნში მოცემულია აღნიშნულ დაავადებათა კლინიკური სურათი, მკურნალობის ძირითადი პრინციპები, პირველი დახმარება და პროფილაქტიკური ღონისძიებანი ამ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად.

„კანისა და ვენერული სნეულებანი" შედგენილია პროფ. პ. ბუაჩიძის მიერ. კანის მრავალგვარი დაავადებიდან განხილულია მკბენარიანობა და ბღერი. ყურადღებას იპყრობს მკბენარიანობისა და, განსაკუთრებით, ბღერის ახალი უებარი სამკურნალო საშუალება — ანდუზის 50% ნახარში.

აღწერილია ვენერული სნეულებების — ათაშანგის, რბილი შანკრის და გონორეის ეტიოლოგია, კლინიკა, მკურნალობის ძირითადი პრინციპები და პროფილაქტიკა. ცნობილია, რომ მოსახლეობაში სანიტარულ-განმანათლებელი მუშაობა ფრიად მნიშვნელოვანია ჰიგიენური წესების დანერგვისათვის და დაავადების თავიდან აცილების მიზნით. ეს განსაკუთრებით მართებულია ვენერულ სნეულებათა მიმართ. წიგნში მკითხველი პოულობს აუცილებელ ცნობებს ვენერულ სნეულებების შესახებ.

წიგნში მოთხრობილია საზოგადოებრივი პროფილაქტიკური ზომების შესახებ ვენერულ სენთა წინააღმდეგ. კაპიტალისტურ ქვეყნებში ექსპლოატატორული საზოგადოებრივი სახელმწიფო წყობა ხელს უწყობს ვენერულ სენთა გავრ-

ცელებას. „საბჭოთა ქვეყნის პირობებში ვენერულ სნეულებებთან ბრძოლა ფართო საზოგადოებრივ ნიადაგზეა დამყარებული“ (გვ. 590) და „ამიტომაც, წინააღმდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებისა, ჩვენს ქვეყნებში მკვეთრად შემცირდა ვენერული სნეულებანი და სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებების კიდევ უფრო ფართოდ გაშლა ქმნის პირობებს ვენერულ სენთა საბოლოო აღმოფხვრისათვის ახლო მომავალში“. (გვ. 593).

წიგნის დასასრულს აღწერილია „ავადმყოფის მოვლა ოჯახურ პირობებში“ (ავტორი, დოც. გ. მხეიძე). აქ ლაპარაკია ავადმყოფის ოჯახურ პირობებში მოვლის წესების შესახებ საექიმო განათლების არმქონე პირებისათვის. სამართლიანად შენიშნავს ავტორი, რომ „ავადმყოფის მოვლა არც ისე იოლი საქმეა, როგორც ეს ბევრს შეიძლება ეგონოს, რადგან ის ავადმყოფისადმი სიყვარულისა და სიბრალულის გარდა, მომვლელის მხრივ საქმის ცოდნას მოითხოვს“. (გვ. 598).

„საოჯახო სამკურნალო ცნობარი“ კარგი საჩუქარია ჩვენი ფართო მოსახლეობისათვის; ის ფრიად სასარგებლო წიგნია, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი ზოგიერთი ნაკლიც.

წიგნში აქა-იქ გაპარულია კორექტურული შეცდომები. ადგილი აქვს ენობრივი ხასიათის ხარვეზებს. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს. „ენა გემოს გამგები ორგანოა“. (გვ. 24). „თავის ტვინის ქვეითა ზედაპირზე“. (გვ. 53). „მთელი ვეგეტაციური სისტემა კავშირებით ვადაბმულია ცერებროსპინალურ სისტემასთან“. (გვ. 54). „სისხლი, რომლიდანაც წარმოიშობა ქსოვილთა სითხე, თვითაც სითხეს წარმოადგენს“. (გვ. 67). „რამდენი წყალი სჭირდება სულ ადამიანს?“ (გვ. 120). „სასოფლო-სამეურნეო მანქანების — ტრაქტორების და სხვ. სადგომი, გარაჟი ავტომანქანებისათვის და სხვ. ამგვარი, აგრეთვე, მოთავსებული უნდა იქნეს ისე, რომ სამუშაოზე გასვლის დროს, მათ არ დასჭირდეს საცხოვრებელ რაიონზე გავლა ქუჩების ამტვერებით“. (გვ. 131). „...რადგან კოღოები უფრო მეტად ეტანებიან საქონელს და საცხოვრებელ სახლებამდე უკვე ნაკლებ მიატანენ“. (გვ. 131 — 132). „ამავე დროს აღებენ ყველა კარებს, ფანჯრებს და გაანიავებენ ჰაერს აბანოში“ (გვ. 146). „...მჯდარე მდგომარეობაში“. (გვ. 153). „ზოგიერთჯერ ხორცის ნაჭერს სუნი გარედან არ ემჩნევა“. (გვ. 156). „პირღებინების, ფაღარათის ან უგონო მდგომარეობის დროს ავადმყოფს უნდა გაუკეთდეს ქინაქინის ნემსი.“ (გვ. 303). „...მივცეთ 15 — 20 ვალერიანის წვეთები“. (გვ. 421). „უფრო იშვიათია კლეპტომანია — ქურდობის ავადმყოფური მიდრეკილება“. (გვ. 561). „ამა თუ იმ დაავადების მიხედვით, ორგანიზმის ან ცალკეული ორგანოების ცვლილებების შესაფერად, შესაძლოა მოგვიხდეს ავადმყოფს ესა თუ ის საკვები მივცეთ“. (გვ. 606).

აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მოძღვრების შესაბამისად, ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების რეგულიატორი, მათი უმაღლესი ცენტრი არის თავის ტვინი. ამ თვალთახედვით, მიუღებელია დასკვნა იმის შესახებ, რომ „ჰორმონები წარმოადგენენ ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების რეგულატორებს“ (გვ. 40).

წიგნში სისხლი განხილულია, როგორც სითხე, თუმცა იქვე მოცემულია მისი შემადგენელი ელემენტების დახასიათება: „სისხლის წითელი და თეთრი ბურთულები ცოცხალი უჯრედებია. ორგანიზმის დანარჩენი უჯრედებისაგან ისინი იმით განსხვავდებიან, რომ ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული ცემენტის მსგავსი ნივთიერებით და ამრიგად ქსოვილს არ წარმოშობენ“. (გვ. 68). უჯრედები არავითარი ცემენტის მსგავსი ნივთიერებით არ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და, ამის გარდა, ამ მხრივ წიგნის ცალკეულ თავებს შორის წინააღმდეგობაც კი არის. ასე მაგალითად, 41-გვერდზე ვკითხულობთ: „სისხლი არის თხევადი ქსოვილი“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი სისხლს განიხილავს, როგორც თხევადი ხასიათის ქსოვილს, ზოგი კი მას ქსოვილის თვისებას არ ანიჭებს, მაგრამ წიგნის ცალკეულ თავებს შორის აზრთა ასეთი წინააღმდეგობა არ უნდა არსებობდეს.

ადამიანის ფიზიოლოგია, ფიზიოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მიღწევების შესაბამისად არის შედგენილი, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის თქმული აკადემიკოს ი. პ. პავლოვის დამსახურების შესახებ, მისი მოძღვრება კი ძირითადად გადმოცემულია.

114-გვერდზე ლაპარაკია სარკმლის მოწყობის შესახებ ფრამუგის სახით და მითითებულია სურათზე („იხ. სურათი — ფანჯარა ფრამუგით“), მაგრამ წიგნში ასეთი სურათი არ მოიპოვება.

რევმატიზმის მკურნალობის აღწერისას არაფერია ნათქვამი ჩვენი მდიდარი საკურორტო შესაძლებლობის გამოყენების შესახებ (წყალტუბო, მენჯი, ახტალა, თბილისის გოგირდიანი წყლები და სხვ.).

წიგნში არ არის მოცემული ცნობები კურორტების და კერძოთ საქართველოს კურორტების შესახებ. ამას გარდა, არ არის ფსიქიკური დაავადებანი.

წიგნში ზოგჯერ ვხვდებით არაზუსტ განმარტებებს. ასე მაგალითად, ბრუცელოზის აღწერისას აღნიშნულია შემდეგი: „...აღსანიშნავია ტკივილები მამოძრავებელი ნერვების ტოტების მიდამოში და მათგან უფრო ხშირად — საჯდომი ნერვის მიდამოში. არაიშვიათია ტკივილები თავის ტვინის ნერვების მიდამოებშიც. რო-

გორც მაგალითად, სახის, სამწვერა და სასმენი ნერვების მიდამოებში და სხვ.“ (გვ. 308). აქ აუცილებელია შემდეგი კორექტივის შეტანა: საჯდომი ნერვი, ისე როგორც ზურგის ტვინიდან გამოსული სხვა ნერვები, შერეული ხასიათის ნერვია—მგრძნობიარე და მამოძრავებელი. საჯდომი ნერვი, დაზიანების შემთხვევაში, სწორედ მისი მგრძნობიარე თვისების გამო იძლევა ტკივილებს. სახის ნერვი მხოლოდ მამოძრავებელი ნერვია და ამიტომ მისი დაზიანება ტკივილს არ იწვევს.

ბავშვებში კრუნჩხვების განვითარება „ნერვული სისტემის ზედმეტი მგრძნობელობით“ (გვ. 399—400) არის ახსნილი, უფრო სწორ, იქნება ვილაპარაკოთ ნერვულ სისტემის აგზნებულების მომატების შესახებ.

ზუსტ სინამდვილეს არ შეეფერება ქირურგიულ დაავადებებში აღწერილი შემდეგი დებულება: „ხერხემლის ტვინის დაზიანების დროს მთავარი ნიშანია ფეხების ან ხელების უმოძრაობა (დამბლა), შარდის შეკავება და შემდეგ უნებლიე შარდვა“. (გვ. 413). ხერხემლის ტვინის ტრავმული დაზიანება თუ იწვევს ხელების დამბლას, მას აუცილებლივ ახლავს ფეხების დამბლაც, რადგან ქვედა კიდურებისათვის დანიშნული მამოძრავებელი ნერვული გზები გაივლის გულმკერდის ზედა და ქვედა სეგმენტებში, რომელთა დაზიანება იწვევს ზედა კიდურების დამბლას.

ბავშვის ფიზიკური განვითარებისა და ცხოველების განვითარების შედარებისას აღნიშნულია რომ „ახლად დაბადებული კვიცი ან ხბო გაშრობის უმალვე იწყებს სირბილს ან ხტუნვას, ხოლო ერთი წლის ბოლოს იმდენად განვითარებულია, რომ თვით იძლევა შთამომავლობას“. (გვ. 371). ხტომას და სირბილს შეიძლება იწყებდეს, მაგრამ ერთი წლის ხბოს ან კვიცს შთამომავლობის მოცემა არ შეუძლია.

საბოლოოდ, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ „საოჯახო სამკურნალო ცნობარი“ სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას და მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ფართო მოსახლეობისათვის.

ალექსი მინდაძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

Тбилисский филиал Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП (б)